ამბროსი გრიშიკაშვილი

მონამცვრევი

20 თბილისი 08

ა.გრიშიკაშვილი მონამცვრევი. თბილისი 2008 წ.

წიგნში გადმოცემულია ცნობილი მოაზროვნეების მოკლე–მოკლე აზრები ცხოვრებაზე საერთოდ, გმირობაზე ერთგულებაზე, სიყვარულზე, ბეჯითობასა და სამშობლოსათვის თავდადებაზე.

წიგნი განკუთვნილია როგორც საერთოდ მკითხველი საზოგადოებისათვის, ისე, და განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

სარჩევი

შესავალის მაგიერ;
მახვილგონიერება;
ლათინური გამოთქმები;
სიყვარულის შესახებ;
შრომისმოყვარეობაზე;
ცოდნის შეძენის თაობაზე;
ამონაწერები ,,ყაბუს-ნამედან”;
შირვან სამართლიანის შეგონებანი;
ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები;
ხელოვნების შესახებ;
მეცნიერებისა და მეცნიერთა შესახებ;
ქალებზე უთქვამთ;
სიკვდილზე უთქვამთ;
მეგობრობაზე;
ბედნიერებაზე;
პატარ-პატარა მოგონებები;
ორი ჭადარი;
აი, ისტორია;
პოლიტიკის ლაბირინთებში;
ასეთი რამაც შეიძლება მოხდეს;
შემოქმედების თაობაზე;
ზნე-ჩვეულებების შესახებ;
ეკონომიკური შეხედულებები;
ფრაგმენტები მოაზროვნეთა თხზულებებიდან;
ამონაწერები ფრიდრიხ ნიცშეს ,,ასე ამბობდა ზარატუსტრა”-დან;
ინდოელი ბრძენები;
ამონაწერები პროსკურიაკოვის ,,Т.мюнцер”-დან;
ნებაყოფლობითი მონობა;
ამონაწერები ჰობსიდან;
მწერლებისა და მწერლობის შესახებ;
პატრიოტობისა და გმირობაზე;
რელიგიის შესახებ.

შესავალის მაგიერ

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, დედაჩემი, ჩვენს მეზობელ ქალებთან და მათ ბავშვებთან ერთად მე და ძმას კოლმეურნეობის უზარმაზარ ზვრებში წაგვიყვანდა ხოლმე, ალაზნის პირას. შემოდგომა უკვე მიწურულიყო და ვენახებიც დაეკრეფათ. ცხადია, ისინი კერძო ვენახები რომ ყოფილიყო, მას ალბათ, ისე დაკრეფავდნენ მისი მესაკუთრენი, რომ რთველის შემდეგ ერთ კუფხალსაც ვერ იპოვიდი ვაზზე, მაგრამ ისინი ხომ სახელმწიფოსი იყო, ანუ საზოგადოებრივი, როგორც მაშინ იყო ხოლმე მოდაში ეს ტერმინი, ხოლო ნათქვამია, საზოგადო ყანაო, დათვმა შეჭამაო. ჰოდა, ამ ვენახებშიც მრავლად იყო დარჩენილი ცუდად დაკრეფილი ვაზები. არაა გამორიცხული, ზოგი მათგანი განგებაც დაეტოვებინათ, რათა შემდეგ თავად დაეკრიფათ კოლმეურნეებს. ჩვენც მივდევდით ვენახის რიგთაშორისებს და საღამომდე საკმაო რაოდენობით ყურძენსაც მოვაგროვებდით ანუ მოვიმცვრევდით ხოლმე. ასე ეწოდებოდა მაშინდელ იმ ჩვენ საქმიანობას.

ამ წიგნზე მუშაობამაც სწორედ ის ბავშვობისდროინდელი ყურძნის მომცვრევა გამახსენა. მასში მრავალი ათეული წლის განმავლობაში აღინუსხებოდა ის ყველაფერი, რაც სადმე ქართულად, რუსულად, პოლონურად თუ ინგლისურად ამომიკითხავს და მომწონებია, ან თავად მე მომსვლია აზრად და ესეც მომწონებია (იქნებ ამ მოწონებაში შევმცდარვარ კიდეც, მაგრამ რას იზამ, ადამიანი საკუთარი თავის მიმართ ვერასოდეს ვერ იქნება ობიექტური).

აქ წაიკითხავთ ასევე ხალხში გაგონილ ლამაზ ფრაზას, კარგ გამოთქმას და სხვ. იქნებ ამ ყოველივეს ჩაწერის დროს გურამ რჩეულიშვილის ერთი აზრითაც ვხელმძღვანელობდი, ვინ იცის: „თითოეული ჩაუწერავი ამბავი ისე მეცოდება, როგორც უბავშვოდ დატოვებული ქალიო“.

სხვათაშორის, ამ სახის ლიტერატურული ფორმა არ ახალია. შუა საუკუნეების ცნობილი მწერალი ბრუნეტო ლატინი, ავტორია წიგნისა „წიგნი–საგანძური”, რომელშიც იგი წერდა: „სურს რა მცირე ჭურჭელში მოუყაროს თავი ბრწყინვალე ფასეულობებს, იგი აქ აწყობს ნივთებს, რომლებიც მას ყველაზე ძვირფასად მიაჩნია ამქვეყნად.” კერძოდ, კი აზრები, რეცენზიები, აფორიზმები, გადმოცემები, ჭორები და ა. შ. სხვათაშორის, ანალოგიური წიგნი აქვს ლათინურ ამერიკელ მწერალს ბორხესს – „**მარცვლების წიგნი**”.

ვფიქრობ, წიგნი დაინტერესებს მკითხველს -მასში ხომ ამდენი დიდი ადამიანის ნააზრევია შეტანილი...

მახვილგონიერება

მახვილგონიერებისათვის წარმატება მოაქვს იმის ყურებს, ვინც შესაბამისად აღითქვამს მას და არა წარმომთქმელის ენას. ***შექსპირი***

***

რუსეთ-საფრანგეთის ომის (1812წ.) დროს ოფიცრების წრეში ვიღაც გენერალმა წარმოთქვა: „Враг у Носа". ამის პასუხად ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა იხუმრა:
თქვენ თუ პეტრე ბაგრატიონის ცხვირს გულისხმობთ, მტერს კიდევ დიდი დრო დასჭირდება ჩვენამდე მოსაღწევადო...

****

სამართლიანობა ყველაზე დიდი სიკეთეა. **ხალხური**

****

ჩვენ ჩვენი საკასაციო სამართალი გვაქვს, იგი მომავალია. **ბალზაკი**

****

თუნდაც აუსრულებელი მაღალი მიზანი უფრო ძვირფასია, ვიდრე აღსრულებული არაგონივრული სურვილი. ***გოეთე***

****

რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს. ***ნიცშე***

****

ზოგი საგანია, რომელიც თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, ზოგი კიდევ იმისთანაა, რომ, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ***ბუასტო***

****

რამდენი კაცი დამუნჯდებოდა ამქვეყნად, აკრძალული რომ იყოს თავისი თავის ქება და სხვისი ძაგება.

****

ორგვარი ზნეობა არსებობს – ერთი უქმი, რომელიც გვეუბნება, ნუ იქმნ ბოროტსაო და მეორე მოქმედი, – ჰქმენი კეთილიო. ილია

****

ნაპოლეონის ქირურგი ამბობდა: დამარცხებულ დაჭრილებს უფრო გვიან უხორცდებათ ჭრილობა, ვიდრე გამარჯვებულ დაჭრილებსო.

****

ვისაც ცილსა ვწამებთ, ან ცუდად ვახსენებთ, ხშირად ერთი ასად ჩვენზე უკეთესნი არიან.

****

ხშირად არწივი ქათამზე დაბლა დაეშვება ხოლმე, მაგრამ ქათამი ღრუბლებამდე ვერ ადის. ***კრილოვი***

***

სადაც კვდება იმედი, იქ წარმოიშვება სიცარიელე.

ლეონარდო და ვინჩი

***

მე ვცხოვრობ, როგორც მეშჩანი და ვფიქრობ, როგორც ნახევრად ღმერთი ***ბალზაკი***

***

უნდა იცხოვრო ფრანგი ბურჟუასავით და იაზროვნო, როგორც ღმერთმა. ***ბალზაკი***

***

ყოველ საუკუნეში იყო ერთი დიდი გერმანული ომი, რომელიც ჩვენი ერის საათს სწორედ მომართავდა ხოლმე მომავალი საუკუნისათვის. ***ბისმარკი***

***

გერმანელები უნდა გაანაწილო, გაფანტონ მთელ მსოფლიოში, როგორც ებრაელები, რათა ხალხის სასიკეთოდ გამოავლინონ ყოველივე კარგი, რაც მათშია. ***გოეთე***

***

თუ თქვენს წინაშე ერთი გერმანელია, ის, რა თქმა უნდა, წესიერი კაცია, ორი უკვე ბანდაა, ხოლო სამი გერმანელი აუცილებლად გამოიწვევს ომს. ***გერინგი***

***

მაღალ საზოგადოებაში ყოფნა უბრალოდ მოსაწყენია, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება ტრაგედიაა. ***უაილდი***

***

ფილოსოფოსისათვის ქალი მატერიის გამარჯვებაა სულზე. ***უაილდი***

***

ადამიანის ხასიათს ყველაზე მეტად ის ამჟღავნებს, თუ რა მიაჩნია სასაცილოდ. ***გოეთე***

***

პატარა გონების ადამიანები მგრძობიარენი არიან წვრილი წყენისადმი. დიდი გონების ადამიანები კი, თუმცა ყველაფერს ამჩნევენ, მაგრამ არაფერი სწყინთ. ***ლაროშფუკო***

***

როდესაც მოისურვებ ვინმეს დაელაპარაკო შენი საქმეების თაობაზე, ჯერ იმას მიაქციე ყურადღება, თუ როგორა აქვს მას თავად საკუთარი საქმე აწყობილი.

***

მისწრაფება იმისაკენ, რომ ყოველთვის მართალი გამოხვიდე – ვულგარულობის ნიშანია. ***კამიუ***

***

უბრალოება - აი, ყველაზე ძნელი რამ ამქვეყნად; ესაა გამოცდილების უკიდურესი საზღვარი და გენიის უკანასკნელი ძალის მოკრება. ***ჯორჯ სანდი***.

***

არავის უყვარდე – ეს მხოლოდ წარუმატებლობაა. არ გიყვარდეს, აი, ნამდვილი უბედურება. ***ა. კამიუ***

***

ფრანგებს აქვთ კარგი გამოთქმა, ვინც სულ ცეკვავს და მღერის, შორს ვერ წავაო.

***

რატომაა სამყარო ასე დიადი? იმიტომ, რომ მან არ უარყო არც ერთი ნამცეცი, თუნდ კენჭი. ***აღმოსავლური ანდაზა***

***

„რაც მოსახდენია, მოხდება" („чему быть, тому не миновать"), – ეს გამოთქმა ცხოვრების ძნელ წუთებში ჩემზე საოცრად კეთილსასურველ, დამამშვიდებელ გავლენას ახდენდაო – წერს ***ლ. ტოლსტო***

***

შეუძლებელია დაიჭირო კატა ბნელ ოთახში, მით უფრო, თუ იგი იქ არაა. ***კონფუციუსი***

***

სხვის საქმეში ყველას უყვარს სამართლიანობა. ***იტალიური***

***

აღმოსავლელ ბრძენს უთქვამს: „ჩემზე ამბობენ, ბერდებაო, იმას კი ვერ ამჩნევენ, როგორ ეშვება მზე ჩემი სხეულიდან სულში".

***

ძველი ბერძნები ამბობდნენ, თეორია სამუშაო ხელსაწყოა, თუ იგი ცუდად გეხმარება, გამოცვალე.

***

ბედი კარგია, მაგრამ ბედს ჭკუა უნდა მიადევნო. ***ნაპოლეონი***

***

ჭეშმარიტად ბედნიერი და დიდი მხოლოდ ისაა, ვინც არც ბატონია და არც მონა. ***გოეთე***

***

ძალუმ მარტოობაშია ძლიერება – ***გერმანული ანდაზა***

***

წვიმიან წელიწადს ნილოსი უდაბნომდე აღწევს, გვალვიან წელიწადში კი უდაბნო – ნილოსამდე. ***ეგვიპტური.***

***

სწორი არჩევანის გარანტიას ვერ იძლევა ვერც ტალანტი და ვერც ჭკუა.

***

ქვა თავის ადგილასაა მძიმე, თორემ წყალში მსუბუქია

***

ცოლმა რაღაც შეკითხვა დაუსვა, რაზედაც ბუზურდმიხრას პასუხი არ ჰქონდა. მაშინ ცოლმა უთხრა:
– შენ ხომ მეფის მრჩეველი ხარ და დიდ ხელფასსაც იღებ; ჩემთვის პასუხის გაცემა კი არ შეგიძლია!

ამაზე ქმარმა უპასუხა:
– მე ხელფასს ვიღებ მასზე, რაც ვიცი და არა იმაზე, რაც არ ვიცი. მე რომ იმაზეც მიხდიდნენ, რაც არ ვიცი, მაშინ მთელი სამეფო ხაზინა არ იკმარებდა ჩემი ჯამაგირის გასასტუმრებლად, რამეთუ ის, რაც ჩემთვის უცნობია, გაცილებით მეტია მასზე, რაც ვიცი.

***

ბრძენი ყველაფრის მიზეზს თავისთავში ეძებს, უტვინო – სხვებში. **კონფუციუსი**

****

მუსიკა სულისათვის იგივეა, რაც ჰაერი სხეულისათვის - **პლატონი**

***

სიმებიანი კონცერტის დასრულების შემდეგ ერთმა გრძნობამოჭარბებულმა ქალბატონმა თავი ვერ შეიკავა, მივიდა პირველ ვიოლინოსთან და განუცხადა: ,, მოხიბლული ვარ თქვენი კვარტეტით და იმედი მაქვს, რომ მასში ახალ და ახალ მუსიკოსებს ვიხილავთ".

***

თუ ჩემს განსჯას მოისურვებთ, იყავით ჩემში და არა ჩემთან. **ადამ მიცკევიჩი**

***

თუ არა სიხარბე, არც ერთი ჩიტი არ გაეხვეოდა ბადეში. ამავე საცდუნებლით იჭერენ ადამიანებსაც. სტომაქი – ესაა ჯაჭვი ხელებზე და ბორკილები ფეხებზე. მისი მონა – გამოუსწორებელი მონაა. თუ თავისუფლება გინდა – უპირველეს ყოვლისა, თავი სტომაქისაგან უნდა გაინთავისუფლო. ჭამ იმიტომ, რომ შიმშილი დაიკმაყოფილო და არა იმიტომ, რომ ისიამოვნო. **საადი**

***

ჭამის დიდად მოყვარულ ადამიანს ძნელად რომ შეეძლოს სიზარმაცესთან შებრძოლება, მას ასევე ძალზე უჭირს ვნებების დაოკებაც. სწორედ ამიტომაა, რომ ყოველგვარ სწავლებაში თავშეკავებისკენ მისწრაფება იწყება ღორმუცელობასთან, უქნარობასთან, ვნებებთან ბრძოლით. **(საადი? ტოლსტოი?)**

***

ყოველი ადამიანი გარეული ცხოველების მომთვინიერებელსა ჰგავს, ხოლო ეს მხეცები – მისი ვნებებია. მათთვის ბრჭყალებისა და ეშვების წაძრობა, მათი მოთოკვა, მოთვინიერება, მათი შინაურ ცხოველებად, თუნდაც ღმუილა ცხოველებად გადაქცევა, რომლებიც, ამასთან, მორჩილნიც იქნებოდნენ – ამაშია თვითგანათლების მთელი ამოცანა. **ამიელი**

***

უბედურება არ იქნება, თუ სხეული დაიტანჯება სულიერი მუშაობისაგან, მაგრამ სამარცხვინოა, როდესაც ყველაზე ძვირფასი ადამიანში - სული, სხეულისაგან იტანჯება. **თალმუდი**

***

სოკრატე თავადაც თავს იკავებდა ძღომაზე ჭამისაგან და თავის მოწაფეებსაც ასე არიგებდა. მათ იგი უხსენებდა ხოლმე ულისეს (ოდისეას) მაგალითს, რომელიც გრძნეულმა ცირცეამ მხოლოდ იმიტომ ვერ მოაჯადოვა, რომ ოდისეა არ გამძღარა, როგორც მისი ამხანაგები, რომლებიც მან ღორებად აქცია.

***

იგი, ვინც ისმენს ყველაფერ იმას, რასაც ადამიანები მის შესახებ ლაპარაკობენ, ვერასოდეს ვერ იქნება მშვიდად **(ვისია?)**

***

საიდან წარმოსდგება ყველა უბედურება და სულიერი ტანჯვა? მხოლოდ სულის მიჩვევიდან ისეთი საგნებისადმი, რომელთა მუდმივი ფლობაც შეუძლებელია, რამდენადაც ისინი გამუდმებულ ცვლილებებს ექვემდებარებიან.
ადამიანებს ხომ ეშინიათ და იტანჯებიან მათი საყვარელი საგნების გამო და ყველა შეურაცყოფა, დაეჭვება, მტრობა - ყველაფერი ეს მხოლოდ ამ სიყვარულიდან გამომდინარეობს იმ საგნების მიმართ, რომლებიც ადამიანს არ შეუძლია სამუდამოდ ფლობდეს. **სპინოზა**

***

ყოველგვარი ფიზიკური შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. არ მიაჩვიო შვილი ხელით შრომას – ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საყაჩაღოდ მოამზადო. **თალმუდი**

***

ყოველგვარ ცოცხალ არსებას ეშინია ტანჯვის, ყოველგვარ ცოცხალ არსებას ეშინია სიკვდილის; გააიგივე შენი თავი ცოცხალ არსებასთან და ნუ დატანჯავ და ნუ დახოცავ მათ.
ყოველგვარ ცოცხალ არსებას სურს იგივე, რაც შენ, მათთვის ძვირფასია სიცოცხლე. გააიგივე შენი თავი ყოველგვარ ცოცხალ არსებასთან. – **ბუდისტური სიბრძნე**

***

სიბრძნის საუკეთესო დამამტკიცებელია სულის კარგ განწყობაზე ყოფნა. **მონტენი**

***

სპარსელებსა აქვთ ერთი ასეთი მოთხრობა:
სული გარდაცვალების შემდეგ ზეცაში მიფრინავს და მას საშინელი შესახედაობის, ჭუჭყიანი, ერთიანად ჩირქოვანი ჭრილობებით დაფარული ქალი შეეჩეხება.
– რატომ ხარ აქ, ასეთი ჭუჭყიანი და საშინელი, ყოველგვარ ეშმაკზე უარესი? – შეეკითხება სული – ვინა ხარ?
– მე შენი ნამოქმედარი ვარ – იყო პასუხი

***

როდესაც სამყარო მოევლინე, შენ ტიროდი და სხვები მხიარულობდნენ. გააკეთე ისე, რომ, როდესაც ქვეყანას დატოვებ, ყველანი ტიროდნენ და შენ იღიმებოდე. **ინდური**

***

გიყვარდეს შენი მტერიც კი და მაშინ მტერი აღარ გეყოლება. **თორმეტი მოციქული**

***

ადამიანებს შორის ყველაზე სრულყოფილი იგია, ვისაც უყვარს თვისი მოყვასი და სიკეთეს უკეთებს მათ, მიუხედავად იმისა, კარგები არიან ისინი, თუ ცუდები. **მაჰმადი**

***

ვაი ქოთანს, ქვა დაეცემა მას, თუ იგი ქვას, სულ ერთია, ქოთანი ზარალობს. **თალმუდი**

***

ნებას ნუ მისცემთ თქვენს ბავშვებს დახოცონ მწერები, სწორედ აქედან იწყება კაცისკვლა. **პითაგორი**

***
მხოლოდ ორ არსებას შეუძლია მიაღწიოს პირამიდის წვერს: არწივს და ჭიაყელას. **დალამბერი**

***
ო, ათენელებო, რამდენს უნდა ვეცადო, რომ თქვენ მოგეწონოთ. **ალექსანდრე მაკედონელი**

მაქსიმები

ინგლისური მაქსიმები

ქალის ქველობა იმით ფასდება, თუ რას აკეთებს იგი, კაცისა კი იმით, რასაც იგი არ აკეთებს. ***როულანდი***

***
კომპლიმენტებით ქალს ვერასდროს განაიარაღებ, კაცის განიარაღება კი თითქმის ყოველთვის შეიძლება. ***უაილდი***

***
მამაკაცებიც რომ ისეთი უანგაროები იყვნენ, როგორც ქალები, ეს უკანასკნელნი გაცილებით ანგარებიანები გახდებოდნენ, ვიდრე კაცები. ***ქოლინზი***

***
დრო გადისო, თქვენ ამბობთ? ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. ეს ჩვენ მივდივართ, თორემ დრო ადგილზე დგას.

***
ყველაფერი ქორწინებაზეა დამოკიდებული; თუ თქვენ კარგი მეუღლე გყავთ, ბედნიერი ხართ; ხოლო თუ ცუდი ქალი შეგხვდათ, მაშინ ფილოსოფოსი გახდებით.

***
ქალებს ჩვენი ნაკლოვანებებისათვის ვუყვარვართ. თუ ჩვენ ისინი გვახასიათებს, მაშინ შეუძლიათ გვაპატიონ ყველაფერი, ჩვენი საუკეთესო განსწავლულობაც კი. ***უაილდი***

***
ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ მოხუცები სულელები არიან, მაგრამ მოხუცებმა იციან, რომ ახალგაზრდები ნამდვილად არიან ასეთები. ***გ. ჩაფმენი***

***
მე მომწონს კაცი, რომელსაც აქვს მომავალი და ქალი, რომელსაც აქვს წარსული. ***უაილდი***

***
როდესაც კაცი ქალს ირთავს, ეს არის მისი საუკეთესო კომპლიმენტი, როგორიც კი მას შეუძლია მას უთხრას, ეგაა ოღონდ, რომ მისი თქმა თავის დროზეა საჭირო***. როულანდი***

***
როდესაც არა გვყავთ ის, ვისი შეყვარებაც შეიძლება, იყვარებთ მას, ვინც გყავთ. ***ბუბთანი (***მგონი მსგავსი რამ ***ლა როშფუკოსაც*** აქვს ნათქვამი***).***

*****

სიმართლის მსგავსი ხუმრობა ხუმრობა აღარ არისო. ***ინგლისური ანდაზა***

***

ხშირად ვლაპარაკობთ ჩვენს მიერ შვილების აღზრდაზე. ამასთან გვავიწყდება, რომ შვილებიც ბევრს გვასწავლიან.

***

მოიკლა თავი, ეს ნიშნავს, რომ შენ საზოგადოებამ დაგამარცხა. ***უაილდი***

***

უკეთესი იქნებოდა მეცნიერი სამოცი წლის ასაკში გარდაცვლილიყო, ვინაიდან ამის შემდეგ მას, ალბათ, მხოლოდ ის შეუძლია, რომ შეეწინააღმდეგოს ყოველივე ახალ მოძღვრებას. ***ჩარლზ დარვინი „ავტობიოგრაფია"***

***

დუმილი ყოველთვის როდია ჭკუის ნიშანი, მაგრამ მდუმარე ადამიანი რომ სულელი არაა, ამაზე კი ნამდვილად მიუთითებს. ***ბუასტო***

***

ბედნიერების ძიება უბედურების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. ***ერი ხოფერი***

***

თავის შეცდომას ყველა ექსპერიმენტს უწოდებს – ***უაილდი***

***

კარგმა არგუმენტებმა ადგილი უნდა დაუთმონ უკეთესებს. ***შექსპირი***

***

როდესაც ხედავ, რომ შენი მოწინააღმდეგე ცხარდება, რაიმე ხუმრობით დაასრულე კამათი. ***ჩესტერფილდი***

***

Habit is second nature – ჩვეულება მეორე ბუნებაა, ქართველებს რომ გვაქვს, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო

***

East or West, home is best -აღმოსავლეთიც კარგია და დასავლეთიც, მაგრამ საკუთარი სახლი ყველას სჯობია.

ლათინური გამოთქმები:

უნდა ვიფიქროთ ისე, თითქოს ყოველ ადამიანს შეეძლება დაინახოს ის, რაც ჩვენს სულში ხდება – **სენეკა**

***

ვიცხოვროთ ისე, რომ ყველასათვის სახეზე ვიყოთ. ვიაზროვნოთ ისე, რომ ჩვენი სულის ყველაზე იდუმალი კუნჭულებიც კი ყოველი ადამიანის თვალისათვის მისაწვდომი იყოს. რატომ უნდა დავმალოთ რაიმე ვინმესაგან? ღმერთისაგან რაიმეს დამალვა შეუძლებელია. ყოველგვარი ღვთიური და ადამიანური ერთ ჭეშმარიტებამდე დადის,

კერძოდ, მასზე, რომ ჩვენ ყველანი ერთი უდიდესი სხეულის ნაწილები ვართ. ბუნებამ ჩვენ ერთ ოჯახად გაგვაერთიანა და ჩვენ შექმნილები ვართ ისე, რომ ერთობლივად, ერთმანეთისათვის მიხმარებით, ერთად განვლოთ ჩვენი სიცოცხლე. **სენეკა**

O matre pulchra filia pulchrior – მშვენიერ დედას უმშვენიერესი ქალიშვილი ჰყავს. **ჰორაციუსი**

O sancta simplicitas! – ო, წმინდაო გულუბრყვილობავ! – **იან ჰუსი**

O tempora, O mores! – ო, დროებავ, ო, ზნეჩვეულებებო! - **ციცერონი**

O di profanum vulgus et arceo – მეზიზღება უზრდელები (იგულისხმება ხელოვნებაში უვიცი ხალხი)

Omnes una manet nox – ყველა ერთსა და იმავეს (ღამეს) ელის. **ჰორაციუსი**

Omnia men mecum porto – ყველაფერი რაც გამაჩნია, თან დამაქვს: პრიენზე სპარსელების თავდასხმის დროს მოსახლეობამ დატოვა ქალაქი, თან ცდილობდა თავისი ქონების წაღებას. ბიანტი, რომელმაც ასევე დატოვა სახლი, შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიაქვს თან რაიმე, პასუხობდა: ყველაფერი, რაც გამაჩნია, თანა მაქვსო". იგი გულისხმობდა, რომ მხოლოდ ადამიანის სულიერი მიღწევა წარმოადგენს ჭეშმარიტ სიმდიდრეს.

Omnia vincit amor, et nos cedamus amori – ყველაფერს ძლევს სიყვარული, მაშ ჩვენც დავმორჩილდეთ მას. **ვირგილიუსი**

Omnis determinatio est negatio – ყოველგვარი განსაზღვრება უარყოფაა.

Optimus quisque facera quam dicera, sua ab aliis bene facta laudari quam ipse aliorum narrare malebat – ყოველი ღირსეული ადამიანი უპირატესობას აძლევს საქმე აკეთოს, ვიდრე ილაპარაკოს, ისმინოს სხვისგან მისი საქმეების ქება, ვიდრე თავად ჰყვებოდეს სხვის საქმეებზე.

paete, non dolet! – პეტ, ეს სულაც არაა მტკივნეული! – ეს სიტყვები მიეწერება არიას, ცეცინა პეტას (კონსული 37 წელს) ცოლს. პეტამ მონაწილეობა მიიღო რომაელი იმპერატორის კლავდიას წინააღმდეგ 42 წლის შეთქმულებაში.
როდესაც აჯანყება დამარცხდა და პეტას სიკვდილი მიესაჯა, არიას, სურდა რა, რომ პეტას თვითმკვლელობა გაებედა, თავად გაიგმირა პირველმა გული მახვილით და მეუღლეს გაუწოდა სიტყვებით: პეტ, ეს სულაც არაა მტკივნეული!

Par pari refertus – მსგავსი მსგავსისთვის იქმნება.

Parturiunt montes – nascetur ridiculus mus – იმშობიარეს მთებმა და დაიბადა თაგვი. **ჰორაციუსი**

Pax enim non belli privatio, sed virtus est, qua ex animi fortitudine oritur – მშვიდობა ომის არარსებობა კი არა, კეთილისქმნაა, რომელიც მტკიცე სულიდან გამომდინარეობს. **სპინოზა**

Pede poena cloudo – დასჯა კოჭლობით დადის, ანუ დასჯა გარდუვალია.

Pereat mundus et fiat justitia! – დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება და თუნდ სამყაროს აღსასრულიც დამდგარა! – ავსტრიელი **იმპერატორის ფერდინანდ I** დევიზი

ecta est fabula! – წარმოდგენა დამთავრებულია! – გადმოცემით ეს ფრაზა სიკვდილის წინ წარმოთქვა **რომის იმპერატორმა ავგუსტმა**

Poetae nascuntur, oratores fiunt – პოეტებად იბადებიან, ორატორებად ხდებიან. **ციცერონი**

Post festum – დღესასწაულის შემდეგ, ანუ მეტისმეტად გვიან. **პლატონი**

Primum vivere (deinde philosophari) – ჯერ ცხოვრება (შემდეგ ფილოსოფოსობა)

Qualis artifex pereo! – ო, რა დიდი არტისტი იღუპება! – გადმოცემით ეს სიტყვები წარმოთქვა რომის იმპერატორმა ნერონმა სიკვდილის წინ.

QUANDOQUE BONUS DORMITAT HOMERUS – ხდება ხოლმე, რომ მოხუცი ჰომეროსიც ჩასთვლემს. ეს ნიშნავს, რომ ძალზე გამოჩენილ ავტორსაც შეიძლება ჰქონდეს სუსტი ადგილები. **ჰორაციუსი**

Qui non laborat non manducet – ვინც არ შრომობს, ის ნურც ჭამს.

Quia nominor Leo – რამეთუ მე ლომი ვარ. რომაელი მეიგავის - ფედრას იგავიდან: ლომმა და ვირმა ინადირეს და ნანადირევის გაყოფა დაიწყეს.
ლომმა ერთი ნაწილი აიღო, როგორც ცხოველთა მეფემ, მეორე ნაწილი, როგორც ნადირობის მონაწილემ, ხოლო მესამე ნაწილი იმიტომ, რომ ის ლომია.

QUID TIMEAS? CAESAREM VEHIS! – რისი გეშინია? შენ კეისარი მიგყავს!

Quidquid delirant reges, plectuntur Achivi! – მეფეთა უგუნურებისათვის აქაველნი იტანჯებიან. **ჰორაციუსი**

Quod erat demonstrandum – რისი დამტკიცებაც მოგვეთხოვებოდა. ბერძენი მათემათიკოსი ევკლიდე ამ სიტყვებით ამთავრებდა ყოველ დასკვნას.

Malo periculosam libertatem quam quietum servitium – უზრუნველ მონობას საშიშროებით აღსავსე თავისუფლებას ვამჯობინებ.

Quod licet jovi, non licet bovi – რაც მიეტევება იუპიტერს, იმას არავინ აპატიებს ხარს. ძველი მითის თანახმად, ხარის გამოსახულებიანმა იუპიტერმა (ზევსმა) მოიტაცა ფინიკიის მეფის, აგერონის ასული ევროპა.
პლინიუს უმცროსი წერს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩამდენის პიროვნებას. ერთი და იგივე საქციელი აჰყავთ ზეცამდე ან გმობის საგნად აქცევენ, იმისდა მიხედვით, ეს ჩაიდინა გამოჩენილმა პიროვნებამ თუ უბრალო ადამიანმა.

Quos Juppiter perdere vult, demental - იუპიტერს ვისი დაღუპვაც განუზრახავს, გონებას უმღვრევს.

Saepe stilem vertas – ხშირად მოაბრუნე სტილი (ე. ი. დახვეწე გამოთქმები, საგულდაგულოდ დაამუშავე ნაწარმოები).
ძველი ავტორები წერდნენ სანთლის ცვილით დაფარულ დაფაზე. საწერ იმსტრუმენტად ხმარობდნენ სტილს, ანუ ლითონის ჯოხს, რომლის ერთი მხარეც წაწვეტებული, ხოლო მეორე მხარე – გლუვი იყო. გლუვი მხარე დაწერილის წასაშლელად მოიხმარებოდა. ჰორაციუსი წერს: ,,თუ გინდა, რომ ღირსეული რამ დაწერო, რომლის წაკითხვასაც მკითხველი რამდენჯერმე მოისურვებდა, ხშირად შეცვალე სტილი".

სტილი – ეს ადამიანია. **ბიუფონი**

Salus populi suprema lex (esto) – დაე, ხალხის სიკეთე გახდეს უმაღლესი კანონი. **იუსტინე**

Sapere aude – იქონიე საკმარისი გამბედაობა, ცოდნა მოიპოვო.

Sapienti sat – ბრძენისთვის საკმარისია (ჭკვიანი გაიგებს).

Satur (plenus) venter non studet libenter – მაძღარი კუჭი ყრუა სწავლისათვის.

Sermo datur cunctis, animi sapientia paucis – ლაპარაკის უნარი ყველას აქვს, სულის სიბრძნე – მცირეს.

Si vivis Romae, Romano vivito more – თუ რომში ცხოვრობ, რომაული წეს-ჩვეულებებით იცხოვრე; ეს ჰგავს რუსულს, ,,ს ვოლკამი ჟიც, პო ვოლჩი ვიც" და კიდევ ასევე რუსულს: ,,სხვის მონასტერში შენი წესდებით ნუ მიძვრები" და ქართულს: ,,რომელ სოფელშიც შეხვიდე, ისეთი ქუდი დაიხურეო".

Samilis samili gaudet – მსგავს მსგავსი უხარია. ეს ჰგავს რუსულს, ,,რიბაკ რიბაკა ვიდიტ იზდალეკა", ან ქართულს: ღმერთს მსგავსი მსგავსისკენ მიჰყავსო. არისტოტელე წერს: მსგავსს მსგავსი ესიამოვნება, ხოლო პლატონი: მსგავსი მსგავსს ყოველთვის უახლოვდება.

Sine ira et studio – მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე.

Sint ut sunt ant non sint – იყოს, როგორც არის ან სულაც ნუ იქნება.

Solus cum sola non cogitabuntur orare ,,Pater noster" – მარტოდ დარჩენილი ქალი და კაცი ,,მამაო ჩვენოს" კითხვას არ დაიწყებენ

Sub rosa – საიდუმლოდ (სიტყვა-სიტყვით: ვარდის ქვეშ). ძველ რომაელთათვის ვარდი საიდუმლოების ემბლემა იყო. როდესაც ოჯახის უფროსი იმ მაგიდის მაღლა, სადაც სადილობდნენ, ვარდს კიდებდა, სტუმრებისათვის ცხადი იყო, რომ იქ ნათქვამი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

Sublata cause, tollitur morbus (effectus) – მოსპეთ მიზეზი და მაშინ ავადმყოფობაც გაივლის. **ჰიპოკრატე**

Summum jus – summa injuria – უმაღლესი კანონიერება უმაღლესი უკანონობაა. გამოთქმა აღნიშნავს, რომ მხოლოდ კანონის სიტყვა-სიტყვით მიყოლა მისი სულის დაცემის მომასწავებელი იქნებოდა.

Suum cuique – თვითოეულს თავისი მიეზღოს (რომაული სამართლის უმთავრესი პრიციპი).

Tabula rasa – სუფთა დაფა; ძველი ბერძნები წერდნენ დაფაზე, რომელიც სანთლის ცვილით იყო დაფარული, შემდეგ ასუფთავებდნენ დაწერილს და კვლავ წერდნენ; ამ ტერმინით ინგლისელმა ფილოსოფოსმა ლოკმა დაახასიათა ადამიანის თავდაპირველი შეგნების მდგომარეობა, ბავშვის სული.

Tacet, sed loquitur (Cum tacent, clamant) – დუმს, მაგრამ ლაპარაკობს.

Tempora mutantur, et nos mutamur in illis – დროება იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად.

Tempus fugit, aeternitas manet – დრო მდინარებს, მარადიულობა უცვლელია.

Terra incognita – უცნობი მიწა.

Trahit sua quemque voluptas – თვითოეულს თავისი ვნება იმორჩილებს. რომაელი მთავარსარდალი **რეგული** კართაგენელებს ჩაუვარდა ტყვედ; მალე იგი გაანთავისუფლეს და რომში გაგზავნეს, რათა მას ზავის დადებაზე დაერწმუნებინა თანამემამულეები. იმ შემთხვევაში, თუ რომაელები ამაზე არ დათანხმდებოდნენ, რეგული კვლავ უკან, ტყვეობაში უნდა დაბრუნებულიყო.
რეგულმა დაარწმუნა თავისი თანამემამულეები, რომ არ დათანხმებულიყვნენ კართაგენელთა წინადადებას და მართლაც უკან დაბრუნდა. კართაგენელებმა იგი დასაჯეს.
ამის შესახებ სტენდალი წერს: მართალია რეგულს ძალიან ეშინოდა წამების, რომელსაც უმზადებდნენ კართაგენელები. მაგრამ საზოგადოებრივი ზიზღი, რომელიც რომში ელოდა, თუკი იგი იქ დარჩებოდა, ანუ დაარღვევდა ფიცს, მისთვის გაცილებით უფრო მძიმე აღმოჩნდა.

Ubi bene, ibi patria – სადაც კარგია, სამშობლოც იქ არის. **ციცერონის** ამ აფორიზმით გამოხატულია კოსმოპოლიტიზმის უპრინციპობა.

Ultima ratio regul – მეფეთა საბოლოო დასკვნა

Ut desint vires, tamen est laudanda voluntas – დაე, ძალა ნუ იქნება საკმარისი, მაგრამ სურვილი სანაქებოა

Vademecum (Vade mecum) – წამოდი ჩემთან ერთად (ჯიბის წიგნი)

Vae soli – ვაი, მარტოს

Verba et voces – სიტყვები და ხმები (მოკლედ ცარიელი სიტყვები)

Verba Volant, scropta manent – სიტყვები მიფრინავენ, დაწერილი რჩება. აი, რას წერს ჰორაციუსი: როდესაც რაიმეს დაწერ, მანამდე, ვიდრე მექიას (მექია იყო იმპერატორ ავგუსტის მიერ დრამატული ნაწარმოებების განსახილველად დანიშნული საცენზურო კომიტეტის ოთხი წევრიდან ერთ-ერთი) სამჯავროზე წარადგენდე, მანამდე შენ უნდა

წარუდგინო ან მამას ან მე და ცხრა წელიწადი ისე შეინახო, რომ ვერავინ ვერ ნახოს. მრავალი შესწორება შეიტანე მასში, თორემ რახან ერთი გაუშვებ სიტყვას, უკან უკვე ველარ დაიბრუნებ მას.

Veritas magis amicitiae – ჭეშმარიტება მეგობრობაზე მაღლა.

Veritas obium parit – სიმართლე ზიზღს შობს (სიმართლე თვალს სჭრის).

Verum index sui et falsi – ჭეშმარიტება საცდელი ქვაა, როგორც შენთვის, ისე სიყალბისათვის.

Veto – აკრძალვა. რომის რესპუბლიკის დროიდან შემორჩენილი გამოთქმა. მაშინ ვეტოს უფლებით სარგებლობდნენ სახალხო ტრიბუნები. ვეტოთი მათ შეეძლოთ გაეუქმებინათ მაგისტრატების განკარგულება, სახალხო კრებებისა და სენატის დადგენილებები.

Virtutem pramam esse puta compescere linguam – უპირველეს მადლად ენის ალაგმვა ჩათვალე.

Vita sine libertate, nihil – თავისუფლების გარეშე ცხოვრება არარაობაა.
რომენ როლანი წერს: ,,მე ვერ გავამართლებ მკვლელობას, რა სახისაც უნდა იყოს იგი. მე ვასამართლებ ნებისმიერ მკვლელობას. მაგრამ ყველაზე საშინელი მკვლელია ის, ვინც თავისუფლებას კლავს.

Vitam impendere vero – ცხოვრება მივუძღვნათ სიმართლეს

Vivere memento – გახსოვდეს სიცოცხლე

Vixi et, quem dederat cursum fortuna peregi – მე დავასრულე ცხოვრება და განვლე გზა, რომელიც განსაზღვრული მქონდა ბედისაგან.

Volentem ducunt fata, nolentem trahunt – მსურველი ბედს მიჰყავს, არამსურველს მიათრევს.

Vox populi – vox dei – ხალხის ხმა – ღვთის ხმაა.

Nulla dies sine linea – არც ერთი დღე დაუწერლად. **ლათინური**

***
იუპიტერი ვისაც თვალში ამოიღებს და სურს, რომ დაღუპოს, გონებას წაართმევს ხოლმე. ***ლათინები***

***
უბედურების მოლოდინი გაცილებით დიდი უბედურებაა, ვიდრე თავად უბედურება. ***ტ. ტასო***

***
ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ბავშვები, ნათესავები, მაგრამ ყველას წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში ,,სამშობლო". **ციცერონი**

***

ადამიანი, მისთვის სასურველს, ადვილად დაიჯერებს ხოლმე. ***იულიუს კეისარი***

***

ვისაც გული წმინდა აქვს, იმას სახეც უბრწყინავს. ***კატონი***

სიყვარულის შესახებ

ქალისა და კაცის სიყვარული - ესაა ნებაყოფლობითი ხელშეკრულება, და ის, ვინც მას დაარღვევს, დამნაშავეა მხოლოდ ღალატში; მაგრამ დედად გახდომასთან ერთად მისი მოვალეობა იზრდება, რამეთუ ბუნებისაგან მას მინდობილი აქვს მომავალი თაობის ბედი და თუ იგი ამ საქმეში შესცოდავს, მოიქცევა მდაბლად, ვერაგულად და უსინდისოდ. ***მოპასანი***

***

როცა ქალი ყვავილებს ეფერება, ის გონებაში ვიღაცას კოცნის. (?)

***

სიყვარულში ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ იმედი და სურვილია. დაკმაყოფილებული იმედი იშრიტება, ხოლო დაშრეტილი გულს გიტეხს და სულს მხოლოდ მწარე ლექსს უტოვებს. ***ალექსანდრე კუპრინი***

***

არა, ჩემო, ჯერ ერთი, მე უკვე გითხარი, რომ გრიბოედოვი ისევ მიყვარს. ამას გარდა, რომანტიული სიყვარულის დროც წავიდა, წავიდა და არასოდეს განმეორდება. ახლა თუ ვინმე მომეწონება, მხოლოდ გონების განსჯით და სადაც გონება მსჯავრმდებელია, იქ ნამდვილ გრძნობასა და სიყვარულზე ძნელია ლაპარაკი. ***ნინო ჭავჭავაძის წერილიდან დავითისადმი***

***

ისე მომენატრე, როგორც მახარობელს დიდგორის ომიდან თბილისში ჩამოსვლა. თამარ ერისთავი

***

თუ გინდა სძლიო სიყვარულს, გაექეცი. ***ნაპოლეონი***

***

განშორება პატარა სიყვარულს ასუსტებს, დიდს უფრო აძლიერებს.

***

უცილობელი ნიშანი უმაღლესი ბუნებრივი ღირსებისა, შურის არქონაა.

***

ჩვენ ყოველთვის ისინი გვიყვარს, რომლებიც ყურადღებით გვეკიდებიან და არა ისინი, ვინც ჩვენი ყურადღების ღირსნი არიან.

***

ზოგიერთი ისეთი საგანია, რომელსაც დედაკაცის ერთი თვალი უფრო შენიშნავს და დაინახავს, ვიდრე ათასი თვალი მამაკაცისა. ***ლესინგი***

***
ახალი სიყვარული – ახალი სიცოცხლეა. ***გოეთე***

***
მსგავსად მრავალი ბრწყინვალე ნიჭითა და შესაძლებლობებით დაჯილდოებული პიროვნებისა, იგი აღიზარდა სექსის მიმართ გულგრილი. ***სკოტ ფიცჯერალდი***

***
ნამდვილი სიყვარული უბედურებაში გამოჩნდება. როგორც კოცონი, იგი მით უფრო კაშკაშებს, რაც უფრო მეტი წყვდიადია ირგვლივ. ***ლეონარდო და ვინჩი***

***
ისინი, ვისაც არ გამოუცდიათ პოეტური სიყვარული, ქალს ირჩევენ, როგორც საკატლეტე, არ ზრუნავენ არაფერზე, გარდა ხორცის ხარისხისა. ***მოპასანი***

***
უნდა ჩავწვე ლოგინში და
თავი მოვიავადმყოფო.
მეზობლები სანახავად მოვლენ.

მათთან ერთად მოვა ჩემი სატრფო
და ექიმებს გააწბილებს.
იცის სატრფომ სატკივარი ჩემი!
ძველეგვიპტური პოეზიიდან

***
„რაც არ იწვის, არ ანათებსო", – ამბობს ***აკაკი წერეთელი*** და უმატებს, არაფერი არ იწვის, თუ სიყვარულის ცეცხლი არ წაჰკიდებიაო.

***
რატომ გვჯერა ჩვენ ყველაზე ნაკლებ გვიანი შემოდგომის სიზმრებისა? ***პლუტარქე***

***
„მან (ჩელიომ) იცოდა სიამოვნების ფასი, მაგრამ მას მარტოობას ამჯობინებდა; მან იცოდა, თუ რა მატყუარაა ოცნებები, მაგრამ თავის ოცნებებს როდი ამჯობინებდა სინამდვილეს. რა ბედნიერი იქნებოდა ქალი, ვინც მას შეიყვარებდა." ***ალ. მიუსე***

***
უნუგეშო სიყვარულით დამწვარი ქალიშვილები ქორწინებაზე მალე თანხმდებიან. ***გოეთე***

***
მარი დიუპლესი არის დიუმა (შვილის) „კამელებიანი ქალის" მთავარი გმირის პროტოტიპი. იგი ნამდვილად არსებული პიროვნებაა, რომელიც ცხოვრობდა იმ დროის პარიზში და რომელსაც ეტრფოდნენ. არსებობს წერილები დიუმა (შვილის) და მარის შორის. მისი სიკვდილი დიუმამ მარსელში შეიტყო, გადაიკითხა მარი წერილები და დაწერა რომანი. შემდეგ იგი პიესად გადააკეთა.
იმ დროს პარიზში ყველაზე პოპულარული იყო ისტორიული თეატრი, სადაც ბატონობდა დიუმა-მამა. ამ უკანასკნელმა ჯერ დაიწუნა შვილის პიესა, მაგრამ მალე ნება დართო დაედგათ იგი. თეატრში სპექტაკლი ნახა ჯუზეპე ვერდიმ და შექმნა

უკვდავი ოპერა „ტრავიატა”. შემდგომში „კამელებიანი ქალის” ავტორი ამბობდა, ჩემი რომანი არავის ეხსომებოდა, ვერდს რომ არ უკვდავეყოვო.

***

ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა შორის სიყვარულს ქადაგებდა სოკრატე. მისი მიმდევარი ყოფილა იულიუს კეისარიც. ასეთი ქცევა გავრცელებულა ბერძნებსა და რომაელებს შორის, შემდეგ იგი ჰენრიხ III-ს შემოუღია მოდად საფრანგეთში. ეს ჩვეულებრივი ამბავია არაბებს შორის. მისი მთავარი მიზეზია ქალების უკმარისობა, რომლებიც მდიდრებს ჰყავთ მისაკუთრებული.

შრომისმოყვარეობაზე

გენიოსობა 1% ნიჭია და 99% შრომისმოყვარეობა. ***ედისონი***

***

შრომა ტალანტის თანაბარია **(ვისია?)**

***

გენიოსობა შეუწყვეტელი ყურადღებაა. ***ტ. რიბო***

***

უგუნებობა სხვა რაა, თუ არა სიზარმაცის დარგთაგანი. ***გოეთე***

***

ნებისმიერი ძლიერი ადამიანი ხომ აუცილებლად აღწევს მას, რის ძიებასაც უბრძანებს მისი ბუნების ჭეშმარიტი სწრაფვა. ***ჰერმან ჰესეს „სტეპების მგელიდან”***

***

ამბობენ, რომ ქალები გაცილებით ნაკლებ გიჟდებიან, ვიდრე კაცები. თუ ეს ასეა, მაშინ ამის მიზეზი ნაწილობრივ არის ის წვრილმანი საქმეები, რომლითაც ისინი გამუდმებით არიან დაკავებული. იგი გარკვეულად აწესრიგებს აზრთა მდინარებას, დაახლოებით ისე, როგორც ისარი არეგულირებს საათის მოძრაობას. არ ვიცი, მართალი ვარ, თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთადგილიან ციხის კამერაში რომ აღმოვჩენილიყავი, სადაც შეუძლებელი იქნებოდა რაიმე მოძრაობის შესრულება, ან რაიმეს გაკეთება, ექვსი თვე საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ იდიოტად გადავქცეულიყავი. ***ვ. სკოტი***

***

ყოველ კაცს სძულს ისეთი სამუშაო, რომელსაც ძალით აკეთებინებენ. ***დოსტოევსკი***

***

არც ერთ ზარმაცს არ მიუღწევია ღრმა სიბერემდე. ***გუფელანდი***

***

თავისი ყოველდღიური მუშაობის შესახებ ***გაბრიელ გარსია მარკესი*** ასე წერს: მე ვწერ ყოველდღე, კვირის ჩათვლით, დილის ცხრა საათიდან დღის სამ საათამდე. მუშაობის პერიოდში ვეწევი 40–მდე მაგარ სიგარეტს, ხოლო დანარჩენ დროს ვცდილობ ორგანიზმიდან გამოვიყვანო შხამი. ექიმები მეუბნებიან, რომ მე თავს

ვიკლავ, მაგრამ მე არა მწამს, რომ არსებობდეს რაიმე ძალზე დამაინტერესებელი სამუშაო, რომელიც ასე თუ ისე თვითმკვლელობა არ იყოს.

***

ვენერას უქმად ყოფნა არ უყვარს. თუ აღარ გინდა რომ შეგიყვარდეს, ვნებას საქმით განდევნი. იმოქმედე და ჯანმრთელი იქნები. **ოვიდიუსი**

***

ტკბილი ცხოვრებისადმი მიდრეკილება ადამიანისათვის ყველა უბედურებაზე უარესია. ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ადრეული ასაკიდანვე მიეჩვივნენ შრომას. **კანტი**

ცოდნის შეძენის თაობაზე

არაფერი ისე არ ჰფიტავს ტვინს და არ ავიწროებს აზროვნების ჰორიზონტს, როგორც წიგნების კითხვა ადამიანის ცოდნის მარტოოდენ ერთი დარგიდან. ***სკაბიჩევსკი***

***

ვინც იდიდებს თავის ცოდნას, ის იდიდებს საკუთარ მწუხარებას. **მონტესუმას ასულიდან**

***

ვინ იცის, ეგებ უკეთესიც იყოს, რომ ადამიანს გვიან წამოეძალოს შემეცნება, რომლის შედეგიც არის მწუხარება და დარდი. ***კ. გამსახურდია***

***

მასწავლებელი, თუ ის პატიოსანია, ყურადღებიანი მოწაფეც უნდა იყოს. (?)

***

გენიოსს დანაშაულად არ ჩაეთვლება, რომ მან არ იცოდეს ათასი რამ, რაც უბრალო მოსწავლეებმაც იციან. მის სიმდიდრეს ის კი არ შეადგენს, რასაც მეხსიერება ჰკრებს, არამედ ის, რაც მას საკუთარი გრძნობის ძვირფასი სალაროდან ამოაქვს. ***ლესინგი***

***

ჭეშმარიტი ცოდნა მდგომარეობს არა ფაქტების ცოდნაში, რაც კაცს პედანტად ხდის, არამედ ფაქტების გამოყენებაში, რაც მას ფილოსოფოსად აქცევს. ***ბოკლი***

***

ვეძებდი ცოდნას, ვიკვლიე და ბევრი ვისწავლე, უკან მოვიხედე და ვნახე, რომ არა ვიცოდი რა. **ომარ ხაიამი**

ამონაწერები ,,ყაბუს-ნამედან"

,,ყაბუს-ნამე" დაიწერა მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ავტორი ქეი-ქაუს იბნ-ვუშმაგირი - სამეფო გვარის წარმომადგენელია. იგი წიგნს შვილს უწერს:

,,შვილო ჩემო! ახლოა ის დღე, როცა მე იმქვეყნად წავალ და მალე შენც ჩემს გზას დაადგები. დღეს, ვიდრე ამ ცოდვილ ქვეყანაზე ხარ, საჭიროა აღზრდა მიიღო და ისეთ საქმეს მოჰკიდო ხელი, რომელიც სამუდამო სამყოფელში გამოგადგება. ეს ქვეყანა სიკეთისა და ბოროტების სათესი მინდორია - რასაც დათეს, იმას მოიმკი. თავის მომკილს მინდორში არავინ შეექცევა, წაიღებს და განსასვენებელ ადგილზე მიირთმევს. განსასვენებელი ადგილი სამუდამო სამყოფელია. კეთილი კაცი ლომივით იქცევა, ბოროტი – ძაღლივით, სადაც კი რაიმეს წააწყდება, იქვე შეჭამს; ლომი კი ნანადირევს სხვაგან მიირთმევს.

თუ საშუალება გექნება და არ იმოგზაურებ, ამქვეყნიური წყალობის სიამეთა დაკმაყოფილებას მთლიანად ვერ განიცდი. უმაღლესი სიამოვნება კი ის არის, რაც არ გიხილავს, იხილო, რაც არ გიგემია, იგემო და რაც არ მოგიხვეჭავს, მოიხვეჭო. ეს კი მოგზაურობის გარეშე არ მოხდება. მოგზაურნი ყველაფრის მხილველნი, გამოცდილნი, ბედნიერნი და მცოდნენი არიან, რადგან, რაც არ უხილავთ – იხილავენ და რაც არ სმენიათ – მოისმენენ. არაბებს უთქვამთ: საკუთარი ყურით მოსმენილს, საკუთარი თვალით ნანახი სჯობსო.

შვილო ჩემო! თუ დერვიში ჰაჯს შეასრულებს, თავს განსაცდელში ჩაიგდებს. მდიდრის მიმბაძველი ღარიბი ისეთ ავადმყოფს წააგავს, რომელიც ჯანმრთელი კაცის საქმეს აკეთებს.

თუ ქონებით ღარიბი იქნები, ეცადე, გონებით მდიდარი იყო. გონება ქონებაზე უკეთესია. ჭკუით შეიძლება სიმდიდრე დააგროვო, სიმდიდრით კი ჭკუას ვერ შეიძენ. უჭკუო კაცი მალე გაღარიბდება, ჭკვიანის ქონებას კი ვერც ქურდი მოიტაცებს და ვერც წყალი და ცეცხლი გაანადგურებს. თუ ჭკუა მოგეძევება, განათლდი, რადგან გონება განათლების გარეშე იგივეა, რაც კაცი სამოსის გარეშე. ადამიანი სახის გარეშე და სხეული სულის გარეშე. ნათქვამია: განათლება გონების სახეა... ცოდნას დაეწაფე და ენამჭევრობას მიეჩვიე, შენი ენა მხოლოდ მას უნდა ამბობდეს, რაც შენ გსურს. ნათქვამია: ვისაც ტკბილი ენა აქვს, მას კეთილის მსურველებიც ბევრი ჰყავსო... ხალხის თანდასწრებით ვინმესთვის ჭკუის სწავლება ლანძღვას უდრისო.
როგორც კეთილ სიტყვებს არ დაიშურებ, ასევე ნუ დაიშურებ საჩუქრის გაცემასაც. ხალხი საჩუქრით უფრო იხიბლება, ვიდრე სიტყვით... ხალხის უბედურება ნუ გაგახარებს, რათა მათ შენი უბედურება არ გაუხარდეს...

ყოველ საქმეში თავად იყავი შენი თავის მსაჯული, რადგან ვინც საკუთარ თავს განსჯის, მას მსაჯული არ დასჭირდება. შენი ავ-კარგი ისეთ კაცს უთხარი, რომელიც შენს ბედსა და უბედობას გაიზიარებს. მწუხარებას და უბედურობას ყველას ნუ გაუმხელ. ყოველგვარი კარგი თუ ცუდი ამბავი მაშინვე ნუ გაგამხიარულებს და ნუ შეგაწუხებს, რადგან ეს ბავშვური საქციელია. მოთმინებიდან ნურასოდეს გამოხვალ – ბრძენთ არც სიმართლე აღელვებთ და არც სიცრუე. თუ ბედნიერებას მწუხარება მოსდევს – ბედნიერებად ნუ ჩათვლი. უიმედობის დროს უფრო მეტი სიმტკიცე გმართებს. იცოდე, ბედი და უბედობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია. ვიდრე პირში სული გიდგას, სიმართლის გზას ნუ დააგდებ. თუ ვინმე შეგეკამათება, დუმილით შეაწყვეტინე ლაყბობა. იცოდე, ყბედს მხოლოდ მუნჯი დაღლის. შრომას ნურავის დაუკარგავ. განსაცდელის წინაშე თვალს ნუ დახუჭავ, რადგან შხამის დალევა იმ ვარაუდით, რომ მასში წამალია, სისულელეა... სოკრატე ამბობს, არ არსებობს ღირსება განათლებაზე უპირატესი, არ არსებობს სამკაული სირცხვილის გრძნობაზე უმშვენიერესი და არ არსებობს მტერი ცუდ ჩვეულებაზე უარესი. ამიტომ, შვილო ჩემო, სწავლისათვის დრო გამონახე, სადაც უნდა იყო, რასაც უნდა აკეთებდე, ერთი წამიც არ დაკარგო გამოუყენებლად. თუ ახლო-მახლო გამოცდილი მასწავლებელი არ იქნება,

მაშინ შეგიძლია უვიცისაგანაც რაიმე შეისწავლო. თუ უვიცს გულისყურით დაუკვირდები და გონების თვალს გადაავლებ, რაც მასში არ მოგეწონება, ისე ნუ მოიქცევი.
ალექსანდრე მაკედონელმა თქვა: მე მტრებისაგან უფრო მეტი სარგებლობა მიმიღია, ვიდრე მეგობრებისაგანო. თუ მე უდიერად მოვიქცევი, მეგობრები ამას ჩემს საამებლად მიჩქმალავენ, მტერი კი ჩემს გასაჯავრებლად პირში მომახლის, მეც ამ ნაკლს გამოვასწორებ და ამრიგად, სარგებლობა მტრისაგან მექნება მიღებულიო.

მხოლოდ სახელოვან ხალხთან იქონიე ურთიერთობა, რადგან ადამიანი კარგ ხალხთან ურთიერთობით კარგ სახელს მოიხვეჭს. განა ვერ ხედავ, ქუნჟუთის ზეთს თუ იას ან ვარდს შევურევთ, მას უკვე უწოდებენ იის ან ვარდის ზეთს და არა ქუნჟუთისას. სიკეთეს ნუ დაივიწყებ. თუ ვინმე დახმარებას გთხოვს, ხელს ნუ კრავ, რადგან მას თავისი გაჭირვება ეყოფა.

ქველმოქმედება და კაცთმოყვარეობა სამოქმედო მიზნად გაიხადე და ცუდ ჩვევებს ერიდე. ხელგაშლილი ნუ იქნები, რადგან ხელგაშლილობის შედეგად საზრუნავი მოგემატება. ეს კი დამცირებამდე მიგიყვანს. ეცადე მხოლოდ განსწავლული ხალხის ქება დაიმსახურო, რადგან უვიცთა და მდაბიოთა შექება სათაკილოა...
ამბობენ, ერთხელ პლატონი ქალაქის თავკაცებთან ერთად ისვენებდა. მასთან ვიღაცა მივიდა და უთხრა: ბრძენო, მსურს ერთი კაცის ქება გადმოგცე. ვნახე, რომ იგი შენ გაქებდა და ხოტბას გასხამდა, პლატონის მსგავსი ადამიანი არასოდეს არც ყოფილა და არც იქნებაო. როცა პლატონმა ეს სიტყვები მოისმინა, ძლიერ დანაღვლიანდა და ატირდა:
-განა შეიძლება იყოს იმაზე დიდი უბედურება, ვიდრე ვიღაც რეგვენის ქება? არ ვიცი, მისი ჭკუის მოსაწონი რა სისულელე ჩავიდინე, რომ გამოვასწორო. ვწუხვარ, რომ სულელის საქები გავხდი.

ერთი ბრძენი გზაზე მიდიოდა, გიჟი შეხვდა და შესცინა. ბრძენმა თავი მოიწამლა, - ალბათ ჩემში რაღაც გიჟური დაინახა და ამიტომ შემომცინაო.

,,ყოველი ჩიტი მხოლოდ თავის მსგავს ჩიტებთან დაფრინავსო”.

ადამიანმა სარკეში უნდა ჩაიხედოს და თუ მისი სახე მომხიბლავია, მაშინ მისი საქმეც სახესავით ლამაზი უნდა იყოს. თუ სარკეში ჩაიხედავს და დაინახავს, რომ მახინჯია, კეთილი საქმე უნდა გააორკეცოს, რადგან თუ სიავეს ჩაიდენს, ავს ავი მიემატება.

სიტყვა, რომლითაც ხალხს მიმართავ, რაც შეიძლება კარგად გამოთქვი, რათა დამაჯერებელი იყოს და ხალხმა შენი ღირსება შეიცნოს. არაბებს უთქვამთ – ყოველ სიტყვაში კაცი იმალებაო. ზოგიერთი სათქმელს ისე იტყვის, სულს გაგიმწარებს, მაშინ, როცა იგივე შეიძლება ისეთნაირად ითქვას, რომ სული გაგინათდეს.

რაც არ იცი, იმაზე თავს ნუ გამოიდებ და ასეთი ცოდნით ლუკმა-პურის შოვნას ნუ აპირებ. მიზანს მხოლოდ იმ ცოდნით მიაღწევ, რომელიც გაქვს.

ხოსროს მეფობის დროს ვიღაც ქალი მის მსაჯულთან მივიდა და რაღაც ჰკითხა. იმ დროს მსაჯულს მისი თავი არ ჰქონდა და უთხრა, არ ვიციო. –თუკი არ იცი, მაშინ მეფის წყალობას რაში იღებო? – შეესიტყვა ქალი. – იმაში, რაც არ ვიცი, მეფე არაფერს მაძლევს, მხოლოდ რაც ვიცი, მასში მიხდიან გასამრჯელოსო – უპასუხა მსაჯულმა.

ყველაზე უწყინარი საქმე ზომიერი საქმეა. სიტყვასა და საქმეში სიდინჯე გმართებს. სჯობს აუჩქარებლობისა და სიდინჯისათვის გაგკიცხონ, ვიდრე სიჩქარისა და სიმჩატისათვის შეგაქონ.

ენამწარე ნუ იქნები, რადგან მწარე სიტყვა ისეთი თესლია, რომლიდანაც მტრობა აღმოცენდება.

მრავლის მცოდნე და მცირედის მოუბარი იყავი და არა მცირეს მცოდნე და მრავლის მოუბარი.

სიტყვის მოსმენა ნუ მოგყირჭდება. ადამიანი მხოლოდ სიტყვის მოსმენის შემდეგ აიდგამს ენას. პირველი საბუთი - ცხრაკლიტულში ვისაც გაზრდიან, მას ლაპარაკი არ ეცოდინება. მეორე – ვინც დედის მუცლიდან ყრუ იბადება – ისინი მუნჯებიც არიან.

ანუ შირვან სამართლიანის შეგონებანი (კარი მერვე)

-ვიდრე დღე და ღამე ერთმანეთს ენაცვლება, ბედის ტრიალი ნუ გაგაკვირვებს.
-ადამიანი ისეთ რამეს რატომ ნანობს, რომლის გამოც სხვას უკვე თავი უწყევლია.
-როგორ შეიძლება მშვიდად დაიძინოს იმ კაცმა, რომელსაც მეფე იცნობს.
-ის ადამიანი თავს რად თვლის ცოცხლად, რომელმაც ცხოვრება თავისი სურვილისამებრ ვერ მოიწყო.
-მტერი უწოდე ისეთ ადამიანს, რომელსაც ხალხის შევიწროვება ვაჟკაცობად მიაჩნია.
-ბრიყვთან ნუ იმეგობრებ, რადგან იგი არც მეგობრად გამოგადგება და არც მტრად.
-ერიდე ისეთ უვიცს, რომელიც თავს სწავლულად თვლის.
-შენი თავი თვით განსაჯე, რათა სხვისი განსჯა არ დაგჭირდეს.
-სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს, თქვი.
-თუ გსურს შენი საიდუმლო მტერმა არ გაიგოს, მეგობარსაც ნუ გაანდობ.
-დიდი კაცი, რომელიც თავს მცირედ მიიჩნევს, უფრო აღზევდება.
-დახმარება სთხოვო მას, ვინც ღირსებით შენზე დაბლა დგას, უდიდესი უბედურებაა, რადგან უმჯობესია წყალში დაიხჩო, ვიდრე ბაყაყს დახმარებისათვის მიმართო.
-იმაზე რეგვენი არავინ იქნება, ვინც გამდიდრებულ მდაბიოს მდაბიოდ მიიჩნევს.
-არ არსებობს იმაზე სულმდაბალი ადამიანი, რომელსაც გაჭირვებულის დახმარება შეუძლია და არ ეხმარება.
-თავად მთქმელს უფრო ეპატიება შენზე უნებლიედ ავის თქმა, ვიდრე მას, ვინც მის ნათქვამს მოგიტანს.
-ყოველი მონა, რომელსაც ყიდულობენ და ყიდიან, უფრო თავისუფალია, ვიდრე ის, ვინც საკუთარი მუცლის მონაა.
-თუ კაცს ცოდნასთან ერთად მოხერხებაც არა აქვს, ცოდნა ტანჯვად ექცევა.
-თუ გსურს ხალხმა შეგაქოს, შენც ხალხი შეაქე.
-თუ გსურს არ იტანჯო, შურიანი ნუ იქნები.
-თუ გსურს სამუდამო სინანული თავიდან აიცილო, გულის კარნახით ნუ მოიქცევი.
-თუ გსურს კეთილშობილად გთვლიდნენ, გულში სიხარბეს ნუ გაივლებ.
-თუ გსურს სამართლიან ადამიანად ითვლებოდე, შენი ხელქვეითები კარგად აცხოვრე.

შვილო ჩემო! თუმცა ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ეცადე სიბრძნე მოხუცისა გქონდეს. არ ვამბობ, ჭაბუკურად ნუ იქცევი მეთქი, მაგრამ თავდაჭერილი იყავი. უილაჯო ახალგაზრდებს ნუ დაემსგავსები, ახალგაზრდას სიმკვირცხლე უხდება. არისტოტელე ამბობს: სიჭაბუკე გიჟის ერთგვარი სახეაო. ზარმაცი ნუ იქნები, რადგან სიზარმაცისაგან ხათაბალას გადაეყრები, სიმკვირცხლისაგან კი არა. ახალგაზრდობა შეძლებისდაგვარად გამოიყენე, რადგან როცა მოხუცდები, ამის საშუალება აღარ გექნება. ერთმა მოხუცმა თქვა: მრავალი წელი იმის ოხვრაში გავატარე, როცა მოვხუცდები ლამაზმანებს აღარ მოვეწონები მეთქი. ახლა როცა მოვხუცდი, თვითონ აღარ მინდა ისინი და კიდეც რომ მოვისურვო, აღარ შემეფერება.

არაკი: გამიგონია, რომ ვიღაც ასი წლის მოხუცი, კუზიანი და წელში მოხრილი, ჯოხის ბიჯებით მილასლასებდა. ერთმა ყმაწვილმა მას დაცინვით უთხრა: შეიხო, ეს შვილდი რა ფასად იყიდე, ვინძლო მეც ვიყიდოო?..
-თუ სიბერეს მოეწრები, ისედაც გიწყალობებენ, თუმცა კი წყალობის ღირსი არა ხარო – უპასუხა მოხუცმა.

ოთხმოცი წლის ჰაჯიბმა ცხენის ყიდვა გადაწყვიტა. გამხედნავმა მსუქანი და კარგი ცხენი მოჰგვარა. მოხუცმა ცხენი შეათვალიერა, მოეწონა, ფასზეც გაურიგდა, მაგრამ როცა კბილები გაუსინჯა, ბებერი აღმოჩნდა და აღარ იყიდა. ის ცხენი ვიღაც სხვამ იყიდა.
-ჰეჯიბო, ის ცხენი სხვამ თუ იყიდა, შენ რატომ არ იყიდეო? – ჰკითხეს.
- ის კაცი ახალგაზრდაა და სიბერის უძლურებისა არაფერი ესმის. ეს ცხენი შესახედავად დიდებულია და თუ ის ამით მოიხიბლა, გასაგებია. მე კი სიბერის უძლურება და განსაცდელი გამომიცდია და მისი ურვა და განსაცდელი ვიცი. მე რომ ბებერი ცხენი მეყიდა, არ მეპატიებოდაო.

ნათქვამია - ბედნიერებს თვით ბედნიერება ეძებს, უბედურებს - სამშობლო.

წვრილვაჭრები წესისამებრ ღამით ჭამენ - ეს ძლიერ საზიანოა. მოლაშქრეთა წესი კი ასეთია: ისინი დროს არ უყურებენ. სადაც კი რამეს მოახელთებენ, მაშინვე შეექცევიან. ეს პირუტყვთა წესია. ისინიც, სადაც კი ნახავენ, იქვე მიირთმევენ. კეთილშობილი ადამიანი დღეში ერთხელ მეტად პურს არ ჭამს. ეს თავშეკავება კარგია, თუმცა ამით სხეული სუსტდება და ადამიანი მუდამ ძალაგამოლეულია. ამიტომ უმჯობესია, თუ კეთილშობილი ადამიანი დილით ხალვათად წაიხემსებს, სადილად კი კარგად ისადილებს. ჭამისას სხვას ნუ შეაჩერდები.
არაკი: ერთხელ აბადი თავისიანებში პურს ჭამდა. ვიღაცამ ჯამიდან ლუკმა ამოიღო, რასაც ბეწვი ამოჰყვა. აბადიმ შენიშნა და უთხრა. იმ კაცმა ლუკმას ხელი გაუშვა და წავიდა - იმ კაცთან პურს როგორ შევჭამ, ვინც ხელებში მიყურებსო.

თუ ღვინის სმას თავს აარიდებ, ამ ქვეყნადაც სარგებელს ნახავ და იმ ქვეყნადაც. მაგრამ თუ დალევ, იცოდე, როგორ დალიო. თუ მისი დალევა არ იცი, საწამლავია, ხოლო თუ იცი - წამალი. წამალი შხამად გექცევა, ზომაზე მეტად თუ მიიღებ.

ერთი ლუკმით ნაკლები შეჭამე და ერთი თასით ნაკლები დალიე, რადგან სიმთვრალისა და სიმაძღრის მიზეზი მთელი საჭმელი კი არაა, არამედ ბოლო თასი და ბოლო ლუკმა... ხშირად ნუ ილოთებ, მთვრალი ადამიანი გიჟივითაა, ნასვამი კი - ავადმყოფივით. ასეთმა რამემ როგორ უნდა მოგხიბლოს?

შვილო ჩემო! ვინც სათუთი ბუნების არ არის, ვერავის შეიყვარებს. სიყვარული ბუნების სინატიფეზეა დამოკიდებული. ის, რაც ნაზი ბუნებიდან გამომდინარეობს, სათუთია და ამიტომ ნაზ ბუნებას ეძიებს. ახალგაზრდები მოხუცებზე უფრო მეტად იმიტომ მიჯნურდებიან, რომ ჭაბუკთა ბუნება მოხუცთა ბუნებაზე სათუთია. მძიმე ხასიათისა და უხეში ბუნების ადამიანი ვერასოდეს გამიჯნურდება. სიყვარული ავადმყოფობაა, რომლითაც ხალასი გულის ადამიანები ავადდებიან. ეცადე, არ გამიჯნურდე, რადგან სიყვარული საჭოჭმანო საქმეა, განსაკუთრებით სიღარიბის დროს. ღარიბი აშიკი სურვილს ვერ მიაღწევს, მით უმეტეს, თუ მოხუცია და რაკი უფულოდ საწადელს ვერ აისრულებს, სიმწრით საკუთარი სისხლის სმას დაიწყებს... შემთხვევით თუ ვინმესთან კარგ დროს გაატარებ, გულით ნუ მიენდობი და გულს გამუდმებით არშიყობას ნუ მიაჩვევ. გრძნობას ნუ აჰყვები, რადგან ეს გონიერთა საქმე არ არის. შეყვარებული ადამიანი ან სატრფოს გვერდითაა ან ეულად. მთელი წელი სატრფოსთან ნეტარება ერთი დღით განშორების ტანჯვად არ ღირს. სიყვარული ტანჯვაა, გულისწუხილი და განსაცდელია, თუმცა კი სანეტარო ტანჯვაა. თუ მარტო ხარ, იტანჯები, ხოლო თუ

სატრფოს გვერდით ხარ და სატრფომ შენი გულისნადები იცის, ნაზობას დაიწყებს... თუ სატრფოსთან ნეტარებას განშორება მოსდევს, ასეთი ნეტარება განშორებაზე უარესია... სიყვარული ავადმყოფობაა. მუჰამედ არხაზი ,,ავადმყოფთა დახარისხებაში" სიყვარულით დაავადების მიზეზისა და მისი მკურნალობის შესახებ ამბობს: მუდმივი მარხულობა, სიმძიმეების აწევა, გრძელი გზის გავლა და სხვა მისთანანი. მაგრამ შენ თუ ვინმე გიყვარს და მისი ნახვა და მის ახლოს ყოფნა გსიამოვნებს, ამას დასაშვებად ვთვლი. აბუ ხეირი ამბობს - ადამიანისათვის აუცილებელია ოთხი რამ, რაც ყველას თავისი ღირსების და წოდების მიხედვით ალალად უნდა მიეზღოს: პირველი - ლუკმა პური, მეორე - სამოსი, მესამე - სახლკარი, მეოთხე - სიყვარული. სიყვარული ერთია, მეგობრობა - მეორე. სიყვარულში ბედნიერი არავინ იქნება. იცოდე, ადამიანი მეგობრობაში ყოველთვის ბედნიერია, სიყვარულში კი მარად გამწარებული.

მაკედონელს ჰკითხეს: დარიოსის ქალს რატომ არ ირთავ, ის ხომ ზედმიწევნით ლამაზიაო. მან ამაზე ასე უპასუხა: არ ეგების ქალმა დაამარცხოს ის ადამიანი, ვინც ქვეყანა დაიპყროო.

თუ დანაშაულისათვის პატიებას გთხოვენ, მიუტევე და თუნდაც უმძიმესი დანაშაული იყოს, შენდობა აუცილებლად ჩათვალე. თუ მონამ არ შესცოდა, ბატონის წყალობა არ გამოჩნდება.

შაირობაში ისეთ სიტყვას ნუ იხმარ, რომელსაც ამბავში იყენებ, რადგან ამბავი ქვეშევრდომია, ლექსი კი - მეფე.

შვილო ჩემო! ეცადე მტერი არ გაიჩინო. თუ მტერი მაინც გეყოლება, ნუ შეშინდები და ნუ დანაღვლიანდები, რადგანაც ვისაც მტერი არა ჰყავს, ის მტრობის ღირსია.

არაფრისმქონე და მშიერმწყურვალ კაცს საქმეს ნუ ანდობ, განსაკუთრებით დიდ საქმეს, რადგან ვიდრე თვითონ არ გამდიდრდება, შენს კეთილდღეობაზე არ იფიქრებს. ის კი, ვისაც არსებობის საშუალება გააჩნია, საკუთარ თავზე მაშინვე არ იზრუნებს და შენს საქმეს სწრაფად შეასრულებს. როცა ბაღჩასა და ყანას რწყავ, თუ რუ თვითონ არის გაჟღენთილი და წყლით გამძღარი, ბაღჩასა და ყანას წყალს სწრაფად მიაწვდის.

***

დაე აზრები, რომლებსაც წიგნებში გაეცნობი, გახდეს შენი ძირითადი კაპიტალი, ხოლო აზრები, რომლებიც შენს თავში წარმოიშვება – პროცენტები მასზე.

***

ცოდნა უსაზღვროა და ადამიანი, ყველაზე განსწავლულიც კი, საზოგადოების აზრით, ისევე დაშორებულია ჭეშმარიტ ცოდნას, როგორც უწიგნური გლეხი. **რესკინი**

***

ჭკვიანები არ არიან მეცნიერები, მეცნიერები არ არიან ჭკვიანები. **ლაო-ძე**

***

ყველაზე კარგი პასუხი უგუნურობაზე – დუმილია. პასუხის ყოველი სიტყვა უგუნურიდან შენზე აისხლიტება. წყენას რომ წყენით უპასუხო, ეს იგივეა, რაც ცეცხლს შეშა შეაყარო, მაგრამ ვინც შეურაცმყოფელს წყნარად შეხვდება, იგი უკვე ამით ამარცხებს მას. **აღმოსავლური სიბრძნე**

***

სიმდიდრე, ისევე როგორც სასუქი, ყარს, როდესაც ერთ ადგილას არის მოგროვილი, გაფანტული ნიადაგს ანაყოფიერებს. **აღმოსავლური სიბრძნე**

***

ვშრომობ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, გთხოვთ, ხელს ნუ შემიშლით - **ამერიკელი ჟურნალისტის, წარწერა ჯონ მაკფის ბინის კარებზე**

***

მუსიკა სულისათვის იგივეა, რაც ჰაერი სხეულისათვის – **პლატონი**

***

ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ბავშვები, ნათესავები, მაგრამ ყველას წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში ,,სამშობლო". **ციცერონი**

***

სიმებიანი კონცერტის დასრულების შემდეგ ერთმა გრძნობამოჭარბებულმა ქალბატონმა თავი ვერ შეიკავა, მივიდა პირველ ვიოლინოსთან და განუცხადა: ,,მე პირდაპირ მოხიბლული ვარ თქვენი კვარტეტით და იმედი მაქვს, რომ მასში ახალ და ახალ მუსიკოსებს ვიხილავთ".

***

თუ ჩემს განსჯას მოისურვებთ, იყავით ჩემში და არა ჩემთან. **ადამ მიცკევიჩი**

***

თუ არა სიხარბე, არც ერთი ჩიტი არ გაეხვეოდა ბადეში. ამავე საცდუნებლით იჭერენ ადამიანებსაც. სტომაქი – ესაა ჯაჭვი ხელებზე და ბორკილები ფეხებზე. სტომაქის მონა – სულ მონაა. თუ თავისუფლება გინდა – უპირველეს ყოვლისა, თავი სტომაქისაგან უნდა გაინთავისუფლო. ჭამ იმიტომ, რომ შიმშილი დაიკმაყოფილო და არა იმიტომ, რომ სიამოვნება მიიღო. **საადი**

***

ჭამის დიდად მოყვარულ ადამიანს ძნელად რომ შეეძლოს სიზარმაცესთან შებრძოლება, მას ასევე ძალზე უჭირს ვნებების დაოკებაც. სწორედ ამიტომაა, რომ ყოველგვარ სწავლებაში თავშეკავებისკენ მისწრაფება იწყება ღორმუცელობასთან, უქნარობასთან, ვნებებთან ბრძოლით. (საადი? ტოლსტოი?)

***

ყოველი ადამიანი გარეული ცხოველების მომთვინიერებელსა ჰგავს, ხოლო ეს მხეცები – მისი ვნებებია. მათთვის ბრჭყალებისა და ეშვების წაძრობა, მათი მოთოკვა, მოთვინიერება, მათი შინაურ ცხოველებად, თუნდაც ღმუილა ცხოველებად გადაქცევა, რომლებიც, ამასთან, მორჩილნიც იქნებოდნენ – ამაშია თვითგანათლების მთელი ამოცანა. **ამიელი**

***

უბედურება არ იქნება, თუ სხეული დაიტანჯება სულიერი მუშაობისაგან, მაგრამ სამარცხვინოა, როდესაც ყველაზე ძვირფასი ადამიანში, - სული, სხეულისაგან დაიტანჯება. **თალმუდი**

***

ბრძენი **სოკრატე** თავადაც თავს იკავებდა ძღომაზე ჭამისაგან და თავის მოწაფეებსაც ასე არიგებდა. მათ იგი უხსენებდა ხოლმე ულისეს (ოდისეას) მაგალითს და ამბობდა, რომ გრძნეულმა ცირცეამ იმიტომ ვერ მოაჯადოვა იგი, რომ ოდისეა არ გამძღარა, როგორც მისი ამხანაგები, რომლებიც მან ღორებად აქცია.

***

იგი, ვინც ისმენს ყველაფერ იმას, რასაც ადამიანები მის შესახებ ლაპარაკობენ, ვერასოდეს ვერ იქნება მშვიდად **(ვისია?)**

***

საიდან წარმოსდგება ყველა უბედურება და სულიერი ტანჯვა? მხოლოდ სულის მიჩვევიდან ისეთი საგნებისადმი, რომელთა მუდმივი ფლობაც შეუძლებელია, რამდენადაც ისინი გამუდმებულ ცვლილებებს ექვემდებარებიან.
ადამიანებს ხომ ეშინიათ და იტანჯებიან მათი საყვარელი საგნების გამო, და ყველა შეურაცყოფა, დაეჭვება, მტრობა, - ყველაფერი ეს მხოლოდ ამ სიყვარულიდან გამომდინარეობს იმ საგნების მიმართ, რომლებიც ადამიანს არასოდეს არ შეუძლია სამუდამოდ გააჩნდეს. **სპინოზა**

***

ყოველგვარი ფიზიკური შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. არ მიაჩვიო შვილი ხელით შრომას – ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საყაჩაღოდ მოამზადო. **თალმუდი**

***

ყოველ ცოცხალ არსებას ეშინია ტანჯვის, სიკვდილის; გააიგივე შენი თავი ცოცხალ არსებასთან და ნუ დატანჯავ და დახოცავ მათ.
ყოველ ცოცხალ არსებას სურს იგივე, რაც შენ, მისთვის ძვირფასია სიცოცხლე. გააიგივე შენი თავი ყოველ ცოცხალ არსებასთან. **ბუდისტური სიბრძნე**

***

სიბრძნის ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელია სულის მუდმივად კარგ განწყობაზე ყოფნა. **მონტენი**

***

სპარსელებსა აქვთ ერთი ასეთი მოთხრობა:
სული გარდაცვალების შემდეგ ზეცაში მიფრინავს და მას საშინელი შესახედაობის, ჭუჭყიანი, ერთიანად ჩირქოვანი ჭრილობებით დაფარული ქალი შეეჩეხება.
- რატომ ხარ შენ აქ, ასეთი ჭუჭყიანი და საშინელი, ყოველგვარ ეშმაკზე უარესი? - შეეკითხება სული - ვინა ხარ?
- შენი ნამოქმედარი - იყო პასუხი

***

უნდა ვიფიქროთ ისე, თითქოს ყოველ ადამიანს შეეძლება დაინახოს ის, რაც ჩვენს სულში ხდება - **სენეკა**

***

როდესაც შენ ამ ქვეყანას მოევლინე, შენ ტიროდი და სხვები მხიარულობდნენ. გააკეთე ისე, რომ, როდესაც შენ ამ ქვეყანას დატოვებ, ყველანი ტიროდნენ და მხოლოდ შენ იღიმებოდე. **ინდური**

***

ჩინელები ამბობენ, ძალზე მდიდარია ის, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი.

***

გიყვარდეს შენი მტერიც კი და მაშინ მტერი აღარ გეყოლება. **თორმეტი მოციქული**

***

ადამიანებს შორის ყველაზე სრულყოფილი იგია, ვისაც უყვარს თვისი მოყვასი და სიკეთეს უკეთებს მათ, მიუხედავად იმისა, კარგები არიან ისინი თუ ცუდები. **მაჰმადი**

***

ვაი ქოთანს, ქვა დაეცემა მას, თუ იგი დაეცემა ქვას. სულ ერთია, ქოთანი ზარალობს. **თალმუდი**

***

ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ყველასათვის სახეზე ვიყოთ. ისე უნდა ვიაზროვნოთ, რომ ჩვენი სულის ყველაზე იდუმალი კუნჭულებიც კი ყოველი ადამიანის თვალისათვის მისაწვდომი იყოს. რატომ უნდა დავმალოთ რაიმე ვინმესაგან? ღმერთისაგან რაიმეს დამალვა შეუძლებელია. ყოველგვარი ღვთიური და ადამიანური ერთ ჭეშმარიტებამდე დადის, კერძოდ, მასზე, რომ ჩვენ ყველანი ერთი უდიდესი სხეულის ნაწილები ვართ. ბუნებამ ჩვენ ერთ ოჯახად გაგვაერთიანა და ჩვენ შექმნილები ვართ ისე, რომ ერთობლივად, ერთმანეთისათვის მიხმარებით, ერთად განვლოთ ჩვენი სიცოცხლე. **სენეკა**

***

ნებას ნუ მისცემთ თქვენს ბავშვებს დახოცონ მწერები, სწორედ აქედან იწყება კაცისკვლა. **პითაგორი**

***

ჩვენს ნაადრევ და ხშირად მეტისმეტად ბევრი კითხვისას, რომელიც ასე დიდი მოცულობის გადაუმუშავებელ მასალას გვაძლევს, ჩვენი მეხსიერება ჩვენი გრძნობებისა და გემოვნების ერთ ჩვეულებრივი მეპატრონედ იქცევა; ამიტომ ხშირად აუცილებელია აზრის უაღრესად დიდი დაძაბვა, რათა საკუთარ გრძნობებს პირველყოფილი უმანკოება დავუბრუნოთ, ჩვენი თავი ვიპოვოთ უცხო აზრებისა და შეხედულებების ნაგავში, რათა თავად დავიწყოთ გრძნობა და ლაპარაკი და, მე თითქმის მზადა ვარ ვთქვა, რომ ოდესმე თავად დავიწყოთ არსებობა. **ლიხტენბერგი**

***

ჭკვიანი ადამიანები სწავლობენ იმიტომ, რომ იცოდნენ, არარაობები კი იმიტომ, რომ მათ ცნობდნენ. **აღმოსავლური**

***

აზრები, რომლებიც თქვენში დაიბადება და გამოთქვამთ, ბოლოს და ბოლოს, გადაიქცევიან ბოროტებისა თუ სიკეთის ქმნის შესაძლებლობად, რომლებიც თავის განვითარებასა თუ ზრდაში თქვენვე დაგიბრუნდებათ. **ლუისი მალორი**

***

ცოდნა – იარაღია და არა მიზანი.

***

მეთორმეტე საუკუნეში, რუსთველზე ერთი საუკუნით ადრე, ცხოვრობდა იუსუფ ხას ხაჯიბი. მან დაგვიტოვა პოემა ,,მეცნიერება ბედნიერების შესახებ". ეს არის ყველაზე ადრინდელი ძეგლი თურქული მწერლობისა, რომელიც კაცობრიობას შემორჩა სრული სახით. ეს პოემა ავტორს დაუმთავრებია 1069 წელს (მუსლიმანური აღწერით – 462 წელს). აი, ნაწყვეტი ამ პოემიდან, იგი სიტყვის წარმოთქმის ხასიათს, მის სარგებლობასა და ზიანს ეხება:

ჭკვიანი სიტყვა – ჭის წყალსა ჰგავს,
სულელის სიტყვა მასვე უკან დაუბრუნდება,
მე უხვსიტყვაობაში სასიკეთო ვერაფერი,

უხვადმეტყველთაგან სარგებელი ვერ ვნახე.
თუ რამის თქმა გსურს, თქვი, მაგრამ მოკლედ,
რათა სიტყვაში დიდი აზრი იდოს,
შენ შეიძლება ბუმბერაზად გაქციოს სიტყვამ,
ხოლო მრავალსიტყვაობამ – სულელად.
მაშ იყოს შენი ენა, არც მატყუარა და არც ჭორიკანა,
არამედ სენსა და ცოდნას შორის შუამავალი.
მათ, ვინც არ იცის, მათ გასაგონად ვიტყვი,
ენას ამოკლებენ თავთან ერთად,
მაშ ენა დაიმოკლე, შეიბრალე შენი თავი,
ენა რაც უფრო მშვიდია, თავიც უფრო მრთელია.

ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები

თუ არას იტყვი, ეს რა თქვიო, არავინ გკითხავს, მაგრამ თუ იტყვი, დაამტკიცე, რაც წარმოგითქვამს. (?)

***

სიცილი ძლიერი რამაა, სიცილისა ეშინიათ მათ, ვისაც არაფრისა არ ეშინია. *გოგოლი*

***

ამსოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დასტოვე, როგორიც შენამდე იყო. *კ. გამსახურდია*

***

გამოიცნობენ ფიცხ ცხენს მისი დამღის მიხედვით, შეყვარებულ ყმაწვილს კი მისი ლამაზი თვალებით. **რუსული ანდაზა**

***

ჭეშმარიტება, რომელიც პირენეის იქით ჭეშმარიტებად არ მიიჩნევა, არ შეიძლება ჭეშმარიტებად იქნეს შერაცხული. *ბლეზ პასკალი*

***

ეს სამყარო ხომ უდაბნოა, სადაც ვერავისთან ვერ დაილაპარაკებ, რამეთუ ვერავის ვერ იპოვი ისეთს, ვისთანაც ეს შესაძლებელი იქნება. *გი დე მოპასანი*

***

ფანტაზია სამეფო გვარის შთამომავალია, გონი მეშჩანური წარმოშობისა. *ფეიერბახი*

***

ზოგი საგანი ჩვენი ცოდნის სამყაროში ადგილს ვერ პოულობს არა იმიტომ, რომ იგი არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ცოდნის მარაგია შეზღუდული. *დეკარტე*

***

იყავი გულწრფელი და იქნები ორიგინალური. *ლ. ტოლსტოი*

***

ადამიანის დაბერება 30-35 წლების მიჯნაზე იწყება... ჩვენი ტვინი და კუნთები მით უფრო ნაკლებად ბერდება, რაც უფრო აქტიურად ვიყენებთ მათ.

***

ერთ მეგობარსაც ვერ შეიძენ ისე, თუ ორი-სამი მტერი არ გაიჩინე. **უკრაინული**

***

უგუნური გამოსაჩენ ადგილს ეძებდა, გონიერი კი კუთხეშიც ჩანდა.

***

ისწავლე, რომ გიყვარდეს ყოველი კაცი, თუ გინდა დღეგრძელი და ბედნიერი იყო. ***მარკუს ავრელიუსი***

***

სისრულე ზნეობისა იმაშია, რომ ყოველი დღე ისე გაატარო, ვითომც უკანასკნელი დღეა: აუმღვრევლად, შეუშინებლად და მოუტყუებლად. ***მარკუს ავრელიუსი***

***

როცა საწყენი რამ შეგემთხვევს, ეგ ჯერ კიდევ უბედურება არ არის; ნუ დაივიწყებ, რომ ღირსეულად ატანა წყენისა - ბედნიერებაა. ***მარკუს ავრელიუსი***

***

ინკებს პერუში ჰქონიათ ორი მოედანი - საზეიმო და მწუხრის. ამ უკანასკნელზე გროვდებოდნენ ისინი, ვისაც რაღაც აწუხებდა. მათი ცრემლებისაგან მოედნის ფილები საცერივით არის დაჩვრეტილი.

***

პრესტიჟი, რომელსაც აღწევ მეგობართა თვალში, აქაოდა, მრავალ გამოჩენილ ადამიანს ვიცნობო, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თავად არაფერს წარმოადგენ. ***სომერსეტ მოემი***

***

შინაური ქათამი კვერცხს რომ დასდებს, ერთ უშველებელ კრიახს ატეხს ხოლმე, ტყის ფრინველი კი ამ დროს არცა შფოთავს და არც ხმაურობს.

***

ეჭვიანობა ქმარს სასაცილოდა ჰხდის, ასულელებს და ცოლის სიყვარულს და პატივისცემას უმცირებს. ცოლს კი ეჭვიანობა უფრო თავაზიანსა ჰქმნის, გონებამახვილობასა და მგრძნობიარობას უმატებს. ***ბერნე***

***

თუ გინდა შეიტყო დედაკაცის ღირსება, მოუცადე მოხუცდეს.

***

ვინც ეძებს ჭეშმარიტებას, ჭკვიანია, ვისაც ჰგონია, რომ ვიპოვეო, სულელი.

***

ცრემლი სისხლია სულისა.

***

სირბილში გაჯიბრებულ კოჭლთა შორის ერთმა სხვებს რომ გაასწროს, მაინც კოჭლია.

***

ქაფსა და ნაძირალას ძველისძველი ნათესაობა აქვთ.
ვიქტორ ჰიუგო

***

ადამიანი უფრო ჩქარა აწყენინებს იმას, ვინც უყვარს, ვიდრე იმას, ვინც აშინებს.

***

თარგმანი ყვავილია, შუშის ქვეშ მოქცეული.

***

ეჭვიანი კაცის სიყვარული უფრო სიძულვილსა ჰგავს.

***

თუ ეშმაკმა პირზე გაკოცა, კბილები დაითვალე, ხომ არ გაკლია.

***

გრიგალს შეუძლია დაანგრიოს ქალაქი, მაგრამ ვერ გახსნის კონვერტს ან განასკვულ ძაფს.

***

მოაზროვნეებმა არ უნდა მიიჩნიონ კანონად ის, რაც არის და კიდევაც უნდა იყოს კანონი მათთვის, ვინც აზროვნებას მოკლებულია. *პოლ ბურჟე*

***

არ იცით, დარჩით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა. *ვაჟა*

***

ცოდვის მიზეზი ხორცისგან წარმოსდგება. *ამბროსი ღვთისმეტყველი*

***

მატლებს არწივების არ ეშინიათ. მატლებს ქათმების ეშინიათ. **ლაგინი**

***

ფუტკარს ჰკითხეს, როგორ ითმენს ადამიანი შენი ნაკბენის სიმწარესო და თაფლის სიტკბო ათმენინებსო.

***

უბედურების უფსკრულს ნუ შეუშინდები და ბედნიერების მწვერვალზე ნუ იამაყებო.

***

როცა საწყენი რამ შეგემთხვეს, ეგ ჯერ კიდევ უბედურება არ არის. ნუ დაივიწყებ, რომ ღირსეულად ატანა წყენისა, ბედნიერებაა. *მარკუს ავრელიუსი*

***

საიდუმლო შენი პატიმარია, ვიდრე იცავ; ხოლო თუ ვერ შეინახე, მაშინ შენ ხდები მისი პატიმარი.

***

ნათესავი ნაწილია ჩვენი ხორცისა, მეგობარი – ჩვენი სულისა. ***არისტოტელე***

***

ყოველ სხვა ღირსებას მოკლებულია ქალი, რომელიც თავს იწონებს მარტო იმით, რომ ლამაზი ვარო. ლამაზი თვალს მოსწონს, კეთილი - გულს; პირველი - ლამაზი ნივთია, მეორე - საუნჯეა. ***ნაპოლეონი***

***

ფეხზე წამოდგომის მსურველს იშვიათად უჭერს ვინმე მხარს, იმას კი, ვინც ძირს დასაცემად გამზადებულია, ხელს ბევრი ჰკრავს. ნაპოლეონი

***

რა მნიშვნელობა აქვს, კატა თეთრია თუ შავი, მთავარია მან თაგვი დაიჭიროს. ჩინური

***

მელას რომ ჩვენს საბძელში ბარტყები დაუყრია, ეს ამ ჩვენი ძაღლის სიგლახით არის.

***

იმედი სხვა არა არის რა, თუ არა ცოცხალი არსების უნდობლობა თავისი გონების ზუსტი წინასწარხედვის მიმართ.

***

თვალს რომ გავარვარებულ ცეცხლში ხედვის უნარის შენარჩუნება შეეძლოს, მაშინ ის ვერაფერს ვეღარ დაინახავდა.

***

ძმამ ძმას უთხრა: შენ წისქვილში წადი, მე ქორწილში წავეთრევიო

***

ბურბონების კვლავ გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონის ხსენებაზე ენას აჭრიდნენ.

***

ძველ საბერძნეთში კეთილი გულკეთილსა და შემცოდებელს კი არ ერქვა, არამედ ძლიერსა და გავლენიანს, ვისაც ჰქონდა იმის ძალა, განემტკიცებინა თავისი ავტორიტეტი. კეთილი მაშინ ფრიად არისტოკრატიული ეპითეტი იყო.

***

რა დამოკიდებულება აქვს ჩვენთან სიკვდილს? არავითარი. სანამ ჩვენ ვარსებობთ, სიკვდილი არ არის, ხოლო როცა სიკვდილი მოდის, ჩვენ თვითონ აღარა ვართ. ***დემოკრიტე***

***

ყარაკალპაკელები ამბობენ, ჭკვიანი ადამიანი უანდაზოდ არ ლაპარაკობსო.

***

რომაელებს არაფერი არ აღმოუჩენიათ, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ უკვე აღმოჩენილის გამოყენება.

***

შინე მე, იბერ, იბის ინ ურბემ - წიგნო, ახლა შენ უჩემოდ წახვალ ჩემს ქალაქში. ***ოვიდიუსი***

***

– ჩვენ ქვეყანა დავკარგეთ, ქვეყანამ ჩვენ დაგვკარგა. რას იტყვით, მეგობარო ტრისტან?
– მეგობარო, როცა თქვენ მყავხართ, მეტი რაღა მინდა? თუნდ მთელი ქვეყანა აქ ყოფილიყო, თქვენს გარდა მაინც ვერავის დავინახავდი. ***ტრისტანის რომანიდან***

***

ჩემო მშვენიერო მეგობარო, ხომ არ გაგონდებათ ერთი სიყვარულის ამბავი? **ტრისტანის სიგიჟე**

***

ვდიე, ვდიე ვერ დავეწიე, დავდექი და დავიცადეო.

***

დაშვებულია ყოველგვარი ჟანრი, მოსაწყენის გარდა. **ფრანგული**

***

ხალხური ანდაზები და გამოთქმები ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, სწორედ ამაშია ხალხის სიბრძნე. მაგალითად, სოლი სოლით ამოვარდებაო; მისი საწინააღმდეგოა - სისხლი სისხლით არ მოიბანებაო. რუსულშიც გვხვდება ასეთი: ადამიანი შრომით იქებაო (ჩელოვეკ სლავიტსა ტრუდომ). მისი საწინააღმდეგოა – მუშაობას სულელები უყვარსო (რაბოტა დურაკოვ ლუბიტ).

***

თვალი მზეს უკავშირდება. მზერა მზიდან არის ნაწარმოები. მე ვამბობ, - ჩემმა მზემ, სვანი იტყვის, - ჩემმა თვალმა.

***

კარგი გამოთქმაა: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“.

***

ლაქიები პატივს არ სცემენ მას, ვინც მათ პატივს სცემს.

***

ერიდეთ კაცს, ვინც არც იცინის, არც მღერის, არც სვამს და არც არშიყობს. ასეთი კაცი სამოთხეში შეგიპატიჟებს და ჯოჯოხეთში გიკრავს თავს. ***მ. ჯავახიშვილი***

***

და საერთოდ, განა აუცილებელია სიტყვები, რათა ვისაუბროთ? ერთმანეთისათვის ხელის ჩაკიდების და რაიმე მიზეზის გამო აღელვების ადამიანის თავისებური ჩვევა გაცილებით უფრო მჭევრმეტყველურია, ვიდრე სიტყვები. ***ალფონს დოდე***

***

იგი წააგავდა გალიაში გამოზრდილ ჩიტს, რომელიც ისე განაცვიფრა თავისუფლებამ, რომ უეცრად დაკარგა როგორც მღერის, ისე აფრენის უნარი. ***ალ. დოდე***

***

ზიზღი – ეს სუსტი ადამიანების მრისხანებაა. ***ალ. დოდე***

***

აკაკი ბაქრაძე იხსენებს, გრიგოლ რობაქიძეს უწერია, ქართველები „გაიხარე, გამახარე"-ს ხალხი ვართო. როგორც მე ვაკვირდები, ეს მთლად ასე არ უნდა იყოსო, – გულისტკივილით დასძენს ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი. იქნებ ჩვენი ხასიათის ბრალია, რომ ქართველთა სამეტყველო ლექსიკონში სიტყვა „არა" ყველაზე ხშირად გამოიყენება. ეს არის ის სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად ესმის ჩვენთან ჩამოსულ უცხოელს. საგულისხმოა: თურმე იაპონელი არასოდეს არ გეტყვის „არას". იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გაგრძნობინოს რაღაცას რომ ვერ გიკეთებს, ვერ გაძლევს, თუმცა ამ სიტყვას არ ახსენებს. ჩვენ კი თითქოს სიამოვნებას გვანიჭებსო, ყოველ ნაბიჯზე ამ სიტყვას ვამბობთ.

საზოგადოება – ხელმწიფესა ჰგავს, რომელსაც პირფერობა უყვარს. სამაგიეროდ, იგი ამისათვის საჩუქრებსაც არ იშურებს. მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება ამაყია და მას პირფერობა არ ესაჭიროება. ***ბეთჰოვენი***

***

ამ დედამიწაზე არ არსებობს სამზარეულო, სადაც ორი ქალი ერთად დაეტეოდა. ***ირვინ სტოუნი***

***

წარსულს ნუ დაივიწყებ, იგია მომავლის მასწავლებელი. ***ჩინური***

***

როდესაც წვავდნენ, ჯორდანო ბრუნომ თქვა – „დაწვა გაბათილებას რადი ნიშნავს".

***

მას ვერაფრით ვერ გაეგო, რომ იგი იყო საყვარლების ჯიშის და არა მამების ჯიშის ადამიანი. ***გი დე მოპასანი***

***

ატიკური მარილი - დახვეწილი ათენური გონებამახვილობა.

***

ნიჭი მხოლოდ ზარმაცებს არა აქვთ.

***

ადამიანს ტანსაცმლით ეცნობიან და ჭკუით აცილებენ.

***

ხოტბა შევასხათ ფრანგებს. მათ იზრუნეს ადამიანთა საზოგადოების ორი უდიდესი საჭიროებისათვის: გემრიელი საჭმელისა და მოქალაქეობრივი თანასწორობისათვის. ***ჰაინრიხ ჰაინე***

***

ჩემი ტვინი ჰგავს ფოლადის ნაჭერს; მისი გაკაწრა ძნელია, მაგრამ თუ გაკაწრი, მას თითქმის ვეღარ ამოშლიო. **აბრაამ ლინკოლნი**

***

ჭა მანამდე უნდა მოთხარო, ვიდრე მოგწყურდება. ***ჩინური***

***

რუსთაველმა ძალიან ადრე თქვა, რომ მარტო ბრძენი ეურჩება საწუთროს, სხვანი კი მისი მონები არიანო. ***ილია***

***

მაშა დუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად. ***შავთელი თამარ მეფისადმი***

***

სულელთა თამაშია ადამიანთა ცხოვრება, გინდა თუ არა უნდა ჩადგე და იტრიალო. ***შექსპირი***

***

როდესაც არჩევანის საშუალება არაა, ირჩევ იმას, რაც არის. ასე იყო ადამის შემთხვევაში. მან ევა აირჩია. ***ჯეკ ლონდონი***

***

დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნება. ***ვახტანგ ორბელიანი***

***

კუზიანთა ქვეყანაში შენც უნდა მოიკუზო. ***ფრანგული***

***

არავისით აღფრთოვანდე, თუ გსურს ნამდვილად თავისუფალი გახდე. ***მოპასანი***

***

იქნებ გუბესთან მდგარი გედი უფრო ლამაზი იყოს, მაგრამ მდინარესთან მდგარი უფრო ლამაზი გვეჩვენება.

***

წინაპართა დამსახურების გაზვიადება საკუთარი სისუსტის დაფარვის ცდაა. ***ჰაინე***

***

ფუტკარი სხვასა ჰკბენს, მაგრამ თავად კვდება.

***

ქვეყნად ყველაზე ძლიერი ისაა, ვინც ყველაზე მეტად განმარტოებულია. ***იბსენი***

***

რუსებს არა აქვთ „მე გავიმარჯვებ"; რუსი იტყვის, „ჩვენ გავიმარჯვებთ".

***

მეორე ქორწინება – ეს იმედის გამარჯვებაა გამოცდილებაზე. ***ინგლისელი კრიტიკოსი***

***

რელიგიამ დიდი სამსახური გაუწია სიყვარულს, უწოდა რა მას „წმინდა საიდუმლოება.” ***ანატოლი ფრანსი***

***

საუბრისათვის სულაც არაა აუცილებელი სიტყვების წარმოთქმა. ***ალფონს დოდე***

***

იგი წააგავდა გალიაში გაზრდილ ჩიტს, რომელიც იმდენად განაცვიფრა თავისუფლებამ, რომ მოულოდნელად დაკარგა გალობისა და ფრენის უნარი. ***ალფონს დოდე***

***

ზიზღი – სუსტი ადამიანების მრისხანებაა. ***ალფონს დოდე***

***

შეეცადე დასასრულიც დასაწყისის საკადრისი ჰქმნა. ***ციცერონი;*** *ეტყობა ციცერონი ამ გამოთქმის პერეფრაზირება მოახდინა ეჟი მილერმა, პოლონეთის მემარცხენე პრემიერმა, როდესაც თქვა: მამაკაცის იმით კი არ ფასდება, თუ როგორ იწყებს, არამედ იმით, თუ როგორ ამთავრებსო. მილერის ეს სიტყვები ფრთიან გამოთქმად იქცა ამ ქვეყანაში.*

***

ყოველი ხელშეკრულება უფრო დროებითი შესვენებაა, ვიდრე ნამდვილი მშვიდობა. ***ჟან ჟაკ რუსო***

***

„სიბერის სიყრმეს კიდევ მოვუვლი,
სიყრმის სიბერეს რა ეშველება.” ***მ. ფოცხიშვილი***

***

ვდიე და ვერ დავეწიე, დავდექ და დავუცადეო. **ხალხური**

***

ანეკდოტი მათი მახვილგონიერებაა, ვისაც იგი არ გააჩნია. ***ფრანგული***

***

ვინც სულ აზროვნებს, ემსგავსება უგუნურ ცხოველს, გადამხმარ მინდორს რომ დასტრიალებს და ვეღარ ამჩნევს ირგვლივ მწვანე ველს. ***გოეთე***

***

ყველაზე მაღლა მხედს ტანჯვა უწერია ამქვეყნად. ***ალ მუთანაბი***

***

ჩვენი ახალგაზრდა თაობის გასაგონად ვამბობ: პირადი ცხოვრება ადამიანისა ერთგვარი ხელოვნებაა, უუსაჭიროესი ხელოვნება! ***კ. გამსახურდია***

***

ის, რასაც თქვენ ფიქრობთ საკუთარ თავზე, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობენ თქვენზე. ***სენეკა***

***

ხშირად დიდი ადამიანი დიდ გემსავით შეცდომების დიდ ზოლებს ტოვებს თავის სარბიელზე. ***გოეთე***

***

მთელი ადამიანური კულტურა ხომ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის შექმნილი განხეთქილების საფუძველზეა შექმნილი. ***კ. გამსახურდია***

***

ვინც მტერს მტრულად არ დახვდება, მისი სახელი კრულია. ***ვაჟა-ფშაველა***

***

ძველი რომაელები ამბობდნენ: ლამაზი გოგო რომ დაიბადება, შურს ცხვირს აცემინებსო.

***

კეთილშობილი ადამიანები ცუდი ვაჭრები არიან. ***ბალზაკი***

***

როცა სიჭაბუკეს ჯერ არ შეუბღალავს საკუთარი სინდისი, ულმობელია სხვების შეცოდებათა მიმართ. ***ბალზაკი***

***

კატორღელს ახალი კატორღელის შემატება უხარია.

***

ცოდვა ქვაზე იწერება, მადლი ქვიშაზე.

***

აქლემს ცეკვა ხიდზე მოუნდაო.

***

მგლებთან თუ ცხოვრობ, მგელივით უნდა იყმუვლო.

***

სიყვარული არის სხვისი ბედნიერებით გახარება. ***სპინოზა***
შური კი პირიქით, სხვისი ბედნიერებით დამწუხრება. „შური არის მწუხარება სხვისა ბედნიერებასა შინა". ***სულხან-საბა***

***

ალმასი შეიძლება გატეხო, დაამსხვრიო, მაგრამ ვერ გაბურღავ. ***სტეფან ცვაიგი***

***

სასაცილოა განრისხებული მყვირალა ადამიანი, საშიშია მდუმარე განრისხებული. ***აბაი***

***

როგორ შეიძლება ქალი ბედნიერი იყოს ადამიანთან, რომელიც ჯიუტად ცდილობს მასში სრულიად გონიერი არსება დაინახოს. ***უაილდი***

***

როგორც იგავ-არაკი, ცხოვრება სიგრძით კი არა, შინაარსით ფასდება. ***სენეკა***

***

რუსებს აქვთ კარგი ანდაზა: ძუნწი ორჯერ იყიდის, ხოლო ზარმაცი ორჯერ გააკეთებს ერთსა და იგივე საქმეს.

***

ლათინური ანდაზაა – არცოდნა საბუთი არ არისო.

***

კარგი სიკვდილი პოეტისათვის უკანასკნელი კარგი ლექსია. *გ. შატბერაშვილი*

***

„ხელი მწერლისა ლპება, ხოლო სახელი მისი ჰგიეს საუკუნოდ" *ძველი ქართული*

***

უფრო ხშირად ბავშვები ტირიან იქ, სადაც უფრო მეტად აქცევენ ამ აქტს ყურადღებას. *დ. უზნაძე*

***

„როცა გადაჭარბებულ მეურვეობას იჩენენ, ბავშვი ნამდვილ დესპოტად იქცევა". *ბიულერი*

***

„თუ გსურს ბავშვი უბედურ არსებად აქციო, მას ყველაფერი აუსრულე". *რუსო*

***

ყოველი მწერალი თავის ნაწარმოებში გარკვეული ზომით საკუთარ თავს გამოხატავს.

***

ხელოვნება, ვიდრე ადამიანს ფრთებს შეასხამს ასაფრენად, მანამდე, ჩვეულებრივ, ფეხებს დაამტვრევს ხოლმე. *ჩარლი ჩაპლინი*

***

ცხარე ძმარი საკუთარ ჭურჭელს გახეთქავს.

***

კიდევ მიდგება ქაჩალი მექუდის კარებზეო.

***

ვისაც მეცნიერების თუ სხვა რა საქმისათვის შეუწირავს თავი, ქალის სიტურფე უფრო მოხიბლავს, ვინემ ჭეშმარიტ დარდიმანდს. ჩესტერფილდი.

***

ციცერონს უთქვამს *პლატონზე*: მე ვისურვებდი მასთან ერთად მომსვლოდა შეცდომა, ვიდრე სხვებთან შეუმცდარად მემსჯელაო".

***

ყოვლის გაგება – ყოვლის შეგნებაა. *ფრანგული*

***

თუ მესერი მტკიცეა, მაშინ მეზობლებიც კარგები არიან.

***
მატისს ყვარებია გამოთქმა, სამყაროს ბავშვის თვალებით უნდა უყურო.

***
ნათქვამია კაცის მკვლელი კაცის ხელითვე მოკვდებაო.

***
ჩვენ გვასწავლიან: „მოუსმინე დედ–მამას, რამეთუ მათ შენი ბედნიერება სწადიათ". მტკიცე საფუძველი მაქვს ვთქვა: „აღუდექი წინ მამასა და დედას – და შენ მათ ბედნიერებას მოუტან" (ვისია?).

***
უდიდეს ამქვეყნიურ სასწაულს წარმოადგენს ის, რომ სასწაული არ არსებობს". **პუანკარე**

***
Hard training makes easy fighting, მძიმე ვარჯიშები ბრძოლას ადვილად გადასატანს ხდის – **სუვოროვი**

***
რომენ როლანი თავის ,,**ბეთჰოვენის ცხოვრებას**" ეპიგრამად ამავე კომპოზიტორის სიტყვებს უმძღვანებს: ,,მე მინდა დავამტკიცო, რომ ღირსეული და კეთილშობილური საქციელით ადამიანი იძენს ძალას უბედურების გადასატანად".

***
იყო მსმენელი – ხელოვნებაა. **სერგეი ეინშტეინი**

***
ადამიანთა ბრბოს, რომელთ წევრნიც ერთმანეთს დაზოგავენ, დაეხმარებიან, მეტი შეძლება ექნება გაიმარჯვონ თავის მოწინააღმდეგეებზე ცხოვრებისათვის ბრძოლაში. **ლეტურნო (Letourneau)**

***
რომენ როლანი ბეთჰოვენის ერთ-ერთი წერილის შესახებ სქოლიოში წერს: უნდა აღვნიშნო, რომ იმდროინდელი მეგობრები მაშინაც, როდესაც ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ჩვენგან განსხვავებით, არ გამოირჩეოდნენ გრძნობათა შეუკავებლობით. ბეთჰოვენმა ვეგლერს ათი თვის შემდეგ უპასუხა.

***
რა კარგ წერილს წერს **დედამისი მიქელანჯელოს**:
,,შენმა ძმამ მითხრა, რომ მათხოვარივით ცხოვრობ და ძალიან დიდ მომჭირნეობას იჩენ. ყაირათიანობა კარგია, მაგრამ სიღატაკე – დასაძრახისი. ეგ მანკია ღვთისა და კაცის თვალშიც, ვნებს შენს სულსა და ხორცს. სანამ ახალგაზრდა ხარ, კიდევ არაფერი, მაგრამ როცა მოხუცდები, ათასი სენი და სატკივარი, ამ ცუდ ყოფაში რომ იშვა, მზის შუქზე გამოვა. სიღატაკეს ნუ დაეჩაგვრინები. ყაირათიანად იცხოვრე, მაგრამ აუცილებელი არ მოიკლო... მუშაობით ქანცს ნუ გაიწყვეტ...

***
როგორც კი რომელიმე რელიგიას წარმოეშვება პრეტენზია აიძულოს მთელი კაცობრიობა მიიღოს მისი დოქტრინა, იგი ტირანიად იქცევა. **რაბინდრანად თაგორი**

***

ვისაც პატიება არ შეუძლია, ანგრევს იმ ხიდს, რომელზედაც მას თავად მოუწევს გავლა, რამეთუ ყოველი ადამიანი საჭიროებს პატიებას. **ლორდი ჰერბერტი**

***

ზნეობრივად როგორ უნდა იყოს დაბინდული იმ ადამიანის გრძნობები, რომელიც ქრისტიანულ საზოგადოებაში ათასობით გაჭირვებულთა შორის თავისი ქონებით ამაყობს. **ტოლსტოი**

***

საზოგადოება, რომელიც ძალიან მდიდრებისა და ძალიან ღარიბებისაგან შედგება, ადვილად იქცევა იმ ადამიანთა მსხვერპლი, რომლებიც თავის ხელში იგდებენ ხელისუფლებას. ძალიან ღარიბებს არა აქვთ საკმარისად მტკიცე სული, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, ხოლო მდიდრებს ძალზე ბევრი აქვთ დასაკარგი, რათა გარისკონ. **ჰენრი ჯორჯი**

***

საკუთარ თავზე გამარჯვება ყველაზე კარგი მეთოდია იმისათვის, რომ დამარცხებული არ იქნე. თავისი თავის შეზღუდვა - ყველაზე კარგი მეთოდი იმისათვის, რომ ბატონი არ გყავდეს. **აღმოსავლური**

***

ყველაზე თავისუფლად ის ადამიანი ცხოვრობს, ვინც სიხარულს პოულობს თავისი ვალის მოხდაში, ვისაც გააზრებული აქვს ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს, ვინც ემორჩილება ზნეობრივ კანონებს არა შიშით, არამედ პატივს სცემს მათ და თვლის, რომ ეს ასეც უნდა იყოს, ვინც არ ცნობს არავითარ სხვა ხელისუფლებას, გარდა საკუთარი სურვილისა და აზრებისა. **ციცერონი**

***

საჭიროა კეთილი ცხოვრების წესი (არ კაცი კლა, არ იმრუშო, არ გაბრაზდე, ბოროტებაზე ბოროტებით არ უპასუხო და ა.შ) მიიღო ჭეშმარიტებად და აუცილებლად, არა იმიტომ, რომ ისინი ღვთის მცნებებს წარმოადგენს, არამედ ისინი ღვთის მცნებებად უნდა მიიღო იმიტომ, რომ თავად ვგრძნობთ, თუ რაოდენ შინაგანად აუცილებელია ისინი ჩვენთვის. **კანტი**

***

უბრალოება ჩვენი ადამიანური ღირსების შეგნებაა. **ბუასტი**

***

უბრალოება ყოველთვის ამაღლებული გრძნობების შედეგია. **დალამბერი**

***

ვაჭარმა, რომელიც მეფის ასულზე დაქორწინდა, აუშენა ცოლს სასახლე, უყიდა მას აუარება სამკაული, მიუჩინა მრავალი მსახური და ყოველნაირად ცდილობდა გაემხიარულებინა იგი. მაგრამ ამაოდ, მეფის ასული მოწყენილი იყო და სულ თავის მეფურ წარმოშობაზე ფიქრობდა.
ადამიანის სულის შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას. რაც არ უნდა მიწიერი სიამოვნებებით აავსოს იგი ადამიანმა, იგი მაინც თავისი სახლის, თავისი პირველსაწყისის, ღმერთზე ფიქრობს, საიდანაც იგი გამოვიდა. **თალმუდი**

***

კეთილი ადამიანები მოკამათეები არ არიან, მოკამათეები კეთილნი არ არიან.
ბრძენნი არ არიან სწავლულნი. სწავლულნი არ არიან ბრძენნი.

ჭეშმარიტი სიტყვა სასიამოვნო არ არის. სასიამოვნო სიტყვა ჭეშმარიტი არ არის. **ლაო-ძე**

***

იდეალი თავად შენშია. შენშია ასევე ბარიერებიც მისი მიღწევის გზაზე. შენი მდგომარეობა ის მასალაა, საიდანაც უნდა განახორციელო ეს იდეალი. **კარლეილი**

***

ცხოვრება იმისათვის კი არ გვეძლევა, რათა მხოლოდ ვიმხიარულოთ. არა, ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა სიკეთისა - ბოროტებასთან, სამართლიანობისა -უსამართლობასთან, თავისუფლებისა - მონობასთან; ცხოვრება ესაა იმ იდეალის განხორციელება, რომელიც ბრწყინავს ჩვენს სულსა და გულში. **იოსებ მაზინი**

***

მკითხველზე ბევრი რამაა დამოკიდებული; მიკვირდა ხოლმე, რამ შექმნა რენესანსის ღმერთების ტოლა ხელოვნება და შემდეგ, როდესაც გავიგე, რომ იტალიელები ქუდს უხდიდნენ მხატვრების და ღმერთების სახლს, მივხვდი. **ოტია იოსელიანი**

***

ჩვეულება არასოდეს არ შეიძლება სიკეთედ მივიჩნიოთ, თუნდაც ეს კარგი ქცევის ჩვეულება იყოს. მისი წყალობით კარგი შეწყვეტს სიკეთედ ყოფნას. სიკეთე მხოლოდ ისაა, რაც ძალისხმევით მიიღწევა. **კანტი**

***

ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანი ყოველთვის მხიარულია **(?)**

***

არავინ არ იცის, რა არის სიკვდილი, ბოროტება თუ სიკეთე. არადა, ყველას ისე ეშინია მისი, თითქოს დანამდვილებით იცოდნენ, რომ იგი ბოროტებაა. **პლატონი**

***

როგორ ვიძიოთ შური ჩვენს მტერზე? შევეცადოთ მას რაც შეიძლება მეტი სიკეთე გავუკეთოთ. **ეპიკტეტი**

***

ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ღმერთი, იგი არ შეეცდება, რომ ღმერთმაც შეიყვაროს იგი. მისთვის საკმარისი იქნება, რომ მას უყვარს იგი. **სპინოზა**

***

თავში ჩაღრმავების გარკვეულ ეტაპზე ადამიანი საკუთარ არსებაში რაღაც ზეადამიანურს აღმოაჩენს. **(ვისია)**

***

უდიდესი აზრები გულიდან ამოდიან. **ვოვერანგი**

***

თუ გსურს იყო მშვიდი და ძლიერი, დაამკვიდრე რაღაც რწმენა შენში **(?)**

***

თავმოყვარეობა – ესაა ციხე სულისათვის, რომელიც ისევე გვართმევს ბედნიერებას, როგორც საპყრობილე გვართმევს ფიზიკურ თავისუფლებას. **ლიუსი მალორი**

***

ყველა ჭეშმარიტად კარგი ნივთი იაფია, ყველა მავნე ნივთი – ძვირფასი. **ტორო**

***

ბედნიერების პოვნა ზღვის იქით.
მადლობა ღმერთს, რამეთუ მისი წყალობით საჭიროს მოპოვება ძნელი არაა. ხოლო ძნელად მოსაპოვებელი – არაა საჭირო. **სკოვოროდა**

***

ადამიანმა შეიძლება თავისი თავი შეიმეცნოს როგორც ფიზიკურმა ან როგორც სულიერმა არსებამ. თუ თავის თავს ფიზიკურ არსებად შეიმეცნებს, იგი შეუძლებელია თავისუფალი იყოს; სულიერი არსებისათვის კი საკითხიც კი შეუძლებელია დადგეს თავისუფლების შესახებ **(?)**

***

ადამიანისათვის თანაბრად მიუღწეველია იმის დადგენა, რომ არის ღმერთი თუ არ არის ღმერთი, არის სხეულში სული ან არ არის სული, სამყარო შექმნილია თუ არ არის შექმნილი. **პასკალი**

***

თუ ადამიანებს შორის ჩხუბი ატყდა, ეს ნიშნავს, რომ მასში, მართალია სხვადასხვა დონით, მაგრამ მაინც, ორივე მხარეა დამნაშავე. ერთ-ერთი უმწიკვლოდ რომ მოქცეულიყო, მაშინ ხომ შეუძლებელი იქნებოდა ჩხუბის წარმოშობა, ისევე, როგორც შეუძლებელია ასანთის ანთება აბსოლუტურად გლუვ ზედაპირზე, მაგალითად, სარკეზე. **ეპიკტეტი**

***

ღამით ყველა კატა რუხია. **ძველი ანდაზა**

***

გიყვარდეს, ნიშნავს გესმოდეს, იყო საყვარელი, ნიშნავს გაგიგონ. **ფრანგული**

***

XX საუკუნის 20-იან წლებში ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ სხეულის ყოველ ტიპს საკუთარი ნერვული წყობა შეესაბამება და ადამიანის აღნაგობის მიხედვით შეიძლება მისი ფსიქიკის ძირითადი ხაზების დადგენა.

***

ძველი ანდაზა ამბობს: ცოლი მოძებნე ბოსტანში და არა სიმღერის გუნდში. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ფშავლები რომ ამბობენ:
ქალს ნუ ჰკვლევ ხატობაშია,
ტანთ ნათხოვარი აცვია,
თუ ქალი გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ყანის მკაშია”.

ხელოვნების შესახებ

უნდა ვამაყობდეთ ტკივილით; ყოველგვარი ტკივილი ხსოვნაა ჩვენი მაღალი დანიშნულების შესახებ. ***ნოვალისი***

***

„გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე; ისინი წამოიმართებიან ჩვენს თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა“. ***გოეთე***

***

სიბერემ დამაკარგვია სიყვარულის გრნობა, სიყვარულის გრძნობის უქონლობამ კი - ადამიანობაო. ***გოეთე***

***

ცხოვრება იმ ხალხისა, ვისაც ხელოვნება არა აქვს, ნადირთა ცხოვრებაა. **კიტა აბაშიძე**

***

ხელოვნება, ეს არის მეასეჯერ დაინახო ახლებურად ის, რაც შენამდე ნახა მრავალმა სხვამ. ***ანატოლი ფრანსი***

***

ლათინური გამოთქმაა: სჯობს კარგად იფიქრო, ვიდრე იჩქარო (რუსები ამას ასე ამბობენ: პრიმი სოვეტ, ა ნე კოლესნიცუ).

***

ავ მოვალეს ნაცარი გამოართვი, მიბრუნდი და თვალებში შეაყარეო.

***

ნეტავი იმას, ვინც შენ ისე გამოგიყენა, რომ დროის თვითეული მონაკვეთით ღირებულება ჰქმნიდა. ადამიანებს ერთი ნაკლი აქვთ, დროს გაუფთხილებლად ხარჯავენ და მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ხოლმე შეცდომას, როდესაც სიბერე კარებზე მიუკაკუნებთ. მაშინ კი უკვე გვიანაა. ***კანტი დროის შესახებ.***

***

მხოლოდ გონებას შეუძლია დიდხანს ასაზრდოოს მეორე გონება. მარტოობაში დიდ ხანს შემოქმედება შეუძლებელია. ***სტენდალი***

***

განა დღეს ვინმეს აზრი გააჩნია? დღეს მხოლოდ ინტერესებით ცხოვრობენ. ***ბალზაკი***

***

ტერმინი „ფრთიანი სიტყვა“ ეკუთვნის ჰომეროსს. სიტყვას „ფრთიანს“ იმიტომ უწოდებდა, რომ იგი მოსაუბრის პირიდან მსმენელის ყურისაკენ მიფრინავს.

***

„ვერავინ ამოსდო ლაგამი მის მოუთვინიერებელ ბუნებას”, როგორც მას გოეთემ უწოდა, უფრო აღფრთოვანებით, ვიდრე სიმპათიით, რამეთუ იგი იდგა წესრიგის, ბეთჰოვენი კი თავისუფლების მხარეს. ***რომენ როლანი***

***

მე მხოლოდ ერთი რამ მსურს, არ ვფლობდე საყოველთაოდ აღიარებულ „გემოვნებას”, ვინაიდან არც ერთი დიდი ადამიანი არა ფლობდა სხვა ადამიანების გემოვნებას, არამედ ჰქმნიდა ახალს. ***მოპასანი***

***

ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად. ***ილია***

***

ავტორი უყურებს თავის ნაწარმოებს, ხან როგორც ქმნილებას, რომელმაც გამოჩეკა იხვი, ხანაც როგორც იხვი, რომელმაც გამოჩეკა გედი. ***პოლ ვალერი***

***

დაუფიქრდით, რაა საჭირო იმისათვის, რომ თავი მოაწონო სამ მილიონ მკითხველს? პარადოქსია: საჭიროა გაცილებით ნაკლები, ვიდრე იმისათვის, რომ თავი მოაწონო მხოლოდ და მხოლოდ ასიოდე კაცს. მაგრამ ის, ვინც მილიონებს მოსწონს, ყოველვის კმაყოფილია თავისი თავით, მაშინ, როდესაც ის, ვინც ასიოდე კაცს მოსწონს, თავისი თავით მეტწილად უკმაყოფილოა. ***პოლ ვალერი***

***

მერიმეს შემდეგ სტენდალი ერთ–ერთ უდიდეს ნოველისტად არის აღიარებული. მას თითქმის არა აქვს დიალოგები. ამის შესახებ იგი წერდა: „იტალიაში მღელვარე დიდი ვნებები მოქმედებას მოითხოვენ და არა სიტყვებს. ჩემს მოთხრობებში მკითხველი ძალიან ცოტა დიალოგებს ნახავს. ის ისე მიეჩვია ფრანგული რომანების გრძელ დიალოგებს, რომ შეიძლება წერის ჩემეული მანერა უჩვეულოდაც კი მოეჩვენოს".

***

მოპასანმა სრულად გვიჩვენა ნოველის დიდი შესაძლებლობანი და სიმდიდრე. მისი ერთი ნოველა ვინმე რომანისტს რამდენიმე ტომად შეიძლება მოეცა. ***ზოლა***

***

კამიუს აზრი, გამოთქმული „იონა ან მხატვარი მუშაობისას"-ში მოგვაგონებს მისსავე ნათქვამს თავის დიდ წარმატებასა და სახელის მოხვეჭაზე: „სანამ ჩემს ყველა წიგნს დავწერდი, მე შევიცანი რეპუტაციითა და სახელით ჩემი თავის დამონება. მე მომიხდა და მიხდება ამის გამო შევეჯახო და გამოვგლიჯო საზოგადოებას დრო ჩემი მუშაობისათვის. ამას ვაღწევ, მაგრამ ძვირად მიჯდება. ჩემმა შემოქმედებამ კი არ გამანთავისუფლა, არამედ დამიმონა".

***

კარგი პოეტი შეიძლება იყოს ცუდი მთარგმნელი. ამის მაგალითია ტიუტჩევი. კარგ პოეტს შეიძლება არ ჰქონდეს თარგმნისადმი მიდრეკილება. ამის მაგალითია ბლოკი. მაგრამ ცუდი პოეტი არ შეიძლება იყოს კარგი მთარგმნელი. ***ნ. ზაბოლოცკი***

***

შესანიშნავი ფრანგი პოეტი ***ნერვალის*** სახელი დებიუტიდანვე ფართოდ გახმაურდა. მისი სახელის საქვეყნოდ პოპულარიზაციაში მცირე როლი როდი ითამაშა უკვე მხცოვანი ***გოეთეს*** აღიარებამაც.
22 წლის ფრანგმა პოეტმა „ფაუსტი" თარგმნა. თარგმანით აღფრთოვანებულმა გოეთემ თავის ახალგაზრდა მთარგმნელს მისწერა: „მე ისე კარგად არასოდეს გამიგია ჩემი თავი, როგორც თქვენი თარგმანის კითხვისას."

***

მე რომ შემძლებოდა და ზოგჯერ მაინც უარი მეთქვა ჩემი ვნებებისათვის, მაშინ დამრჩებოდა საკმარისი ძალები იმისათვის, რომ ჩავრეულიყავი ცხოვრებაში და

რაღაც შემეცვალა მასში. მაგრამ ეს არ გამიკეთებია, და აი, მე მხატვარი ვარ და მეტი არაფერი. ***ა. კამიუ***

***

ხელოვნების ნაწარმოები კამათს იწვევს, მაშასადამე, მასში არის რაღაც ახალი, რთული და მნიშვნელოვანი. ***უაილდი***

***

რაც სასარგებლოა ძლიერისთვის, ის სამართლიანია. ***პლატონი***

***

ადამიანი, რომელმაც შეძლო გაეზარდა ორი თავთავი იქ, სადაც მანამდე იზრდებოდა ერთი ... კაცობრიობის სამარადისო მადლიერებას იმსახურებს. ***ჯონათან სვიფტი***

***

ერმიტაჟი იტალიურად ნიშნავს განმარტოების ადგილს. ***ეკატერინე II*** წერდა, ერმიტაჟში მხოლოდ მე და თაგვები ვართო.

***

ილია ერენბურგს უთქვამს თურმე: პიკასომ სამყარო კუბიკებად დაშალა, მაგრამ შეკრება ვერ შეძლოო.

***

ნიკოლოზ I მოიწვია ფრანც ლისტი პეტერბურგში. როდესაც მეფე პიანისტის მუსიკას უსმენდა, ამ დროს დარბაზში შემოვიდა კამერდინერი და რაღაცის ჩურჩული დაუწყო მეფეს. ლისტმა შეწყვიტა დაკვრა. როდესაც მეფემ ჰკითხა, თუ რატომ შეჩერდა კომპოზიტორი, ლისტმა უპასუხა: როდესაც მისი უდიდესებულობა საუბრობს, ყველანი ჩუმად უნდა იყვნენო.

***

რემბრანტს უსაყვედურეს, რატომ არასოდეს ბოლომდე არ ამთავრებ სურათსო? მან უპასუხა: როდესაც ხელოვანი ამბობს მას, რაც სურს, ეს ნიშნავს, რომ მისი ნამუშევარი დასრულებულიაო.

***

ხელოვნება ისეთი ზემოქმედებაა ადამიანებზე, რომლის დროსაც მათ სულში იდუმალი ხდება აშკარა, ქაოტური ნათელი, რთული – მარტივი, შემთხვევითი – აუცილებელი. ჭეშმარიტი ხელოვანი ყოველთვის აუბრალოებს. **ამიელი**

***

თუ მთელი სამყარო, როგორც წარმოდგენა, არის მხოლოდ სანახაობა, მაშინ ხელოვნება არის ამ წარმოდგენის ახსნა, რომელიც საგნებს უჩვენებს წმინდად და მისი უფრო ფართოდ მოცვის საშუალებას იძლევა. ხელოვნება სანახაობაა სანახაობაში, სცენა სცენაზე, როგორც ,,ჰამლეტში". **შოპენჰაუერი**

***

ხელოვნება ისეთი ზემოქმედებაა ადამიანებზე, რომლის დროსაც მათ სულში იდუმალი ხდება აშკარა, ქაოტური ნათელი, რთული – მარტივი, შემთხვევითი – აუცილებელი. ჭეშმარიტი ხელოვანი ყოველთვის აუბრალოებს. **ამიელი**

***

მთელი სამყარო, როგორც წარმოდგენა, არის მხოლოდ სანახაობა, მაშინ ხელოვნება არის ამ წარმოდგენის ახსნა, რომელიც საგნებს უჩვენებს წმინდად და მისი უფრო

ფართოდ მოცვის საშუალებას იძლევა. ხელოვნება სანახაობაა სანახაობაში, სცენა სცენაზე, როგორც ,,ჰამლეტში". **შოპენჰაუერი**

***

ერთ დღეს რომ არ დავუკრავ, ამას მე თვითონ ვგრძნობ, ორ დღეს რომ არ დავუკრავ, ამას ჩემი ცოლი გრძნობს, ხოლო სამ დღეს რომ არ დავუკრავ, ამას მაყურებელიც გრძნობს. ***პაგანინი***

მეცნიერებისა და მეცნიერთა შესახებ

მეცნიერება ხელს უწყობს ადამიანში მავნე ვნებათა დათრგუნვას, ხოლო ხელოვნება მათ გაღვივებას. ***ლამბროზო***

***

ფილოსოფოსი სერგი დანელია კათედრაზე გარდაცვლილა, როდესაც, როგორც ოპონენტი სიტყვას ამბობდა. იგი დისერტანტს საყვედურობდა მისი შრომების მოუხსენიებლობის გამო და ამბობდა: თქვენ თუ არ გვახსენებთ, ვიღამ უნდა გვახსენოს; ჩვენ ვწერდით ქართულ ენაზე, ქართველი მკითხველისათვის და პირველ რიგში მისგან მოველით მოხსენებას. ამ დროს გულმა შეუტია, უარი თქვა მიშველებაზე, კარებამდე მივიდა და იქ შეხვდა სიკვდილს; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

***

ს. დანელიას აქვს კანტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილი შრომა. მას არ მოსწონს ზოგიერთ საკითხებში კანტის არაობიექტურობა. მაგალითად, როდესაც კანტმა დაწერა რელიგიის საწინააღმდეგო შრომა, რამაც მეფის გულისწყრომა გამოიწვია. ამის გამო კანტმა გააკეთა ასეთი დასკვნა: ნუ ლაპარაკობ ყველაფერს, რასაც ფიქრობ. დანელია წერს, რომ ეს არაა მთლად სწორი აფორიზმიო.

***

რამეთუ არა მსმენელნი შჯულისანი გამართლდნენ წინაშე ღმრთისა, არამედ მყოფელნი შჯულისანი გამართლდნენ. ***პეტრე მოციქული***

***

რათა ეჩვენებინა, რომ მხოლოდ ადამიანის მოღვაწეობაა მიზანდასახული, და რომ ყველაზე უნიჭო ხუროთმოძღვარიც კი ყველაზე დაოსტატებულ ფუტკარზე დიდი შემოქმედია, პლეხანოვმა შემდეგი მაგალითი მოიტანა:
ერთგვარი ობობაა, დასდებს კვერცხებს და იცის რა, რომ მათ დაჩეკვას ვერ მოესწრება, ერთგვარი ჯურის ბუზს დაიჭერს, ერთ ადგილას დაჰკრავს ნესტარს, ნერვს მოუკლავს და დაუგდებს კვერცხებს ბუდეში. როდესაც ობობები გამოიჩეკებიან, ამ ცოცხალ ბუზს სისხლს გამოწოვენ.
მეცნიერებმა ცდა ჩაატარეს: ბუზს ის ადგილი ფისით დაულუქეს და დააკვირდნენ. ობობამ ბუზი დაიჭირა და სხვა ადგილას ჩაარჭო ნესტარი. შემდეგ მეცნიერებმა სხვაგვარი ცდა ჩაატარეს. ბუდიდან კვერცხები ამოიღეს. ობობამ კი მაინც დაიჭირა ბუზი და ბუდეში ჩააგდო. ისმება კითხვა: თუ კი ესმის ობობას, რას აკეთებს, რაღაში სჭირდება ბუზი, კვერცხები ხომ აღარ არის?
ანალოგიურად იქცევიან წავებიც. კვერცხის დადების შემდეგ ისინი ჯებირს (მცირე მასშტაბის) აკეთებენ მდინარის პირას, რათა წყალმა არ დაუმსხვრიოს კვერცხები. მეცნიერებმა მას კვერცხები ამოაცალეს. მან კი მაინც გააკეთა ჯებირი. რაში სჭირდება?

***

ჟან ჟაკ რუსო ამბობდა: გაჩუმდი, ჟან ჟაკ! ხომ ხედავ, ვერ გიგებენ!

***

ياკობ გოგებაშვილი იმ მეცნიერთ, რომლებიც სამშობლოს გარეთ მოღვაწეობენ, ადარებს ღრუბელს, რომელმაც კოკური წვიმა ჩამოუშვა ზღვაში და გვალვით დაწურულს ხმელეთს კი ცვარიც არ უწილადა.

***

ლაუაზიეს გილიოტინაზე გაგზავნის დღეს ფუკე–ტენვილის ტრიბუნალის სხდომაზე ერთ–ერთმა მოსამართლემ წარმოთქვა: „რესპუბლიკას მეცნიერები არ ესაჭიროება". ეს შეხედულება დღესაც მრავალ ქვეყანაში და მათ შორის, როგორც ჩანს, საქართველოშიც საკმაოდ აქტუალურია.

***

„ზოგს ჰგონია, რომ არაჩვეულებრივად ღრმა აზრს გამოხატავს, თუ იტყვის, ადამიანი ბუნებით კეთილიაო; მათ ავიწყდებათ, რომ ბევრად უფრო ღრმა აზრია სიტყვებში – ადამიანი ბუნებით ბოროტია" – ***ჰეგელის*** ეს სიტყვები მოჰყავს ***ენგელსს*** და შემდეგ განაგრძობს: ***ჰეგელისათვის*** ბოროტება ფორმაა, რომელშიც ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა მჟღავნდება. ამაში ორმაგი აზრია დამალული: ერთის მხრივ, ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი აუცილებლად რაიმე სიწმინდის შეურაცყოფაა, ამბოხებაა ძველი, დრომოჭმული, მაგრამ ჩვეულების მიერ ნაკურთხი მდგომარეობის წინააღმდეგ; მეორეს მხრივ, კლასობრივი განვითარების მამოძრავებლად ადამიანის უმდაბლესი გულისთქმა გახდა სიხარბე და ბატონობის სიყვარული.

ქალებზე უთქვამთ

ყველამ და განსაკუთრებით ქალებმა, კარგად იციან, რომ მამაკაცი, რომელიც სიყვარულზე ჭკვიანურად ლაპარაკობს, შეყვარებული არაა. **ჟორჟ სანდი**

***

მხოლოდ ქალს ესმის, რა არის სიყვარული. მამაკაცისათვის იგი ხშირად ოცნებაა, ამაო პატივმოყვარეობაა, სიხარბეა. ქალი კი ერთი კოცნის გამო თავით ფეხებამდე გულად გადაიქცევა ხოლმე და არც ერთი სიმი და არც ერთი ძარღვი არ მოიპოვება ისეთი ამ დროს, რომ არ ზეიმობდეს, არ თრთოდეს. ***იმერმანი***

***

უნდა გვეშინოდეს ქალის გულისწყრომისა. დაე, ყველა უფრთხოდეს მას; მისი სიყვარული ადვილად მოდის, სიძულვილიც ადვილად ბრუნდება. ***ტომასი***

***

ქალის გული არავითარ უფლებას არ ცნობს. ***მოპასანი***

***

ქალები მამაკაცებს აიძულებენ იერიშით დაანგრიონ პატიოსნების ავად თუ კარგად გამაგრებული ზღუდეები. იწყებენ მსჯელობას ვალდებულებების, წესიერი საქციელის, სარწმუნოების შესახებ. ამ ერთგვარ ციხე-სიმაგრეს თავს აფარებენ და მოსწონთ, როცა მას ძლიერი შეტევით იღებენ. ***ბალზაკი***

***
დედამიწაზე ყველაფერი მშვენიერი წარმოშობილია ქალისადმი სიყვარულის შედეგად. ***გორკი***

****
შეხვდე ქალს, რომელიც შენ ბოლომდე გაგიგებს, ეს უდიდესი საქმეა. ***უაილდი***

***
მორალის მკითხველი მამაკაცი თვალთმაქცია, ხოლო მორალის მკითხველი ქალი – სულელი. ***უაილდი***
ქალი, რომელიც ამბობს, თუ რამდენი წლისაა, შეუძლია მოჰყვეს თითქმის ყველაფერი. ***უაილდი***

***
ქალი იორღა ცხენსა ჰგავს, ხანდახან სადავეები თუ არ მოქაჩე, აიწყვეტს და ლაფში გაგსვრის.

***
მამაკაცს ყოველთვის სურს იყოს ქალის პირველი სიყვარული, ასეთი ბრმა პატივმოყვარეობა აქვთ მათ. ქალი ისურვებდა ყოფილიყო მამაკაცის ბოლო სიყვარული. ***უაილდი***

***
ქალსა და კაცს შორის მეგობრობა შეუძლებელია. გზნება, მტრობა, წყენა, სიყვარული – ყველაფერი შეიძლება, ოღონდ არა მეგობრობა. ***უაილდი***
,,ტყუილად როდი მისწერა უდიდესმა ნათელმხილველმა გუსტავ ფლობერმა თავის მეგობარ ქალს ასეთი უიმედო სიტყვები: ,,ჩვენ ყველა ვცხოვრობთ უდაბნოში, ერთმანეთის არაფერი გვესმით" ***მოპასანი***

***
ქალები, ისე როგორც არავინ, მაიძულებდნენ მეგრძნო სიმარტოვე. საბრალო ჩემი თავი! რამდენი რამ განვიცადე მათ გამო, რადგან ისინი, უფრო ხშირად და მეტად, ვიდრე მამაკაცები, მიქმნიდნენ ილუზიას, თითქოს მარტო არ ვყოფილიყავი! როდესაც მოდის სიყვარული, სული ამქვეყნიური სიამით ივსება და იცი რატომ? იცი, საიდან არის ეს უდიდესი ბედნიერების შეგრძნება? მხოლოდ იმის გამო, რომ წარმოვიდგენთ, თითქოს ჩვენი მარტოობის დასასრული დამდგარიყოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკვე მორჩა, უკვე არარა ვართ, მიტოვებულები, დაკარგულები სამყაროში. რა დაბნეულობაა! ***მოპასანი***

***
,,და მაინც, ყველაზე დიდი სიხარული დედამიწაზე – ქალის სიახლოვეს გატარებული საღამო ითვლება, არაფერზე არ საუბრობ და თავს გრძნობ თითქმის ბედნიერად მხოლოდ მისი შენს გვერდით ყოფნის გამო. ნუ მოვითხოვთ ამის მეტს, რამეთუ ადამიანური არსებების სრული გაერთიანება შეუძლებელია" ***მოპასანი***

***
მე ველი, როდის შევხვდები ისეთ ქალს, რომ ლამაზიც იყოს, ჭკვიანიც, მომხიბლელობითაც სავსე, მხიარულიც, დამშვიდებულიც, ერთგულიც და ვიცი, ვერასოდეს ვერ ვიპოვი ასეთს. ***ეგ ზიუპერი***

****
„მან არ იცოდა, რომ როდესაც ნამდვილად სურთ უარის თქმა, მაშინ უბრალო და მოკლე სიტყვით, - „არა"–თი კმაყოფილდებიან. მაშინ კი, როდესაც ქალი გრძელ

ახსნა–განმარტებებს ეძლევა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დიდი სურვილი აქვს გადაარწმუნონ იგი. ***ა. მიუსე.*** დაახლოებით ამგვარი აზრი აქვს გამოთქმული ლექსად ჰაინეს: რა საჭიროა გრძლად წერა, რათა მხოლოდ თქვა „მომშორდი".

***

„ახალგაზრდობაში ჩვენ ხშირად გვერდს ავუვლით ხოლმე მიზანს იმ სურვილით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ მას. ტყუილად კი არ უთქვამს ნაპოლეონს, რომ ბედი – ქალიაო. და ზუსტად ამიტომ იგი იღებს ისეთ სახეს, თითქოს ნებაყოფლობით ჩუქნის მას, რასაც მას ძალით ართმევენ. მხოლოდ არაა საჭირო აჩქარება". ***ალ. მიუსე***

****

ინდოელ ფილოსოფოსს უთქვამს, დაუჯერო ქალს ნიშნავს დაწერო რამე ჩქარი მდინარის ტალღებზეო.

***

კრიტიკოსები ამტკიცებენ, არასოდეს არც ერთი აღმოსავლეთის მბრძანებელი – არც თურქეთის სულთანი, არც მაროკოს ბეი, არც სპარსეთის შაჰი, არც ჩინეთის ბოგდიხანი, არც დიდი მოგოლი ჰარამხანაში არ მიიღებდა ქალიშვილს, თუ წინასწარ არ ეცოდინებოდა მისი ჩამომავლობა და გვარტომობა. ***ლევ ტაქსილი*** **„სახალისო ბიბლია"**

***

ქმარი კი არ ირჩევს ცოლს, არამედ პირიქით. იმისათვის, რომ საუკეთესო მამა აირჩიოს თავისი ბავშვებისათვის, ქალმა უნდა იცოდეს, თუ რა არის სიკეთე და რა – ბოროტება. აი, რა უნდა ისწავლოს ქალმა ყოვლის უწინარეს. **ტოლსტოი**

სიკვდილზე უთქვამთ

მისი მეორე დამახასიათებელი თვისება იყო თვითმკვლელობისადმი მიკუთვნებულობა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სწორი არ იქნება თვითმკვლელი ვუწოდოთ მხოლოდ მას, ვინს ნამდვილად ანგარიშს უსწორებს საკუთარ თავს. ამ უკანასკნელთა შორის ბევრია ისეთიც, ვინც თვითმკვლელად ხდება მხოლოდ, ასე ვთქვათ, შემთხვევით. ვინაიდან თვითმკვლელობა აუცილებლად როდი გამომდინარეობს მათი შინაგანი მონაცემებიდან. იმ ადამიანებიდან, რომლებიც არ არიან აშკარად გამოკვეთილი პიროვნებები, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანებიდან, თუმცა, მრავალი თავს იკლავს, მაგრამ ისინი თავიანთი ხასიათითა და ნირით სრულიადაც არ მიეკუთვნებიან თვითმკვლელთა ტიპს და ბევრი მათგანი სინამდვილეში არასოდეს არ მოიკლავდა თავს. ***ჰერმან ჰესეს „სტეპების მგელიდან"***

***

თელავში, ერთ–ერთ სასაფლაოზე საფლავის ქვას ასე აწერია:

ვინც იტყვის, რომ მე ვარო,
მეც ვიტყვი, რომ მე ვარო,
ყველა ასე წამოწვება,
ახლა რომ მე ვწევარო.

***

არა არის რა ამქვეყნად,

ღირდეს ტანჯვად და ოხვრადა,
ჩვენ წავალთ მოუსავლეთში
ის კი დარჩება ოხრადა. ***ნიზამი განჯელი***

***

რატომ კვდება ქმარი ცოლზე ადრე? აბა წისქვილში შეიხედე, რომელი დოლაბი უფრო ადრე ცვდება – ზედა თუ ქვედა? ზედა ბევრს ბრუნავს და ადრეც სჭირდება მოკოდვა და გამოცვლა. ***გ. შატბერაშვილი***

***

ადამიანებს არ უყვართ, რომ სიკვდილი სიცოცხლეს მეზობლობდეს. სწორედ ამიტომ მოიგონეს მათ სასაფლაო და ა. შ. რომ საგულდაგულოდ მოიშორონ თვალიდან მოკვდაობის ყოველგვარი კვალი. ***მორავია***

მეგობრობაზე

პატარა ერს ხანჯალი უნდა ჰქონდეს დიდი, - ***თქვა შამილმა 1841 წელს.***
პატარა ერს მეგობრები უნდა ჰყავდეს დიდი, - ***თქვა აბუთალიბმა 1941 წელს.***

ბედნიერებაზე

როდესაც დავიბადე, ვტიროდი, შემდეგ ცხოვრებამ ამიხსნა ამ ტირილის მიზეზი.

***

განა შეიძლება მტარვალნი მეცნიერების პატივისმცემელნი იყვნენ? ქურდს ფანარი არ უყვარს.

***

ბედნიერება მისი ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს. ***ლეონარდო და ვინჩი***

პატარ-პატარა მოგონებები

ყველაფერი თავის დროზე უნდა წაიკითხოს ადამიანმა. მე დაახლოებით 12 წლისამ წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ იმავე პერიოდში წაკითხულმა ზღაპარმა - „ამირანმა" გაცილებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს იმიტომ, რომ ყმაწვილის გონება გაცილებით უკეთ აღითქვამს ზღაპარსა თუ ამირანის მსგავს ნაწარმოებს, ვიდრე სიბრძნით ასე დაუნჯებულ პოემას.

***

თუ დაკვირვებიხართ, რა მდგომარეობაშია ჩვენი სული, როდესაც ურთიერთობა გვაქვს არამზადასთან, რეციდივისტთან, მახინჯი სულის ადამიანთან? ასეთ დროს იგი ემსგავსება შინაურ პირუტყვს, რომელიც ბაგაშია გამომწყვდეული და სიახლოვეს ესმის მგლების ყმუილი, თუმცა არ იცის, როდის და საიდან დაეცემიან ისინი ყელის გამოსაღადრად. საბრალო პირუტყვი აქეთ-იქით აწყდება, ყმუის, ღმუის, მაგრამ ხსნა ვერსაით უპოვია.

***

1977 წლის 6 ოქტომბერია. იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. 26 წლისამ ვნახე ადგილი, რომელიც გაცილებით ადრე უნდა მენახა; თუმცა, ქალაქში, სადაც უმთავრეს სალაპარაკო თემას ფეხბურთი და თბილისში ჩაწერა-არჩაწერა წარმოადგენს, ამაში გასაკვირი არაფერია.
ი. ნიკოლაძე ქართული ქანდაკების საფუძვლის დამდებია. მისი ბიოგრაფია განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ 7 წლამდე გაატარა პარიზში და ერთი წელი როდენთან მუშაობდა (იხ. ი. ნიკოლაძე - „ერთი წელი როდენთან“).
ნიკოლაძეების საგვარეულო სოფელი სიმონეთია. შემდეგში ნიკო ნიკოლაძის (იაკობის ბიძაშვილის) მშობლები დიდ ჯიხაიშში გადასახლდებიან, ხოლო იაკობის ოჯახი (იაკობის გარდა მის მშობლებს თორმეტი შვილი ჰყავდათ. იაკობი ნაბოლარა იყო) ქუთაისში, საფიჩხიაზე გადავიდნენ. იაკობს დაარქვეს ნიკოს (ნიკოლაძის) მამის სახელი, რამეთუ ნათესაობაში ბედნიერ კაცად სთვლიდნენ.
მუზეუმში მასპინძლობა გამიწია მისმა შვილიშვილმა, რომელსაც სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია, პაპის სახელოსნოში მუშაობს და მის საქმეს ერთგულებს.
დიდხანს ვისაუბრეთ ხელოვნებაზე (მაგალითად, ეგვიპტის ხელოვნებაზე. ეგვიპტელები ძლიერ ყოფილან დაოსტატებულნი ქანდაკებაში, რომ ეგვიპტელი თუ ქალის ქანდაკებას აკეთებდა, ერთ ფეხს წინ ადგმევინებდა, ხოლო თუ კაცის, მაშინ მას ფეხები თანაბრად ედგა, ერთმანეთის გასწვრივ. ქალისა და კაცის ქანდაკება განსხვავდებოდა ფერითაც და სხვ.).
ვილაპარაკეთ როდენზე, მის საყვარლებზე. როდენს ორი საყვარელი ჰყოლია. ერთთან შვილიც ეყოლა, მაგრამ იმის გამო, რომ ლოთობა დაუწყია, როდენს იგი შეუძულებია და სახლშიც აღარ უშვებდა. უნდა ითქვას, რომ როდენს უფრო ადრე შეუძულებია დედამისი, რომელიც თურმე სასწაულებრივად ლამაზი ქალი ყოფილა, მაგრამ ამასთან - უჯიათი ხასიათისა.
მიუხედავად იმისა, რომ როდენი ძალიან მომთხოვნი ყოფილა, იგი ნიკოლაძეს ძალიან აფასებდა. ერთხელ მას ვიღაც მწერალმა შეკვეთა მისცა. საერთოდ, როდენი შეკვეთებს თავად ასრულებდა. იგი არა ყოფილა „ხალტურის“ მოყვარული, და ყველაფერს საუკეთესოდ, როგორც მას შეეფერებოდა, ისე აკეთებდა. ამ მწერლის ბიუსტის გასაკეთებლად როდენს დრო არა ჰქონია და ამიტომ შეკვეთა იაკობისათვის გადაუცია. იაკობსს გაუკეთებია ბიუსტი, რომლითაც როდენი აღფრთოვანებაში მოსულა და წაუწერია: როდენი. ეს ნამუშევარი თურმე დღესაც დგას მის მუზეუმში, როგორც ერთადერთი ნამუშევარი, რომელიც მას არ ეკუთვნის.
იაკობ ნიკოლაძის მუზეუმში მის შვილიშვილთან საუბარი ისევ და ისევ იაკობს უბრუნდება. თურმე ნიკოლაძეების გვარში ჭლექი ყოფილა გავრცელებული. თავად იაკობიც 73 წლის ასაკში ჭლექით გარდაცვლილა. მასში ჭლექის განვითარებას ხელი იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქანდაკებაზე მუშაობისას დიდი რაოდენობით მარმარილოს მტვრის ჩაყლაპვა უწევდა.
შემდეგ ისევ როდენს ვიხსენებთ. თურმე როდენი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა გამოძერწილი კომპოზიციის მარმარილოში გადატანას. ამ საქმეს თავის თანაშემწეს ანდობდა. ამასთან, იგი მოითხოვდა ქანდაკება ერთი სანტიმეტრით მსხვილი ყოფილიყო, რომ დანარჩენი თავად შეესწორებინა.
საკმაოდ უცნაური კაცი ყოფილა როდენი. ხან დღეები გადიოდა, ხმას არ ამოიღებდა, ხანაც უმიზეზოდ დალანძღვდა თავის მოწაფეებს.
უდიდესი კმაყოფილებით სავსე გამოვდივარ მუზეუმიდან.

***

ვ. გოძიაშვილს

თავი სიზმარში მგონია,
თქვენ როცა გხედავთ სცენაზე,
შექსპირი, ვაჟა, დანტე, ილია,

აგვიმეტყველეთ ქართულ ენაზე.

თქვენ თუ მოხუცდით, არა მგონია,
მე ასე ვფიქრობ: ალბათ როლია,
ასე ზეგარდმო ნიჭით ცხებული
არტისტი ბევრი ჩვენ არ გვყოლია. *ა.გ.*

პელაგია მამულაშვილის წერილები

1973 წელს, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მცხეთის სახბანკის განყოფილებაში გამანაწილეს სამუშაოდ (მაშინ ასეთი პრაქტიკა იყო საბჭოთა კავშირში). ძალიან არ მომწონდა ამ დაწესებულებაში მუშაობა და ძალზე ხშირად ბანკის სიახლოვეს მდებარე ცნობილ მამულასვილების ბაღს ვესტუმრებოდი ხოლმე ,,ფიქრთ გასართველად".
მაშინ ამ ბაღის დამუძნებელი, დიდი მეყვავილე მიხეილ მამულაშვილი უკვე ცოცხალი აღარ იყო (მისი ცხედარი, იქვე ბაღის შესასვლელთანვეა დაკრძალული. გამოჩენილი ბოტანიკოსმა თითქმის 100 წელი იცოცხლა). მასინ ბაღს მიხეილის ქალიშვილი, ისიც ასევე ასაკში შესული პელაგია უვლიდა და პატრონობდა. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით. მალე სამუშაოდ და საცხოვრებლად თელავსი გადავედი. მე და ქალბატონი პელაგია ერთმანეთს წერილებს ვწერდით. ქალბატონი პელაგიას წერილები, როგორც უძვირფასესი რელიკვიები, ისე მაქვს შენახული. ყოველ წერილს უმშვენიერესი გამშრალი ყვავილი მოსდევდა ხოლმე, ზედ ქარალდზე დაკრული.
ახლა გვსურს მკითხველს შევთავაზოთ ზოგიერთი ეს წერილი; ვფიქრობთ ისინი მათ დაინტერესებას გამოიწვევს.

ჩემო ამბროსი!
ძალიან გამახარა შენმა წერილმა. ჯერ მეგონა, რომ შენი ნოველები გამომიგზავნე, როგორც დამპირდი. ის სულ დავიწყებული მქონდა, რომ ,,საბჭოთა კულტურაში" (1974 წლის 24 ივნისის ნომერი ა.გ.) მამას ბაღზე უნდა გეპოვა ჩანაწერი და გამოგეგზავნა.
,,ნეზაბუდკას" ქართულად ჰქვია კესანე, ცისანა. წვრილი ყვავილებია, უეჭველად გენახვებათ. ლამაზია, იმიტომ, რომ ცისფერია. ,,ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, სიყრმიდგან შევტრფოდი..."
როცა რამე საფიქრებელი ჩამყვება ძილში, გამოვიღვიძებ ხოლმე და სანამ ფიქრს ვერ დავასრულებ, ვეღარ დავიძინებ. შენი ყოფნის შემდეგ უძილო ღამე გავათიე და წუხელაც არ მეძინა საკმაო და დათენთილმა გავიღვიძე.
აი, რა მოვიფიქრე. დაწერე ,,უმისამართო წერილები" ან ,,წერილები, რომლებიც არასოდეს გაიგზავნება". ფორმა ადვილია, თავისუფალი. სწერე, რაც კი დაგაფიქრებს, რაც მიიქცევს შენს ყურადღებას. ეს დაგიხვეწს ენას და გაგიადვილებს შემდეგში შენ ლიტერატურულ შრომას, რაკი აღარ დაგიშლია ეს.
მხატვრები ბევრს მუშაობენ, სანამ რაიმე კომპოზიციას, სურათს დახატავენ. მათი ეტიუდები, ესკიზები ემსახურება ამ სწავლას.
ესეთივე დანიშნულება ექნება შენ უსახელო წერილებს. აბა სცადე.
არც ერთი ენის ცოდნა არავისი არ შემშურებია. ქართული ენის, კარგი ქართულის ცოდნა კი მშურს ხოლმე. როგორღაც ისე მოხდა, რომ საშუალო ცოდნა რუსულ ენაზე მივიღე. მაშინ ქართული გიმნაზიები არ იყო და უმაღლესი ცოდნაც რუსული შემხვდა. მოკლედ - გავრუსდი. უბრალო საუბრისათვის კი საკმაოდ ვიცი ქართული, მაგრამ რაიმე აზრის გამოქმისათვის რუსულს მივაშურებ ხოლმე.
კარგად იყავი გენაცვალე, კაი ბიჭი ხარ. ასკეტის გარეგნობა მიგიღია, წიგნებში ხარ, როგორც ვხედავ, ჩაფლული. წიგნებში და აზრებში.

ამინდი გამოიცვალა და ხასიათიც შემეცვალა. ამ ორ თვეს ნოემბერსა და დეკემბერს მუდამ ტანჯვით ვატარებ. არა მყოფნის შუქი. იანვრიდან დღე რომ ზრდას დაიწყებს, განწყობილებაც გამომიკეთდება ხოლმე.

შენი სპეციალური კორესპონდენტი
ხელის მოწერა – პელაგია
5.01.75.
მცხეთა

P.S. აქვე მინდა მოვიტანო იმ წერილის ქართული თარგმანი, რომლის შესახებაც ქალბატონი პელაგია წერს. წერილი დაწერილია რუბრიკით:

. ახალი უკვე ცნობილის შესახებ...

სასწაულებრივი ბაღი

ბაღი ურდულით არის დაკეტილი. ახლა სადილის დროა, მაგრამ ჩვენ მოურიდებლად ვაკაკუნებთ და ვაკაკუნებთ ალაყაფის კარებზე (მამულაშვილების ბაღის კარებზე ჯაჭვით ქვა არის ჩამოკიდებული – ა.გ.). ჩვენ შორიდან ვართ და არ ვიცით, როდის შეიძლება აქ შესვლა და როდის – არა. მაგრამ როგორ წავიდეთ მცხეთიდან ისე, რომ მამულაშვილების საგანძური არ ვნახოთ? ბოლოს ჩვენი ხმა აღწევს ბაღის სიღრმეში მდგარი სახლის ბინადრებამდე, საიდანაც გამოდის ქალი და ბაღში გვიშვებს.
მხოლოდ მასთან განშორების შემდეგ ვხვდებით, თუ რატომ ცხოვრობენ აქ მკაცრი რეჟიმის პირობებში. ბაღი ისეთ ძალისხმევას, ისეთ შრომას, იმდენ ზრუნვას მოითხოვს, რომ ყველაფერზე დრო არ რჩება... (მთელი წერილი არ შემონახულა ჩემს დღიურში – ა.გ.).

***

ზოგიერთი შტრიხი მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებისათვის

რომაელ, არც თუ ისე ცნობილ პოეტს, მაურუსს, ეკუთვნის გამონათქვამი, რომელიც შემდეგ, როგორც ფრთიანი გამოქმა, ისე გავრცელდა: ,,წიგნებსაც აქვთ თავისი ბედი".
დიახ, წიგნებს აქვთ თავისი ბედი. და არა მხოლოდ წიგნებს. ხელოვნების ყველა დარგში შექმნილ ნაწარმოებს თავისი ბედი დაჰყვება თან. თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული, თუ რამდენ ხანს დაჰყოფს და გაუძლებს ხელოვნების წვისა და დაგვის ნაყოფი დროის მდინარებას. თუმცა, არც ის იქნება სწორი, გადმოდგეს რომელიმე ხელოვანი და გული გააწვრილოს წუწუნით, - რა ვქნა, ბედი არა მაქვსო. მახსენდება, ერთ გამოჩენილ კომპოზიტორზე თქვეს, ბედი ჰქონიაო. ამის გაგონებაზე მან წყენით თქვა, - როცა ამდენი უძილო ღამე გავათენე, ახლა ამბობენ, ბედი აქვსო...
მთელი ეს მსჯელობა მერაბ ბერძენიშვილზე და მის ხელოვნებაზე ფიქრს მოჰყვა. ხელოვანის ქანდაკებების მხილველს არ გაუჭირდება დაასკვნას, რომ ავტორს არა ერთი უძილო ღამე გაუტარებია თითოეულ ნამუშევარზე. ,,იქმნება და არავინ უწყის, რა სისხლის ფასად იქმნება" – ალბათ ბევრს არა აქვს უფლება გაიმეოროს მიქელანჯელოს ეს ნათქვამი; ამის თქმის უფლება ნამდვილად აქვს მ. ბერძენიშვილს.
ჩემი აზრით, ერის სიძლიერეზე ისე ცხადლივ არაფერი მეტყველებს, როგორც ხელოვნება და განსაკუთრებით ქანდაკებები და ხუროთმოძვრების ძეგლები. რამდენი ქვეყანა მიეცა დავიწყებას აზიასა თუ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა თუ ევროპაში, რომელთა სახელებიც მხოლოდ ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა თუ იციან, მაგრამ ყველა ასე თუ ისე განსწავლულმა ადამიანმა უწყის ძველი საბერძნეთი და ძველი რომი, აცტეკები და ინკები, ეგვიპტე და ბაბილონი და ეს იმიტომ, რომ ამ ქვეყნებმა კაცობრიობას დაუტოვეს ხელოვნების სწორუპოვარი ქმნილებები და პირველ რიგში, ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები და იშვიათი ქანდაკებები. რამდენი საუკუნეც

არ უნდა გავიდეს, ვიდრემდის შენარჩუნებული იქნება ,,ვენერა მილოსელი", ,,ვენერა თავრიდელი", ,,რომეო და ჯულეტა" (როდენის ქანდაკებას ვგულისხმობ – ა.გ.), ,,ფიროსმანი" და სხვა, დავიწყებას არ მიეცემა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საფრანგეთი თუ საქართველო, თუნდაც რომ სხვა არაფერი შემორჩეს, ამ ქვეყნების არსებობას რომ მოაგონებენ ადამიანს.
არსად არც ერთ ქვეყანაში ხელოვნების არც ერთ ძეგლს არ უწერია გადარჩენა დროის ყველაფრის მსახვრელი ხელიდან, თუ შიგ სამშობლოს სიყვარული არა ყოფილა ჩაქსოვილი. ამ მხრივ მერაბ ბერძენიშვილს ვფიქრობ, კარგად აქვს გაგებული დავით გურამიშვილის მშფოთვარე სული, სული ადამიანისა, რომელმაც შვილის ნაცვლად საქართველოს სიყვარული იშვილა და გამოზარდა. ალბათ იშვიათ ქართველ მწერალს ჰყვარებია ასე ძალუმად საქართველო და ასე ახლოს მიუტანია გულთან მისი ჭირი და მწუხარება, როგორც დავით გურამიშვილს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ალბათ იშვიათი ადამიანი გაწამდებოდა ასე: ,,წყეული წუთისოფელი, რაც არ მწამს, მას აპირებსა". სწყევლის წუთისოფელს გაწამებული პოეტი. ვფიქრობთ ასე დაღლილი (სულიერად დაღლილი, როგორც მხოლოდ ხელოვანი შეიძლება დაიღალოს) და მაინც მხნე (როგორც მხოლოდ ხელოვანი შეიძლება იყოს) არის გამოსახული ბერძენიშვილის მიერ შექმნილ ქანდაკებაში.
არავისთვის არაა საკამათო, რომ ნაწარმოების ღირსებისათვის უდიდეს როლს თამაშობს თემის შერჩევა (თუმცა არსებობს საპირისპირო აზრიც. ბოდლერი წერს, მომაკვდავი ძაღლი ვნახე, ისეთი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, როგორც ადამიანსო). ალბათ იშვიათად თუ გამხდარა რომელიმე მხატვარი ან მწერალი ისეთი აღფრთოვანების საგნად, როგორც უბრალო გლეხი ქიზიყიდან, ნიკო ფიროსმანიშვილი გახდა. სიტყვა ,,ფიროსმანი" თითქოს ლამაზი და სიყვარულით ანთებული კაცის გამომხატველ სიმბოლოდ იქცა. რამდენი პოეტის ლექსი მიეძღვნა ფიროსმანს: ტიციანის, პაოლოს, გრანელის, ლეონიძის და ბუნებრივი იყო, რომ ეს თემა ბერძენიშვილის ყურადღებასაც მიიპყრობდა, მის შემოქმედებაშიც დაიკავებდა საპატიო ადგილს.
ახლა თავად ქანდაკების შესახებ.
ალბათ ძნელია ფიროსმანის ცხოვრებასთან სხვა პარალელის გავლება და სხვა რამესთან დაკავშირება, თუ არა - კრავთან. მართლაც კრავივით უმანკო იყო საწყალი ნიკალა (თუკი შეიძლება ,,საწყალი" ითქვას ასეთი ძლიერი სულის მქონე კაცზე), რომელიც ჭიქა არაყზე სცვლიდა ხელოვნების შედევრებს. როდესაც ვუყურებ ფიროსმანის ბერძენიშვილისეულ ქანდაკებას, რომლის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ ბრწყინვალედ ეგუება გარემოს, ასე მგონია სამშობლოს საკურთხეველზე წამდგარა მეთქი შემოქმედი თავისი მოკრძალებული ზვარაკის შესაწირად.
ერის ზნეობის თუ მისთვის სიმხნევის განმტკიცებაში ქალს მართლაც რომ უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია. იგი არის კაცის ქცევის თუ აზრის საზომი. ტყუილად როდი თქვა აკაკიმ, საქართველოს ქალები გადაარჩენენო. ქალი ზრდის მამულის დამცველთა სასახელო თაობებს და ამხნევებს მათ. სწორედ ამიტომ არის აღმართული ვოლგოგრადში მამაის ყურგანზე ქალის ქანდაკება. საქართველოს სინამდვილეში ამგვარი ქანდაკებაა ბერძენიშვილის ქანდაკება ალგეთის მიწაზე: ,,კიდევაც დაიზრდებიან".
მე პირადად ტანში ჟრუანტელი მივლის, როდესაც ბერძენიშვილის ამ ქანდაკებას ვუცქერი. ეს ქალი არის მემკვიდრე ცხრა ვაჟიშვილის. ცხრა გმირის დედის, ხერხეულიძისა. ცნობილია, რომაელი დედები ზურგში დაჭრილ შვილებს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ დაუტირებელს.

თბილისიდან კახეთში მიმავალ ავტობუსში მოსმენილი:
,,თედო, აბა ერთი აქ გადმოჯექი, ჩვენთანა;
–თქვენთან რა მინდა, ძლივ ჩავითბუნე აქა.
–მოდი, მოდი და მოგვიყე შენი ამბავი.
–მითამ არ იცი!
–რომელი, სტუმრის? – ეკითხება თედოსთან მოლაპარაკეს მის გვერდში მჯდომი.

–შარშანწინ ერთი სტუმარი ჩამოსვლოდა ქალაქიდანა. ბევრი ყურძენი ეჭამა, კუჭი შეკროდა. თედოს ურჩიეს, კლიზმა მონახე და გაუკეთეო. სადა ჰქონდა კლიზმა, ადგა და საწამლავი აპარატის მკლავი შეუყო და მიდი ... უქშუტუნა შაბიამნიანი წყალი.
–მერე მორჩა, თედო? – ეძახის ახლა მეორე.
–რა ვიცი, აქედან კი კარგად წავიდა და მას მერე აღარ ჩამოსულა.
–რაღას ჩამოვიდოდა – ადასტურებს მეორე.
–თედო, გადმოჯექი აქეთ, ჩვენთან, თორემ მოვალ და ტყუპ წიხლს იმდენს გირტყამ, რომ ცემით მოგკლავ.
–მომკლავ და მგელი კი არა ვარ, რომ ჯილდო მოგცენ.
–ხა, ხა, ხა – ხარხარებს ავტობუსი.

***

სასტუმრო „უნგლეტერში", რომელიც ახლა სასტუმრო „ასტორიასთან" არის შეერთებული, 605–ე ოთახში თავი მოიკლა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა სერგეი ესენინმა. როდესაც ვნახე ეს ოთახი და დავათვალიერე კიდეც, სართულის მორიგემ მკითხა:
–სხვა ოთახებსა ჰგავს, არა?
–ეჰ, ჰგავს და არცა ჰგავს, – ვუპასუხე მე.

***

თუ გრძნობთ, რა მდგომარეობაშია თქვენი სული, როდესაც სიახლოვე გიწევთ რეციდივისტთან, კაცის მკვლელთან, ანდა უბრალოდ, მახინჯი სულის ადამიანთან? თქვენი სული მაშინ ემსგავსება შინაურ პირუტყვს, ცხვარს ან ძროხას, რომელიც დამწყვდეულია ბაგაში, ესმის მგლების ყმუილი, მაგრამ ვერ ხედავს მათ და არ იცის, როდის და საიდან დაეცემა მას ნადირი, რათა ყელი გამოღადროს. პირუტყვი აქეთ-იქით აწყდება, ყმუის და ხსნა ვერ უპოვნია. ა.გ.

***

ის, რაც ძირითადად სანკტ–პეტერბურგის ზოოლოგიურ მუზეუმში მოვისმინე ან ვნახე:

ერთი სახეობის თევზია, ხმალ–თევზა, თითქმის ვერ ხედავს. გემს რომ დაინახავს, თევზი ჰგონია და წაერჭობა ხოლმე თავისი ორმეტრიანი ნისკარტით.

გველია ერთგვარი, გადაყლაპავს რაიმე ცხოველს და შემდეგ შეუძლია მთელი თვე არაფერი ჭამოს.

არის ერთგვარი ფრინველი, სტრაუსი; მან დაკარგა ფრენის უნარი და ახლა მხოლოდ დარბის. იგი საათში გარბის 60 კილომეტრამდე.

პინგვინებიც ფრინველებია, რომელთაც ფრენა არ იციან.

ალბატროსისათვის აფრენა წყლიდან უფრო ადვილია, ვიდრე მიწიდან. მაგალითად, გემის გემბანიდან ძლივძლივობით აფრინდება ხოლმე.

პატარა ფრინველია ერთი, წუთში 500-600–ჯერ უცემს გული, შეუძლია იფრინოს წინ და უკან, მაღლა-დაბლა. იწონის 5-6 გრამს. ამასთან, ძალზე მცირე ხანს ცოცხლობს, აღარ მახსოვს, რამდენს...

კენგურო გასაჭირში შვილს გადააგდებს ხოლმე ჩანთიდან და თავად გარბის.

ყველაზე ძვირფასი ექსპონატი *სანკტ-პეტერბურგის* ზოოლოგიურ მუზეუმში არის 1901 წელს ციმბირში ნაპოვნი მამონტის ნაშთი.

მგლის ერთგვარი სახეობა იყო, რომელიც გადაშენდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ, მაშინ დააფიქსირეს მისი ერთი, ბოლო ეგზემპლარი. საწყალი, ნეტა რა გრძნობა ჰქონდა, როდესაც მარტოდ-მარტო დარბოდა ტყე-ტყე?

***

ერმიტაჟში ყველაზე ძალიან მომეწონა ჯორჯონეს „ივდითი", ტიციანის „მაგდალინელი", ლუკას კრანახის „ვენერა და ამური", გოიას „არტისტის პორტრეტი", რომაელი სკულპტორის „ვენერა მაგდალინელი", რენუარის „ქალიშვილი მარაოთი", მისივე „ჟანა სამარის პორტრეტი". საერთოდ, იმპრესიონისტები და რენუარი განსაკუთრებით, ბრწყინვალე მხატვრები არიან.

***

სანკტ-პეტერბურგში ამბობენ, თუ ძველი *პეტერბურგელის* ნახვა გინდა, იგი აბანოში უნდა იპოვო. ამ ქალაქის ძველ სახლებში ხომ აბანოები არ არის.

***

ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია. მაგალითად, ხელოვნურ თანამგზავრში მყოფ ადამიანს არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს რაკეტის უსწრაფად სრიალი. მაგრამ საკმარისია იგივე კოსმონავტი დედამიწაზე ჩამოვიდეს და ავტომანქანა გააქროლოს, ერთი-ორ ავტომანქანას გაასწროს, რომ გული სიამოვნებით აევსება.

***

შალაურელი ბუღალტერი თბილისის სასტუმროში ქალთან ყოფილა. ათ მანეთზე ყოფილან მორიგებული. ქალს წასვლისას ფული მოუთხოვია, ბუღალტერს ჯიბეები მოუქექია და 9 მანეთსა და 60 კაპიკზე მეტი ვერ უპოვია.
-ეს რა არისო? – გამწყრალა ქალი
-საშემოსავლო დაგიკავეო – უპასუხია ბუღალტერს.

***

რატომღაც მომენატრა მცხეთის ნახვა. იქ ყოფნისას გონებაში წარმართობის დროინდელი ყოფა–ცხოვრების სურათები ამოტივტივდებიან ხოლმე. სარკინეთის მთის შეხედვისას იქ ოდესღაც აღმართული კერპები – გაცი და გაიამი... პომპეუსის ხიდზე გადადიხარ და რომის ეპოქის ამბები დაგაფიქრებს, სვეტიცხოველს ნახავ და... განსაკუთრებით გუთელი ეპისკოპოსის კურთხევა მომაგონდება ხოლმე სვეტიცხოველში... მამულაშვილების ბაღში შევედი ქალბატონი პელაგია ვინახულე.
ალბათ გარდასული დრო და მასთან დაკავშირებული საგნები უფრო ლამაზად გვეჩვენებიან და ამიტომაც დღევანდელი მამულაშვილების ბაღი უბადრული ნაშთი მგონია იმ ბაღისა, მე რომ ვნახე მიხეილ მამულაშვილის სიკვდილის წელს. იქნება მეჩვენება, მაგრამ მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა და მოკრძალებისა პელიკოს მიმართ, უნდა ვთქვა, რომ დღეს უფრო ბიზნესისა და ფულის სუნი უდის ბაღს, ვიდრე იმ ჭეშმარიტი ხელოვნებისა, რა სახეც მიხეილ მამულაშვილმა მისცა მას.
პელიკო მოტეხილი მეჩვენა, თვალთაც სინათლე დაჰკლებია. ჩემი მისვლისას გვირგვინს აკეთებდა.
ეგ გვირგვინი ლხინში უნდა წავიდეს, თუ ჭირში მეთქი?- შევეკითხე.
ახლა ლხინში ვიღა დადის, მთელი საქართველო დაკრძალვებით, ორმოცებით და წლისრიგებით არის დაკავებულიო – მიპასუხა (ეს ჩანაწერი 1977 წლის ოქტომბრის ბოლოს არის გაკეთებული, კარგი რამაც პელიკო დღევანდელ საქართველოს, ანუ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ვერ მოესწრო...).

ქართული სულის სიბერის ნიშანი ხომ არ არის მეთქი ეგ, მწუხარების აპოთეოზი?
შემომჩივლა, მამა, როგორც ქრისტე, ისე მიცავდაო. გამიჭირდა ახლა ადამიანებთან ურთიერთობა, ყველას ვენდობი, ყველა კარგი მგონია და მატყუებენო.
ვიღაც რუსის ქალი მოუყვანია და იხმარიებს. ქართველი ვერ დაასაქმე მეთქი?
-რა ვქნა, ქართველი ვინც მყავდა, ყველა ქურდი გამოდგაო...
ნუთუ ეს მართლაც ასეა? ვაი, ჩვენს თავს!

***
(24/XI. 78წ.).

წუხელ ლ. ტოლსტოისთან ერთად ვვახშმობდი (ტოლსტოის ნაწარმოებებს ვკითხულობ ახლა და ალბათ იმიტომ. რა სასწაულია სიზმრის ბუნება). თვით ტოლსტოი უდღეგრძელებელი დაგვრჩა. სულ ხუთნი ვიყავით: ტოლსტოი, ვითომ მისი ძმა, ვიღაც მოხუცი კაცი, ილო ბეზარაშვილი, კოტე მახარაძე და მე.
მახსოვს ტოლსტოის ძმა ვადღეგრძელეთ. მე ვუთხარი, შენ შეიძლება არ წერ ლევივით, მაგრამ შენ უფრო კეთილი ხარ მეთქი. ჩემი სადღეგრძელოს დროს ტოლსტოიმ მითხრა, ცოლის საქმე უნდა მოაგვარო. არ უხდება მასეო.
–რა ვქნა მეთქი, ვუპასუხე, ბედის საქმეა ყველაფერი. შენ ბედმა ოცდათექვსმეტი წლისას 18 წლის ქალიშვილი შეგახვედრა მეთქი, მე თოთხმეტი წლით უფროსი.
ასე დამთავრდა ჩვენი ვახშამი; შემდეგ მახსოვს, კიდევ სადღაც ვიყავი ვახშამზე, სადაც რომელიღაც სადღეგრძელოს მოჰყვა კამათი. მე ვთქვი, რომ კარგი და ცუდი კომუნისტებში არიან და თავადებშიც იყვნენ, და სად ვინ მეტი იყო, მაგისი აღრიცხვა კი არ არსებობდა მეთქი.

***
(24/XI. 78წ.)
დროს ვიხელთებ თუ არა, სახლში გავრბივარ, რაიმე წავიკითხო. სახლის პატრონი, ვასო მალანია, დამინახავს, სახლში ვარ, შემოვა თავისი ყავარჯნებით (ავარიაში მოჰყვა) და დაჯდება. ლაპარაკი უნდა ვინმესთან და რა ქნას. ხან აუბამ ხოლმე მხარს, ხან არა ვარ მის ხასიათზე და ნერვები მეშლება, რომ მაცდენს. მიხვდება, რომ ხელს მიშლის, ადგება და მიდის: იჯექი, იჯექი, ვასო პაპა, ვეუბნები მე ზრდილობის გულისათვის.
–არა, რაღაცა საქმე მაქვს, წავალ...
და მიდის თავისი ოთხი ფეხით. რა ცუდია სიბერე, თუ საქმე არა გაქვს.
ახლა კაი რამაც, საჭმელს ვაკეთებ (ხახვი მოვდაღე, პამიდორი ჩავკუწე, კვერცხი ჩავახალე) და ისე აღარ მეშლება ხელი. ვასო კი ზის კედელთან, თბილად და ერთი და იგივეს ათასჯერ იმეორებს.
ყველაზე მეტად იმას იმეორებს, რომ პოლს სანიაო ვერ მივეცი, ეს ოხერი მაშინ არ ვიცოდი, და ახლა ლპებაო.
დღეს მეკითხება:
– ბიჭო ამბროს, ვერ გავიგე, რას აკეთებ, რაზე მუშაობ, რა ხელობის კაცი ხარ...
–ეკონომისტი – ვუთხარი
–ჰო, კაი ხელობა გიშოვია, ერთი ნათესავი მყავს, ეკონომისტი, კარგად ცხოვრობს, ფულიანი საქმეა, ფული გექნება...
–ფული რომ მქონდეს, ვასო პაპა, შენს ყოფილ გომურში ვიცხოვრებდი?
ახლა კი შემოაწვა მოგონებები და რა ვქნა, უნდა ვუსმინო. ჰყვება, რომ ჩემს ახალგაზრდობაში წყალი მტკვარიდან ამოჰქონდათ, ვადაკაჩკები ედგათ და მეთულუხჩეებს კასრებით დაჰქონდათ ეზოებშიო. და აგრძელებს, ჩემს ნათესავს მანქანა ენახა, მოვიდა წავკისში და ჯერ არაფერი ეთქვა და ყვიროდა, – უძოს წმინდა გიორგის მადლმა, სიმართლე უნდა გითხრათო, კიდევ გაიმეორა ფიცი. თურმე ავტომანქანა უნახია და ამბობდა, უცხენო ფაეტონი ვნახეო... ნეტა ახლა წამოაყენა

ის ხალხი და ანახა, როგორ ჭიანჭველებივით ირევა მანქანებიო... ერთს კიდევ ტელეფონის ყურმილისათვის მიუდვია ყური და უთქვამს, ყურმილში კაცი იჯდა და მღეროდაო...
გაუგებარი ხალხი იყო წინათ, არაფერი არ იცოდნენო...
ზაგესშიო, ამბობს, კრწანისი რომაა, რესტორანი, იქ შავ სოფელს ეძახდნენ, ხალხი ცხოვრობდაო, მანდ ვიწრო ხიდი იყო, ცხვრის ხიდს ეძახდნენ, იმიტომ, რომ მთელი კახეთის ცხვარს იქ უნდა გაევლოო, ახლა სად წავიდა ქალაქი, კაცო, აი, იქამდე მივიდა, რა ოხრობა ჰქვია, იგონებს და ვერ მოუგონია ... სართიჭალა, ვეუბნები მე... ჰო, ჰო, სართიჭალამდე მივიდა. შემდეგ უნივერსიტეტამდე მივიდა, მანდ სულ ტყეები იყო, ხალხი ლაპარაკობდა, ამ მამაძაღლებმა ეს სკოლები რომ ააშენეს აქ, ბავშვები, მგლებს უნდა შეაჭამონო? ახლა ბაგებამდე გავიდა ქალაქი...
ეს ხევი რომ ჩავიდოდა, ვარაზისხევი, იქით რომ ხევია, ვერის ხევი, იმას უერთდებოდა. ზოოპარკი მანდ არ იყო, შიშველი გორა იყო. თერთმეტ სართულიანი სახლი ჩვენ ავაშენეთ, 31 წელიწადში. ავტობუსების გაჩერება რომ არის, ელბაქიძის დაღმართთან, მანდ სატივეს ვეძახდით, ბორჯომელებს ტივებით ხეები ჩამოჰქონდათ და თან რაღაცას აყოლებდნენ ხელს, გასაყიდად. ხეები კამეჩებით გამოჰქონდათ მტკვრიდან, მანდ ხიდი რომაა, ვერის ხიდს ვეძახდით. შემდეგ ხეები კამეჩებით ხუროებამდე მიჰქონდათ და იქიდან ხე–მასალა გამოდიოდა.
–რუსთავში ყოფილხარ? – მეკითხება
–მე საქართველოში ქალაქი არ დარჩენილა, რომ არ ვყოფილიყავ, ვასო პაპა – ვტრაბახობ მე.
–ხოდა, იმიტომ ეძახიან რუსთავს, რომ მანდ ყოფილა რუს თავი, რუ ხომ იცი? და მანდედან არხი მიდიოდა და მთელ მინდვრებს რწყავდა, მანდ ძაან ღონიერი მიწებია, მანდ მიგვყავდა ხოლმე საქონელი საზაფხულო საძოვრებზე.
პირველ საათამდე ვილაპარაკეთ, შემდეგ ვუთხარი, მოდი ვისადილოთ მეთქი, ვისადილეთ. ჩემი ღვინო დაძმარებული იყო, მას ერთი ბოთლი „გარეჯი" მქონდა, ის გავუხსენი. მე ჩემი ღვინო დავლიე. ვისადილეთ და წავიდა. მეც წასასვლელი ვარ მუზეუმში ფიროსმანთან.
მეორე დილით ვასო პაპამ შვილიშვილი ჩამოგზავნა და საუზმეზე დამიძახა. მე ნასაუზმევი ვიყავი, მაინც ავედი, ალბათ სამაგიერო გადამიხადა, გუშინ ჩემთან სადილობისათვის. თითო არაყი დავლიეთ. მეხვეწა, კიდევ დავლიოთო.
–არა, ვასო პაპა, ვუთხარი, რომ დავლევ, დაძინება მომინდება ხოლმე, მე კი საქმე მაქვს გასაკეთებელი (იმხანებში „ანნა კარენინას" ვკითხულობდი).
–კაცო, მე კამეჩის საყეურებს ვჭედდი ხოლმე, მაგრამ გვერდით არაყი მედგა, თან ვსვამდი, თანაც ვმუშაობდი...
–კაცო, ნუ გაუჭირე საქმე, მაგან ტვინით უნდა იმუშაოს, შენ ხელებითა მუშაობდი, ნუ დაუნიჟებ ახლა – შეუტია მარო ბაბომ.
შემდეგ ქორწინებაზე დამიწყეს ლაპარაკი, ვიღაც გოგოს მირიგებენ, სტუდენტია, ძალიან გამხდარი, შენ უნდა გაასუქოო.
ვასო საუზმეს მორჩა, მე მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

***

არიან მამაკაცები, რომლებიც ცოლად ირთავენ თავისზე გაცილებით ლამაზ თუ ახალგაზრდა ქალებს და იმის შიშით, რომ არ მიღალატოსო, ბევრ შვილებს ყოლიობენ; მათი აზრით გამუდმებით აკვნის მრწეველი ქალი დროს ვეღარ ნახავს საღალატოდ.
და ტყუვდებიან. ვერაფერი ვერ დააკავებს ქალს, თუ სულსა და სხეულში ეშმაკი ჩაუსახლდა.
ლ. ტოლსტოის ცამეტი შვილი ჰყავდა, მაგრამ მისი თექვსმეტი წლით უმცროსი ცოლი კომპოზიტორ ტანეევთან არშიყობას მაინც ახერხებდა.

***
იყო დრო, როდესაც არსებობდა უკლასო საზოგადოება. მორგანმა ველურებს (იროკეზებს?) შალის ნაჭერი მისცა. მათ იგი პატარ–პატარა ნაჭრეებად დაჭრეს და გაანაწილეს, თუმცა ეს ნაკუწები უკვე აღარავის აღარაფერში გამოადგებოდა. ასეთი ურთიერთობები ცხადია, ხელს შეუშლის საზოგადოების განვითარებას.

***
რას ვერჩით მალთუსს? რატომ ვუწოდებთ კაცმოძულეს ამ უაღრესად ჰუმანურ თეორიას? ბოლოს და ბოლოს ხომ დადგება დრო, როდესაც ადამიანები დედამიწაზე ფიზიკურად აღარ დაეტევიან? ე.ი. საჭიროა მათი გამრავლების რეგულირება. ამას მოითხოვდა ის კაცი. რატომ ვაკეთებთ აქცენტს, თითქოს ეს მეცნიერი მაინც და მაინც ომების საშუალებით მოითხოვდა ამგვარ რეგულირებას?

***
მატარებლით ვმგავრობ. ჩემს წინ ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა ზის. მინდა გამოველაპარაკო, გავეცნო, მაგრამ ვერ მომიხერხებია. ასეთ სიტუაციებში ნახმარი ყველა სიტყვა მრავალგზის გამოყენებული და გაცვეთილი მგონია... კარგა მანძილი გავიარეთ. ბოლოს ვენახში მომუშავე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დავინახე. გამიხარდა, ახლა კი ვეტყვი, რა კარგი სიტყვა მოუგონიათ, ,,მეუღლე", შეხედეთ უღელს ერთად როგორ ეწევიან მეთქი. სანამ ამას ვფიქრობდი, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ფანჯრიდან უკვე აღარ ჩანდა. აი, კიდევ შეგვხვდება ასეთი წყვილი და მაშინ ვეტყვი მეთქი, ვფიქრობ გუნებაში და გაცეცებით ვიყურები გარეთ... ჩემს ჯიბრზე ამგვარი წყვილი აღარ გამოჩენილა.

***
ძველით ჯერ მარტიც არ დამდგარა, ზამთრის სუსხი ისევ იგრძნობა. მოქუფრული ციდან რომელიღაც მტაცებელი ფრინველის ყრანტალი მომესმა, იგი ცაში წრეს აკეთებს, დაიქნევს ფრთებს და შემდეგ ნაზად ლივლივებს ცის კაბადონზე.
ყრანტალი რომ მეორდება, დედამიწაზე ქათმები ატეხენ კრიახს. ისინი აქეთ-იქით აწყდებიან და ძლიერ არიან დამფრთხალნი. ყველაზე მეტად მამალი ქოთქოთებდა, ის დინჯად და ამავე დროს შეშფოთებით დააბოტებდა დედლებს შორის.

***
ორიგინალური, გინდაც ყველზე ცუდი ტაძრის აგება უფრო ძნელია, ვიდრე აშენებული საუკეთესო ტაძრის ხელმეორედ აშენება.

***
მეტროთი ვმზავრობ, ვზივარ და წიგნს ვკითხულობ. ჩემს წინ ოთხი თუ ხუთი ადამიანი ზის. ერთ-ერთი ხანში შესული ქალია, მას ღარიბულად აცვია და სახეზე ტანჯვის ნიშნები ემჩნევა. კარგა ხანი მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, შემდეგ კვლავ შევხედე... და წიგნის კითხვა ვეღარ შევძელი... მისი სახე აშკარად დაცინვასა და უნდობლობას გამოხატავდა ჩემსა და ყველა მათ მიმართ, ვისაც წიგნთან აქვს საქმე. იგი თითქოს უტყვად ამბობდა: თქვე ნაცარქექიებო, ყველა წიგნი რომ დაიწვას ამქვეყნად, რა შეიცვლება, ნუთუ ამაზე გლახაკად ვიქნებოდი შემოსილი და უფრო მეტად ნატანჯი ცხოვრებისაგან, ვიდრე ახლა ვარ? მაშ რა საჭიროა, რომ თვალებს იწყალებ? იმიტომ ხომ არა, რომ შენ გსიამოვნებს მხოლოდ წიგნის კითხვა?
ცდებოდა ის ქალი?

***
მინდორში კენტად მდგომი ალვის ხე დიდხანს ვერ გაძლებს – ქარი მოუღებს ბოლოს. ლერწამი ხომ ვერ გაძლებს და ვერა. მხოლოდ მუხას შეუძლია ეს, ძლიერია და იმიტომ.

ასევეა ცხოველებშიც. კურდღლები ჯგროდ ცხოვრობენ, ასევე ერთად ცხოვრობენ ქურციკებიც. ჭიანჭველებიც ერთად არიან.
მხოლოდ ლომს შეუძლია მარტოს ბუხუნი.
მხოლოდ არწივს შეუძლია მარტოს ბუბუნი.
ბრბო ვერ ვითარდება ან ვითარდება უაღრესად ნელა. დიდი განსხვავება არ არის დღევანდელ სოფლად მცხოვრებთა და გიორგი მთაწმინდელის დროინდელ ქართველებს შორის. ვითარდებიან ისინი, ვინც წინაპართა გამოცდილებას ეზიარება, ძირითადად ალბათ, წიგნების მეშვეობით.

***

გურჯაანის ცენტრი მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, არც ისტორიული ძეგლებითაა მდიდარი და არც სხვა რაიმე კულტურული ნაგებობებით. მაგრამ საკმარისია ცივ-გომბორის მთებიდან გადმოიხედო, რომ ულამაზესი ბუნება გადაიშლება თქვენს თვალწინ.
ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას გურჯაანში ყველაწმინდის მონასტერი წარმოადგენს. ტაძარი VIII-IX საუკუნეებშია აშენებული. სხვა ქართული ტაძრებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ორგუმბათიანია.
1977 წელს, ადრეულ გაზაფხულზე ვნახე იგი. ფეხით წავედი მთავარი გზიდან. მალიმალ უკან ვიხედები. თვალს იტაცებს ალაზნის ველი. ყველაწმინდისაკენ გზა ძველ სოფელ სახასოზე გადის. ისტორიული სახელია – სახასო. ყველაწმინდისაკენ მიმავალი გზა სოფლის სასაფლაოზე გადის, სადაც ასევე ძველი საყდარი დგას. ამ გზიდანვე ჩანს ასევე სოფელ ვეჯინის ამაღლების მონასტერი.
ყველაწმინდა მართლაც ორიგინალური საყდარია. იგი აგურითაა აგებული (იქნებ რესტავრირებული?). ნაგებობის კუთხეებში ტუფის დიდი, დასვრეტილი ქვებია ნახმარი, სადაც მკვდრის ჭიები დაცოცავენ. იმათაც ხომ არ შეუტყვიათ რელიგიის განწირულობა? განსხვავებით საქართველოს სხვა მონასტრებისაგან, რომლებიც მთის წვერებზე, ადვილად დასანახ ადგილებშია აშენებული, ყველაწმინდა მთებშია ჩაკარგული. რატომ?
ირგვლივ კი მთის კალთებზე აყვავებულა უამრავი მთის ყვავილი – ყოჩივარდა, ია-იები და მრავალი სხვა, რომელთა სახელები, ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცი.
იქვე ახლოს ხევ-ხმელი ჩამოდის. საუცხოოდ ლიკლიკებს და მის წყნარ აკომპანიმენტზე ათასგვარი ჩიტები გალობენ...

***

ასე მგონია, თუ ადამიანს ვინმე არ უყვარს, დიდ საქმეს ვერ გააკეთებს. ყველა ადამიანში არის პოტენციალური შესაძლებლობა დიდი საქმეების კეთებისა, მაგრამ ბიძგს ელოდება და ამას კი მხოლოდ სიყვარული იძლევა. ეს პოტენციალური შესაძლებლობა ისევე ელოდება სიყვარულს, რათა გამომჟღავნდეს, როგორც კვირტი უცდის გაზაფხულს და მზის სიცხოველეს, რათა გაიფურჩქნოს.

***

ბრბო თითქმის არ ვითარდება ან ვითარდება ძალიან ნელა. ალბათ დიდი განსხვავება არ არის დღეს სოფლად მცხოვრებ ქართველსა და გიორგი მთაწმინდელის დროს მცხოვრებ ქართველს შორის. ვითარდებიან ისინი, ვინც წინაპართა გამოცდილებას ეზიარება, რასაკვირველია, წიგნის მეშვეობით.

***

ერთი თვისება განასხვავებს და მაღლა აყენებს ადამიანს – თვისება სიკეთის ქმნისა. სიკეთეში, როგორც მზის სხივები ლინზაში – იკვეთება და გროვდება ადამიანის ყველა დადებითი თვისება.

***

ერის კულტურის დაკარგვა ყველაზე უწინ ადამიანთა ურთიერთობებში გამოიხატება. უკულტურო ერში ადამიანი აბუჩადაა აგდებული, იქ ადამიანის ფასი უკიდურესად გაუფასურებულია. ერის კულტურული აღმავლობა მაშინ იწყება, როდესაც ჰუმანური პრინციპების დაცვას მოითხოვენ...

***

ძნელია, თუნდაც ერთი დღე აკეთო ის, რაც არ გაინტერესებს და ასევე ძნელია ვერ გამონახო დრო იმის საკეთებლად, რისთვისაც გრძნობ, რომ მოწოდებული ხარ.
თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რასაც გვავალებს საზოგადოება, ის უნდა გააკეთო. გრძნობ, რომ ხანდახან სისულელეა ეს ყოველივე, მაგრამ ამ სისულელეს კეთებაში გაძლევენ პურს შენი არსობისას და რას იზამ?!

***

თავისი ცხოვრების მანძილზე განათლებული ადამიანი უამრავ ინფორმაციას ღებულობს. ყველა ინფორმაციის დამახსოვრება შეუძლებელია. ამ დროს უნდა ეცადო, რაც შეიძლება ტიპიური გამოყო და ჩაიბეჭდო გონებაში. ამგვარად, ადამიანის გონება მაგნიტს ემსგავსება, რომელიც ყოველგვარ ნაგავს კი არ იტაცებს და იკრობს, არამედ მხოლოდ ლითონს გამოარჩევს.

***

ადამიანი თავის წარსულს ვერც ნაჯახით ამოჭრის და ვერც ცეცხლით ამოწვავს; ამიტომ სიყრმიდანვე ისე უნდა იცხოვრო, რომ წარსულმა სინდისის ქეჯნა არ გამოიწვიოს შენში ხანდაზმულობისას.

***

ცოტა არ იყოს შემებრალა სვეტიცხოვლის აღმშენებელი, როცა დავინახე, რომ მის ეზოში რამდენიმე წუთით შესული ამერიკელი ზანგი ქვაზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა

***

შიმშილი ადამიანებს ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს აკარგვინებს; უფრო სწორედ ახალ ზნეობრივ ნორმებს შეუმუშავებს. მდიდარი საზოგადოების ზნეობა განსხვავებულია ღარიბი საზოგადოების ზნეობისაგან.

***

დედალ ინდაურს ამოიჩრიან ხოლმე იღლიაში ქალები და გასწევენ მამალი ინდაურის საძებრად. ბედნიერია ვითომ მამალი ინდაური?

***

ყველაფერს ხასიათი და განწყობილება უნდა; თუ ხასიათზე არა ხარ, რაგინდ კარგი მუსიკა იყოს, ვერ მოისმენ, რაგინდ კარგი ნოველა იყოს, ვერ წაიკითხავ...

***

შეიძლება გუბესთან მდგარი წერო უფრო ლამაზი იყოს, მაგრამ მდინარესთან ან ზღვასთან მდგარი უფრო ლამაზად მოგვეჩვენება.

***

აუცილებელი არაა გმირი გამარჯვებული იყოს. ზოგჯერ დამარცხებული უფრო დიდი გმირია.

***

მშვიდობიანობის დროს ბავშვის ტირილი უფრო გვაწუხებს, ვიდრე ომის დროს – ადამიანის სიკვდილი. ომის დროს ადამიანის სული უხეშდება.

***

მთებზე წითლად თრიმელი ღვიოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა ადამიანს, თითქოს მთებს სისხლი სდისო.

***

ქვა თავის ადგილზეა მძიმე, თორემ წყალში მსუბუქია.

***

ადამიანს უყვარს, როდესაც რამეს ეკითხებიან. ეს მას შემკითხველზე მაღლა აყენებს.
***

ბევრი რამაა ისეთი, რომ ვაკეთებთ, გვსიამოვნებს, გავაკეთებთ და გვზარავს.

***

სისულელეა მგელთან კრავის ენაზე ლაპარაკი.

***

კურდღელი რომ ბაჭიებს დაყრის ხოლმე, შიშველ-ტიტვლებს, თავის ტანიდან იძრობს ბეწვს და მათ აფარებს.

***

ის უფრო ცუდად მოიქცევა, ვინც თევზს მოკლავს, თუ ის, ვინც მას უწყლოდ დატოვებს.

***

საკუთარი ნაწარმოები, ისევე როგორც დედას შვილი, ავტორს არ შეიძლება არ უყვარდეს. თუმცა იგი შეიძლება მთლად უსახურიც იყოს.

***

ფუტკარიც აკეთებს თაფლს, მაგრამ მისი მიზანი ადამიანებისათვის სარგებლობის მოტანა კი არ არის.

***

ამქვეყნად ყველაფერი ცხოვრებისეული შეფარდებითია. რაკეტაში მჯდომ კაცს არავითარ სიამოვნებას არ აყენებს მისი უსწრაფესი ქროლვა, მაგრამ საკმარისია იგივე ადამიანი ავტომანქანაში გადაჯდეს, და ერთ-ორ სხვა მანქანას გაუსწროს, რომ გული სიამაყით აევსება.

***

რადგან გრიპს სერიოზულ ავადმყოფობად არავინ თვლის, იქნებ გრიპით უფრო მეტი ადამიანი მომკვდარა, ვიდრე კიბოთი.

***

ინტერესიანი ადამიანის ტვინი გვალვისაგან გაფიტულ, დამსკდარ მიწასა ჰგავს, უწყლობისაგან ღარები ნაოჭ-ნაოჭ რომ გასჩენია. იგიც ისევე შეისრუტავს დანახულსა და შესმენილს, როგორც ნაგვალევი მიწა - წყალს.

***

მწერლებს, ვისაც პრეტენზია აქვთ, რომ ყველას ესმის მათი, სინამდვილეში ერთმანეთს ვერ აგებინებენ.

***

ადამიანის გონების გახსნილობასა და გემოვნებას იმითაც გაიგებ, თუ როგორი მუსიკა უყვარს.

***

უნაკლო არც საზოგადოება არსებობს და არც სახელმწიფოებრივი წყობა და ხელოვანის მოწოდება ისაა, რომ ეს ნაკლი შენიშნოს და ხალხს მისკენ მიუთითოს.

***

გამუდმებით წიგნის კითხვა იმას ნიშნავს, რომ სულ სხვის ცხოვრებას ადევნო თვალი და საკუთარი კი თითებს შორის გაგეპაროს.

***

ტყუილი შიშის ნაშობია.

***

შრომის სარგებლობაზე არასოდეს არა ყოფილა ამდენი საუბარი, როგორც ახლა და არც არასოდეს ყოფილა ამდენი ქსუვი და პარაზიტი, როგორც ახლა (1977 წლის ჩანაწერი).

***

რევოლუციის დროს ადამიანის გულში დაგუბებულ შურსა და მტრობას სარბიელი მიეცა და მანაც არ დააყოვნა, გადმოხეთქა და წალეკა მრავალი, დამნაშავე თუ უდანაშაულო...

***

ერთგვარი სოკოა, ნაფეტვარას უძახის ხალხი, წვიმის შემდეგ უსწრაფესად მრავლდება, მაგრამ საკმარისია მზეს მოჰკრას თვალი, რომ ... უჩინარდება, ისევ მიწაში ჩადის...

***

ჭეშმარიტი ხელოვნება მამულაშვილების ბაღის ერთ ყვავილსა ჰგავს, რომლის სახელიც არ მახსოვს: წელიწადში ერთხელ, შუაღამით აყვავდება და მხოლოდ იშვიათ, ,,რჩეულთა ამა ქვეყნისათა" აქვთ მისი ხილვის ბედნიერება.

***

ქალი ისეთი ბუნებისაა, რომ არც ერთ შემთხვევას, თვით დედის ან სხვა საყვარელი ადამიანის სიკვდილსაც კი საკუთარი თავის მოსაწონებლად გამოიყენებს.

***

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი თავისდა უნებურად ჰქმნის ტიპს, რომელიც მას ემსგავსება;
შექსპირმა – ჰამლეტი,
ილიამ – ოთარაანთ ქვრივი,
კონსტანტინე გამსახურდიამ – არსაკიძე,
ხორავამ – ოტელო
და სხვა და სხვ.

***

ახტალაში ღვთისმშობლის ტაძარია. შედიხარ ტაძარში და პირდაპირ კედლიდან ღვთისმშობელი შემოგცქერის. ტაძარი X-XII საუკუნეებისაა. ადგილობრივი თავადები, მელიქიშვილებია აქ დაკრძალული. მათი საფლავის ქვები დამსხვრეულია.
ღვთიმშობელს თავდაპირველი თავი მოცილებული აქვს, ალბათ სინესტისაგან. ვიღაც სომეხ მხატვარს თავი მიუხატია, კინოგადაღებისათვის სჭირდებოდათ თურმე. მხატვარი მაინც და მაინც დიდი ოსტატი ვერ ყოფილა თავისი საქმისა, ამიტომ ღვთისმშობლის სახე არც ქართველს ჰგავს და არც სომეხს...

ასე მესახება საქართველოც. მრავალი საუკუნეების განმავლობაში იგი ხან ბიზანტიის დაქვემდებარებაში იყო, ხან მონღოლების, ხანაც ირანის თუ თურქეთის. ყოველივე ამან თავისი დაღი დაამჩნია მას და წმინდა სახე შეუბღალეს – ყველამ თავისი ბინძური ტორის შეხება დაამჩნია მის ნათელ შუბლს. ახლა საქართველო ამ ღვთისმშობლის ფრესკას დამსგავსებია, რომელსაც ვერ გაუგებ, ვისი სახე აქვს.

***

სახეივნე ვაზია ერთგვარი – თუ რიგში ჩარგავ და საჭირო სიმაღლეზე არ აუშვებ, - არ დაისხამს.

***

კარგი შედარებაა: ბავშვის თავის ხელა მტევნები მოისხაო ვაზმა.

***

რა ძნელია პატარა ერის შვილობა. ყოველთვის ის აზრები უნდა მიიღო და ის იდეოლოგია იწამო, რომელიც დიდ ერებს მიუღიათ. საწყალი საქართველო! ცეცხლთაყვანისცემა სპარსეთმა მოახვია თავს, ქრისტიანობა – ბერძნებმა, ხოლო კომუნიზმი – რუსეთმა და ეს მაშინ, როცა არც ერთი და არც მეორე მას ჭკუაში არ მოსდის.
P.S. ეს 1977 წლის ჩანაწერია, ახლა შეიძლება ამას დემოკრატია დამატებოდა...

***

რა უკუღმართია საქართველოს ისტორია! როდესაც ბერძნები უდიდეს ლიტერატურას ჰქმნიდნენ, ჩვენ წერა არ ვიცოდით, როცა სპარსეთში ხელოვნების ბრწყინვნალე ძეგლები იქმნებოდა, მაშინ მივეკედლეთ ბნელში მობორიალე ბიზანტიას. ახალ დროში რუსეთმა ჩაკეტა ჩვენი გზა ცივილიზებული მსოფლიოსაკენ. როდემდე გაგრძელდება ნეტა ასე?...

***

განსხვავებით მდიდარი ოჯახებისაგან, ღარიბ ოჯახში ბავშვის ღირსება იმით განიზომება, თუ რამდენად შეუძლია მას მომავალში მშობლის უბადრუკი არსებობა შეამსუბუქოს. მთელი მისი ადამიანური ღირსებები ამ განზომილებაზე დაიყვანება.

***

ერთგვარი მცენარეა – ლიქენი ანუ ხავსურა (რუსულად - лишай), რომელიც მხოლოდ უაღრესად სუფთა გარემოში ხარობს. ეს მცენარე, მაგალითად, ინგლისში მხოლოდ ორ საგრაფოშია შემორჩენილი – დარტმუნდში და ადრიანოვის ცენტრალურ ნაწილში. სწორედ მას უნდა ჰგავდეს დღეს ხელოვანი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მართალია იგი ყველაზე უწინ უნდა გრძნობდეს საზოგადოებრივ ჭუჭყსა და სიბინძურეს, მაგრამ თავს კი არ უნდა არიდებდეს მას, არამედ მასზე უნდა მიუთითებდეს თავის თანამემამულეებს.

***

რა ბედისწერაა! თბილისში მხოლოდ ორ საგანზე ლაპარაკობს ხალხი – ბინების განაწილებასა და ფეხბურთის მატჩებზე (1977 წლის ჩანაწერი).
ასეთ ატმოსფეროში თუ შეიძლება რაიმე ღირსეული შეიქმნას? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ პლატონი და არისტოტელე დაბადებულიყვნენ ათენში (საერთოდ, საბერძნეთში), აქ რომ ათობით ფილოსოფიურ სკოლას არ ეარსება და გაცხარებული სჯა-ბაასი არ ყოფილიყო ჭეშმარიტების მისაკვლევად?

***

ისტორიის მანძილზე ადამიანებს ყოველთვის ჰყავდათ ღმერთები. ადამიანები სუსტები არიან და ღმერთებს იმიტომაც იგონებენ, რომ მათი შემწეობის იმედი ჰქოდეთ ბუნების

ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა ღმერთები მოვსპეთ, ხატები დავამხეთ, გავძლებთ კი მათ გარეშე?!

***

დამარცხებულსა და დამორჩილებულ ქვეყანაში ყველაზე მეტად პატიოსანი ადამიანი იჩაგრება. სამშობლოს ბედისადმი ინდიფერანტულად განწყობილი კი ადვილად ეგუება მდგომარეობას; ისინი ახერხებენ იმლიქვნელონ, ამყოლს აყვნენ, დამყოლს დაყვნენ, მოკლედ იცხოვრონ პრინციპით - ,,სახლი რომ გეწვოდეს, ხელი მოითბეო", რასაც კეთილშობილი ადამიანები ვერ ახერხებენ.

***

,,ძველი აღთქმის" შემდგენლები ბრძენი ხალხი იყო. მათ მოიგონეს ლამაზი სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი ერთი ოჯახიდან ვართ, ერთი სისხლის და ხორცის, რის გამოც ჩვენ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. გვიყვარს კი?

***

აწყმოში რომ ყველაფერი იდეალურად მოვიწყოთ, ქვეყნიერებაზე მუდმივი მშვიდობა თუნდაც იმიტომ არ დამყარდება, რომ ადამიანი უკვე სიყრმისას ეცნობა ისტორიას და ღვარძლით და შურისძიებით ივსება თავისი სამშობლოს მეზობელი ქვეყნებისადმი, რომლის მკვიდრთა მიმართაც მის წინაპრებს არ შეიძლება საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ მშვიდობა და სიყვარული ჰქონოდათ.

***

არ მახსოვს, რამდენი წლის წინათ, გურჯაანში, კურორტ ახტალის ეზოში, შემოდგომით გავიარე. ლამაზი ბაღი და ეზო აქვს კურორტს. უცებ რაღაც უცნაური ხმები შემომესმა, შრიალს ვერ დაარქმევ, რადგან შრიალზე წვრილი ხმები იყო და უფრო სწრაფი. თურმე იქვე მომცრო ხე იდგა რცხილისა და მას სცვიოდა ფოთლები. ხის ძირას შევდექი და ვუსმენდი ფოთოლთცვენას. ფოთლები გამხმარი იყო და დამრგვალებული, ჩამოცვენისას ერთმანეთსა და ტოტებს ეჯახებოდა და ეს მათ გაჰქონდათ ასეთი ჩხრიალი. ცხოვრების ასეთი წუთები ადამიანს რატომღაც ძალზე დიდხანს ამახსოვრდება.

***

არა მარტო დღეს, ატომისა და ნეიტრონული ბომბების ეპოქაში, არამედ ყოველთვის ჰქონდა ადამიანს საშუალება მოესპო სიცოცხლე დედამიწაზე. და თუ ეს აქამდე ასე არ მოხდა, ეს სიცოცხლის მასობრივი განადგურების საშუალებების უქონლობით კი არ აიხსნება, არამედ ადამიანის ჰუმანიზმის ძლევამოსილებით. დღემდე იმარჯვებდა ჰუმანური ადამიანი და ვნახოთ მომავალში.

***

ორი ჭადარი

ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო
შემოხვეულო მსუბუქ ბლონდებით,
არ ვიცი, ახლა რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით.

გალაკტიონი

თელავში, ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს დგას ერთი უზარმაზარი ჭადარი. დგას ჭადარი ამაღლებულ ადგილზე და ამაყად გადაჰყურებსალაზნის ველს. ყოველმა თელაველმა იცის ამ ჭადრის ბიოგრაფია. იქვე, ჭადრის სიახლოვეს, კედელზე, გაკრულია მარმარილოს დაფა და გვაუწყებს, რომ თურმე ხე 800 წლის ყოფილა, ხოლო მისი გარშემოწერილობა ამდენი და ამდენი მეტრიო. თითოეულმა თელაველმა, თუნდაც რომ

არ იცოდეს, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა რუსთაველი, იცის, რომ ჭადარი რუსთაველის ეპოწისაა. იცის აგრეთვე, რომ ჭადრის ქვეშ იმართებოდა სახალხო დღესასწაული, ილიაობა. იცის ისიც, რომ ერთხელ ილიაობაზე სტუმრად მოწვეულმა აკაკიმ ისეთი ტკბილი და ჭკვიანური სიტყვა თქვა, რომ ,,ილიაობა" ,,აკაკიობად", ანუ დიდი პოეტის საპატივსაცემო დღესასწაულად იქცა.
და ბოლოს, ჭადრის უკიდეგანო მერქანზე მთელი ,,ქარლის ცხოვრებაა" ამოტვიფრული. რამდენ ,,გმირს" არ შეხვდებით აქ, რომელთა სახელებიც თავად ამ ,,გმირებს" საგანგებოდ ამოუტვიფრავთ:,,დათო", ,,გივი", ,,ელზა+ოთარი=ნაშებს" და ა. შ.
თელავში ჩასული სტუმრები თუ ტურისტები, მეფე ერეკლეს სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, ჭადართან მიჰყავთ და აცნობენ ამ სახელგანთქმული ხის ბიოგრაფიას.
დგას ჭადარი ამაღლებულ ადგილზე და ამაყად გადაჰყურებს ალაზნის ველს.

ამ ჭადრისაგან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ალაზნის ნაპირას დგას მეორე, ასევე მხცოვანი ჭადარი, მაღალი და უშველებელი. გაცილებით უფრო ხნიერი თავის ისტორიულ მეზობელზე. თუ რვა კაცია საჭირო, რომ თელავში მდგომ ჭადარს ხელი შემოხვიონ, ალაზნის პირად მდგარი ჭადარი ისეთი განიერია, თორმეტი კაციც ვერ ეყოფა ამისათვის. არავითარი დაფა არ ამშვენებს ამ ჭადარს, სამაგიეროდ ვერც რაიმე ნაჩხაპნს ნახავთ მის ზურგზე, მოცლილი ,,უკვდავების" მოყვარულთა მიერ ნაოსტატარს. არც ,,ილიაობა" გამართულა მისი ჩრდილის ქვეშ და არც ,,აკაკიობა", არც ტურისტი მოჰყავთ მის სანახავად და არც ქალაქის სტუმარი ვინმე. ზაფხულის პაპანაქება სიცხეშითუ ესტუმრებიან ჭადარს მწყემსები, მეძროხეები, მეღორეები, დაჰყრიან საქონელს მისი ჩრდილის ქვეშ, ამოალაგებენ თავთავიანთ საგზალს და დანაყრდებიან. შემდეგ წამოწვებიან და წაუძინებენ. სამხრობისას, იმ დროს, როდესაც მზე ჩასასვლელად მიიწევს, წამოყრიან თავის საქონელს და გარეკავენ საძოვრად.
დგას ჭადარი ალაზნის პირად და ირონიული ღიმილით გაჰყურებს 800 წლის ამაყად გადმომზირალ თავის ისტორიულ მეზობელს.

აი, ისტორია

თავის კაპიტალურ ნაშრომს „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ ივანე ჯავახიშვილმა ძველი ქართველი მოაზროვნის არსენი ამარტოლის სიტყვები წაუმძღვარა: „დიდ არს ძალი სიყვარულისაი, რომელ მორჩილ ჰყოფს შეკადრებად შეუკადრებელსაცა“.

***

ქართულ ენას ი. გოგებაშვილი ადარებდა „მშვენიერ ფოლადის სახნისს, რომელიც უგუნურ პატრონს კუნჭულში მიუგდია“.

***

ნაპოლეონი მეფის სასახლეში არ შეჭრილა. „გავყვეთ ამ ნაძირალებს! ” უთხრა მან თავის თანამგზავრს, როდესაც მეფის სასახლისაკენ მიმავალი ხალხი დაინახა. შეხედა რა, რომ ამ მრისხანე დემონსტრაციით დამფრთხალი ლუი XVI ფანჯარასთან მივიდა და ხალხს თავი დაუკრა, ნაპოლეონმა ზიზღით წარმოთქვა:
„რა მხდალი ყოფილა! ერთი 500-600 კაცი ფინთიხით უნდა მიეწვინა და დანარჩენები თვითონ გაიქცეოდნენ". რევოლუციონერებს იგი „ბინძურ ბრბოს" უწოდებდა. ნაპოლეონს პირდაპირი ლაპარაკი უყვარდა. „მუშებისათვის კარგი არაფერი გამიკეთებია და რატომ უნდა ვუყვარდე მათ – ღატაკნი დამხვდნენ და ღატაკებად ვტოვებ" – თქვა მან.
ჯარმა თავისი თავი თვითონ უნდა გამოკვებოს" - ამბობდა იგი და მართლაც, დამარცხებული ქვეყნები ინახავდნენ მის ჯარს.

72 გაზეთიდან მან მხოლოდ ოთხი დატოვა, დანარჩენები აკრძალა. დააწესა მკაცრი ცენზურა.

***

ინგლისი რომ დაემარცხებინა, **ნაპოლეონმა** რუსეთს შეუტია. აქედან აპირებდა იგი ინდოეთში – ინგლისის კოლონიაში გალაშქრებას. ერთ–ერთ მეგობარს იგი ეუბნებოდა:
„წარმოიდგინეთ, რომ მოსკოვი ავიღეთ, რუსეთი დავიმორჩილეთ. მითხარით ერთი, მაშინ ფრანგთა ჯარები განა ვერ მიაღწევენ განგის ნაპირებს? ხოლო საკმარისია განგს ფრანგული დაშნა შეეხოს, რომ დაინგრეს ინგლისის სიდიადის შენობა”.

***

ბრუნო ბაუერის აზრით, ისტორია წარმოადგენს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანთა მოქმედების ასპარეზს. ადამიანთა მასა საშუალებას წარმოადგენს მხოლოდ.

***

ისტორია წააგავს ბიბლიას, მასში ყველა იმას ხედავს, რაც თავად სურს...

***

პეტრე პირველამდე რუსეთში მხატვრობა არ არსებობდა. მანამდე მხოლოდ ეკლესიებს ხატავდნენ. პირველად პეტრე დიდმა მოიწვია უცხოელი მხატვრები თავის კარზე.

***

პეტრე პირველმა საფრანგეთში მოძებნა ხუროთმოძღვარი, რომელიც ვერსალის შადრევნების ავტორი იყო. მან ხუროთმოძღვარი მენშჩიკოვს გამოუგზავნა და თან მისწერა: „ფულს ნუ დაზოგავთ, რათა ჩვენი ვერსალი უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე პარიზში”. ამგვარად დაარსდა პეტერგოფი.

***

ბავშვობისას მეგონა ხოლმე, რომ ქარის დროს ხეები რომ ირხეოდნენ, ამით იყო გამოწვეული ქარი.

***

წმინდა ჟენევიევა – შუა საუკუნეების ფრანგული ლეგენდის პერსონაჟი, რომელმაც პარიზი ნორმანების შემოსევებისაგან დაიცვა, პარიზის მფარველად ითვლება.

მექსიკის მეფის ანდერძიდან:

დედამიწაზე ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და ყველაზე დიდებულნი და ბედნიერნიც ეცემიან. მთელი ჩვენი სამყარო ერთი უდიდესი სამარეა და არაფერია ისეთი მის ზედაპირზე, რომ არ დაიფაროს მიწისქვეშა სამარეში. წყლები, მდინარეები და ნაკადულები მიისწრაფიან თავიანთი დანიშნულებისაკენ და არ უბრუნდებიან თავიანთ ბედნიერ წყაროს. ყველანი წინ მიისწრაფიან, რათა დაიმარხონ უსასრულო ოკეანის სიღრმეში.
ის, რაც იყო გუშინ, უკვე აღარ არის. და ის, რაც არის ახლა, ხვალე უკვე აღარ იქნება. სასაფლაოები სავსეა მათი ნეშტით, რომლებიც ოდესღაც სიცოცხლით სავსენი იყვნენ, მეფობდნენ, მართავდნენ ხალხის მასებს, ხელმძღვანელობდნენ ჯარებს, იპყრობდნენ ახალ-ახალ ქვეყნებს, მედიდურობდნენ და ითხოვდნენ მათდამი პატივისცემას.
მაგრამ დიდება წავიდა, როგორც ვულკანიდან გამოსული შავი ბოლი, და არ დაუტოვებია არაფერი, გარდა მოხსენიებისა ისტორიის ფურცლებზე.

დიადნი, ბრძენნი, გულადნი, მშვენიერნი – სად არიან ახლა? ყველა ისინი თიხაში არეულან და ის, რაც მათ შეემთხვათ, შეგვემთხვევა ჩვენც, შეემთხვევათ მათაც, რომლებიც მოვლენ ჩვენს შემდეგ.
მაგრამ გამაგრდით თქვენ ყველა – ცნობილი მეთაურებიც, ჭეშმარიტი მეგობრებიც და ერთგული ხელქვეითებიც – უნდა ვესწრაფოთ იმ ცისაკენ, სადაც ყველაფერი სამარადჟამოა და არ არსებობს არც ლპობა და არც განადგურება.
სიბნელე - მზის აკვანია და ვარსკვლავთა ბრწყინვისათვის აუცილებელია ღამეთა წყვდიადი. **ტასკუკო ნეზაგუალ კონოტლი** (დაახლოებით 1460 წელი ჩვენს წ. აღრ-მდე)

პოლიტიკის ლაბირინთებში

დესპოტურ სახელმწიფოში არ არსებობს სამშობლოს მცნება; აქ მას სხვა მცნებები სცვლიან - ანგარება, დიდება, მონარქისადმი სამსახური. ***ლაბრუერი***

***

რომელი მდგომარეობა მიგაჩნიათ თქვენ ყველაზე სასიამოვნო და თავისუფალ მდგომარეობად: ცხვრებისა თუ მეცხვარის? ფარა არსებობს მეცხვარისათვის თუ მეცხვარე ფარისათვის? აი, მარტივი გამოხატულება ხალხისა და ხელმწიფის, ვინც მას მართავს, ურთიერთობის, თუკი იგი კეთილი ხელმწიფეა. ***ლაბრუერი***

***

ყველა პოლიტიკოსი თანხმდება იმაში, რომ თუ ხალხი გადამეტებულ კეთილდღეობაში იმყოფება, ვალდებულებების ჩარჩოებში მას ვეღარ დაიმაგრებ. ეს შეხედულება ეფუძვნება იმას, რომ ხალხი, რომელსაც აქვს გაცილებით ნაკლები ცოდნა, ვიდრე სახელმწიფოს სხვა ფენებს, გაცილებით უკეთ აღზრდილებსა და განათლებულებს, საეჭვოა, რომ დარჩეს იმ წესრიგისა და კანონების ერთგული, რომელიც მისთვის არის შექმნილი, თუკი ამას გარკვეული დონით გაჭირვება არ აიძულებს.
გონიერება არ გვრთავს იმის ნებას, რომ ხალხი გათავისუფლდეს გაჭირვებისაგან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი დაკარგავდა თავისი დაქვემდებარების ნიშანს, დაივიწყებდა თავისი ხვედრის შესახებ და ბეგარისაგან გათავისუფლებულს ეგონებოდა, რომ მორჩილებისგანაც თავისუფალია.
იგი შეიძლება შედარდეს ჯორს, რომელიც ჯაფასაა შეჩვეული, და რომელიც დიდი ხნის მანძილზე დასვენებისაგან უფრო ფუჭდება, ვიდრე მუშაობისაგან.
ამასთან, მე ვიცი ბევრი ხელმწიფე, რომელთაც დაკარგეს თავიანთი სახელმწიფო და ქვეშევრდომები მათ შესანარჩუნებლად აუცილებელი ჯარის უყოლობის გამო. ჯარს კი ისინი არ ინახავდნენ იმიტომ, რომ ეშინოდათ მეტისმეტად არ დაემძიმებინათ ქვეშევრდომები ბეგარით. ისიც ვიცი, რომ ზოგიერთი ქვეშევრდომი მტერს იმიტომ უვარდებოდა ხელთ, რომ მეტისმეტად სურდა თავისუფლება მათი ნამდვილი მონარქის ხელში. არის გარკვეული საზღვარი, რომელიც არ შეიძლება გადაილახოს ისე, თუ არ იქნა ჩადენილი უსამართლობა, რამეთუ ჯანსაღი აზრი გვკარნახობს, რომ აუცილებელია დაცული იყოს შესაბამისობა სიმძიმესა და იმ ძალას შორის, რომელიც მას ეწევა. ***კარდინალი რიშელიე***

***

კუნძულ ელბიდან გამოქცეული ნაპოლეონი ვიდრე პარიზში შემოვიდოდა, მის მიერ გავლილ ყოველ მილთან ერთად, გაზეთების ტონი ამგვარად იცვლებოდა: „ურჩხულმა თავისუფლება მოიპოვა“, „მაჯლაჯუნა კანშია“, „ტირანი ლიონშია“, უზურპატორი სამოცი საათის სავალზეა დედაქალაქიდან“, „ბონაპარტი მოდის ფორსირებული მარშით“, „მისი უდიდებულესობა ფონტენებლოშია“.

***
მეფეების დროს სხვებს ეომებიან, რესპუბლიკის დროს კი ერთმანეთს ებრძვიან. ***მოპასანი***

***
პლატონი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მიისწრაფოდნენ გამხდარიყვნენ ქვეყნის მმართველნი, ასე არიგებდა: „მე კი მინდოდა საკუთარი თავის მართვა გესწავლათ, ვიდრე ქვეყნის მართვას მიჰყოფდით ხელს".

***
დიდი პიროვნებები უსინდისობის ჩადენით სულმდაბლებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ ისინი უსინდისობას ჩადიან ფარულად და მხოლოდ სიქველეს ამზეურებენ. ***ბალზაკი***

***
ვისაც მეტი დაპირება შეუძლია, გამარჯვებაც მას დარჩება. ***ბისმარკი***

***
ნუთუ ეს არის ყველაფერი? – იკითხა დიდების ზენიტს ასულმა ***იულიუს კეისარმა***

***
ზღვისა და ხმელეთის მპყრობელ სოლომონს უთქვამს: მთელი ქვეყნის მფლობელი ვიყავ და ჩემთან მოსულ ადამიანს მაინც ხელებში შევყურებდი, – აბა, რა ძღვენი მომართვაო.

***
ხმები კი არ უნდა დაითვალონ, უნდა აწონონ. ***შილერი***

***
იმდენად ჰყავდა ლუი XIV-ს ხალხი დამონებული, რომ ეს უკანასკნელი მისი ხოტბის შესხმის მეტს არაფერს აკეთებდა და ისიც კი, თუ რა სიმაღლის იყო მეფე, გაზვიადებულად ჰქონდათ წარმოდგენილი. აქ გამოდგება იუვენალის გამონათქვამი ,,მხოლოდ სიკვდილს შეუძლია გამოამჟღავნოს, თუ რა პატარაა ადამიანთა სხეული".
***
სპარსელ ბრძენს უთქვამს: ,,ჭეშმარიტი თავისუფლება იმას ჰქვია, რომ მე ჩემი სურვილის გარეშე ბორკილიც არ შემხსნანო".

***
არ არის სახელმწიფოში არაფერი უფრო საპატიო, ვიდრე წესრიგი, ხოლო ამისათვის საჭიროა ხელისუფლების სუბორდინაცია და მყარი იერარქია. ***სენ სიმონი უფროსი***

***
ცნობილ რეფორმატორ ***კალვინს*** ,,ბრალდებით ბრუნვას" უწოდებდნენ, ვინაიდან იგი მეგობრებში ნაკლს ეძებდა და თავს ესხმოდა მათ ამისათვის.

***
მე ვერ ავიტან ვერც ერთ სახელმწიფოს, სადაც არ უნდა იყოს იგი, რომ მეწარმე განაგებდესო. ***ეკატერინე 11***

***
ომი არის გარკვეული პოლიტიკის გაგრძელება. ***კლაუზენი***

***

სოკრატე არიგებდა კარიერისტებს – მე კი ვისურვებდი, ჯერ საკუთარი თავის მართვა გესწავლათ, ვიდრე ქვეყნის მართვას მიჰყოფდით ხელსო.

***

როდესაც ნაპოლეონი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, მან თავის გეოგრაფიის რვეულში, ბოლოში ჩაწერა: „წმინდა ელენ – პატარა კუნძული". ეს, შეიძლება სულაც, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, უბრალო შემთხვევითობა იყო, მაგრამ ეჭვი არაა, რომ მასში ეს კუნძული თავიდანვე შიშს იწვევდა. ***აკუტაგავა***

***

ნიკოლო მაკიაველს ეკუთვნის გამოთქმა: თუ გსურს დაამდაბლო შენს მიერ დაქვემდებარებული მცირერიცხოვანი ერი, მხარი დაუჭირე კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ერის პრეტენზიებს ამ ერის წინააღმდეგ.

რომის დაპყრობითი ომების გამართლებას თავისი ტრადიცია ჰქონდა. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ჩვენ საუკუნემდე მეორე საუკუნიდან იწყება. რომაელი ისტორიკოსები და ორატორები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ რომი არ ახორციელებს დაპყრობით ომებს და უცხო მიწებზე წინ მიიწევს ან მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის „თხოვნით", ანდა იცავს თავის მეგობრებს.

„ჩვენმა ხალხმა – ამტკიცებდა ციცერონი თავის ტრაქტატში „სახელმწიფოს შესახებ" – თავისი მოკავშირეების დასაცავად დაიპყრო ყველა მიწა. პროვინციებზე გაბატონების კანონიერება დაფუძნებული იყო იმაზე, რომ „ასეთი ხალხისათვის მონობა სასარგებლოა".

***

„გააკეთე, რაც გინდა და გამოჩნდებიან პროფესორები, რომლებიც ამას გაამართლებენ." ***ბისმარკი***

***

ბრაჰამ ინცოლნ ის სუპპოსედ ტო ჰავე საიდ ტჰატ ყოუ ცან ფოოლ ალლ ტჰე პეოპლე სომე ოფ ტჰე ტიმე ანდ სომე ოფ ტჰე პეოპლე ალლ ტჰე ტიმე ანდ, ბუტ ყოუ ცანნოტ ფოოლ ალლ ტჰე პეოპლე ალლ ტჰე ტიმე. ***აბრაჰამ ლინკოლნს*** ეკუთვნის გამოთქმა: თქვენ შეგიძლიათ მოატყუოთ ყველა ადამიანი მცირე ხნით, ადამიანების გარკვეული ნაწილი მცირე ხნით, მაგრამ ყველას და ყოველთვის ვერ მოატყუებთ.

***

ვინა თქვა ეს: რევოლუციურ იდეებს გამოთქვამენ მეოცნებენი, რევოლუციას ახდენენ ფანატიკოსები, ხოლო რევოლუციის ნაყოფს იმკიან ვიგინდარებიო? – ***ჟან ჟაკ რუსსომ?***

***

მარკიზ დე კიუსტენი ასე ახასიათებს რუსეთის იმპერიის საბაჟო უწყების მოხელეებს:

ამდენ წვრილმან სიფრთხილეს, რომელიც აქ ალბათ აუცილებლად მიაჩნიათ (იგი გულისხმობს რუსეთის იმპერიას, და მის მებაჟეებს, მაგრამ როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირშიც ამ მხრივ ბევრი არაფერი იყო შეცვლილი. ამასთან დაკავშირებით წაიკითხე რ. თაბუკაშვილის მიერ მ. თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება, აღწერილი მოთხრობის სახით რ. მიშველაძის მიერ „ცისკარში") და რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით, აშკარად მოწმობს იმას, რომ ჩვენ შევდივართ მხოლოდ შიშით მოცულ იმპერიაში, ხოლო შიში კი განუყრელია მწუხარებასთან".

***
ერთს, პოლონეთში საბჭოთა კავშირიდან ჩასულს, უთხრეს – რა ბედნიერები ხართ, რომ არ იცით, რა უბედურები ხართო.

***
ერთ ებრაელს შეეკითხნენ – იცი, რომ მიდიხარ, სად მიდიხარო?
მან უპასუხა: ის ხომ ვიცი, საიდანაც მივდივარო.

***
ბიხოვსკის შეეკითხნენ – რამდენი პატიმარია სსრკ-ში?
– 250 მილიონიო ... იყო პასუხი

***
მარკიზ დე კიუსტინი თავის „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი" წერს: ... მე მხოლოდ რამოდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომელშიაც (კიუსტენი აძაგებს რუსის ქალებს) შეერთებული იყო სილამაზე და გრაციაც. ეს მნათობნი ბრწყინავენ ჩრდილოეთის ქალთა შორის, როგორც ვარსკვლავები სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე. სეფექალების ტანისამოსის ფორმას, გრძელი სახელოებითა და ბოლოებით რამდენადმე აღმოსავლეთის ხასიათი აქვთ და მთელი სასახლის ქალთა წრეს დიდებულ იერს აძლევს.

***
ფრიდრიხ პრუსიელმა თქვა სიკვდილის წინ: დავიღალეო მონების მართვით. ილიას თურმე უთქვამს ასევე სიკვდილის წინ: რასაც ვებრძოდი ბრძოლად არ ღირდაო. ჟან პოლ მარატს უთქვამს სიკვდილის წინ: მე დავიღალე ქიმერებთან ბრძოლითო.

***
რომელიღაც ***გერმანელ მეფეს*** უთქვამს: „იქ, სადაც სურთ ჰყავდეთ მონები, საჭიროა უფრო მეტი მუსიკა ითხზვებოდესო".

***
ფრიდრიხ ენგელსი 1848 წელს თავის „демократический панславизм"-ში წერდა: ყველა სლავისტისათვის (აქ იგი გულისხმობს ყველა სლავ ხალხს, გარდა პოლონელებისა. ამ უკანასკნელთ იგი ანტისლავისტებად თვლის, რადგანაც მათ თავისივე ძმები ავიწროვებენ) ნაციონალიზმი, ანუ ფანტასტიური საერთოსლავური ნაციონალურობა, ყოველგვარ რევოლუციაზე მაღლა დგას. პანსლავისტები თანახმანი არიან მიეკედლონ რევოლუციას იმ პირობით, თუკი მათ ნება მიეცემათ გაერთიანდნენ ყველა სლავთა, გამონაკლისს გარეშე, დამოუკიდებელ სლავურ სახელმწიფოში, არსებითი მატერიალური მოთხოვნისათვის ანგარიშის გაუწევლად.

რუსები ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ, რომ ქართველები რუსული კულტურის გარდა სხვა კულტურას ზიარებოდნენ.
ასე მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ დარჩენილი კათოლიკე სარწმუნოების გამავრცელებელი კაპუცინები, აქ შემოდის ექიმი ძმა ივანე კარლო კაპუცინი. უწინ საქართველოს მეფეებს უხაროდათ ხოლმე ასეთი განათლებული პირების შემოსვლა ქვეყნად. ეს იცოდა კაპუცინების მეთაურმა და გენერალ კრონინგს სიხარულით აუწყა ეს ამბავი. გენერალმა მის სიხარულს წყალი გადაასხა და წყრომით უთხრა – ამას იქით აღარ შეიძლება ევროპიდან მისიონერების მოსვლაო. რუსები ხომ, გარდა თავიანთი

აღმსარებლობისა, სხვა ყველა დანარჩენ სარწმუნოებას კრძალავდნენ (იხ. მ. თამარაშვილის „კათოლიკობის ისტორია").
დღესაც ხომ იგივე მეორდება (ეს ჩანაწერი ეკუთვნის 1979 წელს). რუსთაველის თეატრის კოლექტივმა მიმდინარე წელს გასტროლებზე მოხიბლა ლონდონელი მაყურებელი თავისი „რიჩარდ 111-ით". ხელმეორედ მიიწვიეს ისინი ლონდონს. ამბობენ, რომ სსრკ-ის მთავრობა არ უშვებს მათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თურმე ერთი და იგივე წელს საზღვარგარეთ ორჯერ გასვლა არ შეიძლებაო. შემდეგ თურმე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატ ე. შევარდნაძეს დაურეკავს მოსკოვში და მაშინღა დათანხმებულან. მოკლედ, „დანია ციხეა", შექსპირისა არ იყოს. დიდხანს უნდა ვიჯდეთ ასეთ ციხეში?

***

დამარცხებული გიოცი კვდება და ამბობს: დგება დრო სიცრუისა, თვალთმაქცობისა, რომელსაც სრული თავისუფლება მიეცემა. არამზადები დაიწყებენ ქვეყნის მართვას მზაკვრული ხერხებით, პატიოსანნი კი მის ბადეში გაებმებიან. ***გოეთე***
ნიურბერგის პროცესზე არ ვიცი გერინგი თუ სხვა რომელიღაც ჰიტლერელი ოფიცერი მეორეს ამხნევებდა – მოიგონე გიოც ფონ ბერლინხინგერიო. ალბათ ამ გამოთქმას გულისხმობდა.

***

კარლ IX-ს უთქვამს თურმე, პოეტები და ცხენები არასოდეს არ უნდა ამყოფო მშივრები, თუმცა არც არასოდეს არ უნდა გააძღოო.

***

დეკაბრისტების ზოგი წარმომადგენელი დარწმუნებული იყო, რომ მათი მოძრაობა გამარჯვებით ვერ დასრულდებოდა. ერთი მათგანი, ვგონებ რილეევი, ასე წერდა კიდეც, მართალია ჩვენ დავმარცხდებით, მაგრამ ეს საჭიროა მომავალი თაობებისათვისო.

***

ლათინური ანდაზაა – არცოდნა საბუთი არ არისო.

***

რაც უფრო მეტად ვებმები პოლიტიკაში, მით უფრო ნაკლებ მჯერა ადამიანურობისაო. ***ბისმარკი***

***

სამართალი კი არ უნდა შეესაბამოს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკა – სამართალს. ყოველმა პოლიტიკოსმა მუხლი უნდა მოიყაროს სამართლის წინაშე. ***ემანუელ კანტი***

***

ვოლტერი წერს, რომის ერთადერთი ნიჭი მსოფლიოს დაპყრობა იყოო. რომს, მე ვფიქრობ, სხვა ნიჭიც ჰქონდა მაგალითად, რომაული სამართალი, მაგრამ აი, რუსეთს კი, – რა მოგახსენო ...

***

მეფეები ჭკვიან კაცს თავის გვერდით ვერ ითმენენო.

***

მმართველი, რომელიც შეეცდება თავისი ხელქვეითნი კარგ ადამიანებად აქციოს, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა გახდეს ასეთი. ეს აუცილებელია, რათა იგი არ დაემგვანოს იმ უცნაურ ადამიანს, რომელიც შეეცადა გაესწორებინა დაგრეხილი ჩრდილი, ნაცვლად ნივთისა, რომელიც გამოსცემს ამ ჩრდილს.

***
როდესაც ასი ადამიანიდან ერთი ბატონობს 99–ზე, ეს უსამართლობაა, ეს დესპოტოზმია. როდესაც 10 ბატონობს 90–ზე, ესეც უსამართლობაა, ეს ოლიგარქიაა; ხოლო როდესაც 51 ბატონობს 49–ზე (ეს მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაში შეიძლება მოხდეს, რეალობაში კვლავ 10 ან 11 ბატონობს იმ 51–დან), ეს ნამდვილად სამართლიანია, ეს თავისუფლებაა.
განა შეიძლება რაიმე იყოს უფრო უაზრობა, ვიდრე ამგვარი ლოგიკა? არადა, სწორედ იგი უდევს საფუძვლად ყველა „სახელმწიფო წეს-წყობილების გაუმჯობესების" მოსურნის მსჯელობას ამ საკითხზე. **ტოლსტოი**

***
ხალხი მომწიფდა რესპუბლიკისათვის, დაე, ჰქონდეს მას რესპუბლიკა. **ვიქტორ ჰიუგო**

***
პოლონელი მწერალი ალექსანდრე კრავჩუკი, რომლის წიგნი „კლეოპატრა" ვთარგნე და დავბეჭდე ჟურნალ „საუნჯეში". თავის სხვა წიგნში „პტოლემეების მზის ჩასვენება", კლეოპატრას მამის, პტოლომეუს XII შესახებ წერს: „რომაელები მას ტიპიურ აღმოსავლეთელ დესპოტად თვლიდნენ: მშიშარა ძლიერების წინაშე, ტირანი დაუცველთა მიმართ".

***
ის, ვინც ტირანის სახლში შედის, იქცევა მონად, თუმცა აქ იგი თავისუფალი მოვიდა. **სოფოკლე**

***
სპინოზა ამბობს **მაკიაველის** შესახებ, **იგი** ცდილობდაო ეჩვენებინა, თუ რამდენად უგუნურად იქცევიან მრავალნი, როდესაც ცდილობენ გადააყენონ ტირანი, მაშინ, როდესაც არ ძალუძთ მოსპონ ის მიზეზები, რომელთა შედეგადაც თავადი ტირანად იქცევა.

***
ამერიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი შემქნელი, **თომას ჯეფერსონი** კონსტიტუციის მუხლების ცვლილებების შესახებ წერდა 1816 წელს: „მე პრინციპულად ვეწინააღმდეგები კონსტიტუციისა და კანონების ხშირსა და შეუმოწმებელ ცვლილებებს. მე ვფიქრობ, რომ სჯობს შევურიგდეთ ცალკეულ ნაკლოვანებებს... ამასთან, კარგად ვიცი, რომ კანონები და სახელმწიფო ინსტიტუტები ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდნენ საზოგადოებრივი აზრის პროგრესს".

***
განა ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი იდეალისაკენ არ უნდა ვესწრაფოდეთ, რომლის დროსაც თანამდებობრივ კიბის საფეხურებზე დაწინაურება კი არ უნდა გვხიბლავდეს, არამედ უნდა გვაშინებდეს? **რასკინი**

***
თუ სახელმწიფო იმართება გონიერ საწყისებზე დაყრდნობით, მაშინ უნდა გვრცხვენოდეს ამ სახელმწიფოში ღატაკების არსებობის; თუ სახელმწიფო არ იმართება გონიერ საწყისებზე დაყრდნობით, მაშინ უნდა გვრცხვენოდეს სიმდიდრის და ჯილდოებისა. **ჩინური**

***
ჭეშმარიტების ენა მარტივია. **სენეკა**

***

შეიძლება ადამიანმა ათასჯერ მოინანიოს ის, რაც თქვა, მაგრამ ალბათ, არასოდეს არ მოუწევს მას იმის მონანიება, რაც არ უთქვამს.

***

კანონის დამრღვევ ადამიანს ჰგონია, რომ სიკვდილთან ერთად მისი სიცოცხლეც სრულდება; ასეთი ადამიანს ნებისმიერი კანონის დარღვევა ხელეწიფება. **ჯამაპადა**

***

ძალზე მაქვს სული დამძიმებული. მთელ ჩემს გრძელ ცხოვრებაში ვერავინ ვერ გავაბედნიერე: ვერც ჩემი მეგობრები, ვერც ოჯახი, ვერც საკუთარი თავი. ბევრი, ბევრი ბოროტება ჩავიდინე... მე ვიყავი დამნაშავე სამი დიდი ომისა; ჩემს გამო ბრძოლის ველზე 800000 ადამიანი დაიღუპა. მათ ახლა დაიტირებენ დედები, ძმები, ქვრივები... და ეს ყველაფერი ახლა დგას ჩემსა და ღმერთს შორის. **ბისმარკი**

***

ჰეგელის აზრით, ყველა სახელმწიფო დაფუძნებული იყო ბრწყინვალე ადამიანთა ამაღლებული ნების ძალით.

ასეთი რამაც შეიძლება მოხდეს

კუნძულ ელბიდან გამოქცეული ნაპოლეონი ვიდრე პარიზში შემოვიდოდა, მის მიერ გავლილ ყოველ მილთან ერთად, გაზეთების ტონი ამგვარად იცვლებოდა: „ურჩხულმა თავისუფლება მოიპოვა“, „მაჯლაჯუნა კანშია“, „ტირანი ლიონშია“, უზურპატორი სამოცი საათის სავალზეა დედაქალაქიდან“, „ბონაპარტი მოდის ფორსირებული მარშით“, „მისი უდიდებულესობა ფონტენებლოშია“.

***

ზანგები ღმერთებს შავკანიანად წარმოიდგენენ, ხოლო ეშმაკი მათ წარმოდგენაში ხშირად თეთრკანიანიც კი არის. (?)

***

ერთ ქართველს დისერტაცია დაუცავს ლენინგრადში. ვიღაცას უკითხავს, რატომ აქ იცავ და არა თბილისშიო. მას უპასუხია: ლენინგრადის ბლოკადის დროს აქ ვიბრძოდი, მაგრამ არავის უკითხავს, აქ რა გინდა, თბილისში წადიო.

***

ამბობენ, ჯალათებმა **გარსია ლორკა** რომ დახვრიტეს, დათვრნენ და მღეროდნენ ... გარსია ლორკას ლექსებს.

***

1996 წელს გერმანიაში გამოვიდა „პოპულარული დაბნეულობების ლექსიკონი”. როგორც ამ წიგნიდან ირკვევა, მრავალი. აქამდე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, ციტატა თუ სულაც ლიტერატურული პერსონაჟი, საერთოდ არ არსებულა. ისინი მხოლოდ დაბნეულობის და სიმცდარის ნაყოფი ყოფილა და მეტი არაფერი.

***

მაგალითად, გალილეის არასოდეს წარმოუთქვამს „და მაინც ბრუნავს!”. ეს გამოთქმა მისთვის აბატ ირელის მიუწერია, როგორც ლამაზი და ეფექტური.

***

ცნობილი აფორიზმი „ლამაზ სხეულში – ლამაზი სულია” რომაელი პოეტის იუვენალის ლექსში სრულიად საპირისპირო კონტექსტშია ნათქვამი, კერძოდ, ასე: „ეხ, ლამაზ სხეულში სულიც რომ ლამაზი იყოს”.

***

როგორც ჩანს, არც ლუი XIV–ს უთქვამს „სახელმწიფო – ეს მე ვარო”.

***

არც ცეზარს უთქვამს სიკვდილის წინ: „შენც, ბრუტუს!”. მას საერთოდ არაფერი უთქვამს.

***

არც მარქსს, მით უმეტეს, ლენინს არ უთქვმას – „რელიგია ოპიუმია ხალხისათვისო”. მისი ავტორი ყოფილა XVIII საუკუნის გერმანელი მწერალი ნოვალისი.

***

თბილისის ზოოპარკში, ლომს შვილი მოუკვდა. მას ძაღლის ლეკვი მიუყვანეს და იგი გაზარდა მის მაგიერ.

***

ცოლ-ქმრული ცხოვრება წიგნსა ჰგავს, რომლის პირველი თავი დაწერილია ლექსებით, ხოლო შემდგომი თავები – პროზით.

***

ყურძნის ჯიშია, „ოდესა”, „იზაბელასაც” ეძახიან. ხეზე ადის და იქ ვითარდება. თუმცა ყველა ხე თანაბრად როდი იზიდავს. უყვარს მუხა, ეჯავრება აკაცია.

***

რომაელებს მსოფლიოს დასაპყრობად ნამდვილად საკმაო დრო აღარ დარჩებოდათ, მათ რომ ჯერ ლათინურის შესწავლა დასჭირებოდათ. ***ჰაინე***

***

კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოშლიო. ***რუსული***

***

ძველ რომაელს კალმის ნაცვლად ხელში ფოლადის წვეტიანი ჯოხები ეჭირა და თიხის ფირფიტებზე იმით აჭედნენ ასოებს. მას სტილიუსი ეწოდებოდა, საიდანაც შემდგომში წარმოსდგა ტერმინი „სტილი”.

***

ლაგოდეხის ნაკრძალში ეგერებმა შეამჩნიეს, რომ ირმებს უდროო დროს სცვიოდათ რქები და იქუცებოდნენ. გააგზავნეს ამის შესახებ წერილი თბილისის აკადემიაში. იქ ვერაფერი გაარკვიეს და წერილით მიმართეს სხვადასხვა ქვეყნების აკადემიებს. ერთ ხანს ვერავინ პასუხობდა. ბოლოს რომელიღაც აკადემიამ შეკითხვა გამოაგზავნა: მგლები თუ გყავთო ნაკრძალში?

***

მამაკაცები ქორწინდებიან დაღლილობისაგან, ქალები თხოვდებიან ცნობისმოყვარეობის გამო. ***უაილდი***

სწრაფი კითხვა შეეძლოთ ***ბალზაკს, ნაპოლეონს, ჟან ჟაკ რუსსოს, რუზველტს, კენედის, პუშკინს, ლენინს. ჩერნიშევსკის.***
ნაპოლეონი წუთში 2000 სიტყვას კითხულობდა.
ბალზაკი ორჯერ უფრო მეტს.
ამასთან, გენიოსი არ კითხულობს აუცილებლად სწრაფად. არც სწრაფად მკითხველი არ არის გენიოსი.
გარდა ამისა, ზოგიერთი წიგნის სწრაფად კითხვა, განსაკუთრებით მხატვრული ნაწარმოებისა, იმას ჰგავს, რომ შაქარყინული, ნაცვლად იმისა, რომ ნელ–ნელა შეიტკბო იგი, აიღო და პირაპირ გადაყლაპო.

***

თურმე ყარყატები ყოველთვის ბრუნდებიან იმ ადგილებში, სადაც დაიბადნენ.

***

Eritis sicut Deus, scientes bonym et malum (ლათ.) „იყავით როგორც ღმერთი, იცოდეთ კეთილი და ბოროტი" – ამ სიტყვებით შეაცდინა გველმა ევა, შესთავაზა რა ეგემა ხილი ცნობიერების ხიდან. საინტერესოა, გველი რომ არ ყოფილიყო, დაძლევდა ევა ცდუნებას, არ მოწყვეტდა ვაშლს? ალბათ, მოწყვეტდა.

***

მე სულ გაოცებით ვიყურები ირგვლივ და ვხედავ, რომ სტოლიპინიდან დაწყებული, რომელიც თვლის, რომ იგი მოწოდებულია მოაწყოს სხვათა ცხოვრება და ბოლო რევოლუციონერით დამთავრებული, ყველანი სხვების გამო სწუხან და მათთვის რაღაც-რაღაცეების შესწორებას ლამობენ, მაშინ, როდესაც ყოველ ადამიანს აქვს უდიდესი საქმე, მისთვის ღმერთის მიერ მიცემული, იზრუნოს საკუთარ სულზე. ამ საქმემ სრულიად უნდა შთანთქას ადამიანის ცხოვრება. ***ლ. ტოლსტოი***

****

ტოლსტოის უამბეს ერთი დუხობორის წერილის შესახებ, სადაც აღწერილი იყო, თუ კანადელმა დუხობორებმა, რომლებიც ეწვივნენ სანიმუშო საღორეს, როგორ ნახეს იქ ინდიელები, გარკვეული საფასური ფასად რომ უმღერდნენ ღორებს, რომლებიც ამის შედეგად სწრაფად სუქდებოდნენ.
- დიახ, დიახ, ვიცი, ვიცი ეგ ამბავი, სადღაც წამიკითხავს – თქვა ლევ ნიკოლოზის ძემ – ზუსტად ისეა, როგორც ჩვენთან: ჩვენი კომპოზიტორები, პიანისტები და ა.შ. ეს ყველანი ჩვენი ინდიელები არიან. ხოლო ჩვენ – კარგად ნასუქი ღორები ვართ, ვუსმენთ მათ და ვსუქდებით.

***

კონსულ პეტს იმპერატორმა სიკვდილი მიუსაჯა. მას სიცოცხლის დათმობა ეძნელებოდა. მისმა მეუღლემ დაშნა ამოაძრო და თქვა: Pate, non dolet (პეტ, სულაც არაა საშიში).

***

როდესაც ნიკოლოზ I მოახსენეს ლერმონტოვის სიკვდილის შესახებ, მას თურმე ხელი ჩაუქნევია და უთქვამს: ძაღლი ძაღლურად მოკვდაო.

***

ქალის ახირებამ ზომა არ იცის,
ქალის ახირებას ვინ გამოიცნობს. ***ფრანგული.*** ამით ასრულებს მოპასანი ერთ-ერთ თავის ნოველლას.

***

ცოლ-ქმარი გაიყარა. კაცმა სხვა ქალი შეირთო, ცოლი გაუთხოვარი დარჩა. გადის 20-21 წელი. კაცს მეორე ცოლი მოუკვდება. პირველი სამძიმრის წერილს გაუგზავნის. მცირე ხნის შემდეგ მიმოწერას გაანახლებენ და რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ცოლ-ქმარიც გახდებიან.

შემოქმედების თაობაზე

5-6 მოღვაწე რომ გამოვრიცხოთ, რომელნიც სხივსა ჰფენენ საუკუნეს, ხალხის დანარჩენებისადმი თაყვანისცემა მხოლოდ სიბეცის შედეგია. მოვარაყებული ოქროდ საღდება. *ვ. ჰიუგო*

***

ლ. გუდიაშვილის ხასიათის შესასწავლად დ. უზნაძემ მას სთხოვა მასთან ინსტიტუტში მისულიყო. იგი მივიდა და ასეთი ცდა მოაწყვეს. ვიღაც დაჯდა ფარდის უკან და ლექსი წაიკითხა, ისე რომ ლ. გუდიაშვილს არ დაუნახავს, ვინ იყო. მას სთხოვეს ხმის ინტონაციის მიხედვით დაეხატა. ლ. გუდიაშვილმა დახატა და მთავარ ხაზებში მიამგვანა კიდეც.

***

ერთხელ თურმე პიკასოსათვის უთქვამს მეუღლეს: რა არის, ყველას ხატავ, მე კი ერთხელაც არ დამხატეო. პიკასოს დაუხატავს, მაგრამ მეუღლეს სურათი არ მოსწონებია, არა მგავსო. მაშინ პიკასოს ფული გაუწოდებია და უთქვამს – წადი ფოტოგრაფთან, სურათი გადაიღე და ზუსტად შენ იქნებიო.

***

„ტარას ბულბაში“ გოგოლი არ ზრუნავს იმაზე, რომ მოვლენების გადმოცემისას ზუსტი ქრონოლოგია დაეცვას. ერთ შემთხვევაში მოქმედება მიკუთვნებულია XV საუკუნეს, მეორე შემთხვევაში - XVI საუკუნეს. მწერალს სურდა დაეხატა ისეთი სურათი, რომელშიც გამოსახული იქნებოდა უკრაინელი ხალხის მთელი ეროვნულ-გმირული ეპოპეის ტიპიური, ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

***

1821 წელს ბაირონი თავის დღიურში ჩაწერს: მეთხუთმეტჯერ (მე სკოტის ყველა რომანი თხუთმეტჯერ მაქვს გადაკითხული) წავიკითხე მისი „მედუქნის მოთხრობები“. ბრწყინვალე ნაწარმოებია. შოტლანდიელი ფილდინგია და ამასთან, უდიდესი ინგლისელი პოეტი. ბრწყინვალე ადამიანია! დიდი სურვილი მაქვს მასთან ერთად დალევისა.

***

ვალტერ სკოტს ტკივილის ძლიერი შეტევა ჰქონდა. ამ მდგომარეობაში მას თავისი მდივნისათვის უკარნახია რომანი „პამერმურელი პატარძალი“. შემდეგ სკოტს სრულიად გადავიწყებია ის ყოველივე, რაც უკარნახა ავადმყოფობის დროს და ამ რომანს, როგორც სრულიად უცხოს, ისე კითხულობდა.

***

მე ყოველთვის მეცინება, როდესაც მესმის: გააკეთე მხოლოდ ერთი საქმე. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მე ათეულობით რამეს ვაკეთებდი ერთდროულად. *ვ. სკოტი*

***

კურთხეულ იყოს შენი სახელი, რობერტ ბერნს! როდესაც მე რაიმე აზრის გამოთქმა მსურს, რომელსაც მთელი ძალით შევუპყრივარ, სიტყვებს შექსპირთან ან შენთან ვპოულობ. უსაქმურები ლაყბობენ, თითქოს მე შექსპირს ვგავარ... მე იმადაც არ ვღირვარ, რომ შექსპირს ფეხსაცმელზე თასმები შევუბნიო. ***ვ. სკოტი***

***

ვინ შეასრულა თავდასხმა: მან, ვინც პირველმა გაისროლა, თუ მან, ვისმა მოქმედებამაც სროლა გამოიწვია?***ვ. სკოტი***

***

მხატვრული ლიტერატურის ქმნილებათა გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ ყოველ დროსა და ყოველ ხალხში უმთავრესი მორალური ღირებულებები თითქმის ერთი და იგივეა. მაგალითად, „რამაიანა“, რომელიც ინდოეთის პირველმა მითიურმა პოეტმა, - ვალმიკიმ დაიმღერა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე IV საუკუნეში (ამ პოემას ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეის“ ადარებენ), ისეთივე მორალურ ღირებულებებს უმღერის, როგორსაც, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველი ან დანტე; ესაა, სიყვარულის, ერთგულების, მეგობრობის და ა. შ. ღირებულებები.

აი, თუნდაც მისი ეს სტროფი:

„საზიზღარია, ვალს ვინც ივიწყებს,
ეძებს სარგებელს სურვილით მთვრალი,
მოვალეობა ყოველივეზე
მაღალი არის, ვერ შესწვდეს თვალი.
მიცემულ სიტყვის მყის შესრულება,
ესაა კაცის პირველი ვალი“.

***

სამყარო შექმნილია სულელების მიერ იმ მიზნით, რომ მასში ჭკვიანებმა იცხოვრონ. ***უაილდი***

***

ავადმყოფები არ კითხულობენ, სუფთაა თუ არა ხელი, რომელმაც მათ სასთუმალი შეუსწორა. ***უაილდი***

***

გული ჭრილობებით ცხოვრობს. დაკმაყოფილებამ გული შეიძლება გააქვავოს, სიმდიდრემ შეიძლება გამოშრიტოს იგი, მაგრამ მწუხარებამ - არა, მწუხარებას არ შეუძლია გატეხოს იგი. ***უაილდი***

***

პროზის მთარგმნელი ავტორის მონაა, ხოლო ლექსის – მეტოქეო.

***

სჯობს დამპალ ნავით შავ ზღვას მიენდო,
ვიდრე ქალისა გჯეროდეს ფიცი. ***ავეტიკ ისააკიანი***

***

სულელი ხშირად სჩადის სისულელეს, მაგრამ ხანდახან ჭკვიანი სისულელით აჭარბებს სულელს.

***

საკმარისი არაა დაიბადო დიდ ადამიანად, აუცილებელია ასევე შესაბამის დროსაც დაიბადო. ***ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა***

***

სტენდალის აზრით, ბაირონს ჰქონდა მწერლებასათვის დამახასიათებელი ერთი სისუსტე, კერძოდ კი, - უაღრესი მგრძნობიარობა კრიტიკისა და ქებისადმი, განსაკუთრებით კი, თუ ეს მისი ხელობის ადამიანებიდან მომდინარეობდა.

***

მისივე შეხედულებით, ბაირონს არ შეეძლო გარდაქმნილიყო სხვა ადამიანად. ამით აიხსნება მისი სიძულვილი შექსპირისადმი. მას ეზიზღებოდა იგი იმიტომაც, რომ მას შეეძლო გარდაქმნა როგორც შერლოკად, მდაბალ ვენეციელ ებრაელად, ისე ჯონ კედად, საზიზღარ დემაგოგად.

***

ლორდ ბაირონი ერთდროულად აღფრთოვანებულიც იყო და შურდა კიდეც ნაპოლეონ ბონაპარტისა. იგი ამბობდა: ,,მხოლოდ ჩვენ ორნი, ის და მე, ვაწერთ ხელს ნ. ბ. (ნოელ ბაირონ)".

***

რომაელ პატრიცს მუციოს სცევოლას ცილი დასწამეს, თითქოს სამშობლოსათვის ეღალატოს. თავისი უდანაშაულობა რომ დაემტკიცებინა, გააფთრებულმა სცევოლამ გავარვარებულ ნაკვერჩხალზე დაადო ხელი და ცილისმწამებელთ თვალებში ზიზღით მიაჩერდა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ამგვარი მამაცობითა და გამძლეობით მოხიბლულმა მოსამართლეებმა სცევოლა უდანაშაულოდ აღიარეს და ყველა პატივი და ღირსება აღუდგინეს.

***

ხშირად გაიგონებთ ახალგაზრდებისაგან: მე არ მინდა სხვისი ჭკუით ცხოვრება, თვითონ მოვიფიქრებო. რა საჭიროა მოიფიქრო მოფიქრებული, მიიღე მზადმზარეული და გასწიე წინ. ამაშია კაცობრიობის ძალა. ***ლ. ტოლსტოი***

***

სიკვდილის წინა წელს (1869 წელს) ***ჩარლზ დიკენსმა*** გამოთქვა საკუთარი პოლიტიკური კრედო: ,,ჩემი რწმენა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც მართავენ, უმნიშვნელოა. იმ ადამიანებისადმი კი, რომელთაც
მართავენ – უსაზღვრო".

***

1970 წელს, ანუ თავისი გარდაცვალების წელს, დიკენსი ლონდონელ საზოგადოებას წარუდგა თავისი ნაწარმოებებით. დაამთავრა რა კითხვა, დიკენსმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას: ,,ვიდრე ამ გაკაშკაშებული სცენიდან სამუდამოდ გავქრებოდე, აღელვებული, მადლიერი, სავსე პატივისცემითა და სიყვარულით -გემშვიდობებით.

***

ყველაზე კარგი თარგმანიც კი სპობს ენის სულს. ***გარსია ლორკა***

***

ბედნიერების საკითხში მე ათეისტი ვარ: არა მჯერა მისი. ***პუშკინი***

***

ტურგენევის გაგებით პასუხისმგებლობის გრძნობა ადამიანური ღირსების თანაბარია - ,,მის გარეშე შეუძლებელია წესიერ ადამიანად დარჩენა".

***

,,ნუ დაივიწყებ პასუხისმგებლობას, - წერდა ***ბლოკი*** თავის მეუღლეს – ეს არის ერთადერთი მუსიკა; ცხოვრება და ვნება მის გარეშე არ არსებობს..."

***

კეთილშობილი ადამიანების თვისებაა შეაქონ ადამიანი, მიიჩნიონ იგი გაცილებით უკეთესად, ვიდრე იგი სინამდვილეშია, გააზვიადონ მასში არსებული სიკეთე. ***დოსტოევსკი***

***

მამაკაცის გონებას ჯერ არ გამოუგონია ისეთი რამ, რაც მას ქალის ღალატისაგან დაიცავდა. ამისათვის მხოლოდ ერთი რამ არსებობს – უყვარდე მას. ქალი კი მხოლოდ მაშინ შეგიყვარებს, თუ ნამდვილი მამაკაცი იქნები, ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით. ქალს აამაღლებ მთვარეა, დაამდაბლებ და – ნაცარიო, კარგად არის ნათქვამი. ***ა.გ.***

***

მაიმუნის სხეული, მისი აღნაგობიდან გამომდინარე, განუწყვეტლივ მოძრაობაში იმყოფება. ამის გამო მაიმუნმა არ იცის მოწყენილობა, - ეს უბრწყინვალესი წყარო ,,ადამიანური გონების სრულყოფილებისა".

***

სენტ-ეგზიუპერის, როგორც მფრინავისა და მწერლის ნაშრომებს, არსებითად, ლეიტმოტივად გასდევს ის ანდერძი, რომელიც ლევ ტოლსტოიმ ახალგაზრდა რომენ როლანს დაუბარა: ,,მხოლოდ ის ხელოვნებაა ღირებული, რომელიც ადამიანებს აერთიანებს".

***

,,ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო დამკვირვებლის როლი. რა ყრია იმ საქმეში, რომელშიც მონაწილეობას არ ვიღებ? რათა ვარსებობდე, უნდა ვმონაწილეობდე კიდეც". რა ადვილია ***ეგზიუპერის*** ამ სიტყვებისა და ***ნ. ბარათაშვილის*** სულისკვეთებას შორის მსგავსების დანახვა:
,,არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

***

სამოქალაქო, ხოლო შემდეგ სამხედრო მფრინავის გრძელ ცხოვრებაში ეგზიუპერმა იმდენი ჭრილობა მიიღო, რომ ახლა მას უცხოთა დახმარების გარეშე კომბინიზონის გახდა და თვითმფრინავის კაბინაში შესვლაც კი არ შეეძლო. მას ამხანაგების ეხმარებიან. მაგრამ იგდებდა რა ხელთ მანქანის საჭეს, ვეტერანი იმწამსვე მშვენიერ ფორმაში დგებოდა და საჰაერო ბრძოლების ვირტუოზად გვევლინებოდა.
1944 წლის 31 ივლისს დილის ცხრის ნახევარზე იგი კორსიკის აეროდრომიდან ჰაერში აიჭრა და კურსი სამხრეთ საფრანგეთისაკენ აიღო. საწვავი მხოლოდ ექვსი საათის სამყოფი ჰქონდა. დღის სამის ნახევარზე იგი არ დაბრუნებულა. სასწაული არ არსებობს. ცხადია, საწვავი შემოელია. მოლოდინი ამაო იყო. ანტუან დე სენტ ეგზიუპერი ვერ მოესწრო საფრანგეთის განთავისუფლებას, რომელიც ამ შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ მოხდა. იგი უკვალოდ დაიკარგა. მისი თვითმფრინავი ზღვამ შთანთქა, - გამორიცხული არ არის, რომ იგი ფაშისტებმა ჩამოაგდეს. კაცი, რომელსაც გულის

სიღრმემდე ეზიზღებოდა უმოქმედო მოწმის როლი, ბოლო წუთებამდე ადამიანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე იყო. ***მ. ბაკსმახერი***

***

დადგება დრო, როდესაც ბუნების დიდ სუფრასთან ყველასათვის არ აღმოჩნდება ადგილი. ***მალთუსი***

***

რათა იგრძნოთ იმის ფასი, რასაც ფლობთ, წარმოიდგინეთ, რომ დაკარგეთ იგი. ***პლუტარქე***

***

სულელები არასოდეს არ პატიობენ და არ ივიწყებენ; გულუბრყვილოები პატიობენ და ივიწყებენ; ბრძენნი პატიობენ, მაგრამ არ ივიწყებენ. ***თომას შაში***

***

ჰეგელს მისცეს დახასიათება – უნიჭოაო ... ფილოსოფიაში.

***

იოანე ბატონიშვილი წერს – ბესიკმა ზეპირად იცოდაო ქართული ლექსიკონი.

***

მოგზაური, რომელიც იაპონიაში იცხოვრებს ერთ კვირას, აუცილებლად დაწერს სტატიას, რომელიც იცხოვრებს ერთ წელს, აუცილებლად დაწერს წიგნს, ხოლო ვინც სამ წელს იცხოვრებს, იგი ვერაფერს ვერ დაწერს. ***ფრანგი ჟურნალისტი***

***

ვიდრე წერას დაიწყებდე, უნდა იცხოვრო – ***ეგ ზიუპერი***

***

აღწერა კი არა, დანახვა უნდა ისწავლო, აღწერა უკვე შედეგია. ***ეგ ზიუპერი***

***

მუშაობით დაღლილმა ტენის (იპოლიტ ტენი, ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსი. ***ა.გ.):*** „ინგლისური ლიტერატურის ისტორია" გადავშალე და პოეტების ბიოგრაფიები გადავიკითხე. რა უბედურები ყოფილან. დედოფალ ელისაბედის კარის ისეთი გამოჩენილი მეცნიერიც კი, როგორიც იყო ბენ ჯონსონი, ისეთ ნერვიულ სტრესამდე მივიდა, რომ ხედავდა, თუ ფეხის დიდ თითზე როგორ იწყებდნენ რომაელები ბრძოლას კართაგენელების წინააღმდეგ. ***აკუტაგავა***

***

ყველაფერ იმას, რაც ხელს უწყობს ან შეუძლია ხელი შეუწყოს კაცობრიობის სიკეთეს, მივესალმები. ყველაფერ იმას კი, რასაც ეს არა აქვს მიზნად დასახული და უგულველებყოფს მას, მე ვერ ვუთანაუგრძობ. ყოველგვარ ძალადობას და მკვლელობას, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, ზიზღით ვუყურებ. ***ლ. ტოლსტოი***

***

ჩემი საქმეა ვილაპარაკო ცოცხალი ხატებით და არა ვიკამათო. მე უნდა წარმოვადგინო ცხოვრება თავისი ნამდვილი სახით და არა ვიფილოსოფოსო მასზე. ***გოგოლი***

***

სიცილი ბრწყინვალე რამაა; იგი არ გვართმევს არც სიცოცხლეს, არც ქონებას, მაგრამ მის წინაშე დამნაშავე შიშით კურდღელივით ცახცახებს. ***გოგოლი***

***

ჭეშმარიტი ხელოვანის ბედი ყოველ დროსა და ყოველ სახელმწიფოში იმ მხატვრის ბედსა ჰგავს, რომელმაც ცალთვალა მეფე დახატა. მხატვარმა მეფეს ისედაც გაფუჭებული თვალი დაუხუჭა და თოფი დააჭერინა ხელში.

***

კარგი გამონათქვამია: შეიძლება იკვებო ძღომამდე, მაგრამ ცინგის მსხვერპლი გახდე. ეს გამონათქვამი შეიძლება იმ შემთხვევაშიც იყოს მართებული, როდესაც ბევრს კითხულობ, მაგრამ საკუთარს ვერაფერს ჰქმნი.

***

ხშირად ადამიანები უფრო თავიანთი სურვილების ძალით ამაყობენ, ვიდრე მათზე ძალაუფლების ძალით. რა საოცარი დაბნეულობაა! **ტოლსტოი**

***

ვინც შეუპყრია თავისი სხეულის ქვენა სურვილებს – სურვილებს, რომლებიც სავსეა საწამლავით, რომლის გარშემოც უამრავი ტანჯვა იკრებს თავს, მებრძოლ **<u>პოვოლიკს</u>** **ე**მსგავსება.
ხოლო ის, ვინც იმარჯვებს ამ წყურვილზე, იგი თავიდან იშორებს ყველა ამ ტანჯვას, როგორც ლოტოსის ფოთლიდან ცვივა წვიმის წვეთები. **ჯამაპადა**

***

გაიხსენე, რა საოცრად გსურდა უწინ მრავალი რამ, რაც ახლა შენში ხან ზიზღსა და ხანაც გულგრილობას იწვევს. ზუსტად იგივე იქნება იმ მრავალ სურვილთა მიმართ, რომლებიც ახლა გაღელვებს.
ისიც გაიხსენე, რამდენი რამ დაკარგე, როდესაც ცდილობდი შენი ადრინდელი სურვილების დაკმაყოფილებას. ზუსტად ასე იქნება ახლაც. ამიტომ შეეცადე დაიცხრო ისინი, ეს ყოველთვის გაცილებით სასარგებლოა და იმავდროულად ყოველთვის შესაძლებელი. **ტოლსტოი**

ზნე-ჩვეულებების შესახებ

არაფერი არ გვიჯდება ისე იაფად და არაფერი გვიფასდება ისე დიდად, როგორც თავაზიანობა. ***სერვანტესი***

***

ვინც სისაძაგლეს ენას უთმობს, ხელსაც ადვილად გაუწოდებს.

***

ჩვენ მხოლოდ ისეთ მოქმედებას ვგმობთ სხვისას, რომელიც ჩვენთვის უსარგებლოა.
ა. დიუმა (შვილი)

***

არიან ტომები, ჩაცმისა რომ სცხვენიათ. როცა მისიონერები ორინოკოს ტომის ინდიელებს ქსოვილების ნაჭრებს სთავაზობდნენ, სხეული ამით დაიფარეთო, ქალები

იმ ნაჭრეებს ისროდნენ და მისიონერებს ეუბნებოდნენ, „არ დავიფარავთ, რადგან გვრცხვენიაო“.
რატომ არ განვიცდით უხერხულობას იმ მამაკაცის ცქერისას, ვისაც ფიქრადაც არ მოსდის ქალს თავისი წვერ-ულვაში, ეს ნამდვილი სქესობრივი ნიშნები, დაუმალოს? ***ბ. ვირისაევი***

***

და აი, ადამიანები საპირისპირო სქესთა ცქერისას საზოგადოებაში ეწამებიან პირდაპირ, ზოგჯერ თავს მძიმე დაავადების საფრთხეშიც კი იგდებენ, მაგრამ ვერ ბედავენ იმის გამხელას, ურომლისოდაც, ეს ყველამ იცის, - ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ***ბ. ვირისაევი***

***

ჩვენ ისე გვზრდიან, რომ საკუთარი სხეული რაღაც სამარცხვინო რამედ გვიქციონ. ბუნების მიერ განსაზღვრული მთელი რიგი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას სირცხვილს განვიცდით.
ასე გვასწავლეს: თქმა სირცხვილია, ქმნა სირცხვილი არ არისო - ასე ახასიათებს ხსენებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ციცერონი. ***ბ. ვირისაევი***

***

მეწველს რძე რომ მოეჭარბება, სხვის ხბოს კვებაში თვითონაც გრძნობს დაამებასა. ***ვ. ბარნოვი***
დაახლოებით ამ თემაზე აქვს მოთხრობა გი დე მოპასანს. მატარებლის კუპეში მსუქანი, დიდმკერდიანი ქალი და გამხდარი სტუდენტი მოხვდნენ ერთად. სტუდენტი მშიერია, ქალი კი, რომელიც ძიძად მუშაობს, რამდენიმე დღეა ბავშვისთვის რძე არ მიუცია და მოჭარბებული რძე აწუხებს. ბოლოს მოთხრობა იმით მთავრდება, რომ ქალი სტუდენტს ძუძუს აძლევს და ორივე კმაყოფილი რჩება.

***

ბარნოვის ერთი მოთხრობის შინაარსი ამგვარია:
კეისარმა თავის იმპერიაში ბედნიერი ადამიანი ვერ იპოვა. ბოლოს მოუყვანეს ახალგაზრდა, ულამაზესი ჭაბუკი. როდესაც კეისარმა დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა, აღმოჩნდა, რომ მას ისეთი რაღაც სჭირდა, რომ კეისარს დაენანა იგი.

***

მაიას ქურუმები არ ჰყოფდნენ სიტყვებს და არ სვამდნენ სასვენ ნიშნებს, როგორც ჩვენ.

***

მაია, ალბათ ერთადერთია მსოფლიო ისტორიაში, რომელთა სახელმწიფოც იზრდებოდა არა ცენტრიდან პერიფერიისაკენ, არამედ პერიფერიიდან – ცენტრისაკენ. საკუთარი ცენტრისაკენ მიმართული იმპერიალიზმი! ... ამ უაღრესად განვითარებულმა ხალხმა (თავისი დროისათვის, რა თქმა უნდა), ვერ მოიგონა გუთანი.

***

ასურეთში ქალაქის ქუჩები უაღრესად ზუსტად იგეგმებოდა. ქვეყნის დედაქალაქის, ნინევიის ერთ-ერთი ქუჩა სიგანით 26 მეტრს შეადგენდა. აქ აღმოჩენილ წარწერაზე მითითებულია, რომ ვინც დაარღვევდა ქუჩის სიზუსტეს და თავის სახლს ქუჩისაკენ გასწევდა, საკუთარი სახლის სახურავზე დასწვავდნენ

***

ეგვიპტელები ნეხვის ჭიას წმინდანად მიიჩნევდნენ.

***

მონტგომერისებური გაყოფა ყველაფერი ერთ მხარეს, არაფერი მეორე მხარეს. ნორვეგიაში უფროსს ძმას ყველაფერი ერგებოდა, უმცროსს – არაფერი.

***

გაიგო, ნიშნავს გაუტოლდე. ***რაფაელი***

***

„იმ ქვეყნებში, სადაც მკაცრი ჰავაა, ბუნებასთან ბრძოლაშიც მცირე ძალა ეხარჯება კაცს, ამიტომაც იქ ადამიანი უფრო ნაზია. იქ ხალხი ლამაზია, მოქნილი, ადვილად აღგზნებადი, სიტყვა კაზმული აქვს, მიხვრა-მოხვრა შნოიანი; აქ ხელოვნება და მეცნიერება ყვავის, ფილოსოფია ცუდი როდია, ქალისადმი დამოკიდებულება კეთილშობილობით აღსავსე". ***ა. ჩეხოვი***

***

შექსპირი, გოეთე... ოდესმე გარდაიცვლებიან. მაგრამ მათი წარმომშობი წიაღი, უდიდესი ხალხი – არა. ყოველგვარი ხელოვნება, როგორც არ უნდა იცვლებოდეს მისი ფორმა, მისი წიაღიდან იბადება. ***აკუტაგავა.***

***

ამერიკელი სოციოლოგი სტივარდი წერს: „რომანტიული სიყვარულის" შესახებ მითის ნაწილს შეადგენს ილუზია, თითქოს ადამიანები, რომელთაც ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, არასოდეს ჩხუბობენ. სისულელეა! მათ ხშირად იმის სურვილმაც კი შეიძლება მოუაროთ, რომ ერთმანეთი დააღჩონ".

***

ცნობილია, რომ ჰეტერები იყვნენ არა მხოლოდ ხარჭები არამედ მოსაუბრენი, მეგობრები, მეუღლეებიც კი მათთან ურთიერთობაში შესული მამაკაცებისა. ჰეტერა თეოდოტას კამპანიაში წარმოთქვამდა სოკრატე თავის სიბრძნეს, ხოლო ჰეტერა ფრინის ასლს წარმოადგენდა პრაქსიტელის აფროდიტე, ჰეტერა ლეონტიონა ითვლებოდა ეპიკურეს ფილოსოფიური ლექციების ერთ–ერთ ყველაზე მკაცრ კრიტიკოსად, ჰეტერა ტაისის გემოვნებასა და აზრებს კი ანგარიშს უწევდა თავად მკაცრი ალექსანდრე მაკედონელიც...
ქორწინებას ძველი ბერძნები ძალზე პრაქტიკულად უყურებდნენ და მას დაუფარავად უპირისპირებდნენ ჰეტერებთან ურთიერთობას.

***

ძველჩინური კანონი ქმარს უფლებას აძლევდა განქორწინებულიყო ცოლთან, თუკი იგი აღმოჩნდებოდა ... ყბედი.

***

ცნობილი ექიმი, გვარად დიუმლენი, სიკვდილის წინ კოლეგებს ეუბნებოდა: ბატონებო, მე ვკვდები, მაგრამ ჩემს მაგიერ ვტოვებ სამ ექიმს; კოლეგები სმენად იქცნენ, მათ ეგონათ დიუმლენი რომელიმე სამს მათგან დაასახელებდა.
– ეს სამი ექიმიაო, თქვა დიუმლენმა – წყალი, ვარჯიში და ზომიერება.

***

ქალები:

20 წლამდე – აზია: ველური, მისი გემო ჯერ არავის გაუსინჯია;
20–დან 35 წლამდე – აფრიკა: ეშმაკი, მოხერხებული, მაგრამ მომხიბლავი და მიმზიდველი;
45–დან 55 წლამდე – ამერიკა: ფულის მოყვარული, მაგრამ მის ბაზარზე ყოველდღიურად კრიზისი ღრმავდება;
55 წლიდან 65 წლამდე – ავსტრალია: ყველასაგან დავიწყებული და არავისათვის საჭირო;

კაცები:

20 წლამდე – კლარნეტი: თამაშობს მომართვის გარეშე; ამასთან, მას, ვინც ერკვევა მუსიკაში, არ მოსწონს იგი;
20–დან 35 წლამდე - ვიოლინო: საუკეთესო ინსტრუმენტი, იმართება 2-3 წუთში და უკრავს მუსიკოსის სურვილისამებრ;
35-დან 45 წლამდე - ვიოლენჩელო: იმართება;
45-დან 55 წლამდე - როიალი, ერთი მართავს, მეორე თამაშობს;
65-დან 75 წლამდე – ფუტლიარი, რომლის გამოყენებაც მხოლოდ გაცვეთილი ინსტრუმენტის შესანახად შეიძლება.
55-დან 65 წლამდე, გამოტოვებულია. როგორ შეიძლება მისი დახასიათება?

***

გობელინები ყოფილან ძმები. დაახლოებით 360 წლის წინათ მათ გაუხსნიათ მანუფაქტურა, სადაც ქსოვდნენ ხალიჩებს. დღეს ცნობილი არაა არც ის ძაფი, რომლითაც ისინი ქსოვდნენ და არც ის ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც იქსოვებოდა გობელინი.

***

გაზაფხულობით მამალი თხები დედლების გულისათვის იბრძვიან. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მოჩხუბარნი რქებით ისე გადაეკლირტებიან ერთმანეთს, რომ მათი გამოხსნა შეუძლებელი ხდება და ორივე იხოცება.

***

თურმე გედებს უაღრესად ღრმა ერთგულება შესძლებიათ. თუ დედალი გედი კვდება, მამალი წყალში ვარდება და იღუპება.

***

თხის მაგვარი ცხოველია ერთი, საიგაკი ჰქვია. საუცხოო სირბილი სცოდნიათ, – საათში 80 კილომეტრი და მეტი. თურმე როდესაც მათ ცხვრები შეხვდებიან, ისინი მათში შეერევიან და მათთან ერთად მირბიან. მაგრამ ცხვრები რას შეძლებენ ამ სწრაფ ცხოველებთან ერთად სირბილს, ეცემიან და იხოცებიან, ისე რომ, მათ განარბენ მინდორზე მონადირეს შეუძლია რამდენიმე ცხვარი თოფის სროლის გარეშე მოიპოვოს.

***

„დუმილი ხშირად უფრო აახლოებს ადამიანებს, ვიდრე სიტყვები. რა კარგია ერთად ფიქრი რაიმე სასიამოვნოს შესახებ". *მოპასანი*

***

მზესუმზირას ვიდრემდის თავი მსუბუქი აქვს, ცდილობს მზეს უყუროს, როდესაც შემოსულია, თავს ჩაჰკიდებს ხოლმე.

***

ნებისმიერი ბინა ციხედ იქცევა, თუკი მასში დიდხანს ცხოვრობ. *მოპასანი*

***

მხოლოდ წარმოსახვა გვიხატავს თვითეული ჩვენი ცოდვის საშინელ შედეგებს. რეალურ სამყაროში კი ცოდვილნი არ ისჯებიან, მართალნი არ ჯილდოვდებიან. ძლიერთა თანხვედრი წარმატებაა, სუსტებს კი წარუმატებლობა ხვდებათ წილად. ***ოსკარ უაილდი***

***

რა თქმა უნდა, ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ჩვევაა, საზიზღარი ჩვევა, მაგრამ ყველაზე სულელურ ჩვევასთანაც ხომ ძნელია განშორება. ***ოსკარ უაილდი***

***

„გახსოვდეს, ჩარლის ოჯახში არავინ იყო ისეთი უკმეხი, მეეტლე რომ შეეგინებინა, არავინ იყო ისეთი უხეში, სენის პირას ჩამომჯდარი მათხოვრისათვის დაეცინა". ***ჩარლი ჩაპლინის წერილიდან თავისი ქალიშვილისადმი.*** და შემდეგ: „მე არ ვიყავი ანგელოსი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ადამიანი ვყოფილიყავი, შენც ეცადე!". ამ წერილსაც ასე ჰქვია: „შენც ეცადე".

***

გაბრიელ მარკესი წერს, როდესაც მკვლელობას ვხვდები, მე უფრო მკვლელი მედარდება, ვიდრე მკვდარი.

***

ყოველი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი ძალადობისაკენ მისწრაფება. ***ფროიდი***

***

ერთგვარი ოთახის დეკორატიული ძაღლია (ბალონკა), თვალებზე ბალანი აქვს ჩამოფარებული. თუ ამ ბალანს ააჭრი, ვერაფერს დაინახავს. ზოგი ადამიანი ამ ძაღლივით არის, რაღაც იდეები აკვიატებია, და თუნდაც მცდარი იყოს, ვეღარ იშორებს.

***

ძველ საბერძნეთში ხალხის უმრავლესობა ფილოსოფიაზე კამათობდა, სიბრძნის სიყვარულით იყვნენ გატაცებული. ათასნაირი ჯგუფები და წრეები ჰქონდათ ჩამოყალიბებული, აკადემია, გიმნასია და სხვ. სადაც ერთმანეთს სხვადასხვა პრობლემების შესახებ ეკამათებოდნენ. სოკრატე, პლატონი, არისტოტელე სწორედ აქ ჩამოყალიბდნენ ფილოსოფოსებად. დღევანდელ თბილისში (ჩაწერილია 1977 წლის ოქტომბერში.) ხალხი ძირითადად ორ რამეზე საუბრობს: თბილისში ჩაწერისა და ფეხბურთის თაობაზე.

***

„მოიქეც ისე, რომ შენი საქციელის მაქსიმა საყოველთაო კანონმდებლობის ნორმად გამოდგებოდეს". ი. კანტი, „წმინდა გონების კრიტიკა".

***

მუჰამედს ძალზე უყვარდა თურმე ღვინო და ბევრსაც სვამდა. როდესაც ჰკითხეს, შენ თვითონ ამდენსა სვამ და სხვებს რატომ უქადაგებ, არ დალიოთო, მან უპასუხა:
სწორედ საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით ვიცი, ღვინის სმა არ ვარგა.

***

კითხვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საკუთარ აზრთა წყარო ამოშრეტილა, რაც ზოგჯერ თავად ყველაზე ჭკვიან ადამიანებსაც ემართებათ. მაგრამ წიგნების გამო საკუთარი, ჯერაც სუსტი აზრები დავაფრთხოთ – ეს სულის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. **შოპენჰაუერი**

***

ადამის ყველა შვილები – ერთი სხეულის ნაწილებია. როდესაც იტანჯება ერთი ნაწილი, იტანჯებიან ყველა დანარჩენნი. თუ შენ გულგრილი ხარ სხვათა ტანჯვისადმი, შენ არ იმსახურებ ადამიანის სახელს. **საადი**

***

სიწმინდის მისაღწევად არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თავშეკავება.
თავშეკავება კი ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს. თუ იგი ადრეული ჩვევაა, მაშინ მყარად იქცევა სიკეთის კეთებად. იმისათვის, ვინც კეთილქმნადობაში მტკიცდება, არაფერია, რასაც ვერ აღემატოს. **ლაო ძე**

***

ყველაფერი ის, რითიც ადამიანები ასე აღფრთოვანებულები არიან, რისი მიღწევისათვისაც ასე ნერვიულობენ და წვალობენ, ყველაფერ ამას მათთვის მცირე ბედნიერებაც კი ვერ მოაქვს. ვიდრე ადამიანები ცდილობენ რაიმეს მოხვეჭას, ისინი ფიქრობენ, რომ სიკეთე სახელდობრ იმ საგანშია, რისი ხელში ჩაგდებაც მათ ასე მოუწადინებიათ. მაგრამ მიიღებენ თუ არა ისინი სანატრელ ნივთს, ისინი კვლავ იწყებენ ნერვიულობას და შურთ ის, რაც მათ ჯერ კიდევ არა აქვთ. არა ჩვენი ამაო სურვილების დაკმაყოფილებაში მიიღწევა სულის სიმშვიდე, არამედ პირიქით, ამგვარი სურვილებისაგან თავის არიდებაში.
თუ გსურს ამ დებულების ჭეშმარიტებაში დარწმუნება, მაშინ საკუთარ ფუჭ სურვილთაგან განთავისუფლებისაკენ მიმართე იმ ძალისხმევის ნახევარი მაინც, რასაც შენ აქამდე მათ შესრულებაზე ხარჯავდი და მალე ნახავ, რომ მოიქეცი რა ასე, მიიღებ მეტ სიმშვიდესა და ბედნიერებას. **ეპიკტეტი**

***

წმინდანს არა აქვს უდრეკი და შეუვალი გული. იგი თავის გულის ცემას შეუწონებს სხვა ადამიანების გულის ცემას. **აღმოსავლური**

***

ბუდდას უთქვამს: კაცი, რომელიც სულისათვის იწყებს ცხოვრებას, ემსგავსება ადამიანს, რომელსაც სინათლე შეაქვს ბნელ სახლში. სიბნელე მყისიერად იფანტება.

***

უკუაგდო შენი აზრები, რათა წიგნიერ აზრებს დაუთმო ადგილი, ჩემი აზრით, ემსგავსება იმას, რომ გაყიდო საკუთარი მიწის ნაკვეთი, რათა სხვათა მამულები მოინახულო – სახელდობრ ამას საყვედურობდა შექსპირი თავისი დროის ტურისტებს.
ამა თუ იმ საგანზე კითხვაც კი საზიანო მანამდე, ვიდრე თავად არ გაქვს კარგად ნაფიქრალი მასზე, იმიტომ, რომ ახალ მასალასთან ერთად გონებაში იჭრება უცხო თვალთახედვა ამ საგანზე და სხვა დამოკიდებულობა მისადმი, და ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ადამიანი სიზარმაცისა და გულგრილობის გამო ცდილობს თავი დააღწიოს დაძაბულ აზროვნებას, მიიღოს მზა აზრები და მსვლელობა მისცეს მათ. სახელდობრ ამის გამოა, რომ იშვიათად თუ შეხვდები ადამიანი დამოუკიდებელ აზროვნების მეცნიერს. **შოპენგაუერი**

***

იგი, ვინც შეურაცყოფილია და შეუძლია მორჩილად გადაიტანოს შეურაცყოფა, ისე რომ პასუხი არ დაუბრუნოს შეურაცყოფელს, ამით უდიდეს გამარჯვებას აღწევს ცხოვრებაში. **ლანი**

***

დაიკავე ადგილი უფრო დაბლა, ვიდრე შეგეფერება. გაცილებით უკეთესია გითხრან, ზევით აიწიეო, ვიდრე გითხრან, დაბლა ჩამოდიო. **თალმუდი**

***

ვინ არის კეთილი კაცი? კეთილი მხოლოდ მორწმუნე ადამიანია. მაგრამ, რა არის რწმენა? – ეს არის თანხმობა ნებისა სინდისთან, მსოფლიო გონებასთან. **ჩინური**

***

,,სიკვდილი მარტოს მოგვიწევს" – უთქვამს პასკალს. და განა ჭეშმარიტი სიცოცხლეც იგი არაა, როდესაც ცხოვრობ მარტო, ღმერთისა და არა ხალხის წინაშე. **ტოლსტოი**

***

ტყუილად ფიქრობთ, თითქოს შესაძლებელი იყოს სულიერი სიმშვიდის მოპოვება რწმენის გარეშე. **ტოლსტოი**

***

გეშინოდეთ ყველაფრის, რაც თქვენსა და ღმერთს შორის ჩადგება. **ტოლსტოი**

***

ღმერთის შეცნობა შესაძლებელია ან გონებრივი ან რწმენაზე დამყარებული ზნეობრივი გზით. გონებრივი შეცნობა დღემოკლეა და ამ გზაზე დასაშვებია მრავალი საშიში შეცდომის დაშვება. ზნეობრივი შეცნობა კი ღმერთს მიაწერს ისეთ თვისებებს, რომლებიც მოითხოვენ ზნეობრივ პოსტულატებს. ასეთი რწმენა ბუნებრივია და ზებუნებრივი. **კანტი**

***

მეცნიერია ის, ვინც ბევრი რამ იცის წიგნებიდან; ნასწავლია ის, ვინც მის დროს ყველაზე გავრცელებული ცოდნა შეითვისა, ხოლო განათლებულია ის, ვისაც ესმის ცხოვრების აზრი. **ტოლსტოი**

ეკონომიკური შეხედულებები

პატარა ინფლაცია ორსულობასავითაა, დროთა განმავლობაში ზრდას აგრძელებს. ***ამერიკელი ეკონომისტი***

***

მადანაშაულებენ, რომ ვწერ იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთესად ცხოვრება მაშინ, როდესაც არ ვიცნობ ეკონომიკურ მეცნიერებებს, და არ ვიცი, თუ რა თქვა და რა აღმოაჩინა კარლ მარქსმა. ცდებიან. მე დიდი ყურადღებით წავიკითხე ,,კაპიტალი" მარქსისა და შემიძლია გამოცდაც კი ჩავაბარო მის მიხედვით, მაგრამ ვერავითარი სიახლე მე მასთან ვერ ვნახე. ძალზე გასაოცარი და არასასიამოვნოა ის ამბავი, რომ იგი ყველაზე უბრალო ამბებს დაბნეულად და ბრძნული სიტყვებით გადმოსცემს. ***ტოლსტოი***

***

ქალების მიერ თავიანთი წლოვანების დამალვა და შემცირება ძველთაგანვე იყო ცნობილი. ინგლისელი სტატისტიკოსი რიკმანი 1801 წლის ინგლისის მოსახლეობის პირველი აღწერის შესახებ წერდა: ჩემი მუშაობის ორმოცი წლის მანძილზე ყველაფერი დავადგინე, გარდა ინგლისელი ქალების წლოვანებისა; გამონაკლისს არც ჩემი ოჯახი წარმოადგენს; დღემდე არ ვიცი ჩემი ცოლისა და მოსამსახურე ქალის წლოვანებაო.

***

„სიღარიბე ყოველთვის შეუძლებელს არ ხდის ქორწინებას ... იგი, როგორც ეტყობა, ხელშემწყობიც არის გამრავლებისა. ნახევრად მშიერი ზემოშოტლანდიელი დედაკაცი ხშირად 20 ბავშვზე მეტს შობს, მაშინ, როდესაც კარგად ნაკვებ ნარნარა ქალბატონს ერთის შობაც კი არ ძალუძს და ჩვეულებრივ იგი 2 თუ 3 ბავშვის შემდეგ გამოფიტულია". ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ".
დაახლოებით იგივეს ამბობს პ. გუგუშვილი: შემოსავალთა გადიდება ამცირებს – ხოლო მისი შემცირება ადიდებს შობადობის სიხშირესო.

***

ფინინსპექტორ ჭყოიძის ნათქვამი: ხელოსანი რცხილის ჯაგივითაა, რამდენიც არ უნდა კაფო, მაინც ამოიყრისო.

***

„ბაზრის გაფართოება და კონკურენციის შეზღუდვა ყოველთვის ეთანხმება ვაჭრობის ინტერესებს. ბაზრის გაფართოება ხშირად შეიძლება საზოგადოების ინტერესსაც ეთანხმებოდეს, მაგრამ კონკურენციის შეზღუდვა ყოველთვის წინააღმდეგი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესისა და ის იმას შეიძლება ემსახურებოდეს, რომ ვაჭრებმა, მათი მოგების გადიდებით იმაზე მეტად, რაც იგი ბუნებრივად იქნებოდა, თავიანთ დანარჩენ თანამოქალაქეებს მძიმე გადასახადი ახდევინონ თავის სასარგებლოდ. ამ კლასიდან (ვაჭართა – ა.გ.) გამომდინარე ყოველ ახალ წინადადებას ან ვაჭრობის შესახებ ახალ ღონისძიებას ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ხოლმე და იგი მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხანგრძლივ და ყოველმხრივ იქნება განხილული უაღრესად გულდასმით, მაგრამ ამასთან უაღრესად იჭვიანი ყურადღებით. ეს იმიტომ, რომ იგი გამომდინარეობს იმ კლასიდან, რომლის ინტერესი არასოდეს არაა სავსებით საზოგადოების ინტერესების თანამთხვევი, რომელიც ჩვეულებრივ დაინტერესებულია იმაში, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, დაჩაგროს კიდეც და რომელსაც ბევრ შემთხვევაში ნამდვილად შეუყვანია იგი შეცდომაში და დაუჩაგრავს" (ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", თბ. 1938, ტ.1, გვ. 295.)

***

მორგანს ველურებისათვის შალის ნაწერი მიუცია; მათ ეს ნაჭერი მრავალ ტოლ ნაჭრად დაუყვიათ და ისე გაუნაწილებიათ ერთმანეთს შორის, თუმცა, ქსოვილის ეს პატარა ნაკუწები უკვე არაფერში გამოდგებოდა ... ეს დაახლოებით შემდეგ ამბავს ჰგავს, რომელსაც **ბერტოლდ ბრეხტი ჰყვება** ფორმისა და შინაარსის ურთიერთობათა შესახებ: მებაღემ მომცა მაკრატელი და მითხრა დაფნა გამეკრიჭა. ვიცოდი, რომ დაფნა მრგვლად იკრიჭებოდა, და ვცდილობდი, მეც ასე გამეკეთებინა, მაგრამ ხან ერთი მხრიდან მოვაჭერი მეტი, ხან მეორე მხრიდან, ბოლოს კი გავკრიჭე მრგვლად, მაგრამ დაფნა მეტისმეტად დაპატარავდა (არადა, დაფნის ხე, თუ არ ვცდები, წელიწადში ხუთი სანტიმეტრით იზრდება. ა.გ.). მებაღემ გულისტკივილით ჩაილაპარაკა: მრგვალი კია, მაგრამ სადღაა დაფნის ხე?

***

მიწათმფლობელობას, როგორც ამას ისტორია გვიჩვენებს, საყოველთაოდ აქვს ის თვისება, რომ ადამიანში აღვიძებს დამოუკიდებლობის სულსა და ასევე საკუთარი ღირსების გრძნობას.

***

მე მეჩვენება, რომ უძველესი ცრურწმენა მის შესახებ, თითქოს სიმდიდრე გვაძლევდეს ბედნიერებას, ნგრევას იწყებს. **ტოლსტოი**

***

მეტისმეტად სქელი ტანსაცმლი ხელს უშლის სხეულის მოძრაობას; სიმდიდრე ხელს უშლის სულის მოძრაობას. **დემოფილი**

***

სიმდიდრის მოხვეჭის წყურვილი არასოდეს არ ცხრება და არ კმაყოფილდება. ისინი, ვინც მას ფლობენ, იტანჯებიან არა მხოლოდ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრის მოხვეჭის წყურვილით, არამედ იმისი დაკარგვის შიშითაც, რაც უკვე გააჩნიათ. **ციცერონი**

***

მე არასოდეს მიწუწუნია ბედზე. მაგრამ ერთხელ, როდესაც ფეხსაცმელი გამიცვდა და არ შემეძლო მისი ახლით შეცვლა, მაშინ კი გამოვთქვი ღმერთისადმი სამდურავი. შევედი დამძიმებული გულით კუფას მეჩეთში და იქ უფეხო კაცი დავინახე. მაშინ კი მადლობა შევწირე ღმერთს იმაზე, რომ თუმცა არ მქონდა ფეხსაცმელი, რომ ჩამეცვა, მაგრამ იმ კაცისაგან განსხვავებით მე ორივე ფეხი მქონდა. **ლადი**

***

მხოლოდ სამი გზა არსებობს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სიმდიდრის მოხვეჭა: შრომით, მათხოვრობით და ქურდობით. და თუ მშრომელი იღებს ასე ცოტას, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეტისმეტად ბევრი მოდის მათხოვართა და ქურდების წილად. **ჰენრი ჯორჯი**

***

კაცს ბრილიანტის თვალი ჩაუვარდა ზღვაში და მის ამოსაღებად წყლის ჩამჩით ხაპვა დაიწყო. ზღვის სული გამოვიდა ნაპირზე და ჰკითხა:
- როდის შეწყვეტ საქმიანობას?
- ვიდრე წყალს არ ამოვხაპავ და მარგალიტს არ ვიპოვი - მიუგო კაცმა.
ზღვის სულმა მარგალიტი გამოუტანა. **ტოლსტოი**

***

ადამიანები გაცილებით მეტს ზრუნავენ ქონების დაგროვებაზე, ვიდრე თავიანთი გონებისა და გულის განვითარებაზე. თუმცა ჩვენი ბედნიერებისათვის ის, რაც არის ადამიანში, გაცილებით მნიშვნელოვანია იმაზე, რაც არის ადამიანთან. **შოპენჰაუერი**

***

ღარიბი ადამიანი იცინის უფრო ხშირად და გაცილებით უზრუნველად, ვიდრე მდიდარი. **სენეკა**

***

ის კი არაა ღარიბი, ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც უფრო მეტი უნდა. **სენეკა**

***

რად უნდა ადამიანს სიმდიდრე? რისთვის უნდა მას ბედაურები, ძვირფასი ტანსაცმელი, მშვენიერი ოთახები, საროსკიპობში შესვლის უფლება? ეს ყველაფერი აზრის ნაკლებობის ბრალია. მიეცით ამ ადამიანს აზრის შინაგანი მუშაობის საშუალება და იგი გახდება გაცილებით ბედნიერი, ვიდრე ყველაზე ბედნიერი ადამიანი. **ემერსონი**

***

სიღარიბე – კეთილშობილების ნიშანია. ***ფრანსის ბეკონი***

***

მდიდარი შეუძლებელია კეთილი იყოს. თუკი იგი სიკეთის ქმნის თავის ბუნებრივ გრძნობებს ნებაზე გაუშვებდა, მოკლე ხანში მთელ თავის სიმდიდრეს დაკარგავდა. **ტოლსტოი**

***

მიყარ-მოყარეთ ქუჩაში კაკლები და ნამცხვრები, მწრაფლ დაესევიან ბავშვები, დაუწყებენ აკრეფას, დაიწყებენ ერთმანეთს შორის ჩხუბს. მოზრდილები ამის გამო არ იჩხუბებენ. ნაჭუჭებს არც ბავშვები დაუწყებენ აკრეფას.
გონიერი ადამიანისთვის სიმდიდრე, ღირსება, დიდება – ან ბავშვური ტკბილეულია ან ნაჭუჭები. დაე, ბავშვებმა აკრიფონ ისინი, დაე, მათ იჩხუბონ მისთვის, დაე, კოცნონ მდიდარ ხელისუფალთა ხელები, გონიერი ადამიანისათვის ეს ყველაფერი – ნაჭუჭებია. თუ გონიერ ადამიანს შემთხვევით ხელთ ჩაუვარდება კაკალი, რატომაც არ უნდა შეჭამოს, მაგრამ დაიხაროს მის ასაღებად, იჩხუბოს მისთვის, ვიღაც წააქციოს მის გამო ან თავად დაეცეს, - ეს ნამდვილად შეუფერებელი საქციელია. **ეპიკტეტი**

***

სამი ცდუნება აწვალებს ადამიანს ყველაზე მეტად: სხეულის ჟინი, სიამაყე და სიმდიდრისაკენ სწრაფვა. სახელდობრ აქედან წარმოსდგება ადამიანთა უბედურებანი, ურომლისოდაც ადამიანები ბედნიერად იცხოვრებდნენ. მათგან თავის დასაღწევად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: ადამიანის განუწყვეტელი მუშაობა საკუთარ თავზე. ხშირად ფიქრობენ, რომ კანონებსა და ხელისუფლებას შეუძლიათ ამ საქმეში ადამიანს დახმარონ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან კანონებს წერენ და ადამიანებს მართავენ ასევე ადამიანები, რომლებიც ასევე იტანჯებიან ჟინის, სიამაყისა და ანგარებისაგან. ამიტომ არ შეიძლება ხელისუფლებისადმი ნდობა. ამიტომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია საკუთარი სიკეთისათვის, ესაა საკუთარ არსებაში ვნებების ჩახშობა. არავითარი გაუმჯობესება არ შეიძლება, ვიდრე თითოეული ადამიანი არ დაიწყებს ამას საკუთარი თავიდან. **ლამანე**

***

თუკი იმ დროსა და ის ენერგიას, რომელიც ახლა იხარჯება მდიდრებზე თავდასასხმელად და იმის გამოსაგონებლად, თუ როგორ არის შესაძლებელი არსებული სისტემის შეცვლა, ადამიანი საკუთარი თავის სრულყოფაზე დახარჯავდა, მაშინ მალე მოხდებოდა ის ცვლილებები უკეთესობისაკენ როგორც ჩვენს სახელმწიფოებრივ, ისე ზნეობრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც ჩვენ ასე გვენატრება. **მალორი**

***

სხვათა განსჯა არა მხოლოდ უსამართლოა, არამედ ერთდროულად სამ ადამიანს აყენებს ზიანს: მას, ვის შესახებაც ცუდს ლაპარაკობენ, მას, ვისაც სხვის შესახებ ცუდს ელაპარაკებიან, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მას, ვინც განსჯის. ტყუილად როდი ამბობს ანდაზა: ,,დამალე სხვისი ცოდვა და ღმერთი შენ ორს გაპატიებს”.

***

ძლიერი რომ გახდე, წყალს უნდა დაემგვანო. თუ წინააღმდეგობა არ არის, იგი მდინარებს, თუ კლდე დახვდება, შესდგება, ოთხკუთხა ჭურჭელში იგი ოთხკუთხედია, მრგვალში – მრგვალი. იმის გამო, რომ იგი ასეთი დამთმობია, იმიტომაა ასეთი ძლიერი. **ლაო ძე**

***

იმისათვის, რომ ადამიანი გამოიკვებოს, ჩაიცვას-დაიხუროს და ჰქონდეს თავს ზევით ჭერი, ბევრი რამ როდია საჭირო. ყოველივე დანარჩენს ადამიანი იმიტომ იხვეჭს, რომ სხვათა გემოვნებას მიესადაგოს ან სხვა დაჩრდილოს. **აღმოსავლური**

***

არ შეიძლება, რომ მდიდარი უბიწოც იყოს,
და მეტის ძალით ზიზღი მათი თანდათან მიპყრობს. ***ფირდიუსი***

***

ევროპელი თავს იწონებს ჩინელის წინაშე მანქანური ინდუსტრიის უპირატესობის გამო: ,,იგი ათავისუფლებს ადამიანს შრომისაგან". რაზეც ჩინელი პასუხობს: ,,კი მაგრამ, შრომა ხომ სიკეთეა, მისგან განთავისუფლება განა უდიდესი უბედურება არ იქნებოდა?!"

***

ჩინელები ამბობენ, ძალზე მდიდარია ის, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი.

ფრაგმენტები დიდ მოაზროვნეთა თხზულებებიდან

ეს ის დრო იყო, როცა თაგვები და ვირთხები სოროებში შეიმალნენ, რადგან მათ სადღაც ბნელი კუნჭულიდან თვალებს უბრიალებდა მძვინვარე კატა - საზოგადოებრივი აზრი. და მხოლოდ გამოცდილი ვირთხები ბედავდნენ ხელის გამოღებას. **დრაიზერის „ფინანსისტიდან"**

***

მუდმივი გატაცება კოხტაობით გონებაშეზღუდულობის მაჩვენებელია. ***რადიშჩევი***

***

ცალკეულ ადამიანთა ეგოიზმი საზოგადოებისათვის სასარგებლოა. ***ადამ სმიტი***

***

არ არსებობს კეთილი მეფე. ძალაუფლება უკვე თავისთავად წარმოადგენს ბოროტებას, რომელიც რყვნის იმას, ვისაც იგი გააჩნია. ***რადიშჩევი***

***

ადამიანის უკვდავება ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში მდგომარეობს. ***რადიშჩევი***

***

დაბეჭდილის ცენზურა საზოგადოებას ეკუთვნის, იგი ადგამს შემთხზველს გვირგვინს, ან რაიმეს გასახვევად იყენებს მისი თხზულების ფურცლებს... მიუშვი თავის ნებაზე და ყველა დაინახავს, თუ რა არის ჭკვიანური და რა - სულელური. **მისივე**

***

მკვირცხლი ჭკუა არაა დიდად სასარგებლო, თუ იგი ჭეშმარიტ გზაზე არა სდგას. საათის ღირსება არა სწრაფი, არამედ სწორედ მუშაობაა. (?)

***

ნურაფერს წაიკითხავ, რის დამახსოვრებაც არ გსურს და არაფერი დაიმახსოვრო, რის გამოყენებასაც არ ფიქრობ. ***ბლეიკი***

***

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სინაზემ - სწორედ ამ ორმა ძალამ შემაგულიანა და მომცა ბიძგი, რომელმაც ყოფილი მაწანწალა ლიტერატორად მაქცია. ***გორკი საქართველოს შესახებ***

***

„ფრენჰოფერი შებარბაცდა: ჟილეტა იდგა მის წინაშე გულუბრყვილო და შემცბარი, როგორც უმანკო ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომელიც მეკობრეებს გაუტაციათ და მონებით მოვაჭრისათვის მიუგვრიათ". ***ბალზაკი, „უცხო შედევრი"***

***

ნამდვილად დიდი ადამიანი გარკვეული ზომით ყოველთვის გრძნობს, რომ მისი ცხოვრება მის ხალხს ეკუთვნის, რომ ყველაფერი, რაც მას ღმერთმა მისცა, მისცა არა მხოლოდ მას ერთს, არამედ მისი საშუალებით მთელ კაცობრიობას. ***ფილიპ ფრუკსი***

***

ვივეკანდას (1862–1902) სახელს უკავშირდება ახალი დროის ინდური ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი. ბიოგრაფები გვამცნობენ, რომ მასზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა დ. მილის „რელიგიის გამოკვლევამ". შემდგომ მან შეისწავლა დეკარტეს, სპინოზას, იუმის, კანტის, ფიხტეს, ჰეგელის და სხვათა თხზულებები.
ჯ. ნერუ შენიშნავს, იგი უდიდესი დამაარსებელთაგანია ინდოეთის ეროვნული მოძრაობისა და უამრავი ხალხი, რომელიც მოგვიანებით ჩაება ამ მოძრაობაში, თავის ენთუზიაზმით ვივეკანდასაგანაა დავალებული... მან უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე ინდოეთზე. აი, მისი ზოგიერთი ფილოსოფიური აზრი:

ყოველი კაცის მოვალეობაა თავისი ხალხის იდეალების შესაბამისად იქცეოდეს. კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც აამაღლებს და სიქველით შემოსავს მას თანამემამულეთა თვალში;

უდიდესი ადამიანები შეუმჩნეველი იყვნენ მარადჟამს. ჩვენთვის ცნობილი ქრისტე და ბუდა მეორე თანრიგის გმირები არიან იმ დიდებამოსილ ადამიანებთან შედარებით, რომელთა შესახებაც მსოფლიომ არაფერი იცის... ამნაირ გმირთა ასეულნი ცხოვრობდნენ ყველა ქვეყანაში. ისინი ჩუმად მუშაობდნენ, ცხოვრობდნენ და ჩუმადვე კვდებოდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ბუდასა და ქრისტეს მოძღვრებაში პოულობდა გამოძახილს მათი აზრები და ამიტომ მხოლოდ ესენი გახდნენ ჩვენთვის ცნობილნი. კაცთა შორის უფრო მაღალთა და მაღლამხედთათვის არარაა სახელის მოხვეჭა, ისინი თავიანთ იდეებს მსოფლიოს ანდობენ და საკუთარი სახელობის არავითარ სკოლასა თუ სისტემას არ აარსებენ. ეს უხამსობა იქნებოდა მათთვის. მათ არაფრის დაჩემება არა სურთ.

უკეთუ ეძიებთ ღმერთს სიყვარულისას, ნურასოდეს დაივიწყებთ, რომ იგი უმაღლესი ძალაა. სიწმინდეზე დიდი ძალმოსილება არ არსებობს. ღვთისადმი დიდი სიყვარული ძაბუნთათვის მიუწვდომელია. მაშ, ნურც სულით და ნურც სხეულით ნუ დაძაბუნდებით. ძლიერნი, ძლიერნი, იყავით.

მამაცნი იყავით! სიმამაცე უმაღლესი სიკეთეა. ყველას შეუპოვრად უქადაგეთ სიმართლე – დაუფარავად, უშიშრად, უკომპრომისოდ და ნუ ზრუნავთ მდიდართა და ქედმაღალთათვის! სიმდიდრესთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. მათ წინაშე ლაქუცი, ლიქნა და პირფერობა როსკიპი ქალის საქმეა. ჩვენი ვალია გლახაკთა და უპოვართა მახლობლად ყოფნა. ესენი უნდა შევიყვაროთ, სიხარულით ვემსახუროთ, თავი შევწიროთ.

შივა! შივა! განა ოდესმე დიდი საქმე მდიდართა მეოხებით გასრულებულა? ჰქმნის გული და გონება და არა ფულით გატენილი ქისა!

თუკი მოინდომებთ საკუთარი თავის ხსნას, ჯოჯოხეთში მოხვდებით. სხვების ხსნას უნდა ეცადოთ. უმჯობესია სხვებისათვის ჯოჯოხეთში მოხვდე, ვიდრე საკუთარი თავის ხსნისათვის ცა მიითვალოთ.

მსოფლიო ისტორია რამდენიმე თვითმრწმენი კაცის ისტორიაა. აქ რწმენა იხმობს ხოლმე გულში ჩამარხულ ღვთაებას: თქვენ ძალგიძთ ყოველივე! და მხოლოდ მაშინ დამარცხდებით, თუ არ დაძაბავთ ძალას თქვენშივე დაფარული დაუსაბამო ძლიერების გამოსავლენად. დაკარგავს თუ არა კაცი საკუთარი თავის რწმენას, - სიკვდილი იმწამსვე მოდის. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი ირწმუნეთ და მერე ღმერთი. ძალგულოვანთა ერთი გუნდი მთელ ქვეყანას ააყირავებს. რწმენა, რწმენა, რწმენა, საკუთარი თავის!

რატომ არის, რომ ერთი მუჭა უცხოელები ათასი წლის განმავლობაში თავზე ასხედან სამასმილიონიან ხალხს?! იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ რწმენა საკუთარი თავისა, ჩვენ კი – არა.
თქვენ, – პატრიოტებად და რეფორმატორებად წოდებულნო – გრძნობთ თუ არა, რომ ღმერთთა და ბრძენთა შთამომავალი ხალხი ნახირს დაემსგავსა? გიღონდებათ თუ არა ამის გამო გული, გიფრთხებათ თუ არა ძილი? გრძნობთ თუ არა, რომ უმეცრება შავი ნისლივით დააწვა ქვეყანას და ამისაგან ჭკუაზე იშლება?
საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ხალხს უნერგავდნენ მისთვის დამამცირებელ აზრებს. მთელი დედამიწის ზურგზე მასებს ეუბნებიან, რომ ისინი არარა არიან. მათ ისე აშინებდნენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ თითქმის ცხოველთა ჯოგს დაემსგავსნენ. აღსდექით!
ჩვენ რელიგია გვინდა, რომელიც ადამიანებს შექმნის!
ჩვენ აღზრდა გვინდა, რომელიც ადამიანებს შექმნის!
სამყაროს უდიდესი ჭეშმარიტება უბრალოა, უბრალო, როგორც თქვენივე ყოფიერება.

***

მრავლად შეუშხაპუნეთ ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ რწმენა თავის არარაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ: ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოდუნდება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. გდია ჯანმრთელი ვაჟკაცი და თითსაც ვერ იქნევს, გდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც არა აქვს ...
რა დამართია ამ ადამიანს? თავისი თავის რწმენა დაეკარგა, სიცოცხლის უნარი დაუჩლუნგდა, ნებისყოფა გამოეცალა...

ფსიქოლოგია კარგად იცნობს ამ სენს – ზოგჯერ მასობრივსა და ამიტომ სახიფათოს...
ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. *მ. ჯავახიშვილი*

***

„ნუ აქებ ადამიანს, ვიდრე იგი ცოცხალია" – აი, წესი, შურით გამოგონილი და ამასთან, მეტისმეტად აჩქარებით ატაცებული ფილოსოფოსების მიერ. პირიქით, შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ადამიანი უნდა შეაქო სიცოცხლეშივე, თუკი, რა თქმა უნდა, იგი ამას იმსახურებს. გათამამება და მისთვის შესაფერისი ქების მიძღვნა საჭიროა სახელდობრ მაშინ, როდესაც შური და ცილისწამება არ ინდობენ არც მის ტალანტსა და არც მის კეთილშობილებას. სულითა და გულით ქება საშიში არაა, საშიშია დაუმსახურებლად გაანაწყენო ადამიანი.

ვოვერანგი

ამონაწერები შარლ დე კოსტერის ,,ულანშპიგელიდან..."

მეფეებს შორის ყოველთვის არსებობს თანხმობა, როდესაც ისინი ერთმანეთს საჭიროებენ ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შარლ დე კოსტერი ფილიპე მეფეს ათქმევინებს:

ჩვენ მით უფრო გვიყვარს ჩვენი საყვარლები, რაც უფრო ძვირად გვიღირან ისინი. ხალხთან დაკავშირებითაც იგივეა. რაც უფრო მეტს ვეჩხუბებით, მით უფრო ვუყვარვართ მათ. გერმანიაში მე ვითმენდი რეფორმაციას, ჰოლანდიაში მკაცრად ვდევდი მათ. თუკი გერმანელი მეფეები კათოლიკებად დარჩებოდნენ, მე თავად გადავიდოდი ლუთერანობაზე, რათა კონფისკაცია მომეხდინა მათი ქონებისათვის, მათ კი სწამთ ჩემი ერთგულება რომაულ-კათოლიკური რწმენისადმი და წუხან, რომ მე ვტოვებ მათ. ჩემი წყალობით ჰოლანდიაში დაიღუპა 55 ათასი ადამიანი – ყველაზე ღირსეული მამაკაცები და ულამაზესი ქალები...
კონფისკაციის გარდა, მე მათ გადასახადების გზით ჩამოვართვი გაცილებით მეტი ფული, ვიდრე მისი მოცემა შეეძლოთ ინდოეთსა და პერუს, - ისინი კი ნაწყენები არიან, რომ კარგავენ...მე გავანადგურე ყველაფერი, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა ჩემთვის: თავისუფლება, სამართალი, პრივილეგიები – ყველაფერი დავუქვემდებარე ჩემი ჩინოვნიკების ხელისუფლებას, ხოლო ეს ბრიყვები თავს თავისუფლად მიიჩნევენ, რამეთუ მათ ნება დართეს ესროლათ ისარი და პროცესიაზე თავიანთი საამქროს დროშები ეტარებინათ. ისინი გრძნობენ მპყრობელის ხელს: ნებივრობენ გალიაში, ხოტბას მიძღვნიან და დამტირიან. შვილო ჩემო, მოიქეცი მათთთან, როგორც მე: კეთილი სიტყვით, მკაცრი საქმით. ლოკე, ვიდრე არ მოსულა კბენის დრო. შეუწყვეტლად ეფიცე, რომ დაიცავ მათ თავისუფლებას, უფლებებსა და უპირატესობებს: მაგრამ, დაინახავ რა, რომ ისინი საშიშნი ხდებიან, დათრგუნე ისინი. ნუ შეეხები მათ მონური ხელით: მაშინ ისინი რკინისები არიან. მაგრამ ისინი აღმოჩნდებიან მინის, როდესაც შენ მათ დაამსხვრევ მძიმე ხელით. იმიტომ კი არ გაანადგურო ერეტიკოსები, რომ მათ უარყვეს კათოლიკური სარწმუნოება, არამედ იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ შეარყიონ ჩვენი მდგომარეობა. ისინი, რომლებიც თავს ესხმიან პაპს, სამი გვირგვინის მატარებელს, ადვილად გაუსწორდებიან იმ ხელისუფალთაც, რომლებიც ერთ გვირგვინს ფლობენ. გააკეთე სინდისის თავისუფლებიდან მისი ბრწყინვალების შეურაცყოფა, რომელსაც თან ქონების კონფისკაცია მოჰყვება და მთელი ცხოვრება, ისევე, როგორც მე, მიიღებ მემკვიდრეობას. და როდესაც დადგება დღე შენი გადადგომისა ანდა გარდაიცვლები, ისინი იტყვიან: ,,ახ, რა კეთილი მეფე იყო" და ტირილს დაიწყებენ.

***

ხელისუფლება სიმკაცრეს ბადებს ...

***

ამ კაცმა შესცოდა ისევე, როგორც სცოდავდა მთელი თავისი ცხოვრება - გულკეთილობიდან გამომდინარე...

***

გორკის აქვს კარგი აზრი გამოთქმული თავის ,,***ლევ ტოლსტოიში***": დიდი ადამიანები ყოველთვის საშინლად წინააღმდეგობრივი არიან. წინააღმდეგობრიობა სისულელე არაა. სულელი - ჯიუტია, მაგრამ წინააღმდეგობა არ შეუძლია.

***

,,ფაუსტის" მეორე ნაწილი ბებრული სიყვარულია. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საზიზღარი? ახ, უბრალოება, აი, ეჭვგარეშე ნიშანი ნამდვილი, სერიოზული და საჭირო..." ***ტოლსტოი***

***

მე ისე ვაღმერთებდი რუსსოს, რომ ერთხანობა მსურდა მისი პორტრეტი მედალიონში ჩამესვა და მკერდზე მეტარებინა ხატივით***. ტოლსტოი***

***

ლიტერატორ ადამიანებს მეტწილად სრულიად არ ეხერხებათ ლაპარაკი და პირიქით – მჭერმეტყველებს - წერა. ***ტოლსტოი***

***

აქედან ამონაწერები ***რუსსოს „აღსარებიდან":***

დიდი ფრანგი განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსსო დაიბადა 1712 წელს ჟენევაში, მესაათის ოჯახში, რომლის წინაპრებიც ოდესღაც, რელიგიური ომების ეპოქაში იყვნენ საფრანგეთიდან ემიგრირებულნი.
იმ დროისათვის, როდესაც რუსსო პარიზში გამოჩნდა, იგი 30 წლისა იყო. ამ დროს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმას, რომ რუსსო ფრანგული ლიტერატურის სიამაყედ იქცეოდა; თავად რუსსოც არ ფიქრობდა სერიოზულად თავის მომავალ მწერლობაზე.

რუსსო ჰყვება, რომ ყოველი ზეპირი გამოსვლა მისთვის უაღრესად ძნელი იყო. მას უყვარდა განმარტოება და რაიმეს შეთხზვა შეეძლო მხოლოდ სეირნობის დროს, როდესაც საშუალება ჰქონდა საგულდაგულოდ და ყოველმხრივ დაეხვეწა თავისი აზრები.

რუსსო წერს, მამაჩემი გარდაიცვალა დედაჩემის სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ, მეორე ცოლის ხელებზე. მიუხედავად ამისა, მის ბაგეებს პირველი ცოლის სახელი, ხოლო მის გულს მისი სახე არ მოშორებიაო.

ზოგჯერ ჩემი გახურებული სისხლი ქალს მოითხოვდა, მაგრამ ჩემს აღელვებულს გულს უფრო მეტად სიყვარული სჭირდებოდა. ფულით ნაყიდმა ქალებმა ჩემთვის ყოველგვარი მომხიბლველობა დაკარგეს; ისიც კი მეეჭვება, შემეძლო თუ არა მათით საერთოდ სარგებლობა. ეს ეხება ყოველგვარ ჩემთვის ხელმისაწვდომ სიამოვნებას. მე მიყვარს მხოლოდ ის სიკეთე, რომლებიც ეკუთვნის მხოლოდ პირველს, ვისაც მისი დაგემოვნება შეუძლია.

რუსოს ახასიათებდა თითქმის უკიდურესობამდე მისული სიძუნწე შერწყმული ფულის მიმართ უდიდეს ზიზღთან. ჩემთვის ფულიო, წერს იგი, - იმდენად მოუხერხებელი ქონებაა, რომ არასოდეს თავში არ მომივა მოვისურვო იგი, თუკი არა მაქვს. ამასთან, როდესაც მაქვს ფული, მე დიდხანს ვინახავ, არ ვხარჯავ მას, რადგანაც არ ვიცი, თუ რაში დავხარჯო; მაგრამ როგორც კი გამოჩნდება ხელსაყრელი და სასიამოვნო შემთხვევა, მე ისე კარგად ვხმარობ მათ, რომ ჩემი ქისა მანამდე იცლება, ვიდრე მე ამას შევამჩნევ. მოკლედ, ნუ ეძებ ჩემში ძუნწთათვის დამახასიათებელ მანიას: ფულის ხარჯვა ყველას დასანახად. ყველაფერი გაცილებით სხვაგვარად არის; მე ვხარჯავ მათ საიდუმლოდ და საკუთარი სიამოვნებისათვის. შორსა ვარ იმისაგან, რომ თავი მოვიწონო ჩემი მფლანგველობით, მე ამას ვმალავ. მე ისე კარგად მესმის, რომ ფული ჩემთვის არაა შექმნილი, რომ თითქმის მცხვენია, მქონდეს იგი. მე რომ როდესმე მქონოდა ცხოვრებისათვის განსაზღვრული და საკმარისი შემოსავალი, მაშინ მე არ დამემუქრებოდა ძუნწად გახდომა, მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული ამაში. მაშინ მე დავხარჯავდი მთელ ჩემს შემოსავალს, არ შევეცდებოდი მის გაზრდას, მაგრამ არაუზრუნველყოფილობა მუდმივ შიშში მამყოფებს. მე ვაღმერთებ თავისუფლებას, მეზიზღება შეზღუდულობა, გაჭირვება, ვისმესადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნა...
ფულს, რომელსაც ფლობ – თავისუფლების იარაღია; ფული, რომლისკენაც მიისწრაფვი, მონობის იარაღი. აი რატომ ვინახავ მათ კარგად და არასოდეს ვცდილობ მათ მოპოვებას...
კაცის ცხოვრებაშიო, წერს რუსსო, არსებობს წუთები რაღაც ბოდვისა, როდესაც არ უნდა განსაჯო კაცზე მისი ქცევის მიხედვით.

ქალბატონ ვარანსის შესახებ რუსსო წერს: დაე მათ, ვინც უარყოფს სულთა შორის სიმპათიებს, ახსნან, თუ შეუძლიათ, როგორ მოხდა, რომ პირველივე შეხვედრის, პირველივე შეხედვის, პირველივე სიტყვის თქმისთანავე ქალბატონმა ვარანსმა არამხოლოდ უდიდესი ძალით მიმიზიდა და გამოიწვია სრული ნდობა, რომელიც არასოდეს არა ყოფილა შემცდარი... როგორ მოხდა, რომ პირველად შევხვდი მომხიბლავ, მშვენიერ, დამაბრმავებელი სილამაზის, მაღალი საზოგადოების ქალს, ვიდრე ჩემი იყო, ქალს, რომლის მსგავსიც მე არასოდეს არ მენახა, რომლის ყურადღებამაც გარკვეულწილად გადაწყვიტა ჩემი ბედი – როგორ მოხდა, ვკითხულობ, რომ მე, მიუხედავად ყველაფრისა, იმწამსვე ვიგრძენი თავი ისე თავისუფლად, ისე დამოუკიდებლად, თითქოს სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ მას მოვეწონებოდი? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, ...

რუსსო წერს, რომ უაზროდ ვიქცევი, როდესაც ჯერ ვვარდები გაჭირვებაში, ხოლო შემდეგ ღმერთს ვეხვეწები, რომ იქიდან გამომიყვანოს. აი, ამაზე ღმერთის პასუხი: „მე შენ შეგქმენი მეტისმეტად სუსტად, იმისათვის, რომ გამოხვიდე უფსკრულიდან, იმიტომ, რომ შეგქმენი საკმაოდ ძლიერი, რომ იქ არ ჩავარდნილიყავი".

თავისი ერთი ნაცნობის შესახებ რუსსო წერს: მან დამიხატა ადამიანთა ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი, რომლის თაობაზეც მე არც თუ ისე სწორი წარმოდგენა მქონდა. მისგან მე გავიგე, რომ თვით ყველაზე არასასურველ პირობებშიც კი ბრძენს ყოველთვის აქვს საშუალება ისწრაფოს ბედნიერებისაკენ და ამისათვის ზურგის ქარი გამოიყენოს, რათა ამას მიაღწიოს; რომ არ არსებობს ბედნიერება სიბრძნის გარეშე, ხოლო სიბრძნე კი ყველა წოდებისათვის არის მისაღწევი. მან ძლიერ შეარყია მუხლმოდრეკა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ, დამიმტკიცა რა, რომ ისინი, ვინც სხვებს მართავენ, არც ჭკვიანნი არიან და არც ბედნიერები ამ უკანასკნელებთან შედარებით. ამასთან მან გამოთქვა აზრი, რომელსაც მე ხშირად ვიხსენებ ხოლმე შემდგომში: „თუკი ადამიანებს შეეძლებოდათ ურთიერთის გულის

ზრახვათა ამოცნობა, მაშინ იმათი რიცხვი უფრო მეტი იქნებოდა, ვისაც დაბლა დაშვება ენდომებოდა, ვიდრე მათი, ვისაც აღზევება".
ეს აზრი, რომელიც საოცრად სწორია და სრულიად არ არის გადაჭარბებული, ხშირად მეხმარებოდა ცხოვრებაში და მაიძულებდა წყნარად დავრჩენილიყავი ჩემს ადგილზე".

ცუდი საქციელი ჩვენ გვტანჯავს არა მაშინ, როდესაც იგი ეს-ესაა ჩადენილია, არამედ მაშინ, როდესაც დიდი ხანი არის გასული, რამეთუ მისი ხსოვნა ასე ადვილად არ ქრება.

ის, ვინც ამას წაიკითხავს, რა თქმა უნდა, გაიცინებს ჩემი სასიყვარულო თავგადასავლების გამო, რადგან ნახავს, რომ მათგან ყველაზე გაბედული ხელზე კოცნით არის დამთავრებული. ო, ჩემო მკითხველო, ნუ შეცდები! სიყვარულს, რომელიც ხელზე კოცნით სრულდებოდა, ვგონებ, ჩემთვის მოჰქონდა გაცილებით მეტი სიხარული, ვიდრე თქვენ ოდესმე განგიცდიათ თქვენი სიყვარულისაგან, რომელიც მინიმუმ ამით დაგიწყიათ.

მე ყოველთვის ვპოულობდი ქალებში იმის უნარს, რომ დავემშვიდებინე და ისე არაფერი არ ამშვიდებდა ჩემს არსებას უბედურებისა და წარუმატებლობისაგან, როგორც მოლოდინი რომელიმე კეთილი არსების თანაგრძნობისა

ვიღაცაზე წერს რუსსო, თავისი შეყვარებული იმიტომ მიატოვა, რომ შემდეგ მისთვის წერილები ეწერაო.

მე არ მიყვარს ადამიანებს შორის ცხოვრება; ამაში იმდენად ჩემი ბრალი არ არის, რამდენადაც მათი.

ჩაგვრა და იძულება აუტანელია ჩემთვის, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს ის. ამას შეუძლია შემაძულოს ყველაზე დიდი სიამოვნებაც კი. ამბობენ, მაჰმადიანებში განთიადისას ქუჩაში დადის კაცი და ქმრებს უბრძანებს შეასრულონ თავიანთი ცოლ-ქმრული მოვალეობა. ასეთ შემთხვევაში მე ძალიან ცუდი თურქი ვიქნებოდი...

მორწმუნეთ ღმერთი ისე წარმოუდგენიათ, როგორებიც თავად არიან. კეთილებს – კეთილად, ბოროტებს – ბოროტად.

ჩვენ ნაკლებ ვართ შექმნილი იმისათვის, რომ აქ, დედამიწაზე ვიყოთ ბედნიერნი. ჩვენი ან სხეული უნდა იტანჯებოდეს, ან სული.

პარიზში მხოლოდ ქალების დახმარებით არის შესაძლებელი რაიმეს მიღწევა.

მე ყოველვის ზიზღით ვიყავი განმსჭვალული ქუჩის ქალებისადმი ... რაც შეეხება ქალებისათვის გაღებულ ხარჯებს... მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ამისათვის არასოდეს გამიღია ერთი გროშიც კი.

როგორი ტალანტითაც არ უნდა დაიბადო, წერის ხელოვნება უცებ არ გეძლევა.

ტყუილად მაბრალებენო, - წერს რუსსო, - თითქოს ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ გამეცინოს. ვინც ამას მაბრალებს, ის ჩემს ახალგაზრდობას არ იცნობს.

„ემილი" მე მიღირდა ოცი წლის ფიქრად და სამი წლის მუშაობად.

თუ ვინმეს, თუკი იგი ინტრიგანი არაა, გადაწყვეტილი აქვს თავისი წიგნები მიუძღვნას სამშობლოს ჭეშმარიტ ბედნიერებას, მან ისინი საკუთარი ქვეყნაში არ უნდა შეთხზას.

მხოლოდ შრომის ხასიათის ცვლაშია შესაძლებელი ნამდვილი დასვენება.

თუ ვინმეს, ვინც ინტრიგანი არაა, ნამდვილად სურს თავისი წიგნები სამშობლოს ჭეშმარიტ ბედნიერებას მიუძღვნას, მან იგი მის საზღვრებში არ უნდა შექმნას.

პირველი ჩემი მოთხოვნილება, ყველაზე დიდი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე დაუცხრომელი მთლიანად ჩემს გულში გამოიხატებოდა: ეს იყო მოთხოვნილება მჭიდრო, მაქსიმალურად ინტიმური ურთიერთობისა; ამიტომ მე უფრო ვსაჭიროებდი ქალს, ვიდრე კაცს, უფრო დაქალს, ვიდრე მეგობარს. ეს უცნაური მოთხოვნილება ისეთი იყო, რომ ორი სხეულის ყველაზე უფრო მჭიდრო შეერთებასაც კი არ შეეძლო ყოფილიყო ამისათვის საკმარისი; ჩემთვის საჭირო იყო ორი სული ერთ სხეული; ამის გარეშე მე ყოველთვის სიცარიელეს ვგრძნობდი... მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მას ნამდვილად უყვარდა და მისი წყნარი ტემპერამენტი არ საჭიროებდა სხვას, მაშინაც კი, როდესაც მე მისთვის უკვე აღარ ვიყავი მამაკაცი (ამას რუსსო თავის ტერეზას შესახებ წერს. აბა, თუ მის მეტი სხვა კაცი არ ყავდა, ლიონ ფიოხტვანგერმა როგორ ააგო მათ სამკუთხედზე რომანი? –ა.გ.).

ცოლსა და სიდედრზე წერს რუსსო, ქალბატონი დიუპენისაგან იღებდნენ მრავალ საჩუქარს, რომელსაც იგი ჩემს მიმართ სიმპათიების გამო უკეთებდაო. ამის გამო ქილიკობდა ვოლტერი, რუსსო თავად არ იღებს ქრთამს, თუმცა ამას მისი ცოლი და სიდედრი უმისოდაც კარგად აკეთებენო.

მდაბალი შურისძიება შეუფერებელია ჩემი ბუნებისათვის, ხოლო ზიზღი ვერასოდეს ვერ ნახულობს მასში ადგილს.

ვიღაცის, მგონი გრიმის შესახებ წერს რუსსო, არ მჯეროდა, რომ ის სახეს ითეთრებდაო და შემდეგ დასძენს:„ღმერთო ჩემო! ნუთუ შეუძლია ძლიერ და ღრმა გაქანებას მგრძნობიარე გულისას დაუტოვოს ადამიანს ამდენი დრო თავისი უმნიშვნელო არსების ამგვარი წვრილმანი მზრუნველობისათვის?”

მონტესკიე წაეჩხუბა მამა ტურნემინს და ყველა ახლობელს შემდეგს ეუბნებოდა: „არ მოუსმინოთ არც მამა ტურნემინს და არც მე, როდესაც ჩვენ ერთმანეთის შესახებ ვლაპარაკობთ, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე მეგობრები აღარა ვართ”.

მადამ პომპადურს (რომელიც მე მგონი, ლუი XV–ის საყვარელი იყო, ა.გ.), რუსომ გაუგზავნა თავისი წიგნი, სადაც წერდა, რომ მენახშირის ცოლი უფრო მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე უფლისწულის საყვარელიო. ამით მან ადრესატის დიდი წყრომა და დევნა დაიმსახურა.

ყოველგვარი უთანასწორო კავშირი ყოველთვის არახელსაყრელია სუსტი მხარისათვის.

მე ძირითადად საუკეთესო ვარ ადამიანებს შორის და ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ როგორი წმინდაც არ უნდა იყოს ადამიანის სული, მასში მაინც იმალება რაღაც საზიზღარი ნაკლი. მე ვიცოდი, რომ საზოგადოებაში მხატავდნენ ეშმაკად, ისეთ დონემდე მიუმსგავსებელს ჩემთან, ხოლო ზოგჯერ ისეთ მახინჯად, რომ თუკი არ

დავმალავ არაფერს ცუდს ჩემს შესახებ, მე შემიძლია მხოლოდ მოვიგო, თუკი თავს ისეთად წარმოვადგენ, როგორიც სინამდვილეში ვარ.

ქალებს, განსაკუთრებით მაღალი საზოგადოების დამებს, სურთ, რომ ისინი გაართონ და მათთვის ისიც კი უკეთესია, რომ აწყენინონ, ვიდრე აიძულონ ისინი, მოიწყინონ.

დიდი ხნის განშორება ბავშვთან, რომელსაც ჯერ კიდევ არ იცნობ, ასუსტებს და ბოლოს კი საერთოდ, აქრობს მამობრივ და დედობრივ გრძნობას; და არასოდეს ჩვენ ვერ შევიყვარებთ ბავშვს, რომელიც აღსაზრდელად გავაბარეთ, ისე, როგორც მას, რომელიც ჩვენს თვალწინ გაიზარდა (თავად რუსსომ, ამ პრინციპებიდან გამომდინარე, თავისი შვილები უპატრონო ბავშვთა სახლში მიაბარა აღსაზრდელად, ისე, რომ არ იცოდა, თუ ვინ იყო მისი შვილი –ა.გ.).

მხოლოდ ჯდომა და ლაყბობა ოთახში, სადაც ყველა ერთმანეთის პირდაპირ ზის და მხოლოდ ენას ატარტარებს, ჩემთვის ყოველვის აუტანელი იყო. როდესაც დადიხარ, სეირნობ – ასეთი ცარიელი ლაყბობა კიდევ შეიძლება აიტანო კაცმა; ყოველ შემთხვევაში ფეხები და თვალები მაინც რაღაცით დაკავებული არიან, მაგრამ გაჩერება ერთ ადგილზე, გულზე ხელის დაკრება და საუბარი ამინდზე, მომაბეზრებელ ბუზებზე ან, რაც უფრო უარესია, ქათინაურების ერთმანეთისათვის გაცვლა – ეს ჩემთვის აუტანელი წამებაა.

რუსსოს უთხრა გოლბახმა, ჩემთან რატომ არ მეგობრობო. ნამეტანი მდიდარი ხარო, – იყო პასუხი. მაგრამ ეს პასუხი რუსსოს დაავიწყდა და მალე დაუმეგობრდა კიდეც მას. შემდეგ ამას რუსსო ნანობდა და იგი წერს, რომ: მაშინ მე სწორი არ ვიყავი. გამოცდილებამ მასწავლა დავეჭვებულიყავი იმაში, რომ ადამიანი, რომელიც ფლობს დიდ ქონებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, – შეეძლო ჭეშმარიტად შეეყვარებინა ჩემი პრინციპები და მათი მატარებელი.

მე არასოდეს არ მყვარებია ვოლტერივით უხეში საუბარი.

ნამდვილი ბედნიერების წყარო თავად ჩვენშია. არც ერთ ადამიანს არ ხელეწიფება აქციოს უბედურად ის, ვისაც ნამდვილად უნდა, ბედნიერი იყოს.

ახალგაზრდობა – ეს არის დრო სიბრძნის ასათვისებლად; სიბერე – ესაა დრო მის გამოსაყენებლად.

იმ მრავალ წიგნთა შორის, რომლებსაც მე კიდევ ვკითხულობ, ყველაზე მეტად მიტაცებს და მოაქვს ჩემთვის სარგებლობა პლუტარქს. ის იყო ჩემი პირველი საბავშვო საკითხავი წიგნი და ის იქნება ბოლო წიგნი ჩემს მოხუცებულობაში. ეს არის თითქმის ერთადერთი ავტორი, რომლის კითხვის შედეგადაც მე ყოველთვის რაღაც ფასეულს ვღებულობდი.

ზიზღი – ეს იმის ნიშანია, რომ ჩაახშო შენი არსებობა; მე უფრო ისა მსურს, იგი მთელს სამყაროზე გავავრცელო.

უსამართლობისა და ბოროტების სანახაობა კვლავაც აიძულებს ჩემს სისხლს აღელდეს რისხვისაგან.

ძალა და თავისუფლება – აი, ყველაფერი ის, რაც ადამიანს მშვენივრად აქცევს.

მე არასოდეს მიფიქრია, რომ თითქოს ადამიანის თავისუფლება იმაში მდგომარეობდეს, რომ გააკეთო ის, რაც გსურს; იგი ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს არ გააკეთო ის, რისი გაკეთებაც არ გინდა.

მე ცოტა სიკეთე გამიკეთებია, არ ვმალავ; მაგრამ რაც შეეხება ბოროტებას, არასოდეს დამბადებია მისი გაკეთების სურვილი და მე ვეჭვობ, რომ იყოს მეორე ადამიანი დედამიწაზე, რომელსაც გაკეთებული ექნება უფრო ნაკლები ბოროტება, ვიდრე მე...

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ნამდვილად კმაყოფილი არც ხსვებით და არც ჩემი თავით. ადამიანთა ფუსფუსი მბეზრდებოდა, ხოლო მარტოობა მწყინდებოდა; მე ვგრძნობდი ადგილის შეცვლის განუწყვეტლივ მოთხოვნილებას და არსად არ ვგრძნობდი თავს კარგად.

ბედნიერება – ეს არის უცვლელი მდგომარეობა, რომელიც არ არის შექმნილი ადამიანისათვის ამქვეყნად. დედამიწაზე ყველაფერი განუწყვეტელ მდინარებაშია, რომელიც არაფერს არ აძლევს საშუალებას მიიღოს მუდმივი ფორმა. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი იცვლება, ჩვენ თავადაც ვიცვლებით და არავის არ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ხვალაც ისევე ეყვარება, როგორც უყვარს დღეს. ამიტომ ჩვენი ნებისმიერი აზრი ბედნიერებაზე ამ ცხოვრებაში ქიმერა აღმოჩნდება ხოლმე.

კმაყოფილება არ განიზომება ხარჯებით და სიხარული უფრო ლიარებთან მეგობრობს, ვიდრე ლუიდორებთან (აბა ლერმონტოვმა რომ თქვა, სიმდიდრე ბედნიერებასთან გვაახლოებსო?! (ა.გ.).

***

ამბობენ, რომ ჰოლანდიელები მოითხოვენ ანაზღაურებას, თუკი გეტყვიან, რომელი საათია, ან გზას მიგასწავლიან. როგორც ჩანს, ეს არის ძალზე საზიზღარი ხალხი, რადგან ის ვაჭრობს ადამიანის ყველაზე უბრალო მოვალეობით.

***

შენიშნული მაქვს, რომ მხოლოდ ევროპაში იყიდება სტუმართმოყვარეობა. მთელ აზიაში თქვენ უფასოდ გაგიწევენ მასპინძლობას.

***

1908 წელს უთქვამს **ტოლსტოის**: მე ბავშვობიდან მინერგავდნენ ზიზღს პოლონელებისადმი, ხოლო ახლა მე მათ განსაკუთრებული სინაზით ვეპყრობი, ერთგვარად ვანაზღაურებ ძველ ზიზღს".

***

ნაწილი მეგობრებისა გაკრიტიკებს, ნაწილი კი გაქებს. უფრო დაუახლოვდი შენს გამაკრიტიკებლებს და დაშორდი შენ მაქებრებს. **თალმუდი**

***

ცხოვრება გამუდმებით იცვლის თავის გარეგნობას. მხოლოდ გაუნათლებელი, რომელიც ვერ ხედავს საგნებს ღრმად და ზედაპირს ათვალიერებს მხოლოდ, ფიქრობს, რომ ცხოვრება ქრება, როდესაც იგი ერთი ფორმიდან მეორეში გადადის, რამეთუ, თუ იგი ქრება ერთ რომელიმე ფორმაში, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ მოგვევლინოს სიცოცხლის რომელიმე სხვა ფორმით. მატლი ქრება და კვლავ გვევლინება პეპელას ფორმით, ბავშვი ადგილს უთმობს ახალგაზრდას,

ცხოველური ადამიანი ქრება და მის ადგილს იკავებს სულიერი ადამიანი. **ლუისი მალერი**

***

ყველაფერი ამქვეყნად იზრდება, ყვავის და უბრუნდება თავის ფესვებს. თავის ფესვებთან დაბრუნება ნიშნავს დამშვიდებას, თანხმობას ბუნებასთან. ბუნებასთან თანხმობა კი მარადისობის მომასწავებელია. ამიტომ სხეულის განადგურება თავის თავში არავითარ საშიშროებას არ შეიცავს. **ლაო-ძე**

***

არამზადას უკანასკნელი თავსესაფარი პატრიოტიზმია. **ჯონსონი**

***

ცხოვრების კანონი ბრძენთათვის ნათელი არაა, მაგრამ იგი თანდათან ნათელი ხდება იმის და მიხედვით, თუ როგორ მისდევენ ისინი მას.
ცხოვრების კანონი ჩვეულებრივ ადამიანთათვის ნათელია, მაგრამ იგი თანდათან უფრო ბნელი ხდება, იმის და მიხედვით, თუ როგორ მისდევენ ისინი მას. **კონფუციუსი**

***

პატრიოტიზმი იმდენად არ არის ჩვენი დროის ადამიანებისათვის დამახასიათებელი, რომ იგი მხოლოდ იძულებით შეიძლება იყო შთაგონებული.
სახელდობრ ამას აკეთებს ხელისუფლება და ისინიც, ვისთვისაც პატრიოტიზმი სასარგებლოა: ისინი ამ გრძობას შთააგონებენ მათ, რომლებიც არ განიცდიან მას და რომლებისთვისაც იგი ხელსაყრელი არაა.
ფრთხილად უნდა იყო ამგვარი მოტყუების წინააღმდეგ. **ტოლსტოი**

***

ადამიანს თუ ხელი გაჭრილი არა აქვს, შეუძლია შეეხოს შხამიან გველს. ეს საშიში არაა ჯანმრთელი ხელისათვის.
მხოლოდ მისთვის არაა საზიანო ბოროტება, ვინც თავად არ შვრება ბოროტებას. **ბუდისტური სიბრძნე**

***

დღისით მოიქეცი ისე, რომ ღამით მშვიდად ძილი შეგეძლოს, ხოლო ახალგაზრდობაში ისე, რომ შენი მოხუცებულობა მშვიდი და აუმღვრეველი იყოს. **ინდური ანდაზა.**

***

მას, ვისი რწმენაც სუსტია, ვერც სხვაში აღძრავს რწმენას. **ლაო-ძე**

***

სიწმინდის მისაღწევად არაფერია ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც თავშეკავება. თავშეკავება კი ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს. თუ იგი ადრეული ჩვევაა, მაშინ იგი ბევრ სხვა სიკეთესაც იძენს. **ლაო-ძე**

***

ყველაფერი, რასაც შეუძლია გვაქციოს ჩვენ უკეთესებად და ბედნიერებად, ღმერთმა პირდაპირ ჩვენს წინ ანდა ჩვენს ახლოს მოათავსა. **სენეკა**

***

არ არსებობს ისეთი ძლიერი და ჯანმრთელი სხეული, რომელსაც არასოდეს უავადმყოფია. არ არსებობს ისეთი სიმდიდრე, რომელსაც დაკარგვის საშიშროება არ ემუქრებოდეს. არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომლისთვისაც ძირის გამოთხრას არა ცდილობდნენ.
ეს ყველაფერი სწრაფწარმავალია, რის გამოც ადამიანი, რომელსაც ამ ყველაფრის მოპოვება დაუსახავს მიზნად, ყოველთვის მოუსვენრობას ეყოლება შეპყრობილი. იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმას, რაც სურს, არამედ ვარდება ისეთ მდგომარეობაში, რისი თავის დაღწევასაც ცდილობდა.
მხოლოდ ადამიანური სულია ყოველგვარ აუღებელ ციხე-სიმაგრეზე უსაფრთხო. მით უფრო გაუგებარია, რატომ ვცდილობთ ყოველმხრივ დავასუსტოთ ეს ჩვენი ერთადერთი ციხე-სიმაგრე? რატომ ვცდილობთ ვაკეთოთ ისეთ რამეები, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგვანიჭონ სულიერი სიხარული, და არ ვზრუნავთ იმაზე, რომელსაც ერთადერთს ძალუძს მოგვცეს ჩვენ სულიერი სიმშვიდე?
ჩვენ ყოველთვის გვავიწყდება, რომ თუ ჩვენი სინდისი სუფთაა, მაშინ არავის არ შეუძლია ოდნავი ზიანიც კი მოგვაყენოს და მხოლოდ ჩვენი გაუნათლებლობითა და იმის სურვილით, რომ მოვიპოვოთ წვრილმანი რაღაც-რაღაცეები, ხდება ყოველგვარი გაუგებრობა და მტრობა. **ეპიკტეტი**

***

არის ორი სახის ბედნიერი მდგომარეობა სულისა: 1. სულის სიწყნარე (სუფთა სინდისი) 2. ყოველთვის მხიარული გული. პირველი იქმნება იმ პირობით, რომ ადამიანი თავს არ ცნობს რაიმეში დამნაშავედ, მას აშკარად წარმოუდგენია ამქვეყნიურ სიკეთეთა არარაობა; მეორე - ბუნების საჩუქარია. **კანტი**

***

ადამიანები, რომლებიც ქადაგებენ ზნეობას და თქვენს ვალდებულებებს თქვენი ოჯახისა და სამშობლოს ფარგლებით ზღუდავენ, გიქადაგებენ ეგოიზმს, თუმცა მეტ-ნაკლებად ფართოს, მაგრამ მით უმეტეს საზიანოს, როგორც თქვენთვის, ისე სხვებისათვისაც. ოჯახი და სამშობლო – ორი წრეა, რომლებიც შედიან სხვა უფრო ფართო წრეში, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება. ესაა ორი საფეხური, რომელთა გავლაცაა საჭირო, მაგრამ რომლებზედაც გაჩერება არ შეიძლება. **იოსებ მაძინი**

***

იცოდე ბევრი და თავს არ აჩვენებდე ადამიანებს დიდ მცოდნედ – უდიდესი მორალური სიმაღლეა. იცოდე ცოტა და თავს აჩვენებდე ადამიანებს, როგორც ბევრის მცოდნე, – ავადმყოფობა. მხოლოდ ამ ავადმყოფობის გაგებით შეგვიძლია განვიკურნოთ მისგან. **ლაო–ძე**

****

ნაწყვეტები სირიულიდან რუსულად ნათარგმნი წიგნიდან „მოთხრობები, რომლებიც წმენდენ გონებას და უკუაგდებენ ნაღველს”:

მამა ეუბნება შვილს:
„შვილო, შენზე ფიქრისას მახსენდება მერცხლის ბარტყები, რომლებიც ბუდიდან გადმოცვივდნენ და სინდიოფალამ წამოკრიფა. ამასთან, ამ უკანასკნელმა ასე მიმართა მათ: – მე რომ არა ვყოფილიყავი, მაშინ ნამდვილად დიდ უბედურებას გადაეყრებოდითო.
ამის პასუხად ბარტყები შეეკითხნენ:
– ამიტომ მოგვათავსეო შენს პირში?!”

„შვილო, ნუ დაემსგავსები კატას, რომელსაც უთხრეს:

– თუკი ქურდობას შეეშვები, მაშინ აგიშენებთ სასახლეს, სადაც ფუფუნებაში იცხოვრებ. ამაზე კატამ უპასუხა:
– თვალებიც და ყურებიც ერთიანად ვერცხლისა რომ მქონდეს, ქურდობას მაინც ვერავინ მომაშლევინებსო...

„შვილო, მგელს შეეკითხნენ:
– რაა, რომ დღენიადაგ ცხვრის ფარას დასდევო უკან?
ამაზე მგელმა უპასუხა:
– ფარის მიერ დატოვებული მტვერი კეთილად მოქმედებსო ჩემს მხედველობაზე.

მგელი სკოლაში მიიყვანეს:
– ალფა, ბეტა, – აბა, გაიმეორე – ეუბნება მასწავლებელი.
– თხა, ცხვარი... თქვა მგელმა

აბუ – ფარაჯიდან:

ერთ ფილოსოფოსს ქალიშვილი ჰყავდა, რომლის ხელსაც ორი მამაკაცი ითხოვდა – მდიდარი და ღარიბი. ფილოსოფოსმა ქალიშვილი ღარიბს მიათხოვა. როდესაც ჰკითხეს, რატომ მოიქცა ასე, მან შემდეგი უპასუხა:
– მდიდარი საქმრო სულელია და ვშიშობ, დიდი ხანი ვერ შეინარჩუნებს სიმდიდრეს. ღარიბი კი ჭკვიანია და იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში გამდიდრდება.

არისტოტელე ასე არიგებდა ალექსანდრე მაკედონელს:
– შენი საიდუმლო არასოდეს არ გაუმხილო ორ ადამიანს, რამეთუ თუკი შენი საიდუმლო გამხელილი იქნება, შენ ვერ შეძლებ იმის გამოცნობას, თუ ვინ ჩაიდინა ეს. თუ შენ დასჯი ორივეს, მაშინ შენ აწყენინებ მას, ვინც შენ საიდუმლო შეგინახა. იმ შემთხვევაში კი, თუ არ დასჯი არც ერთს, მაშინ შენ კვლავ აწყენინებ უდანაშაულოს, ვინაიდან მას არ სჭირდება შენი პატიება.

ჭკვიანი ყოველთვის იცნობს სულელს, რადგან იგი, ვიდრე ჭკვიანი გახდებოდა, თავად იყო მის ტყავში. სულელი კი ვერ გამოიცნობს ჭკვიანს, ვინაიდან იგი არასოდეს არა ყოფილა ჭკვიანი.

ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც მაკედონელმა მოწამლული ღვინო დალია და სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, დედას წერილი მისწერა, რითიც თხოვდა, მდიდრული სუფრა დაეშალა და მხოლოდ ის ადამიანები დაეპატიჟა, ვისაც არავინ არ დაკარგოდა.
ეს დიდმა ალექსანდრემ იმიტომ გააკეთა, რომ დედამისს ძალიან არ ედარდა შვილის სიკვდილი, ხოლო ეს კი მისთვის მას შემდეგ უფრო ადვილი იქნებოდა, რაც ნახავდა, რომ ამქვეყნად ყველა ცოცხალი არსება სიკვდილის შვილია.

ყმაწვილი შეეკითხა **სოკრატეს**, დავქორწილდე თუ არაო?
– კარგად დაფიქრდი და ნუ დაემგვანები თევზს, რომელიც მას შემდეგ, რაც ბადეში გაებმება, ცდილობს თავისუფლების მოპოვებას, ხოლო თავისუფლებაში მყოფი კვლავ ბადისაკენ მიისწრაფის – უპასუხა ბრძენმა.

***
იმას, რასაც მტერს უმალავ, ნურც მეგობარს გაუმხელ, რამეთუ არა გაქვს გარანტია, რომ თქვენი მეგობრობა დიდხანს გაგრძელდება.

***

დიოგენეს ჰკითხეს ერთი ადამიანის შესახებ, მართლა მდიდარია თუ არაო?
– ვერ გეტყვით, - უპასუხა დიოგენემ, ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას ბევრი ფული აქვს.
– მაშასადამე, მდიდარი ყოფილა!
– იყო მდიდარი და გქონდეს ბევრი ფული, ეს სულაც არაა ერთი და იგივე – უპასუხა დიოგენმა – ჭეშმარიტად მდიდარია იგი, ვინც კმაყოფილია იმით, რაც გააჩნია.

***

ჰიპოკრატეს უთქვამს, სულელია, ვინც საკუთარ თავს ზიანს აყენებს, რათა მეგობარს სიკეთე გაუკეთოს.

***

ბრძენს უთქვამს:
– ყველას, ვინც ამბობს, რომ ზიზღით უყურებს სიმდიდრეს, ცრუპენტელად ჩავთვლი, ვიდრე იგი თავისი სიმართლის დამაჯერებელ არგუმენტებს არ წარმომიდგენს. მაშინ კი, როდესაც დავრწმუნდები მის გულწრფელობაში, ვიტყვი, რომ სულელი ყოფილა.

***

სულელს სიკეთეს გაუკეთო იმას ნიშნავს, რომ ღორი ძვირფასი ქვებით მორთო ან გველი თაფლით კვებო.

***

ჭკვიანი სიცოცხლის საშუალებების საძიებლად მზადაა გაეშუროს შორს, სადამდეც კი თვალი სწვდება. სულელი კი თავის საკვებს იქ ეძებს, სადაც მშობლებმა შვეს.

***

უსაქმურობა წარმოშობს მაცდურ აზრებს, ეს უკანასკნელნი კი მოუსვენრობის მშობელნი ხდებიან.

***

შაჰი არიგებს შვილს:
როდესაც შაჰი გახდები, არ მოუმატო ხელფასები შენს მეომრებს, რათა მათ არ მოუკლონ სამსახურებრივ სიბეჯითეს, იმის გამო, რომ მათთვის შენ უკვე საჭირო აღარ იქნები. ამასთან ნუ მიიყვან მათ სიღატაკემდე, რათა არ შეგიძულონ. თითოეულს იმდენი მიეცი, რამდენსაც იმსახურებს. ისე იმოქმედე, რომ მათი იმედები შენს მიმართ სულ იზრდებოდეს, ხოლო შენი გასაცემი კი მათთვის არ მატულობდეს.

***

გამოჩენილ პედაგოგს სუხომლინსკის უთქვამს: „სკოლა კულტურის ნამდვილ კერად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც იქ ოთხი კულტი გაბატონდება: სამშობლოს, ადამიანის, წიგნის და მშობლიური სიტყვის.

***

ინდოელი ბრძენები:

მიწიერი ვნებები ზღვის წყალსა ჰგავს, რაც მეტსა სვამ, მით მეტად გწყურია.

***

თავისი ბუნებით შემდეგი ექვსი საგანია არამყარი: ღრუბლის ჩრდილი, სულელთან მეგობრობა, ქალის სიყვარული, სიმდიდრე, დესპოტიზმი და ტყუილი.

***
ძლიერი იგია, ვისაც შეუძლია თავის დაცვა ღორმუცელობისა და გარყვნილობისაგან.

***
სიმდიდრე ყველა ნაკლოვანებას ფარავს.

***

ახალგაზრდობის დიდმა ნაკლმა – ხასიათის სიჯიუტემ, შეიძლება მოწიფულ ასაკში დიდ ღირსებასთან – ხასიათის სიმტკიცესთან მიგვიყვანოს.

***
ფამილიარობა აკნინებს პატივისცემას და ზიანს აყენებს ჭეშმარიტ სიყვარულს.

***
დაიცავით თქვენი ცოლები მუსიკითა და სიმღერით გატაცებისაგან, რამეთუ იგი ანგრევს უბრალოებას და ბადებს ვნებებს, ადამიანს ხდის თავშეუკავებელს და გაცილებით უფრო ათრობს მას, ვიდრე ღვინო (გავიხსენოთ ლ. ტოლსტოის „კრაიცეროვაია სონატა" და ისიც, რომ ხომეინიმ მუსიკა აკრძალა. ა. გ.).

***
მეტისმეტად ფამილიარულად ნუ მოიქცევი ნურც მასთან, ვინც შენზე მაღლა დგას და ნურც მასთან, ვინც შენზე დაბლაა. მაღლა მდგომი შეიძლება ამან გააბრაზოს, ხოლო დაბლა მყოფი შეიძლება წააქეზოს წინდაუხედაობისაკენ, რამეთუ თავს შენს თანატოლად წარმოიდგენს.

***
ერთ ბრძენს ჰკითხეს:
– სადა აქვს საზღვარი შენს გულმოწყალებას?
მან უპასუხა:
– როგორც არ უნდა გავბრაზდე ადამიანზე, გულში მუდამ ვიტოვებ მასთან შესარიგებელ ადგილს.

***
კარგი ძილი, მსუბუქი მუცელი და ოფლიანობა – აი, ხანსგრძლივი სიცოცხლის წანამძღვრები.

***
მელა ეტრაბახება ლომს:
- შეხედე, რამდენი ლეკვი მყავს და ყოველწლიურად ახალ-ახალი იბადება. შენ კი მხოლოდ ერთი...
- სამაგიეროდ ის ლომია – მასუხობს ლომი.

***
სახლიდან გამოუსვლელად და ფანჯრიდან გაუხედავადაც კი, ჭკვიანმა იცის ის, რაც უნდა იცოდეს, რადგან იგი საკუთარ თავში ზეციურ გონს გრძნობს. რაც უფრო მეტს დადიხარ, მით ნაკლები იცი. ამიტომ გონიერს ადამიანს, მოგზაურობის გარეშე აქვს ცოდნა, საგნებს ნახვის გარეშე განსაზღვრავს, ხოლო თვინიერ მუშაობის, უდიდეს რამეს ჰქმნის. **ლაო-ძე**

***
შენს აზრებს ისე მოეპყარი, როგორც სტუმრებს, ხოლო სურვილებს, როგორც ბავშვებს. **ჩინური**

***
ადამიანი ისევე ნაკლებ არის შექმნილი იმისათვის, რომ სხვა აიძულოს, როგორც იმისათვის, რომ სხვას დაემორჩილოს. ადამიანები ორმხრივად ფუჭდებიან ამ ორი უკიდურესობისაგან: აქ გამოშტერებაა, იქ თავხედობა და არსად არაა ჭეშმარიტი ადამიანური ღირსება. **კონფუციუსი**

***
ვნება შეიძლება იყოს სინდისზე ძლიერი, მისი ხმა კი გაცილებით ხმამაღალი, ვიდრე ის, რომლითაც სინდისი ლაპარაკობს. მაგრამ ვნება ვერ ფლობს იმ ძალას, რასაც ფლობს სინდისი და ამიტომ იგი მორჩილებს ამ წყნარ, ღრმა და საშიშ ხმას. **ჩანინგი**

***
ცუდია, თუკი ადამიანს არა აქვს რაიმე ისეთი, რისთვისაც იგი სიკვდილისთვისაც მზად იქნება. **ტოლსტოი**

***
შეუძლებელია ღმერთსაც და მამონსაც ერთდროულად ემსახურო. სიმდიდრის გაზრდაზე ზრუნვა შეუთავსებელია ჭეშმარიტ, სულიერ ცხოვრებასთან. **ტოლსტოი**

***
ძნელი არაა ცუდი საქმის, იმის გაკეთება, რომელსაც ჩვენთვისაც უბედურება მოაქვს. საქმე, რომელიც ჩვენთვის კარგია და სასურველი, კეთდება მხოლოდ დიდი შრომითა და უკიდურესი ძალისხმევით. **ბუდა**

***
იმუშავე აზრების გაწმენდისათვის. თუ არ გექნება სულელური აზრები, მაშინ არც სულელურად მოიქცევი. **კონფუციუსი**

***
ჩვენ ვერ დავუშლით ჩიტებს, ჩვენ თავს ზევით გადაფრენას, მაგრამ ჩვენ ხელგვეწიფება ნება არ მივცეთ მათ იქ ბუდე გაიკეთონ. ზუსტად ასევე, ჩვენ არ გვეხელწიფება წინ აღუდგეთ ცუდი აზრების ჩვენს თავში გაელვებას, მაგრამ შეგვიძლია საშუალება არ მივცეთ მათ იქ დაბუდების, ბოროტი საქციელის გამოჩეკის და გამოზარდის. **ლუთერი**

***
არა მხოლოდ ცუდი საქციელია ცოდვა, არამედ ცუდი ფიქრებიც. **ზარატუსტრა**

***
სიცოცხლე – ერთი გაფრენილი დღის მოგონებაა, რომელიც სტუმრადა გვაქვს გატარებული. **პასკალი**

***
გრძნობა ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა, მაგრამ ადამიანზეა დამოკიდებული, მოიწონოს თუ არა და მაშასადამე, წაახალისოს თუ შეაკავოს ის. **ტოლსტოი**

***
ყოველი ადამიანი გრძნობს, რომ იგი არარაობაა, რომელიც გარკვეულ მომენტში ვიღაცამ ცხოვრებისათვის მოუხმო. სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი რწმენა, რომ სიკვდილით შეიძლება დასრულდეს მისი სიცოცხლე, მაგრამ არა მისი არსებობა. **შოპენჰაუერი**

***
ის, რომ თქვენ შრომისმოყვარე ხართ, ბევრს არაფერს ნიშნავს; მთავარია, რაზე მუშაობთ. **ტორო**

***
თუ ჩემი განსჯა გაგიძრახავთ, იყავით ჩემში და არა ჩემთან. **ადამ მიცკევიჩი**

***
იმ აზრების მიხედვით, რომელთაც ადამიანი გამოთქვამს, შეუძლებელია ვიმსჯელოთ, თუ როგორ მოიქცევა იგი სინამდვილეში. შეიძლება პირიქითაც იყოს: ადამიანის საქმეების მიხედვით ძალზე ძნელია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რატომ მოიქცა იგი ასე, რა აზრები უტრიალებს თავში, ხოლო რა გრძნობები – გულში. თუნდაც რომ ვხედავდე, რომ ადამიანი დაუღლელად ფუსფუსებს, კითხულობს, წერს ან მუშაობს მუხლჩაუხრელად დილიდან საღამომდე, უფრო მეტიც, ღამეებსაც კი თავის საქმეების შესრულებაზე ათენებს, მე ჯერ კიდევ ვერ ვიტყვი, რომ მას უყვარს შრომა, ან მუშაობს ადამიანების სასიკეთოდ, თუკი მე არ მეცოდინება, თუ რა მიზნით აკეთებს იგი ამ ყოველივეს. განა ვინმეს შეუძლია თქვას იმ ადამიანზე, რომელიც მთელი ღამეების განმავლობაში ქეიფობს გარყვნილ ქალებთან, რომ იგი სასარგებლო საქმითაა დაკავებული და რომ მას უყვარს შრომა? არა მხოლოდ ცუდი, არამედ თითქოს მშვენიერი საქმეც ხშირად კეთდება საძაგელი მიზნებისათვის, მაგალითად, ფულისა ან დიდებისათვის და არ შეიძლება ვთქვათ ადამიანის შესახებ, რომელიც ასე იქცევა, რომ იგი შრომისმოყვარე და სასარგებლო ადამიანია, რაც არ უნდა დაუღალავად შრომობდეს და რაც არ უნდა ხმამაღალი საქმეებიც არ უნდა გააკეთოს. მე ადამიანზე მხოლოდ მაშინ ვიტყვი, რომ მას უყვარს შრომა და სასარგებლოა სხვებისთვის, როდესაც გავიგებ, რომ იგი შრომობს მხოლოდ თავის სულისათვის – ღმერთისათვის.
მაგრამ სხვისი სული ხომ წყვდიადია. მაშ როგორ გავიგებ ადამიანის შინაგან მისწრაფებებს, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ცნობილი?
და გამოდის, რომ ადამიანს არ შეუძლია სხვისი განსჯა, ე.ი. გაკიცხვა ან გამართლება, ქება ან ძაგება. **ეპიკტეტი**

***
ნამდვილად კეთილშობილია ის, ვინც ადვილად პატიობს ადამიანებს შეცდომებს და იმავდროულად თავად ძალიან ეშინია შეცდომის დაშვების, თითქოს მას თავად არავისთვის არაფერი ეპატიებიოს. **პლინიუს უფროსი**

***
რაც უფრო განმარტოებულია ადამიანი, მით უფრო ესმის ღმერთის ხმა, რომელიც ყოველთვის უხმობს. **ტოლსტოი**

***
პასკალი ამბობს: ადამიანი მარტო უნდა გარდაიცვალოს. ასევე სიმარტოვეში უნდა გაატაროს ცხოვრება. იმაში, რაც მთავარია ცხოვრებაში, ადამიანი ყოველთვის მარტოა, ანუ არა ადამიანებთან, არამედ ღმერთთანაა. **ტოლსტოი**

***
კარგია მისი მდგომარეობა, ვინც სჭირდებათ სხვებს, მაგრამ რომელსაც არ სჭირდება ამხანაგი. **ტოლსტოი**

***
ბუდამ თქვა: არის ძნელი საქმეები: იყო ღარიბი, მაგრამ გულმოწყალე; იყო მდიდარი და წარჩინებული და ამასთან – რელიგიური; დაიხშო ვნებები; ხედავდე სასიამოვნო საგანს და არ გსურდეს მისი ხელში ჩაგდება; გადაიტანო შეურაცყოფა გაბოროტების გარეშე; შეისწავლო საგანი მის არსამდე; არ განსჯიდე უზრდელს; თავი შეიკავო კამათისაგან; გათავისუფლდე თვითმოყვარეობისაგან და ერთნაირი გახდე ყველა ადამიანის მიმართ, როგორც შენს გულში, ისე ცხოვრებაში. **ტოლსტოი**

***
იმუშავე ისე, თითქოს სამუდამოდ უნდა იცოცხლო, ხოლო ადამიანებს მოეპყარი ისე, თითქოს საცაა დაემშვიდობები სიცოცხლეს. **ტოლსტოი**

***
ის კი არაა ღარიბი, ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც მეტი უნდა. **სენეკა**

***
ძნელია, თუ საერთოდ შეუძლებელი არა, ვუპოვოთ გონიერი საზღვარი ჩვენს სურვილებს, რომლებიც მიმართულია საკუთრების მოპოვებისაკენ. სინამდვილეში ადამიანის დაკმაყოფილება ამ მხრივ დამოკიდებულია არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით სიდიდეზე და სახელდობრ შეფარდებაზე ადამიანის მოთხოვნისა მის ქონებასთან. ამიტომ ქონება თავისთავად ისევე მცირეს ნიშნავს, როგორც მრიცხველი მნიშვნელის გარეშე. ადამიანი შეიძლება სრულიად კმაყოფილი იყოს, მაშინაც კი, როდესაც არა აქვს ყველა ის საგანი, რომელიც მას საერთოდ არ მოუვიდოდა თავში და რომლებიც სრულიად ზედმეტია მისთვის. ამასთან, მეორე ადამიანი, რომელსაც აქვს ასჯერ მეტი, თავს გრძნობს უბედურად იმიტომ, რომ მას არა აქვს ის, რაც მას სურს. **შოპენგაუერი**

***
წმინდა ადამიანს არა აქვს საკუთარი გრძნობა. ერის გრძნობა იქცევა მის გრძნობად. სიკეთეს სიკეთით პასუხობს, სიკეთითვე ხვდება ბოროტებას. მორწმუნეს ხვდება რწმენით და რწმენითვე ხვდება ურწმუნოსაც.
წმინდა ადამიანი შეწუხებულია თავისი ურთიერთობებით ადამიანებთან. იგი გრძნობს სხვა ადამიანების მაგიერაც და ისინიც მას მიაპყრობს თავის თვალსა და ყურს.

***
ზნეობრივი ძალისხმევა იმიტომაა აუცილებელი, რომ ხორციელი მოთხოვნები არ გვეშვებიან. საკმარისია შევწყვიტოთ საკუთარ თავზე სულიერი მუშაობა, რომ ხორციელმა სურვილებმა დაგვიპყრონ. **ტოლსტოი**

***
ის, რაც ნათელი არაა, ნათელი უნდა გავხადოთ. ის, რისი გაკეთებაც ძნელია, უნდა გავაკეთოთ უდიდესი სიჯიუტითა და შეუპოვრობით. **კონფუციუსი**

***
აზრების ავადმყოფობა დამღუპველია და გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე სხეულის. **ციცერონი**

***
მთელ სიცოცხლეს გაატარებს სულელი ბრძენის ახლოს, მაგრამ ვერაფერს ვერ გაუგებს ჭეშმარიტებას, ისევე როგორც კოვზი ვერ გაიგებს საჭმელის გემოს. **ბუდისტური სიბრძნე**

***
ვიდრე ძირფესვიანად არ აღმოფხვრი ლტოლვას ქალისადმი, მანამდე შენი სული ისევე უკიდურესად იქნება დამოკიდებული ყოველივე მიწიერისადმი, როგორც ძუძუთა ხბო დედისადმი.
ადამიანები, რომლებიც უარს ვერ ამბობენ თავიანთ სურვილებზე, ემსგავსებიან კურდღელს, რომელიც ხაფანგში აღმოჩნდა. ხორციელი სურვილების ხლართებში მოქცეულები დიდხანს ვერ დაიხსნიან თავს ტანჯვისაგან. **ბუდისტური სიბრძნე**

***
საზოგადოება ეუბნება ადამიანს: „იფიქრე ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ; ირწმუნე ის, რაც ჩვენ გვწამს; სვი და ჭამე ის, რასაც ჩვენ; ისე ჩაიცვი, როგორც ჩვენ გვაცვია, ანდა წყეულიმც იყავ”
თუკი ვინმე არ დაემორჩილება, მაშინ იგი მის ცხოვრებას თავისი დაცინვით, ჭორებით, ლანძღვა-გინებით, ბოიკოტით და ა.შ. ჯოჯოხეთად გადააქცევს, მაგრამ ნუ შეშინდებით, გამაგრდით. **ლუისი მალორი**

***
ბედნიერია ის, ვინც საქმე იპოვა; მას უკვე შეუძლია აღარ ეძებოს სხვა ბედნიერება. მას აქვს საქმე და მიზანი ცხოვრებაში. **კარლეილი**

***
ბრწყინვალე და მშვენიერი სულის ადამიანები წყნარი და კმაყოფილნი არიან; მდაბალი სულის ადამიანები კი პირიქით, უკმაყოფილონი და ნაღვლიანნი. **მანჯურიული**

***
ადამიანის ჭეშმარიტი ძალა მყისიერ გაქანებაში (პორივ) კი არა, აღუშფოთებელ სიმშვიდეშია. **ტოლსტოი**

***
ყველამ იცის, რომ ყოველგვარი ჩვევა ვარჯიშით ძლიერდება და მტკიცდება. მაგალითად, კარგი მთასვლელი რომ გახდეთ, ხშირად უნდა იაროთ მთაში; კარგი მკითხველი რომ გახდეთ, ხშირად და ბევრი უნდა იკითხოთ და ა.შ.
და პირიქით, თუ შეწყვეტ იმის კეთებას, რის კეთებასაც მიჩვეული ხარ, მაშინ ეს ჩვევაც თანდათან გაქრება... იგივე ემართება ჩვენს სულსაც: როდესაც შენ ბრაზობ, იცოდე, რომ შენ მხოლოდ ამ ერთ ბოროტებას როდი აკეთებ, არამედ მასთან ერთად შენს არსებაში აძლიერებ ჩვევას გაბრაზებისადმი. როდესაც შენ დანებდი ხორციელ ცდუნებას, არ იფიქრო, რომ შენ მხოლოდ მას დანებდი და სხვას არაფერს. არა, შენ იმავდროულად გააძლიერე შენში ამდაგვარი ქმედებებისადმი ჩვევა.
მაცდუნებელ აზრებთან ბრძოლაში სასარგებლოა უფრო კეთილშობილ ადამიანთა საზოგადოებაში მოხვედრა, ვიდრე შენ ხარ, შენამდე მცხოვრები ბრძენი ადამიანების ნამოღვაწარის გახსენება ან კითხვა.
ნამდვილი მებრძოლი იგია, ვინც თავისი მაცდუნებელი აზრების წინააღმდეგ იბრძვის. ეს ბრძოლა წმინდა ბრძოლაა და იგი შენ გაახლოებს ღმერთთან. მის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული შენი ბედნიერება და სიმშვიდე... ყოველთვის გახსოვდეს ორი დრო: აწყმო, რომელშიც დაჰყვები რა მაცდუნებელ აზრებს, შენ

მიიღებ კმაყოფილებას, და სხვა დრო, რომელშიც, ცდუნებებით მოყირჭებული, დაიწყებ მონანიებას და საკუთარი თავისადმი საყვედურებს. მხედველობაში მიიღე აგრეთვე სიამოვნებაც, რასაც შენ განიცდი, თუ თავს შეიკავებ. გახსოვდეს ისიც, რომ ძნელი იქნება თავის შეკავება, თუკი ერთხელ გადახვალ ზომას. მაგრამ თუ ერთხელ დაუთმობ შენს მაცდუნებელ აზრებს და შეეცდები თავის დარწმუნებას, რომ შენ მათ დაამარცხებ ხვალე, ხოლო ხვალ იტყვი იგივეს, მაშინ შენ ამით შენს თავს ისე დაასუსტებ, რომ ვეღარც შეამჩნევ შეცდომებს, ხოლო თუ შეამჩნევ, ყოველთვის ნახავ მზა გამართლებას შენი მაცდუნებელი ქმედებებისას. **ეპიკტეტი**

***

ნებისმიერი ადამიანისათვისაა დამახასიათებელი ცოდვა. ადამიანებს შორის განსხვავება მხოლოდ ცოდვის ჩადენის შემდეგ სინდისის ქეჯნაშია. **ალფიერი**

***

მრავალი ადამიანია ამქვეყნად, გაცილებით უბედური, ვიდრე შენ. მართალია ეს გამონათქვამი არ გამოგადგება ჭერად, რომლის ქვეშაც შეგიძლია იცხოვრო, მაგრამ იგი საკმარისია საიმისოდ, რომ მის ქვეშ თავი შეაფარო კოკისპირულისას. **ლიხტენბერგი**

***

შუქი შუქად რჩება, თუმცა ბრმა ვერ ხედავს. **ტოლსტოი**

***

როგორც ტკივილის შეგრძნებაა აუცილებელი პირობა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ისე ტანჯვაა ჩვენი ცხოვრების აუცილებელი პირობა. **ტოლსტოი**

***

ჩვენი სხეული გასკდებოდა, თუკი შეწყდებოდა მასზე ატმოსფეროს წნევა. სევე, თუკი შეწყდებოდა ადამიანურ ცხოვრებაზე გაჭირვების, მძიმე შრომის და ბედის სხვა უკუღმართობების ზეწოლა – ადამიანური ქედმაღლობა გაიზრდებოდა, თუმცა არა იმ ზომამდე, რომ გამსკდარიყო, მაგრამ ისეთ მდგომარეობამდე მაინც, როგორიც არის სულის აღვირახსნილობა და შეშლილობა. **შოპენჰაუერი**

***

მხოლოდ ქარიშხალის დროს მჟღავნდება სრულად მეზღვაურთა ხელოვნება; მხოლოდ ბრძოლის ველზე გამოიცდება მეომრის სიმამაცე; ადამიანის გამბედაობა კი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ როგორ მოიქცევა იგი, როდესაც ცხოვრებისეულ საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდება. **დანიელი**

***

ნუ მიეჩვევი კეთილდღეობას, – იგი წარმავალია; ვინც მას ფლობს – ისწავლოს დაკარგვა, ვინც ბედნიერია – ისწავლოს ტანჯვა. **შილერი**

***

ყოველთვის მიკვირდა, თუ როგორ ადვილად შეუძლიათ მეფეებს ირწმუნონ, რომ ისინი არიან ყველაფერი, ხოლო ხალხმა კი, რომ არარაობაა. **მონტენი**

***

ადამიანები ფიქრობენ, რომ თვითუარყოფა არღვევს ჩვენს თავისუფლებას. ასეთმა ადამიანებმა არ იციან, რომ მხოლოდ თვითუარყოფა გვაძლევს ჩვენ ნამდვილ თავისუფლებას, გვათავისუფლებს რა თავად ჩვენი თავისაგან, ჩვენი გარყვნილობის

მონობისაგან. ვნებები – აი, ყველაზე სასტიკი ტირანები; საკმარისია რაიმე დაუთმო მათ, და მონობაში აღმოჩნდები, თავისუფლად ამოსუნთქვის ძალაც აღარ გექნება. მხოლოდ თვითუარყოფა გვათავისუფლებს ამ მონობისაგან. **ფენეგონი,** ფრანგი მოაზროვნე, არქიეპისკოპოსი, XVII საუკუნე; მას ეკუთვნის ასეთი გამოთქმაც:
ადამიანთა უმრავლესობა, ცდილობს რა გამოასწოროს თავისი ცხოვრება, უფრო იმას ცდილობს, განახორციელოს რაღაც ძნელი და არაჩვეულებრივი, ვიდრე განიწმინდოს სურვილები და უარყოს თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე თვითდაკმაყოფილება ჩვეულებრივ ვალდებულებებში. არადა, ეს უკანასკნელი გაცილებით მნიშვნელოვანია პირველზე.

***

ანდერძისადმი უპატივცემულობას არ გაუკეთებია იმ ბოროტების 1/1000-ც კი, რომელსაც იწვევს პატივისცემა იმ ჩვეულებების, კანონებისა და დაწესებულებებისადმი, რომელთაც ჩვენ დროში არა აქვთ გონიერი გამართლება.
მიუკერძოებლობა ისეთივე იშვიათია, როგორც სამართლიანობა. პირადი ინტერესი წარმოადგენს ამოუწურავ წყაროს თვითმოტყუებისა თავის გამართლების მიზნით. იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სურთ იცოდნენ სიმართლე, მეტისმეტად მცირეა. ადამიანებზე გაბატონებულია შიში ჭეშმარიტების მიმართ, თუკი ეს ჭეშმარიტება მათთვის სასარგებლოა...
ერთადერთი სასურველი ადამიანური პროგრესი - სიამოვნების გაზრდაა. თვითუარყოფა, ეს სიამოვნება დიდი ადამიანებისა, არასოდეს ყოფილა საზოგადოების კანონი. **ამიელი**

***

ის, ვინც თითისწვერებზე დგას, ვერ შეძლებს დიდხანს დგომას. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს თავად წარმოაჩენს, ვერ შეძლებს ბრწყინვას. ვინც კმაყოფილია თავისი თავით, ვერ შეძლებს დიდების მოპოვებას. ვინც ტრაბახობს, მას არ შეიძლება ჰქონდეს დამსახურება. ვინც ამაყია, იგი ვერ შეძლებს ამაღლებას.
გონების მსჯავრის წინაშე ასეთი ადამიანი ემსგავსება საკვები პროდუქტების ნარჩენებს და ყველას ზიზღს იმსახურებს. ამიტომ, ვისაც გონება გააჩნია, იგი მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობა. **ლაო-ძე**

***

ადამიანი, როდესაც ცოცხალია, სათუთი და მოქნილია. როდესაც კვდება, გამოფიტული და უხეში ხდება.
ყველა საგანი, ბალახი, ასევე ხეები, სათუთია და მოქნილი, ვიდრემდის ისინი ცოცხლები არიან. როდესაც კვდებიან, უხეშდებიან. სისასტიკე და სიმაგრე სიკვდილის ნიშანია. სინაზე და სირბილე – სიცოცხლის. ამიტომ ის, ვინც ფიზიკარად ძლიერია, ვერ გაიმარჯვებს.
როდესაც ხე მაგარი ხდება, სასიკვდილოდ არის განწირული. ძლიერნი და დიდნი ქვევით იმყოფებიან, ნაზნი და რბილნი – ზევით. **ლაო-ძე**

***

ძლიერია ადამიანი, რომელსაც შეუძლია გაჩუმდეს მაშინ, როდესაც იგი მართალია. **კატონი**

***

როდესაც მარტო ხარ, შენს ცოდვებზე იფიქრე, საზოგადოებაში – სხვისი ცოდვები დაივიწყე. **ჩინური**

***

ვისაც კეთილშობილება გააჩნია, ყოველდღიურად მცირდება და ადამიანების თვალში სულ უფრო პატარა ხდება.
იგი სულ უფრო და უფრო მცირდება მანამდე, ვიდრე მთლად არ წაიშლება. როდესაც ეს მოხდება, იგი მაშინ გახდება აბსოლუტურად თავისუფალი და უნებლიედ ადამიანთა მასწავლებელიც. **ლაო-ძე**

***

იზრუნეთ საგნებზე მანამდე, ვიდრე არსებობენ. დაამყარეთ წესრიგი მანამდე, ვიდრე უწესრიგობა დაიწყება.
მსხვილი ხე წვრილი ღეროდან დაიწყო. ათას ვერსტზე მოგზაურობა ერთი ნაბიჯით იწყება. დიდი ყურადღებით მოეპყარით აზრებს - მათით იწყება მოქმედება. **ლაო-ძე**

***

ჩვენ ყველანი სულელები ვართ და სწორედ ამიტომ ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ სხვებში ვკიცხავთ, ადვილად აღმოვაჩენთ საკუთარ თავში. ამიტომ მოდით, ვაპატიოთ ერთმანეთს. ერთადერთი გზა, რომელიც შეგვაძლებინებდა მშვიდობით ცხოვრებას, – ურთიერთპატიებაა. **ტოლსტოი**

***

თუნდაც ვცდებოდე, რომ სული უკვდავია, ბედნიერი და კმაყოფილი ვიქნებოდი ჩემი შეცდომით. და მანამდე, ვიდრე ვცოცხლობ, ვერავინ ვერ შეძლებს წამართოს ეს რწმენა, რომელიც მაძლევს მე ასეთ უსაზღვრო სიმშვიდეს, ასეთ სრულ კმაყოფილებას. **ციცერონი**

***

ნუ დაიწყებ ჭორაობას, რათა ჭორი თავად შენვე არ შემოგიტრიალდეს, რამეთუ ყოველი ბოროტი სული წინიდან გემხმის თავს, ჭორის ბუნება კი ზურგიდან მოპარვაა.
ნუ მრისხანებ, რამეთუ ადამიანი, რომელიც ამ ვნებას აჰყვება, ივიწყებს თავის ვალდებულებებს და ხელიდან უშვებს კეთილი საქმის აღსრულების შესაძლებლობას. შურს ნუ დაუთმობ ადგილს შენს გულში, რათა ცხოვრება არ მოიწამლო.
იყავი ბეჯითი და წყნარი, იცხოვრე შენი შრომით, გადადე მისი ნაწილი უპოვართათვის. ეს ჩვეულება იქნება ყველაზე ღირსეული საქმე შენს ცხოვრებაში
ნუ მოიპარავ სხვის სიკეთეს, ვინაიდან ვინც საკუთარი შრომის ნაყოფით არ იკვებება და აიძულებს სხვებს გამოკვებონ იგი, კაციჭამიაა.
ეშმაკ კაცთან ნუ დაიწყებ კამათს, უკეთესია თუ მასთან არავითარ საქმეს არ დაიჭერ.
ძუნწ კაცს ნუ შეეკვრები საქმეში და ნუ მიანდობ მას რაიმე საერთო საქმის ხელმძღვანელობას.
სულელთან ნუ დაიწყებ რაიმეს ახსნას, ბოროტისაგან ნუ აიღებ ფულს და ცილისმწამებელთან ნუ დაიჭერ საქმეს. **აღმოსავლური სიბრძნე**

***

სიკეთე გაუკეთე შენს მეგობრებს, რათა კიდევ უფრო მეტად შეგიყვარონ; სიკეთე გაუკეთე შენს მტრებსაც, რათა ოდესმე შენს მეგობრებად იქცნენ. როდესაც შენი მტრის შესახებ ლაპარაკობ, გახსოვდეს, რომ შეიძლება დადგეს დღე, როცა იგი შენს მეგობრად იქცევა. **კლავლუდი**

***

შეურაცჰყოფილმა შეიძლება ტკბილადაც იძინოს და მხიარულმა გაიღვიძოს, მაშინ, როდესაც შეურაცჰმყოფელი იღუპება. **ტოლსტოი**

***
ბოროტი ადამიანი უწინარეს საკუთარ თავს ვნებს, ვიდრე ზიანს მიაყენებდეს სხვას. **ავგუსტინი**

***
დაე ყოველმა ადამიანმა თავისი თავი ისეთად აქციოს, როგორსაც სხვებს ურჩევს, რომ იყვნენ. ვინც საკუთარ თავს სძლია, ის სძლევს სხვებსაც.. ყველაზე ძნელი საკუთარი თავის ძლევაა.
ყოველი ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის ხელისუფალია...
როცა ბოროტებას აკეთებ, შენვე იტანჯები მისაგან. როცა ანადგურებ ბოროტებას, ამით იწმინდები მისგან.
დაე ნურავინ ნუ დაივიწყებს თავის ვალს, პატივი სცეს სხვას, ვინც არ უნდა იყოს იგი. **ჯამაპადა**

***
თუ მოხუცი (გამოცდილებით სავსე ადამიანი) გეტყვის: დაანგრიე, ხოლო ახალგაზრდა: ააშენე, შენ სჯობს დაანგრიო, და არა ააშენო, ვინაიდან მოხუცთა დანგრევა – აშენებაა, ხოლო ახალაზრდათა აშენება – დანგრევა. **თალმუდი**

***
სამართლიანობის საზომად ხმების უმრავლესობა არ გამოდგება. **შილერი**

***
კეთილგანწყობითა და თვინიერებით, საკუთარი თავის თვითუარყოფით ნებისმიერ მტერს განაიარაღებ. შეშის ნაკლებობით ნებისმიერი ცეცხლი ჩაქრება. **ბუდისტები**

***
სამყარო არ ცრუობს. დააკვირდით ნებისმიერი არსების ფიზიოლოგიას და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა იმას ამბობს, რაც უნდა თქვას. თაობიდან თაობაზე მათი შინაგანი გრძნობათა გამოსახულება მათ ნაკვთებზე უნებური ნიშნებით გამოისახა.
არც მგელი, არც ვეფხვი არ ცრუობს, არ პირფერობს, რათა უფრო უკეთ დაგგლიჯონ თქვენ. ლომი არ შეწყვეტს ღმუილს, რათა მოგისყიდოთ. მას არ შეუძლია თავისი ღმუილის გარდაქმნა სრულიად სხვა ხმად.
გველი იმალება, მაგრამ მის თვალებში თქვენ ხედავთ მის მძულვარებას. იგი არ ცრუობს. ადამიანის მსგავსი მაიმუნებიც კი არ ცდილობენ შეცვალონ თავიანთი სახის გამომეტყველება...
ერთადერთი არსებაა ამქვეყნად, რომელიც ცრუობს. ეს ადამიანია.
ადამიანმა ისწავლა თავისი თავის ფლობა და ამის შედეგად სიცრუე მის ცხოველ ეშმაკობად იქცა. **კეტერერი**

***
იმისათვის, რათა იცხოვრო ისე, რომ არ გაიგო შენი ცხოვრების უმთავრესი აზრი, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: იცხოვრო მუდმივად გაბრუებული სხეულით; ამას კი მიგაღწევინებთ თამბაქო, ალკოჰოლი, მორფი ან გამუდმებით გართობის მორევში ჩაძირვა. **ტოლსტოი**

***
დათვებს ხოცავენ იმით, რომ თაფლის **კორიტას** ზევით თოკზე კიდებენ მძიმე დოლაბს. დათვი უკუაგდებს დოლაბს, რათა ჭამოს თაფლი. დოლაბი უკან ბრუნდება და დათვს თავში ხვდება, დათვი ბრაზდება და ძლიერ ისვრის დოლაბს უკან,

რომელიც კიდევ უფრო მეტი სიძლიერით ეჯახება მას. ეს გრძელდება მანამდე, ვიდრე დოლაბი არ მოკლავს დათვს. ნუთუ ადამიანები დათვზე გონიერნი არ უნდა იყვნენ?! **ტოლსტოი**?

***

არაფერი არაა ამქვეყნად წყალზე უფრო ნაზი და დამთმობი და ამასთანავე, მტკიცესა და მაგარს არ ძალუძს მის წინააღმდეგ აღდგომა. სუსტი იმორჩილებს ძლიერს. ნაზი იმარჯვებს მკაცრზე. ეს ამქვეყნად ყველამ იცის, მაგრამ არავის არა სურს ამის შესრულება.
უსუსტესი ამქვეყნად იმარჯვებს უძლიერესზე; ამიტომ უდიდესი უპირატესობა აქვს სიწნარესა და სიმშვიდეს. მხოლოდ იშვიათ ადამიანს შეუძლია ამქვეყნად იყოს მშვიდი. **ლაო-ძე**

***

რაც უფრო ხანდაზმული ხდებიან ადამიანები, რომლებიც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, მით უფრო ფართოვდება მათი გონებრივი ჰორიზონტი და ნათელი ხდება მათი შემეცნება. ის ადამიანები კი, რომლებიც მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, წლითიწლობით გონებაჩლუნგები ხდებიან. **თალმუდი**

***

ადამიანები იმას სწავლობენ, თუ როგორ ილაპარაკონ, მაშინ, როდესაც უმთავრესი მეცნიერება ისაა, თუ როგორ და როდის გავჩუმდეთ. **ტოლსტოი**

***

რა ძალიან ხშირად არის დუმილი პასუხებს შორის უბრძენესი. მაშ, მოდით, უფრო მეტი დასვენება მივცეთ ჩვენს ენას, ვიდრე ხელებს. **ტოლსტოი**

***

სულელები ფიქრობენ, რომ არ არსებობს ნამდვილი სამართლიანობა, და რომ ამქვეყნად მხოლოდ შემთხვევითობას აქვს ადგილი. ეს იმიტომ, რომ ისინი ხშირად ვერ ამჩნევენ შურისძიებას. თუნდაც რომ უსამართლობა წლობით და ასწლეულობითაც კი დარჩეს დაუსჯელი, მაინც დაჰკრავს შურისძიების საათი. ეს ისევე უეჭველია, როგორც ის, რომ ადამიანი სიკვდილს ვერ აიცილებს თავიდან. ღმერთი, ისევე როგორც დასაწყისში, ცხოვრობს და იწვის ჩვენთან ერთად ამქვეყნიურ საქმეებში. უდიდესი მსოფლიო სული სამართლიანია. ო ძმებო, ნუთუ ამდენსაუკუნოვანი ქრისტიანული ქადაგების შემდეგ ჩვენ კიდევ შეხსენება გვჭირდება იმისა, რაც ოდესღაც ესმოდათ სხვადასხვა წარმართებს, მაჰმადიანებს, რომაელებს, ებრაელებს, სკვითებსა თუ ბერძნებს. გახსენება იმისა, რომ დედამიწაზე ნამდვილად არსებობს სამართლიანობა და რომ არსებითად მის გარდა სხვა მარადიული არაფერი არ არის. **კარლეილი**

***

ადამიანებს უნდა გვესმოდეს, რომ ყველანი ერთი მამის შვილები ვართ, მოწოდებული იმისათვის, რომ დედამიწაზე ერთ კანონს მივდიოთ, რომ ყოველი ჩვენთაგანი უნდა ცხოვრობდეს არა თავისთვის, არამედ სხვისთვის, რომ ცხოვრების მიზანი იმაში კი არაა, რომ ვიცოცხლოთ მეტნაკლებად ბედნიერად, არამედ იმაში, რომ ჩვენ თავადაც გავხდეთ და სხვებსაც მივეხმაროთ გახდნენ უფრო კეთილშობილნი, ვიბრძოლოთ უსამართლობისა და ცდუნებების წინააღმდეგ ყველგან, სადაც არ უნდა შევხვდეთ მას; ეს არის არა მხოლოდ ჩვენი უფლება, არამედ ჩვენი მოვალეობაც, რომლის დარღვევა ან მისი უგულვებელყოფაც ჩვენ არ შეგვიძლია ისე, რომ ცოდვაში არ ჩავცვივდეთ. **მაძინი**

***
საზოგადოებრივი ცხოვრება ემყარება ცნობიერებას და არა მეცნიერებას. ცივილიზაცია უპირველეს ყოვლისა ზნეობრივი მოვლენაა. თუ სინდის-ნამუსი არ არსებობს, – არ არსებობს პატივისცემა კანონისადმი, არ არსებობს ვალდებულებებისადმი, არ არის სიყვარული მოყვასისადმი, – მოკლედ, თუ არ არის კეთილმოსურნეობა, ყველაფერს საფრთხე ემუქრება, ყველაფერი ინგრევა: და არც მეცნიერებას, არც ხელოვნებას, არც ფუფუნებას, არც მრეწველობას, არც რიტორიკას, არც პოლიციას, არც საბაჟოს არ ხელეწიფებათ შეაკავონ ჰაერში გამოკიდებული შენობა, რომელსაც საფუძველი არა აქვს. სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია ანგარიშიანობაზე და დამაგრებულია შიშით, წარმოადგენს სუსტსა და საზიზღარ ნაგებობას. მხოლოდ ზნეობა წარმოადგენს ყოველგვარი ცივილიზაციის საიმედო ფუნდამენტს. **ამიელი**

***
ლევ ტოლსტი ახალგაზრდობის წინაშე შედეგი სიტყვით გამოვიდა:
გიყვარდეთ ერთმანეთი

...ახლა ჩვენს ირგვლივ მხოლოდ იმის შესახებ ლაპარაკობენ, რომ ჩვენი ცხოვრება მხოლოდ იმიტომ არის ასეთი სულელური და უბედური, რომ იგი ცუდად არის მოწყობილი, – მოდით გადავაკეთოთ ეს სულელურად მოწყობილი ცხოვრება კარგ მოდელზე და ჩვენი ცხოვრებაც კარგი იქნება.
ძვირფასო ძმებო, ნუ გჯერათ ამისა, ნუ უჯერებთ იმას, თითქოს ცხოვრების ასე თუ ისე მოწყობის შედეგად ჩვენი ცხოვრება უკეთესი ან უარესი გახდება. რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ უკეთესი ცხოვრების მოწყობაზე, ერთმანეთს შორისაც კი ვერ შეთანხმებულან და გამუდმებით კამათობენ. და რომ თუნდაც არსებობდეს ამგვარი საუკეთესო წყობილება, თუნდაც რომ დავეთანხმოთ იმას, რომ შეიძლება ყველაზე საუკეთესო წყობილების მოგონება, როგორ დავამყაროთ იგი და როგორ შევინარჩუნოთ ეს საუკეთესო წყობილება, როდესაც ადამიანები მიეჩვივნენ და შეიყვარეს ცუდად ცხოვრება? რანაირად შეიძლება არსებობდეს კარგი წყობილება, როდესაც ადამიანები არიან ცუდები?
ასე რომ, თუნდაც რომ იყოს ყველაზე კარგი წყობილება, იმისათვის, რომ შევძლოთ მის შესაბამისად ცხოვრება, აუცილებელია ადამიანები იქცნენ უკეთესებად. თქვენ კი გპირდებიან კარგ ცხოვრებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარდა ამჟამინდელი სულელური ცხოვრებისა, ბრძოლას დაუწყებთ თქვენივე მსგავს ადამიანებს, გამოიყენებთ მათზე ძალადობას, დახოცავთ კიდეც მათ, რათა შემოიღოთ ამგვარი კარგი წყობილება, ე.ი. თქვენ გპირდებიან კარგ ცხოვრებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენ გახდებით კიდევ უფრო ცუდები, ვიდრე ხართ ახლა.

***
მძიმე საბანი კოშმარულ სიზმრებს იწვევს, რადგან აჩერებს და ზღუდავს სისხლის მოძრაობას. ამგვარადვე ზემოქმედებს ადამიანზე დიდი ქონება. **„მსოფლიოს მოწინავე აზრი".**

***
კეთილშობილება ჩვენში არსებობს არა ბუნებით და არც მეცნიერებით, არამედ იგი ჩვენში ჩადებულია ღმერთის მიერ. **პლატონი**

***
თუ შენს გაოცებას იწვევს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ან უძირო ოკეანე, ჩაიხედე შენს სულში და გაოცდი. **ისიდორი**

***

პირველ ნაბიჯს ადამიანის სრულყოფილეისაკენ წარმოადგენს ის, რომ ვისწავლოთ ჩვენს სულში სხვა ხმებისაგან ღმერთის ხმის გარჩევა. **ტოლსტოი**

***

ადრე არ იყო ექიმების რიცხოვნების ასე გაზრდის აუცილებლობა. ადრე ჯანმრთელობის შენარჩუნება ადვილი იყო უბრალო მიზეზის გამო. საჭმელების რაოდენობის გაზრდამ და გამრავალფეროვნებამ გამოიწვია ათასგვარი დაავადების წარმოშობა. შეხედეთ, რა დიდი რაოდენობით სიცოცხლეს შთანთქავს კუჭი – მიწის და ზღვის ბინადართა ეს გამანადგურებელი ორგანო. **სენეკა**

***

ზოგს გადაჭარბებულად მოეჩვენება, თუ ვიტყვით, რომ ხორცეული საკვები იწვევს ნაადრევ სიკვდილს, მაგრამ ის მაინც უეჭველია, რომ სწორედ იგია მიზეზი ნაადრევი დაბერების და მის მიერ წარმოშობილი ჩვეულებების – ალკოჰოლიზმის, ჭარბი სექსუალური ურთიერთობების, და სხვა მრავალი თავშეუკავებლობის მიზეზით გამოწვეული მრავალი ავადმყოფობის. **კინგსფორდი**

***

მთელი საუკუნე ბრძენთა შორის გავატარე და ადამიანისათვის ვერ ვპოვე ვერაფერი უკეთესი, ვიდრე დუმილია. მრავლისმეტყველი ვერ აიცდენს ცოდვას. **თალმუდი**

***

სამყაროსავით ძველი კანონის თანახმად, სიმართლე გამუდმებით ისწრაფვის გამარჯვებისაკენ. დაელოდეთ ამ ბრძოლის საბოლოო შედეგს. თუ დაელოდებით, ნახავთ, რომ როგორც ყოველგვარ ბრძოლაში, ყველას და ყველაფერს თავისი საკადრისი მიეძღვება. **კარლეილი**

***

ცუდი დღეები უდგას კეთილისმყოფელს, – ჯერ კიდევ არ მომწიფებულა მისი კეთილი საქმეების ნაყოფი; მაგრამ ნეტარი იქნება იგი მაშინ, როდესაც მისი საქმეები კეთილ ნაყოფს მოიტანენ. **ბუდისტური სიბრძნე**

***

ამონაწერები ფრიდრიხ ნიცშეს ,,ასე ამბობდა ზარატუსტრა”-დან:

ყველაფერი იმიდან, რაც შეთხზულა, მე მხოლოდ ის მიყვარს, რაც სისხლითაა დაწერილი. სისხლით წერე და მიხვდები, რომ სისხლი სულია.
ადვილი არაა სხვისი სისხლის გაგება: ვერ ვიტან უსაქმურ მკითხველებს.
ვინც იცნობს მკითხველს, იგი უკვე არაფერს აკეთებს მისი გულისათვის.
კიდევ ერთი საუკუნე მკითხველთა - და თავად სული ამოუშვებს მყრალ სუნს.

***

ვინც უმაღლეს მწვერვალზე ამაღლებულა, მან დამცინავად შეიძლება შეხედოს ყოველგვარ ტრაგედიასა თუ სევდას.
უზრუნველი, დამცინავი, მოძალადე – აი, ასეთი სურს რომ გვიხილოს სიბრძნემ: იგი ქალია და ყოველთვის მხოლოდ მეომარი უყვარს.

***

ჭეშმარიტად, ვინც ფლობს მცირეს, მას მით უფრო ნაკლებ დაეუფლებიან სხვები: ქებათაქება სიღატაკეს!
იქ, სადაც სახელმწიფო თავდება, იწყება ადამიანი, რომელიც ზედმეტი არაა: იქ იწყება გაჭირვებულთა სიმღერა, ერთადერთი და განუმეორებელი მელოდია.

***

თუ შენ მონა ხარ, არ შეიძლება იყო მეგობარი. თუ შენ ტირანი ხარ, შენ არ შეიძლება გყავდეს მეგობრები.
მეტისმეტად დიდხანს იყო დამალული ქალში მონა და ტირანი, ამიტომ მას მხოლოდ სიყვარული შეუძლია.
ჩემო ძმებო, არა სიყვარულს მოყვასისადმი გირჩევთ თქვენ: მე თქვენ გირჩევთ სიყვარულს უცხო ადამიანისადმი.

***

მამაკაცი ქალისათვის მხოლოდ საშუალებაა: მიზანი ყოველთვის ბავშვია.
ხოლო ქალისაგან, წერს ნიშცე, ორი რამ უნდა ნამდვილ მამაკაცს: საშიშროება და თამაში. და ამიტომ მას სურს ქალი, როგორც ყველაზე სახიფათო სათამაშო.
მამაკაცი აღზრდილი უნდა იყოს ომისათვის, ქალი – როგორც მეომრის დასვენების საშუალება: სხვა ყველაფერი – გაუგებრობაა.
მეტისმეტად ტკბილი ნაყოფი არ უყვარს მეომარს. და ამიტომ იზიდავს მას ქალი; ყველაზე ტკბილ ქალშიც კი არის რაღაც მწარე.
მამაკაცის ბედნიერება ლაპარაკობს: მე მინდა.
ქალის ბედნიერება ლაპარაკობს: მას უნდა.

***

ძალიან ცუდი ჯილდოა მასწავლებლისათვის, თუ მისი მოსწავლე სულ მუდამ მოსწავლედ რჩება.

***

შენ ახალგაზრდა ხარ და ოცნებობ ბავშვსა და ქორწინებაზე. მაგრამ მე გეკითხები შენ: ხარ კი ისეთი, რომ გქონდეს უფლება ისურვო ბავშვი?
თუ მოიპოვე გამარჯვებები, თუ დასძლიე საკუთარი თავი, თუ გახდი საკუთარი გრძნობების მეუფე? თუ შენს სურვილებში ლაპარაკობს მხოლოდ პირუტყვი და ჩვეულებრივი მოთხოვნილება? ან იქნებ მარტოობა? ან უთანხმოება საკუთარ თავთან?
მე მინდა შენმა გამარჯვებამ და თავისუფლებამ შენმა, ვნებიანად ისურვონ ბავშვი. ცოცხალი ძეგლი უნდა აღუმართო შენს გამარჯვებასა და შენს განთავისუფლებას...

***

შემოქმედება – ესაა უდიდესი განთავისუფლება ტანჯვისაგან, ცხოვრების უდიდესი შემსუბუქება. მაგრამ შემოქმედი რომ წარმოიშვას, საჭიროა ტანჯვა და მრავალსახოვანი გარდაქმნა.

***

წყნარ ხმაზე ლაპარაკობს სილამაზე: იგი მხოლოდ ყველაზე მგრძნობიარე სულში აღწევს. აღვირი უნდა ამოსდო შენს გულს: საკმარისია ნებაზე გაუშვა იგი, რომ ყველას თავგზა აებნევა.

***

ასე მითხრა ერთხელ ეშმაკმა: ღმერთსაც აქვს თავისი ჯოჯოხეთი: ესაა მისი სიყვარული ადამიანებისადმი.

***

ასე მეუბნებოდა სამართლიანობა:
,,ადამიანები არ არიან თანასწორნი".
ისინი არც უნდა იყვნენ თანასწორნი.
რა იქნებოდა სიყვარული ზეადამიანისადმი, თუ მე სხვაგვარად ვილაპარაკებდი?
ხოლო ვინ არის საზიზღარი ხალხისათვის, როგორც მგელი ძაღლებისათვის: ესაა თავისუფალი გონება, ჭაჯვების მტერი, ვინც არავის არ დაუხრის თავს და ბინადრობს ტყეში.

***

,,რატომ ხარ ასე მტკიცე! – უთხრა ერთხელ ქვანახშირმა ალმასს. განა ჩვენ უახლოესი ნათესავები არა ვართ?"
რატომ ხართ თქვენ ასე რბილი, ო, ჩემო ძმებო, ასე გეკითხებით მე თქვენ? განა თქვენ ჩემი ძმები არა ხართ?
რატომ ხართ ასე რბილები, სუსტნი და დამთმობნი? რატომაა ასეთი თვითუარყოფა თქვენს გულში? განა ასე შეძლებთ ჩემზე გამარჯვებას?

***

მხოლოდ ადამიანს უჭირს საკუთარი თავის ტარება! ეს იმიტომ ხდება, რომ მას მეტისმეტად დიდი და არასაჭირო ტვირთი დააქვს თავისი მხრებით. იგი აქლემის მსგავსად ეშვება მუხლებზე და უფლებას აძლევს სხვებს, დატვირთონ.

***

ადამიანი ხიდია და არა მიზანი.

***

ასეთია კეთილშობილ ადამიანთა ხასიათი; მათ არაფერი არ სურთ მუქთად, მით უფრო სიცოცხლე.

***

ვინც ბრბოდანაა, მას სურს იცხოვროს მუქთად, მაგრამ ჩვენ სხვები ვართ, ვისაც მოცემული გვაქვს სიცოცხლე – ჩვენ გამუდმებით იმაზე ვფიქრობთ, თუ რა მივცეთ სამაგიეროდ.

***

,,წმინდისათვის ყველაფერი წმინდაა" – ასე ამბობს ხალხი. მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ღორებისათვის Ჩველაფერი უწმინდურად იქცევა.

***

საქორწინო კავშირის შეკვრა: ყურადღებით იყავით, რომ იგი ცუდი კავშირი არ აღმოჩნდეს. თქვენ იგი მეტისმეტად სწრაფად დადეთ: აქედან მოკლე მანძილია მის დარღვევამდე!
მაგრამ უკეთესია ქორწინების დარღვევა, ვიდრე დამონება მისადმი და სიცრუე ქორწინებაში!
ასე მითხრა ერთხელ ერთმა ქალმა:
,,დიახ, მე დავარღვიე ქორწინება, მაგრამ უფრო ადრე ქორწინებამ დამარღვია მე".

***

მოგვეცით დრო და მცირე შესაბამისობა, რათა ჩვენ შევძლოთ დავინახოთ, ვარგივართ თუ არა ქორწინებისათვის!
მართლაც ბრწყინვალე რამაა – ყოველთვის ერთად ყოფნა!

***

უკეთესია არაფერი არ იცოდე, ვიდრე სანახევროდ იცოდე ბევრი რამ! უკეთესია საკუთარი რისკით სულელი იყო, ვიდრე ბრძენი სხვათა აზრების ხარჯზე! მე ვეძებ საფუძვლებს.

***

ის, რომ ტყუილი არ შეგიძლია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტება გიყვარს.
ვისაც არ შეუძლია სიცრუე, მან არ იცის, რომ არსებობს ჭეშმარიტება.

***

მარტოობაში იზრდება ზუსტად ის, რასაც ადამიანი შეიტანს მასში, თუმცა იზრდება ასევე შინაგანი ცხოველი. აი, ამიტომ გაურბის ბევრი მარტოობას.
თუ უარსებია აქამდე დედამიწაზე ოდესმე უფრო ჭუჭყიან არსებას, ვიდრე მეუდაბნოეა? მის ირგვლივ შმაგობს არა მხოლოდ ეშმაკი, არამედ ღორიც.

***

გაცილებით უკეთესია ხმაური და ჭექა-ქუხილი, ვიდრე ეს ფრთხილი კატისებური სიმშვიდე. ადამიანებს შორის ყველაზე მეტად მეზიზღება უპრინციპონი, რომლებიც უჩუმრად დადიან და ისე ნელა მოძრაობენ, როგორც ღრუბელი.

***

ჭეშმარიტად ხშირად მიცინია სუსტებზე, რომელთაც თავისი თავი კეთილ ადამიანებად მიაჩნიათ, იმიტომ, რომ მათ უძლური ხელი აქვთ!

***

ვინც მეტისმეტად უფრთხილდება თავს, იგი ბოლოს და ბოლოს დაავადდება ამით. დიდება მას, ვინც გვაწრთობს! მე არ მიყვარს ქვეყანა, სადაც თაფლის მდინარეები დის.
საჭიროა ვისწავლოთ საკუთარი თავის არდანახვა, რათა დავინახოთ ბევრი რამ: - ეს სიმტკიცე სჭირდება ყველას, ვინც მთებზე აპირებს ასვლას.

***

ბედნიერება მე დამდევს. ეს იმიტომ, რომ ქალებს არ დავდევ. ბედნიერება კი ქალია.

***

ერთისათვის მარტოობა გაქცევაა ავადმყოფისა, მეორისათვის კი – ავადმყოფებისაგან

P.S. ფრიდრიხ ნიცშეს ,,ზარატუსტრა" წავიკითხე ლევ ტოლსტოის მიერ შედგენილი კრებულის, ,,КРУГ ЧТЕНИЯ"-ს წაკითხვის შემდეგ. ამ კრებულში ყველა დროის დიდ ადამიანთა– კონფუციუსი, ლაო-ძე, ბუდა, პასკალი და ა. შ. აზრებია ამოკრებილი ამავე კრებულშია ნიცშეს სტატიაც: ,,კათოლიკობა და ქრისტიანობა". რაოდენ დიდი განსხვავდება ამ სტატიის ავტორი, - ნიცშე - ,,ზარატუსტრას" ავტორისაგან: ადამიანი მიზანი კი არა, ხიდიაო, ამბობს იგი ამ სტატიაში.

***

ალბერტ აინშტაინი – **ზოგიერთი გამონათქვამი:**

***

მე მწამს ინტუიცია და შთაგონება.

***

მასების ფსიქოლოგია ძნელად შესაცნობი რამაა. ვშიშობ, რომ ისტორიკოსები თავიანთი თხზულებების წერისას არ ითვალისწინებენ მათ ფსიქოლოგიას, მოვლენებს ისინი უცქერენ რეტროსპექტიულად, იმ წინამძღვრიდან ამოსვლით, თითქოს შეეძლოთ

ზუსტად განსაზღვრონ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ამბის მიზეზი. სინამდვილეში ამ თვალსაჩინო მიზეზს გარდა არსებობს მასების ფსიქოლოგიის მოუხელთებელი ფაქტორები, რომელთა შესახებ ჩვენ ცოტა რამ, ან სულ არაფერი არ ვიცით.

***

ახლა გავრცელდა და მოდად იქცა ფიზიკის აქსიომების ადამიანთა ცხოვრებასთან მისადაგება, რაც არა მარტო სავსებით მცდარი მიდგომაა, არამედ გარკვეულ გაკიცხვასაც იმსახურებს.

***

ყველაზე მშვენიერი და ღრმა განცდა, რაც შეიძლება ცხოვრებაში წილად გვერგოს, იდუმალების შეგრძნებაა. ეს განცდა დევს რელიგიის საფუძვლებში და მეცნიერების და ხელოვნების ყველა ღრმა ტენდენციაში. ის, ვისაც არ განუცდია ეს გრძნობა, უსულო გვამი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მე ბრმა მგონია. იმის უნარი, რომ შეიგრძნო ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, უშუალო განცდების წიაღ დაფარული იდუმალება, რომლის სილამაზე და სრულყოფილება ჩვენს გულს სუსტ ათინათად და შორეულ ხმიერებად წვდება – სწორედ ეს არის ჩემთვის რელიგიურობა და ამ აზრით მე რელიგიური ვარ. მე ვკმაყოფილდები იმით, რომ განცვიფრებული ათასნაირად ვსინჯავ ამ საიდუმლოს და ვცდილობ მიახლოებითი სურათი მაინც შევქმნა არსებული სტრუქტურისა.

***

ლორენცის გადმოცემით **აინშტაინს** უთქვამს:
,,მე ბედნიერი ვარ, რამეთუ ვეკუთვნი ერს, რომელიც მეტად პატარაა იმისათვის, დიდი სისულელეები ჩაიდინოს.

***

კაცს, რომელიც I მსოფლიო ომში მასთან საუბარში ცდილობდა დაერწმუნებინა ლორენცი, რომ მხოლოდ სისასტიკესა და ძალადობას შეუძლია გადაწყვიტოს კაცობრიობის ბედი, მან უპასუხა: ,,შესაძლოა, თქვენ მართალიც ხართ, მაგრამ ასეთ მსოფლიოში მე არ ვისურვებდი ცხოვრებას".

ამონაწერები ვ. პროსკურიაკოვის ,,Томас мюнцер"-დან:

მიუნცერი თავადთა და მებატონეთა ფიზიკური განადგურების მომხრე იყო. იგი იცავდა თეზისს ,,ღვთის მეუფება მიწაზე". მის დამყარებას იგი ფიქრობდა სახალხო რევოლუციის გზით. ღვთის სამეფო მას წარმოედგინა როგორც მართალთა საყოველთაო თანასწორობა, სამუშაოთა და ქონების ერთობა, კომუნიზმი მოხმარებაში, დაახლოებით ისეთი, როგორც პირვანდელი ქრისტიანობის დროს...
...თავისი ცხოვრების ბოლო დღეებში მიუნცერმა დაამტკიცა, რომ ,,იმ საზოგადოების, რომლისკენაც იგი მიისწრაფოდა, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენდა omnia sunt communia – საყოველთაობა და ამიტომ თვითეულს ყველაფერი უნდა მისცემოდა მოთხოვნილებისდა მიხედვით.
თავის ერთ-ერთ წიგნს - ,,უღმერთო სამყაროს ყალბი რწმენის გამოაშკარავება", მიუნცერმა წაუმძღვარა წინასწარმეტყველ იერემიას შეგონება: ,,იცოდე, რომ მე ჩემი სიტყვები შენი ბაგებით გამოვთქვი, მე ადამიანებსა და სამეფოებს ზევით დაგაყენე, რათა შენ ამოძირკვო, გატეხო, გაფანტო და ამოაცარიელო, შექმნა და დანერგო".

***

,,უკეთესია ღმერთი იყოს შენი მეგობარი და ადამიანები - მტრები, ვიდრე ღმერთი გადაგემტეროს და ადამიანები დაგიმეგობრდნენ". **მიუნცერი**

***

ყველაზე საშინელი დედამიწაზე არის ის, რომ არავის არ სურს დაეხმაროს საცოდავ ღარიბთ, ძლიერები შვრებიან იმას, რაც სურთ... შეხედეთ, მევახშეობის, ქურდობისა და ყაჩაღობის უმთავრეს დამცველთ ჩვენი თავადები და მებატონეები წარმოადგენენ. მათ მიითვისეს საკუთრებაში ყოველივე სულიერი, - თევზი წყალში, ფრინველი ჰაერში, მცენარე მიწაზე – ყველაფერი მათ ეკუთვნით. შემდეგ ესენი ავრცელებენ ღარიბთა შორის უფლის მცნებათ და ამბობენ: ,,ღმერთმა თქვა – არ მოიპარო", თავად კი არ მისდევენ მათ. ამრიგად ისინი ავიწროებენ ადამიანებს, ისინი ძარცვავენ ღარიბ მიწათმოქმედთ და ხელოსანთ. მაგრამ, როდესაც უბრალო ადამიანი იღებს ყველაზე პატარა საგანს, მას ამის გამო თოკზე ჰკიდებენ, ხოლო დოქტორი ლიუგრენი (მატყუარა, - მინიშნება **ლუთერზე**) ამაზე მხოლოდ ,,ამენ"-ს იძახის... **მიუნცერი**

***

...ამ დროს მიუნცერი თავით ფეხებამდე იყო ჩაფლული პოლიტიკურ ბრძოლასა და აჯანყების მომზადებაში. მას უკვე სხვა არაფერი აინტერესებდა. დიდი ყურადღება იმასაც კი არ მიაქცია, როდესაც ზუსტად ამ პერიოდში აცნობეს ბავშვის დაბადება. და როდესაც ამის გამო საყვედური უთხრეს, მიუნცერმა ასე უპასუხა: ,,აი, ხედავთ, მე არაფერი არ მეხება, საერთოდ მოწყვეტილი ვარ ბუნებას".

***

ზოგიერთს მართალია უყვარდა მიუნცერი, მაგრამ არ იზიარებდა მის მოძღვრებას. ისინი ასე ამბობდნენ: ,,ჭეშმარიტი ქრისტიანი ხელში იარაღს არ იღებს და ბრძოლას არ იწყებს, რამეთუ კაცთა კვლა მათთვის სრულიად უცხოა".

***

აი, რას ამბობს ერთ-ერთი გერმანელი თავადი გლეხთა აჯანყების თაობაზე:
,,მე მეზიზღება ძმური სიყვარული, ის, რის შესახებაც ეს გლეხუჭები ლაპარაკობენ. მე არათუ უცხოებთან და მით უფრო **ხამებთან** გავყოფდი რაიმეს, არამედ სისხლით ნათესავებთა, ძმებთანაც კი დიდი სურვილით არ ვაკეთებ ამას".

***

სიკვდილი მხოლოდ ერთი ნაბიჯია ჩვენს მუდმივ განვითარებაში. ასეთი ნაბიჯი იყო ჩვენი დაბადებაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დაბადება სიკვდილია ყოფიერების ერთი ფორმისა, ხოლო სიკვდილი - დაბადება ყოფიერების სხვა ფორმის.
სიკვდილი ბედნიერებაა მომაკვდავი ადამიანისათვის. სიკვდილის შემდეგ უკვე აღარ ხარ მომაკვდავი. მე არ ვუყურებ ამ ცვლილებას შიშით მრავალი ადამიანის მსგავსად. ჩემი აზრით, სიკვდილი ცვლილებაა უკეთესობისაკენ. განა ჩვენ ნორმალურ ჭკვაზე ვართ მაშინ, როდესაც სიკვდილისათვის ვემზადებით? ჩვენი საქმე ცხოვრებაა. ის, ვისაც შეუძლია ცხოვრება, შეუძლია სიკვდილიც. მე სიცოცხლე მწყურია, ჩვენი სული არასდროს არ გვეუბნება, რომ მოვკვდებით. გრძნობა კვდება, ხოლო სიკვდილი ამ გრძნობათაგანაა შექმნილი. ამგვარად ღირს კი გონიერი ადამიანი შფოთავდეს სიკვდილის გამო? **თეოდორ პარკერი**

***

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ უსირცხვილო, ტრაბახა, უხეში და უსაქმური ადამიანი ადვილად, მსუბუქად ცხოვრობს და რომ იმ მომაკვდავის ცხოვრება კი, რომელიც მიისწრაფის წმინდა, უცოდველი არსებობისაკენ, ყოველთვის მშვიდია, გონიერი, უანგარო, მისი ცხოვრება მძიმეა და აუტანელი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხდვითაა ასე. სინამდვილეში პირველი ყოველთვის შეშფოთებულია, მოუსვენრად არის, მეორე კი ყოველთვის მშვიდია და აუმღვრეველი. **ბუდისტური სიბრძნე**

***

ჭეშმარიტი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც იწყება თვითუარყოფა. **კარლეილი**

***

სული მეორე სულის გავლენის ქვეშ ექცევა. ამიტომ ადამიანი სრული თავისუფალი მაშინაა, როდესაც მარტოა. **კანტი**

***

თუ ჩვენ უმრავლეს ადამიანთა ცხოვრებას შევხედავთ, მოგვეჩვენება, რომ ადამიანი არსებაა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რათა, მსგავსად მცენარეებისა, შეიწოვოს სხვადასხვა სასიცოცხლო წვენი, გაიზარდოს, გააგრძელოს თავისი ჯიში და ჯილაგი დედამიწაზე, და ბოლოს, დაბერდეს და მოკვდეს. ასეთ შემთხვევაში ყველა არსებათაგან ადამიანი ყველაზე ნაკლებ აღწევს თავის არსებობის მიზანს, რამეთუ იგი თავის ბრწყინვალე შესაძლებლობებსა და უნარს იყენებს ისეთი მიზნებისათვის, რომელთაც დანარჩენი არსებები აღწევენ გაცილებით უკეთ და სწორად და ყველა არსებათაგან ადამიანი ყველაზე მეტად დაიმსახურებდა ზიზღს, უკიდურეს შემთხვევაში, ჭეშმარიტი სიბრძნის თვალში, თუ კი იგი არ განახორციელებდა ნაწილობრივ და არ ექნებოდა იმედი იმისა, რომ სრულად განახორციელებდა არა მხოლოდ ცხოველურ, არამედ გონიერ, მხოლოდ ნამდვილი ადამიანისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას, რომლის შესაძლებლობაც მას შეგნებული აქვს. **კანტი**

***

,,უნდა მოიქცე ისე, როგორც იქცევიან სხვები", ეს წესი, თითქმის ყოველთვის, იმას აღნიშნავს, რომ ცუდად მოიქცე. **ლაბრუერი**

***

არ არსებობს უფრო ყალბი სახელმძღვანელო ცხოვრებაში, ვიდრე ხალხის აზრი. **ლაბრუერი (?)**

***

როდესაც ტოლსტოი ბრძენთა წიგნებიდან წინამდებარე ამონაწერებზე მუშაობდა, საიდანაც გვაქვს ზემოთმოტანილ გამონათქვამთა უმრავლესობა ამოკრეფილი და თარგმნილი, იგი რუსანოვს წერს: ვკითხულობ როგორც ძველებს, -პლუტარქს, ციცერონს, ეპიკტეტს, ისე ახლებს, - მონტესკიეს, მონტენს, კარლეილს, ვოლტერს, რუსსოს და სხვებს და საერთოდ, არ ვკითხულობო გაზეთებს. იგი აქვე წერს: მე უფრო და უფრო მაკვირვებს და მაშფოთებს არა ის უცოდინრობა, არამედ ,,კულტურული" ველურობა, რომელშიც ჩაფლულია ჩვენი საზოგადოება. განათლება, სწავლა ხომ ის არის, რომ ასიმილირებული უნდა იყოს მთელი ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენს წინაპრებს დაუტოვებიათ, ხოლო ჩვენ კი ვიცით გაზეთები, ზოლა, მატერლინკი, იბსენი...

***

ერთი ადამიანი ეკითხება მეორეს, თუ რატომ აკეთებს იგი იმ საქმეს, რომელსაც არ თანაუგრძნობს.
- იმიტომ, რომ ყველა ასე აკეთებს – უპასუხა მან
- ვთქვათ, რომ არა ყველა – თქვა პირველმა - იმიტომ, რომ მაგალითად, მე ამას არ ვაკეთებ, ზოგიერთი სხვა ადამიანიც, რომლებიც შემიძლია გაჩვენო, ამას არ აკეთებს.
- თუ ყველა არა, ადამიანთა უმრავლესობა მაინც – არა ტყდებოდა პირველი
- მაშინ, თუ შეიძლება მითხარი - კვლავ დაეკითხა პირველი – რომელი ადამიანი უფრო მეტია ამქვეყნად – სულელი თუ ჭკვიანი?
რა თქმა უნდა, სულელი! – იყო პასუხი

რადგან ასეა, მაშინ გამოდის, რომ როდესაც ვბაძავთ უმრავლესობას, ვბაძავთ სულელებს.

***

ვაიძულოთ ადამიანები გამოიყენონ ადრინდელი, მოძველებული კანონები, იმას გავს, რომ აიძულო ჩვენი დროის ადამიანები იცხოვრონ სახლებში და გამოიყენონ იარაღი ჩვენი წინაპრებისა, რომლებიც მრავალი თაობის წინათ ცხოვრობდნენ. **ლუისი მალორი**

***

მატერიალური შედეგები – მხოლოდ უხილავ ძალთა მოგვიანებითი გამოვლინებაა. გული უკვე დიდი ხანია გაფრენილა, ანუ მანამდე, ვიდრე გასროლის ხმა ჩვენამდე მოაღწევდეს. გადამწყვეტი მოვლენები გონებაში ხდება. **ამიელი**

***

თუ ჩვენ რაიმე უსიამოვნება შეგვემთხვევა, ან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, მაშინ ჩვენ ყველანი ვარჩევთ ამაში სხვა ადამიანები ან ბედი დავადანაშაულოთ. უმჯობესი კი იქნებოდა ამის ნაცვლად გაგვეაზრებინა, რომ თუ გარეგანი, ჩვენგან დამოუკიდებელი რამ იქცევა ჩვენთვის არასასიამოვნოდ ან სიძნელედ, თავად ჩვენში არის რაღაც მოუწესრიგებელი. **ეპიკტეტი**

***

შენ თავად ვარდები ცოდვაში, თავად განიზრახავ ბოროტებას, თავად გაურბიხარ ცოდვას, თავად წმენდავ შენს აზრებს, თავად ხდები კეთილი ან ბოროტი, სხვა ვერავინ გიშველის შენ. **ჯამაპადა**

***

ადამიანი, რომელიც ბედნიერებას ეძებს გარეგან კეთილდღეობაში, თავის სახლს იშენებს ქვიშაზე: მყარი ბედნიერება შეიძლება მოგვცეს მხოლოდ შინაგანი ცხოვრების ჰარმონიამ ღმერთის ნებასთან. **ლუისი მალორი**

***

სული, რომელიც ემორჩილება ღმერთს, დიდებულია; სული, რომელიც წინ აღუდგება მას, აკრიტიკებს კანონებს, რომლებიც განაგებენ სამყაროს და ამჯობინებს გამოასწოროს ღმერთი და არა თავისი თავი, პირიქით, წვრილმანი და გარყვნილია. **სენეკა**

***

თუ შენ არაფერს ელოდები და არ გსურს რაიმეს მიღება სხვა ადამიანებისაგან, მაშინ ისინი არ იქნებიან საშიში შენთვის, ისევე, როგორც ფუტკარი არ არის საშიში მეორე ფუტკრისათვის. მაგრამ თუ შენი ბედნიერება სხვა ადამიანების ხელთაა, მაშინ შენ აუცილებლად ამგვარ შიშში იქნები.
აქედან უნდა დავიწყოთ: უნდა უარი ვთქვათ ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენ არ გვეკუთნის, რათა იგი ჩვენს მებატონედ არ იქცეს: უარი ვთქვათ ჩვენი სხეულის მოთხოვნილებებზე და ყველაფერ იმაზე, რაც მისთვის არის საჭირო, უარი ვთქვათ ქონებაზე, დიდებაზე, თანამდებობაზე, ღირსებებისადმი სიყვარულზე. ამ აზრით უარი ვთქვათ საკუთარ ბავშვებზე, ცოლზე, ძმებზე. უნდა ვუთხრათ საკუთარ თავს, რომ ეს ყველაფერი ჩვენი საკუთრება არაა.
მაშინ საჭირო არ იქნება ადამიანთა ძალადობას ძალადობითვე ვუპასუხოთ. აი, ციხე. რა ზიანს მაყენებს იგი მე, ჩემს სულს იმით, რომ იგი დგას? რად მინდა მისი დანგრევა? რად უნდა დავესხა თავს იმ ადამიანებს, რომლებიც ძალადობენ და დავხოცო ისინი? მათი ციხე, ჯაჭვები, იარაღი ვერ დაიმორჩილებენ ჩემს სულს. ჩემი სხეული შეიძლება ხელთ

იგდონ, მაგრამ ჩემი სული თავისუფალია და მას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს; ამიტომ ვცხოვრობ ისე, როგორც მსურს.
როგორ მივედი ამ მდგომარეობამდე? როგორ და ჩემი სული ღმერთის დავუმორჩილე: მას უნდა რომ ციება მქონდეს? მეც ეს მინდა. მას უნდა, რომ მე გავაკეთო ეს და არა ის? მეც ამას ვაკეთებ. მას არ უნდა და არც მე მინდა. უნდა მას, რომ მე მოვკვდე? მეც მინდა სიკვდილი. **ეპიკტეტი**

***

რაოდენობა კი არა, ხარისხი უნდა გაინტერესებდეს შენი დამფასებლებისა: თუ სულელებს არ მოსწონთ, ეს ადამიანისათვის სასიამოვნოც კი უნდა იყოს. **სენეკა**

***

ნებისმიერი ახალი სურვილი ახალი საჭიროების დასაწყისია, ახალი სევდის მაუწყებელი. **ვოლტერი**

***

თავისი ვნებების მონა – ყველაზე მდაბალი მონაა. **თალმუდი**

***

რაც უფრო მეტად იმძიმებს თავს ადამიანი ათასგვარი საჭიროებით, მით უფრო მეტად ვარდება იგი მონობაში: იმიტომ, რომ რაც მეტი რამე გახდება მისთვის საჭირო, მით მეტად შემცირდება მისი თავისუფლება. სრულყოფილი თავისუფლება ისაა, რომ საერთოდ არაფერი სჭირდებოდეს კაცს, ხოლო მისი შემდგომი თავისუფლება – ძალზე მცირე რამ სჭირდებოდეს მას. **ოქროპირი**

***

მემკვიდრეობითი ფუფუნება – აი რას უწოდებთ თქვენ ბედნიერებას, მე კი ვფიქრობ, რომ არაფრის სურვილი – ეს ნამდვილი ღვთაებრივი განცხრომაა და ამიტომ მცირეს ნდომა არის ამ უმაღლეს ბედნიერებასთან მიახლოება. **სოკრატე**

***

რაც მეტია აკრძალვა, მით მეტია სიღარიბე, რაც მეტია იარაღი, მით მეტია ამბოხი, რაც მეტია უმეცრება, მით მეტია სიხარბე, რაც მეტია კანონი და აკრძალვა, მით მეტია ქურდი და ავაზაკი. **ლაო-ძე**

***

კაცი, ვინც დაეუფლა დამთმენლობას, ხელმწიფობს ხალხს და მსახურებს ცას. **ლაო-ძე**

***

ნუ გეშინია ადამიანის, მაღალის თუ დაბალის, მდიდარის თუ ღარიბის, მეცნიერის თუ უმეცარის. პატივი ეცი ყველა ადამიანს, მაგრამ ნუ გეშინია ნურავისი. მისდიე იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც შენი გონება გიჩვენებს და უერთგულე შენს მრწამს, რაც არ უნდა მოხდეს. ნუ ელი გამოხმაურებას ბრბოდან. რაც ნაკლები ხმები ისმის ჭეშმარიტების სასარგებლოდ, მით უფრო აუწიე შენს ხმას. გჯეროდეს იმისი, რომ ჭეშმარიტება უფრო ძლიერია მცდარ აზრზე, ვნებასა თუ ცრურწმენაზე, ამასთან მუდმივად მზად იყავი მონამეობრივი ცხოვრებისათვის. გწამდეს, რომ ჭეშმარიტება არაა დროებითი და ადგილობრივი მოვლენა, არამედ რაღაც მუდმივი, უცვლელი, ერთიანი და ერთი და იგივე ყველა სამყაროში. ჩანინგი, XIX საუკუნის ამერიკელი ღვთისმსახური

***

ადამიანის არსებაში გონებასა და ვნებებს შორის განუწყვეტელი და შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს. ადამიანს შეეძლო ჰქონოდა გარკვეული სიმშვიდე, მასში რომ

მხოლოდ გონება ყოფილიყო, ვნებათა გარეშე, ან პირიქით, ვნებები გონების გარეშე. მაგრამ ვინაიდან მასში ერთიც არის და მეორეც, იგი ვერ გაექცევა ბრძოლას, მას არ შეუძლია მშვიდობიანად იყოს ერთთან ისე, რომ მეორეს არ ებრძოდეს. იგი ყოველთვის საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. **პასკალი**

***

რაც არ უნდა ძნელი იყოს ამის თქმა, ჩვენი დროის ხელოვნებასა და ჩვენ წრეს დაემართა ზუსტად იგივე, რაც ქალს დაემართება ხოლმე, რომელიც თავის ქალურ მომხიბლველობას, დედობისათვის რომ არის განკუთვნილი, ყიდის მათი სიამოვნებისათვის, რომლებიც მისთვის ქებას არ იშურებენ.
ჩვენი დროის და ჩვენი წრის ხელოვნება კახპად იქცა და ეს შედარება გამართლებულია თვით უმნიშვნელო წვრილმანებამდე. იგი ისევე გამყიდველურია და შეღებილი, ისევე მომხიბვლელი და დამღუპველი და ყოველთვის მზად მყოფი.
ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები მხოლოდ იშვიათად შეიძლება წარმოიშვას, როგორც განვლილი ცხოვრების ნაყოფი, ზუსტად ისევე, როგორც ბავშვის ჩასახვა დედის საშოში.
ყალბ ხელოვნების ნაწარმოებებს კი განუწყვეტლივ ხელოსნები და ოსტატები ჰქმნიან, ოღონდ კი იყოს მათზე მოთხოვნა.
ჭეშმარიტი ხელოვნება არ საჭიროებს მორთვა-მოკაზმვას, როგორც მოყვარული ქმრის ცოლი. მხოლოდ ყალბი ხელოვნება, ისევე, როგორც კახპა ქალი, საჭიროებს მორთვას.
ჭეშმარიტი ხელოვნების წარმოშობის მიზეზი არის დაგროვილ გრძნობათა გამოხატვის შინაგანი მოთხოვნილება, როგორც დედისათვის სქესობრივი ჩასახვის მიზეზს სიყვარული წარმოადგენს.
ყალბი ხელოვნების ნაწარმოების წარმოშობის მიზეზი ანგარებაა, ზუსტად ისევე, როგორც პროსტიტუციაში.
ჭეშმარიტი ხელოვნების შედეგი ცხოვრებაში ახალი გრძნობის შეტანაა, ისევე როგორც ცოლის სიყვარული შედეგი ახალი ადამიანის დაბადება. ყალბი ხელოვნების შედეგი კი არის ადამიანის გარყვნა, დაუკმაყოფილებლობა სიამოვნებებით, ადამიანის სულიერ ძალათა დასუსტება. **ჯონ რესკინი**

***

ყოველგვარი მცდელობა იმისა, რომ ხელოვნებით ცხოვრების სახსარი იქნეს მოპოვებული, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ცუდსა და საზიანო გზას, რომელსაც კი ადამიანი ირჩევს. ყოველ თაობაში მცირე, ძალზე მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შეიძლება კაცმა მოუსმინოს და რომელთა ნაწარმოებებიც ყურადღების ღირსია. და ეს მცირენი იმღერებენ და დახატავენ მიუხედავად არსებული მოთხოვნისა: ისინი სიამოვნებით იშიმშილებენ, როგორც ცნობილი იგავის ჭრიჭინობელა, ვიდრე შეწყვეტდნენ მღერას; თუნდაც რომ თქვენ აღარ მოისურვოთ მათთვის მოსმენა, გულკეთილობის ძალით მაინც უნდა მიაწოდოთ მათ რამდენიმე ლუკმა, რათა სიცოცხლე შეუნარჩუნოთ მათ. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ხატავენ და წერენ იმისათვის, რომ ამ გზით არსებობის საშუალება მოიპოვონ, თავიანთ თავს ნაკლებ საზიზღრებად და უფრო კეთილშობილებად თვლიან, ვიდრე ჩვეულებრივი მათხოვრები არიან, მაშინ, როდესაც ისინი არსებითად ხმაურიანი და ბოროტი მათხოვრები არიან ოდენ. **ჯონ რასკინი**

***

მხოლოდ იმ ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად თავისუფალია, რომელიც ისე ცხოვრობს, როგორც სურს. ასე მხოლოდ გონიერი ადამიანი ცხოვრობს, რადგანაც მას სურს მხოლოდ ის, რაც შეიძლება მიიღოს ცხოვრებისაგან. ამიტომ მხოლოდ გონიერი ადამიანია თავისუფალი. **ეპიკტეტი**

***

ბრძენი დიოგენი ამბობდა: ,,მხოლოდ ის ადამიანია თავისუფალი, ვინც სულ მზადაა სიკვდილისათვის". იგი სპარსეთის მეფეს წერდა: ,,შენ ვერ შეძლებ ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანები მონებად აქციო, ისევე, როგორც ვერ შეძლებ თევზის დამონებას. თუ შენ მათ მონებად აიყვან, ისინი მაინც არ დაგემონებიან შენ, ხოლო თუ ისინი ტყვეობაში დაიხოცებიან, რა მოგება გექნება შენ იმისაგან, რომ ისინი ტყვედ გყავდა". **ეპიკტეტი**

***

როდესაც ჯარისკაცები საფარში სხედან, მტრის სროლას აფარებენ თავს და მეტი საქმე არაფერი აქვთ, ისინი გულმოდგინედ ეძებენ რაიმე ისეთ გასართობს, რითიც თავს შეიქცევენ, რათა ადვილად გადაიტანონ საფრთხე. ზოგჯერ ადამიანებიც ასეთ ჯარისკაცებს წააგვანან, რომლებიც ცხოვრებისაგან იფარავენ თავს: ვინ პატივმოყვარეობით, ვინ კარტით, ვინ კანონების წერით, ვინ ქალით, ვინ ცხენებით, ვინ ნადირობით, ვინ ღვინით და ვინ - სახელმწიფო საქმეებით.

***

ამბობენ, რომ ყოფილა ერთი სექტა, რომლის წევრებიც შეკრების დასრულების შემდეგ შუქს გამორთავენ, რათა გარყვნილებას მიეცნენ.
ჩვენი საზოგადოება, რათა განუწყვეტელ გარყვნილებათა მორევში ჩაიძიროს, მუდმივად რთავს გონების შუქს ათასგვარი გამაბრუებელი საშუალებებით.

***

სად არიან გარდაცვლილები? იქვე, სადაც ახალდაბადებულები იყვნენ. **სენეკა**

***

რაც უფრო ახლოს არიან ადამიანები ჭეშმარიტებასთან, მით უფრო შემწყნარებლები არიან ისინი სხვათა ცოდვათა მიმართ და პირიქით.

***

თუ შენ ფიქრობ, რომ ვიღაც დამნაშავეა შენ წინაშე – დაივიწყე ეს და აპატიე. ხოლო თუ შენ ადრე არ გამოგიცდია ამგვარი გრძნობა, მაშინ გამოსცდი ახალ სიხარულს – პატიებისას.

***

ჭეშმარიტი სასჯელი ყოველი ცუდი საქმისათვის არის ის, რაც ხდება თავად დამნაშავის სულში და რაც გამოიხატება მის მიერ ცხოვრებით მოგვრილ სიამოვნებათა აღთქმის უნარის დაქვეითებაში. გარედან მიყენებული ყოველი სასჯელი მხოლოდ აღიზიანებს დამნაშავეს.

***

ეძებენ რა სიამოვნებას, ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეს აწყდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ განიცდიან თავიანთი ცხოვრების სიცარიელეს. ამასთან ისინი სრულიადაც არ გრძნობენ სიცარიელეს იმ ახალი სიამოვნებისა, რომელიც მათ ასე იზიდავს. **პასკალი**

***

შენ გეშინია სიკვდილის, მაგრამ დაფიქრებულხარ კი იმაზე, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, განწირული რომ იყო შენი ერთი და იმავე პიროვნებით მარადიული ცხოვრებისათვის. **ჯონ რასკინი**

***

ცოდნა თავმოდრეკილს ხდის დიდ ადამიანს, ანცვიფრებს უბრალოს და ბერავს პატარა ადამიანს.

***

სინდისის მითითებები უშეცდომოა, როდესაც ისინი თხოულობენ ჩვენგან არა ჩვენი ცხოველური პიროვნების დამკვიდრებას, არამედ მის მოტანას მსხვერპლად.

***

მეცნიერება – გონების საკვებია. ეს საკვები კი ისევე საზიანო შეიძლება გახდეს გონებისათვის, როგორც საკვები სხეულისათვის, თუ მას ზომიერად არ მივიღებთ. ასე რომ, გონებრივი საკვების მიღებაც შეიძლება მეტისმეტი მოგვივიდეს და დავვაადდეთ მისგან.
იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ისევე, როგორც ხორციელი სხეულისათვის, ეს საკვები მივიღოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მართლაც საჭირო და აუცილებელია. **რასკინი**

P.S. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რუსები რომ იტყვიან: მოჟნა იესც დო ატვალა, ი უმერეც ოტ ცინგი.

***

ცუდია, თუ ადამიანს არა აქვს რაიმე ისეთი, რის გამოც სიკვდილიც ღირდეს.

***

ვნებები შეიძლება იყოს სინდისზე ძლიერი, მისი ხმა შეიძლება იყოს უფრო ძლიერი, მაგრამ მისი ძახილი სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ის, რომელი ხმითაც სინდისი ლაპარაკობს. იგი არ ფლობს იმ ძალას, რომელსაც ფლობს სინდისის ძალა. თავის ზეიმში იგი მაინც ქედს იხრის იმ ძალის წინაშე, რომელსაც ფლობს სინდისის ხმა – ეს წყნარი, ღრმა და შემაშინებელი ხმა. **ჩანინგი**

***

ნებაყოფლობითი მონობა

ეტიენ დე ლა ბოეტი დაიბადა 1530 წელს. 16 წლის იყო, როდესაც დაწერა წერილი ნებაყოფლობითი მონობის შესახებ, რომლის ნაწყვეტებიც ქვემოთ მოგვყავს. ბოეტი იყო ბორდოს სასამართლოს წევრი და დიდი ფრანგი ფილოსოფოსის მონტენის მეგობარი.

,,უეჭველია ის, რომ თუ ჩვენ ბუნების წესებით ვიცხოვრებდით, მაშინ მშობლების დამჯერი ვიქნებოდით, დავექვემდებარებოდით გონებას და არავის მონებიც არ გავხდებოდით...
ბუნებამ ჩვენ ერთნაირები შეგვქმნა, თითქოს ერთი ყალიბით დავემზადებინოთ, იმ ანგარიშით, რომ ჩვენ ერთმანეთი ამხანაგებად ან, უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყოდი, ძმებად მიგვეღო; და თუ ჩვენი შესაძლებლობების გაყოფისას მან დაგვანათლა ზოგიერთი სხეულებრივი და სულიერი უპირატესობა, მას მაინც არ ეწადა ჩვენ შორის მტრობის ჩამოგდება, არ სურდა, რომ ძლიერნი და ჭკვიანები, როგორც ყაჩაღები ტყეში, თავს ესხმოდნენ სუსტებს.
არსებობს სამი სახის ტირანია: ძალადობა ხალხის არჩევანზე, ბატონობა იარაღის ძალით და – ბატონობა მემკვიდრეობით... საოცარია, რომ ზუსტად ის ხელისუფალნი, რომლებიც ბატონობენ ხალხის არჩევანზე, აღემატებიან სხვა ტირანებს მანკიერებით და სისასტიკითაც კი...
თავდაპირველად ადამიანებს იმორჩილებენ ძალით, მაგრამ შემდეგი თაობები, რომლებსაც არასოდეს უგემიათ თავისუფლება და არ იციან, თუ რა არის ის, ტირანს ემსახურებიან ყოველგვარი სინანულის გარეშე და ნებაყოფლობით აკეთებენ იმას, რაც

მათ წინაპართ იძულებით უკეთებიათ... მაგრამ ასეთ მორჩილთა შორისაც გვხვდებიან კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც, გრძნობენ რა მორჩილების უღლის სიმძიმეს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გადაიგდონ იგი და ვერასოდეს მიეჩვევიან მას. ამ ადამიანებს, როგორც ულისე, რომელიც ზღვასა და ხმელეთზე ცდილობდა დაენახა თავისი მშობლიური კერიის კვამლი, ახსოვთ თავისი ბუნებრივი უფლებები და ის თავისუფლებაც, რომლითაც მათი წინაპრები სარგებლობდნენ. მონობა მათთვის საზიზღარია, როგორი ზიზილ-პიპილებითაც არ უნდა მორთონ იგი.

თურქეთის სულთანმა კარგად იცოდა ეს. იგი მიხვდა იმასაც, რომ წიგნები და მეცნიერება ყველაზე მეტად აღვიძებს ადამიანებში საკუთარი თავის შეცნობის სურვილსა და ზიზღს ტირანიისადმი. ამბობენ, რომ მის სამფლობელოში მხოლოდ ისეთი წიგნებს უშვებენ, რომლებიც მის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. ასეთ პირობებში, რაც არ უნდა ბევრნი იყვნენ ადამიანები, რომელთაც მიუხედავად ყველაფრისა, შენარჩუნებული აქვთ თავისუფლებისადმი სიყვარული, რაც არ უნდა ეცადონ, გავლენას მაინც ვერ მოიპოვებენ. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს საუბრისა და ფიქრის თავისუფლებაც კი, ისინი ერთმანეთსაც არ იცნობენ.

ამრიგად მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ნებაყოფლობით ეძლევიან მონობას, იმაშია, რომ ისინი იბადებიან და იზრდებიან ამ მდგომარეობაში. ამ მიზეზიდან წარმოიშვება სხვაც, კერძოდ ის, რომ ტირანთა ბატონობისას ადამიანები ადვილად ხდებიან მშიშრები და ქალაჩუნები. ტირანი არასოდეს არაა დარწმუნებული საკუთარი ძალაუფლების სიმყარეში და ამიტომ ცდილობს, რომ მის სამფლობელოში არ იყოს არც ერთი ღირსეული ადამიანი.

ის ეშმაკობა, რომლის დახმარებითაც ტირანებს მორჩილებაში ჰყავთ ქვეშევრდომები, არაფერში მჟღავნდება ისე, როგორც ეს გაუკეთა კიროსმა ლიდიელებს, როდესაც მან აიღო მათი მთავარი ქალაქი და ტყვედ იგდო კრეზი, ეს უმდიდრესი მეფე და თან წაიყვანა იგი. როდესაც მას აცნობეს, რომ ამ საქციელმა ლიდიელები აღაშფოთა, მან კვლავ დაიპყრო ისინი; მაგრამ მას არ სურდა დაენგრია ასეთი ლამაზი ქალაქი და გამუდმებით იქ ჯარი ჰყოლოდა, რათა შეენარჩუნებინა იგი. მალე მან ასეთი რამ მოიფიქრა – გააშენა ამ ქალაქში გასართობი დაწესებულებები, დუქნები, საროსკოპოები და გამოსცა კანონი, რომელიც ქალაქელებს ავალდებულებდა აუცილებლად ესარგებლათ ყოველივე ამით. და ეს წესი ისეთი ეფექტური აღმოჩნდა, რომ ამის შემდეგ მას უკვე აღარ სჭირდებოდა ლიდიელებთან ომი. ამ უბედურ ადამიანებს ამიერიდან დრო იმაში გაჰყავდათ, რომ ახალ-ახალ გასართობებს იგონებდნენ. რომაელებმა მათგან ისესხეს სიტყვა, რომლითაც დროის გატარებას აღვნიშნავთ: „ludi".

ტირანები არ აღიარებენ, რომ მათ ქვეშევრდომთა გარყვნა სწადიათ, მაგრამ იმას, რაც კიროსმა შემოიღო, სინამდვილეში ყველა აკეთებს...

წარმოუდგენელია იმის გაფიქრება, რომ არსებობდეს ჩიტი, რომელსაც უფრო ადვილად იჭერდნენ საკენკით, ან თევზი, რომელიც უფრო კარგად ეგებოდეს ანკესზე, ვიდრე ყველა ხალხი ვარდება მონობაში პატარა ფრთის გამო, რომელსაც მას, როგორც ამბობენ, ტუჩებზე გაუსვამენ: თეატრები, თამაშობები, გლადიატორები და სხვა მსგავსი სისულელეები ჩვენს წინაპართათვის მონობის საცდუნებელს, მათი თავისუფლების ფასსა და ტირანიის უმთავრესს იარაღს წარმოადგენდა...

ასირიელი, შემდეგ კი ლიდიელი მეფეები, ხალხს ძალზე იშვიათად ეჩვენებოდნენ, რათა მათ ეფიქრათ, რომ ისინი სასწაულებრივ ადამიანებს წარმოადგენენ, და რომ ხალხი დიდხანს დარჩენილიყო ამგვარი შეხედულების ტყვეობაში. ხალხისათვის ხომ დამახასიათებელია თავის წარმოდგენაში გაზვიადება ყოველივე იმისა, რისი დანახვაც მას არ შეუძლია. პირველი ეგვიპტელი მეფეებიც ხალხს არ ეჩვენებოდნენ ისე, თუ არა ტოტით, ზოგჯერაც ცეცხლით თავზე, სახეზე ნიღაბაფარებული. ამით სურდათ ხელქვეითებში გაოცება და პატივისცემა გამოეწვიათ, მაშინ, როდესაც მათ, ვინც მონობისაგან არ იყვნენ დაღდასმულები, ისინი სასაცილოებად მოეჩვენებოდათ...

თუ ჩვენ დავითვლით მოკლულ რომაელ იმპერატორებს, ვნახავთ, რომ მცველები არა იმდენად შველოდნენ საფრთხისაგან თავის დაცვაში, არამედ პირიქით - ჰკლავდნენ მათ. არა იარაღი და არა შეიარაღებული ადამიანები – ქვეითნი თუ ცხენოსანნი, - იცავენ

ტირანებს, არამედ, რაოდენ ძნელი დასაჯერებელიც არ უნდა იყოს, სამი ან ოთხი ადამიანი იცავს ტირანს და მონობაში იჭერს მთელ ქვეყანას. ეს ადამიანები ან თავად შედიან მის ნდობაში, ან მის იმდენად დაახლოებული პირებს წარმოადგენენ, რომ საქმის ყურში არიან ყველა მის დანაშაულობებში ან თავადაც იღებდნენ მონაწილეობას მასში, აწყობენ და ესწრებიან მის განცხრომას, თანამონაწილეები არიან მისი ძარცვა-გლეჯისა და ა. შ. ეს რამდენიმე ადამიანი აიძულებს თავიანთ უფროსს გაბრაზდეს არა მხოლოდ თავისი, არამედ მათ გამოც. ამ ექვს ადამიანს ჰყავს ექვსასი ადამიანი, რომლებიც იმყოფებიან ისეთივე მორჩილებაში მათ მიმართ, ზუსტად ისევე, როგორც ისინი ტირანის მიმართ. თავის მხრივ ამ ექვსას ადამიანს მორჩილებაში ჰყავს ექვსი ათასი, რომლებიც მათ აღამაღლეს, რომელთაც მათ მისცეს საბატონოდ პროვინციები, ჩააბარეს შემოსავლიანი სფეროები, - ამასთან, ისე, რომ ამ ადამიანებს გუნდრუკი ეკმია მათთვის, დაეკმაყოფილებინათ მათი ანგარებიანი ინტერესები და ბოროტება ეთესათ ირგვლივ... მათაც ირგვლივ საკმაოდ ფართო წრე ჰყავთ გარშემორტყმული. და იგი, ვინც მოისურვებს ამ წრის გარღვევას, ნახავს, რომ ეს წრე არა მხოლოდ ექვსი ათასი ადამიანისაგან შედგება, არამედ მილიონობით ადამიანია ამ ჯაჭვით ტირანთან დაკავშირებული. ამისათვის ამრავლებენ თანამდებობებს, რომელთა არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მათი მხრიდან ტირანს მხარდაჭერა ჰქონდეს თავის მოქმედებებში. ამასთან, ცხადია, ამ თანამდებობის პირთ საკუთარი ინტერესებიც გააჩნიათ. სწორედ ამ კერძო ინტერესებით არიან ეს ადამიანები დაკავშირებული ტირანთან და ასევე იმ ადამიანებთან, რომლებსაც აწყობთ მმართველობის ამგვარი ფორმა. ასეთი ადამიანების რიცხოვნება იმდენია, რამდენიც მათი, რომლებიც შვებით ამოისუნთქებდნენ თავისუფლებაში. როგორც ამბობენ ექიმები, თუკი ჩვენს სხეულში არსებობს რაიმე დაზიანებული ნაწილი, მაშინათვე მისკენ მიიმართება ყოველგვარი მავნე წვენები, ასევე ხდება ხელმწიფესთან დაკავშირებითაც, როგორც კი იგი ტირანი გახდება, მის ირგვლივ იკრიბება ყოველგვარი უზნეო და უვარგისი, ყოველგვარი ნაძირალა, ქურდებისა და ყაჩაღების ხროვა, რომლებსაც სხვა არაფერი ხელეწიფებათ, და რომლებიც უაღრესად ხარბნი და გაუმაღარნი არიან. სწორედ ამგვარი ხალხი იკრიბება ტირანის ირგვლივ, რათა მონაწილეობა მიიღონ ნადავლის გაყოფაში, რათა იყვნენ პატარა ტირანები დიდის ფრთის ქვეშ, - ერთნი საქმეების გარჩევებს აწყობენ, სხვები აყაჩაღებენ მოგზაურებს და ა.შ,

***

ამონაწერები ჰობსიდან:

ციცერონი სადღაც ამბობს ფილოსოფოსების შესახებ: არ არსებობს ისეთი აბსურდი, რომელიც ვერ მოძებნოთ ფილოსოფოსთა წიგნებშიო.

***

შიშს, იმის წარმოდგენის გარეშე, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული, პანიკური ეწოდება, რადგანაც ლეგენდის თანახმად, მისი გამომწვევი პანია.

***

ნაღველს, რომელიც რაიმე საკუთარი ნაკლითაა გამოწვეული, სირცხვილი ეწოდება. ეს ვლინდება ადამიანის გაწითლდებაში... ახალგაზრდებში ეს ვნება კარგი რეპუტაციისა და ქებისადმი სიყვარულის ნიშანია; მოხუცებშიც იგი ამავეს ნიშნავს, მაგრამ რამეთუ იგი მოდის გვიან, არ შეიძლება საქებური იყოს.
ვნებებად, რომლებიც ყველაზე მეტად განაპირობებენ ტვინის განსხვავებას, გვევლინებიან მეტ-ნაკლები სურვილი ძალაუფლების, სიმდიდრის, ცოდნისა თუ დიდების. ყველა ესენი საბოლოო ჯამში მაინც პირველზე, ანუ ხელისუფლების ფლობასთან დაიყვანება, რამეთუ სიმდიდრე, ცოდნა და დიდება მაინც ხელისუფლების სხვადასხვა არსს წარმოადგენს... მსგავსად იმისა, როგორც ყოველგვარი სურვილის არარსებობა სიკვდილს მოასწავებს, ვნებათა სისუსტე სიჩლუნგის ნიშანია; ისეთი ვნების ქონა კი,

რომლისთვისაც სულ ერთი იქნება ნებისმიერი საგანი, ზედაპირულობა და დაბნეულობაა. რომელიმე საგნის მიმართ უფრო ძლიერი ვნების არსებობა, ვიდრე იგი, როგორც წესი, გააჩნია სხვა ადამიანებს, არის ის, რასაც სიგიჟეს უწოდებენ.

***

ყველაზე დიდ ადამიანურ ძალმოსილებად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის, რაც შედგენილია ადამიანთა უმრავლესობის ძალებისაგან. ისინი გაერთიანებული არიან შეთანხმებით და ისინი გადაცემულია ერთ, ფიზიკურ თუ სამოქალაქო პირზე, რომელსაც შეუძლია მთელი ამ ძალების გამოყენება.
აი, რატომაა, რომ მოსამსახურის ყოლა – ძალაა, მეგობრების ყოლა – ძალაა, რადგან ყველაფერი ეს ძალების გაერთიანებას აღნიშნავს.
ზუსტად ასევე ძალად წარმოგვიდგება სიმდიდრე, რომელსაც გულუხვობა ახლავს თან, რამეთუ მის შედეგად ვიძენთ მეგობრებსა და მოსამსახურეებს. გულუხვობის გარეშე სიმდიდრე ძალას არ წარმოადგენს, რამეთუ ამ შემთხვევაში იგი არა თუ ვერ იცავს თავის მფლობელს, არამედ შურის საგნადაც კი იქცევა.
ამავე საფუძველზე ძალას წარმოადგენს პატრიოტის რეპუტაცია (ის, რასაც უწოდებენ პოპულარობას)...
დიდი წარმატებაა ძალა, ვინაიდან იგი კაცს აძლევს სიბრძნეს ან ბედნიერებას და ადამიანებს აიძულებს ეშინოდეთ მისი ანდა ჰქონდეთ მისი მხარდაჭერის იმედი.
იმ ადამიანთა სალმიანობა, რომლებიც უკვე ფლობენ ქონებას, არის მზარდი ძალა, რამეთუ ეს ძალთა გაერთიანებას მოასწავებს.

***

გამოჩენილ მშობლებიდან წარმოშობა დიდი ღირსებაა, რადგან ასეთი მშობლების შვილები ადვილად იღებენ სხვის დახმარებას და იძენენ თავისი მშობლების მეგობრებს.
ბნელი მშობლებისაგან წარმოშობა კი პირიქით, ერთგვარად სასირცხვილოც კია.

***

არის რაღაც ღირსეული ანტიკურ მისწრაფებაში სიდიდრისა და დიდებისაკენ, რადგან ეს მოასწავებს მისი მიღწევისათვის საჭირო ძალის ქონას. სიხარბე და პატივმოყვარეობა, რომელიც მიმართულია მცირეოდენი რაღაც-რაღაცეების მოპოვებისაკენ ან სამსახურში პატარა ნაბიჯით წინ წაწევისაკენ – სამარცხვინოა.

***

ქმედება, თუკი იგი დიადია, ძნელი და შესაბამისად, დიდი ძალის შესახებ მოწმობს და იწვევს ჩვენს პატივისცემას, სულ ერთია, სამართლიანია თუ უსამართლო, რამეთუ უჩვეულო ძალის არსებობა უკვე პატივისცემას იმსახურებს. აი, რატომ იყო, რომ ძველი ცეცხლთაყვანისმცემლები ვარაუდობდნენ, რომ ისინი ღირსებას კი არ უკარგავენ, არამედ დიდ პატივს მიაგებენ ღმერთებს, როდესაც პოემებში ისინი მოძალადეებად, ქურდებად და სხვა უსამართლო და უწმინდური საქმეების მკეთებლებად გამოჰყავთ; არაფერი ისე არ ადიდებს იუპიტერს, როგორც მისი სასიყვარულო თავგადასავლები, ხოლო მერკური ყველაზე მეტად მისი თაღლითობისა და ქურდობისათვის არის განდიდებული. მის ყველაზე დიდ ქებას ჰომეროსის ერთ-ერთ ჰიმნში ის შეადგენს, რომ დილით დაბადებული, იგი იმავე შუადღეს ხ მუსიკას შეთხზავს, ხოლო მიმწუხრის ჟამს აპოლონის მწყემსებს ცხვარს მოპარავს.

***

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ბედნიერება ამ ცხოვრებაში არ შედგება სულის სიწყნარესა თუ მის დაკმაყოფილებაში, რამეთუ finis ultimus (საბოლოო მიზანი) და summum volum (უდიდესი სიკეთე), რის შესახებაც საუბარია ძველ ფილოსოფოსთა მორალის წიგნებში, არ არსებობს. ამასთან, ადამიანი, ვისაც სურვილები არ გააჩნია, სულაც ვერ იცხოვრებს იმ ადამიანზე მშვიდად, ვისაც

უკვე აღარა აქვს შეგრძნებები და წარმოდგენები. ბედნიერება ერთი ობიექტიდან მეორეზე განუწყვეტლივ გადასვლაში მდგომარეობს, ისე, რომ წინა ობიექტის მიღწევა მხოლოდ შემდგომი ობიექტისაკენ გასავლელ გზაზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს.
იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ვინმესაგან, ვისაც ჩვენს თანასწორად ვთვლით, მივიღეთ გაცილებით მეტი სიკეთე, ვიდრე ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია მომავალში მას მივაგოთ, გარეგნულად სიყვარულის, სინამდვილეში კი – სიძულვილისათვის განგვაწყობს. მსგავსი გარემოება ადამიანს უიმედო მოვალის მდგომარეობაში აყენებს, რომელიც გაურბის მევალესთან შეხვედრას და იდუმალად სურს, რომ ეს უკანასკნელი იქ იყოს, სადაც არ შეეძლება მასთან შეხვედრა.
საქმე იმაშია, რომ კეთილმოქმედება გვავალდებულებს, მოვალეობა კი – მონობაა. ის მოვალეობა კი, რომლის საპასუხოს გადახდა შეუძლებელია, სამუდამო მონობა, და ეს ადამიანისათვის, იმის თანასწორისათვის, ვის მიმართაც იგი ვალშია, საზიზღარი მდგომარეობაა და მეტი არაფერი.
თუ სიკეთე მივიღეთ ადამიანისაგან, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ჩვენზე მაღლა მდგომად, ეს ჩვენ განგვაწყობს მისადმი სიყვარულით, ვინაიდან ეს ჩვენთვის არ წარმოადგენს ახალ დამამცირებელ გარემოებას, ხოლო მისი მიღება ღირსებაც კია, რომელსაც მივუძღვნით მას, ვინც ჩვენ ამ სიკეთეს გვიკეთებს; სიყვარულისაკენ განგვაწყობს ჩვენ ასევე ჩვენი თანასწორის ან დაბლა მდგომი ადამიანისაგან მიღებული სიკეთე, თუკი ჩვენ გვაქვს იმის იმედი, რომ ამ სიკეთეს ოდესღაც დავუბრუნებთ მას.
მომჭირნეობა (რომელიც ღარიბი ადამიანების სიკეთედ გვევლინება) ადამიანს ხელს უშლის განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც მოითხოვს ერთდროულად მრავალი ადამიანის ერთობლივ ძალისხმევას, რამეთუ მათი აქტიურობა იკვებება მხოლოდ ჯილდოთი, ხოლო მომჭირნეობა ვერ ახალისებს მათ.
უხვსიტყვაობა შეერთებული ქებასთან ადამიანებს კეთილად განაწყობს მისადმი, ვინც ფლობს ამ თვისებებს, რამეთუ პირველი მოჩვენებით სიბრძნეს წარმოადგენს, ხოლო მეორე – მოჩვენებით სიკეთეს.

***

კანონის, სამართლიანობის და მართლწესრიგის მიზეზებისა და ძირითადი ბუნების უცოდინრობა ადამიანებს განაწყობს არსებული ზნე-ჩვეულებები და მაგალითები თავიანთი მოქმედებების წესად აქციონ. ასეთ შემთხვევაში არასწორ საქმედ ითვლება ის, რაც ზნე-ჩვეულებების მიხედვით დასჯადია, ხოლო სწორ მოქმედებად ის, რაც არსებული ზნე-ჩვეულებების პირობებში არათუ დასჯადი, არამედ საქებარია. ადამიანები ამ შემთხვევაში პატარა ბავშვებს ჰგვანან, ვისთვისაც კარგი თუ ცუდი საქციელის ერთადერთ მასშტაბად მშობლისა თუ მასწავლებლის მიერ მისი დასჯა ქცეულა; აქ განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბავშვები მუდმივად ამას უფარდებენ თავიანთ საქციელს, ადამიანები კი – არა. პირიქით, გახდებიან რა ძლიერნი და ჯიუტნი, ადამიანები ადვილად უკუაგდებენ ზნე-ჩვეულებას გონების სასარგებლოდ, ხოლო გონებას ზნე-ჩვეულების სასარგებლოდ იმისდა კვალად, თუ რა უფრო ემსახურება მათ მიდრეკილებებს. ისინი უკუაგდებენ ზნე-ჩვეულებას, როდესაც ამას მოითხოვს მათი ინტერესი და მოქმედებენ გონების წინააღმდეგ, თუკი გონება ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.
ეჭვიც კი არ მეპარება იმაში, რომ თუკი ჭეშმარიტება, რომლის მიხედვითაც სამკუთხედის კუთხე ტოლია კვადრატის ორი კუთხისა, წინააღმდეგობაში მოვიდოდა მათ ინტერესებთან, რომლებიც ხელისუფლებას ფლობენ, გეომეტრიის მეცნიერება თუ აურყოფილი არა, დაკნინებული მაინც იქნებოდა.

***

ცხოვრება ისეთი სკოლაა, სადაც წარუმატებლობა გაცილებით უკეთესი მასწავლებელია, ვიდრე წარმატება. **ტოლსტოი**

***

ადამიანის ღირსება იმ ჭეშმარიტებით კი არ განისაზღვრება, რომელსაც იგი ფლობს, არამედ იმ შრომით, რომელიც მან დახარჯა მის მოსაპოვებლად. **ლესინგი**

***

სიხარბე – ერთ-ერთი ყველაზე ცხადი ნიშანია იმისა, რომ ადამიანი ძალზე უბედურია. **კაფკა**

***

ბუდას შესახებ:

დიდხანს წვალობდა იგი, და ერთხელაც მან იხილა ის, რასაც ასე ეძიებდა: მას გაეხსნა ხსნის გზა ტანჯვის, სიბერისა და სიკვდილისაგან თავის დასახსნელად.
პირველი ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობდა, რომ ტანჯვისათვის ნებისმიერი ადამიანია განწირული. მეორე ჭეშმარიტება ისაა, რომ ტანჯვის მიზეზი ვნებებია. მესამე კი ის, რომ ტანჯვისაგან თავის დასდახსნელად საჭიროა ჩვენს არსებაში ვნებები ჩავახშოთ. მეოთხე ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ვნებათა ჩასახშობად ოთხი რამის გაკეთებაა აუცილებელი:
1. გულის გამოღვიძება 2. აზრთა გაწმენდა 3. თავის განთავისუფლება უსიამოვნო აზრებისაგან და 4. საკუთარ თავში სიყვარულის გაღვიძება არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ყოველივე ცოცხალი სულიერის მიმართ.

***

ცხოველების მიმართ თანაგრძობა ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის კეთილ ხასიათთან, რომ ის, ვინც ცხოველებისადმი მკაცრია, არ შეიძლება კეთილად მივიჩნიოთ. **შოპენჰაუერი**

***

როგორც გუშაგები ყარაულობენ ციხე-სიმაგრეს, უდიდესი ყურადღებით ათვალიერებენ კედლებს, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ისე ადამიანი უნდა იცავდეს საკუთარ თავს და წუთსაც არ ტოვებდეს ყურადღების გარეშე. **ჯამაპადა**

***

ის, რომ ჩვენს ტანჯვასა და ცოდვებს შორის კავშირი არ არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ ის საერთოდ არ არსებობს.

***

მხოლოდ მაშინ, როდესაც თავად გამოვცადე ტანჯვა, მაშინ მივხვდი, თუ როგორი მსგავსებაა ადამიანების სულებს შორის. საკმარისია თავად კარგად დაიტანჯო ადამიანი, რომ მაშინვე ყველა ადამიანი შენთვის გასაგები გახდება და უკვე იცი, თუ რაზე შეიძლება მათთან ლაპარაკი. **გოგოლი**

მწერლებისა და მწერლობის შესახებ

ჯეკ ლონდონსა და გი დე მოპასანს სამწერლო თემების შერჩევაში განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. თუ ლონდონი ძალზე ერიდება სექსუალური თემების აღწერას და მიაჩნია, რომ მწერალმა არაფერი ისეთი არ უნდა დაწეროს, რისი წაკითხვაც შვილთან ერთად შერცხვებოდა, მოპასანი ხშირად აღწერს ამგვარ ამბებს და მიაჩნია, რომ აქ არაფერია მოსარიდებელი, რადგან ადამიანის სასირცხვო ორგანოების მოქმედების შედეგები გაცილებით წმინდაა და მათი გამოჩენაც გაცილებით ნაკლებ მოსარიდებელი, ვიდრე ტვინის შედეგებისა.

ორივე ეს მწერალი თავისებურად მართალია და ამასთან ორივე მათგანი უაღრესად კეთილშობილი ადამიანია.

***

სიტყვის მეტ-ნაკლებობა ნიჭიერების სასწორ-საზომია. ნიჭიერება ორი-სამი სიტყვით გამოთქვამს იმას, რასაც ძალდატანებული ვითომ ნიჭი რამდენიმე სტრიქონს მოანდომებს. ზომიერება იქ შეჩერდება, სადაც უნიჭობა თავს ვერ შეიკავებს და გააჭიანურებს საუბარს. **აკაკი**

***

40 წლის კაფკა პატარა ბავშვს ჰგავდა. მას არ მოსწონდა ბალზაკის ყალბი სიზუსტე: „ის მიდიოდა იმ მსუბუქი ნაბიჯით, რომლითაც დადის ყოველი პარიზელი ქალი დილის ათ საათსა და თერთმეტ საათს შორის“.
კაფკას საოცრად ჰქონდა განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ის ყველაფერზე გრძნობდა თავს პასუხისმგებლად, რაც კი ამქვეყნად ხდებოდა. კაფკა თავის შეყვარებულს მილენას წერდა: „ჭუჭყიანი ვარ მილენა, უსაზღვროდ ჭუჭყიანი. ამიტომ ვყვირი ამდენს სისუფთავეზე“.
კაფკაზე იგრძნობა გავლენა დოსტოევსკისა, რომელმაც თქვა: „ყოველი ჩვენთაგანი დამნაშავეა მეორის მიმართ. მე კი ყველაზე მეტად ვარ დამნაშავე“.

***

ჩვენს დროში სიტყვა „რომანს“ აღვითქვამთ როგორც მხატვრულ გამონაგონზე დაფუძვნებულ ქმნილებას, მაშინ, როდესაც თავიდან იგი უბრალოდ რომანიულ ენაზე დაწერილ პოეტურ ან პროზაულ ნაწარმოებს აღნიშნავდა. ***ვალტერ სკოტი***

***

ნიჭი რაოდენობის საკითხია. არ არსებობს ისეთი რომანი, რომელსაც ჩვეულებრივი წარმოსახვის ადამიანი ვერ მოიფიქრებს. არ არის ისეთი ლამაზი ფრაზა, რომელსაც ვერ დაწერს დამწყები მწერალი. საჭიროა მხოლოდ ხელში კალმის აღება და წერა. ლიტერატურას ჰქმნიან მხოლოდ უღლის გამწევი ხარები. ***რენანი***

***

თავის დღიურში ვ. სკოტი ჩაწერს ბაირონზე:
ვფიქრობ, რომ იგი მნიშვნელოვნად ალამაზებდა საკუთარ სასიყვარულო თავგადასავლებს, გარკვეულწილად იყო ადამიანი, რომელიც თავს იქებდა ცოდვებით, რომელიც მას არ გააჩნდა.

***

როდესაც პირველად გავიგე, რომ განწირული ვიყავი გავმხდარიყავი ლიტერატორი, მე პირდაპირ სტოიკური ძალმოსილება გამოვიჩინე, რათა თავი დამეღწია ამ ავადმყოფური მგრძნობიარობისაგან, რომელიც პოეტების მოდგმას უბედურებად და სასაცილოდ ხდის. მე ყოველთვის ვცდილობდი ჩამეკლა ჩემში ქებისა და კომპლიმენტების მოხვეჭის პოეტთათვის დამახასიათებელი წყურვილი. ***ვ. სკოტი***

***

ადამიანები ყოველთვის გაჰყვირიან მეთოდურობაზე მუშაობაში. მართლაც, გარკვეული თვალსაზრისით, იგი სასარგებლოა და დიდ უპირატესობას აძლევს საქმიან ადამიანებს. მაგრამ, ჩემი აზრით, მეთოდური მწერლები, რომელთაც შეუძლიათ გადადონ კალამი ან ხელში აიღონ იგი დადგენილ დროს, - საკმაოდ საცოდავი ქმნილებანი არიან. ***ვ. სკოტი***

***

გი დე მოპასანი ერთი პერიოდი სამინისტროში (თუ არ ვცდები, განათლების) მუშაობდა. იმ პერიოდს ეკუთვნის მისი ეს ჩანაწერი: ჩემს გამოთვლებში მე უკვე ნაკლებსა და ნაკლებ შეცდომებს ვუშვებდი, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მე გამოვჩერჩეტდი.

მან (მოპასანმა) ყველაფერი ნახა, გამოსცადა და დაასკვნა: ადამიანი ბრიყვია, სუსტია, საზიზღარია, ბედნიერება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ლტოლვა ბედნიერებისაკენ, მხოლოდ ამაოება, თავის მოტყუება, ცრუ იმედი, ყალბი ოცნება და ... სიკვდილი და არარაობა.

მ. ჯავახიშვილი

***

ტოლსტოის დღეებზე, 1928 წელს, შტეფან ცვაიგმა ნახა რა ლევ ტოლსტოის სამუშაო ოთახი, თქვა: ასეთ ოთახში ცხოვრებაზე ჩემი სახლის მეეზოვეც არ დათანხმდებოდა, მაგრამ ასეთ ოთახში მუშაობა შეეძლო მხოლოდ გენიოსს.

ეს დაახლოებით ამას ჰგავს: როდესაც ნაპოლეონმა ჰოლანდია დაიპყრო, იკითხა პეტრე დიდი სად ცხოვრობდაო (პეტრე პირველი, როდესაც ამ ქვეყანაში გემთმშენებლობის სასწავლად ჩავიდა, ინკოგნიტოდ ცხოვრობდა აქ). როდესაც აჩვენეს მოცუცქნული ოთახი, უკითხავს თურმე, სადღა ეძინაო. აჩვენეს ერთი პატარა საწოლი. მაშინ დაუძვრია ხმალი და კედელზე წაუწერია: აქ იწვა დიდი ადამიანი. დიდი ადამიანისათვის არაფერი არ არის პატარა (ზდეს ლეჟალ ველიკი; ველიკომუ ნიჩტო ნე მალო).

,,საწყალი ადამიანები! ისინი ჩემში არა ზიზღს, არამედ უსაზღვრო სიბრალულს იწვევენ. ყველა ადამიანური გამოცანიდან მე მხოლოდ ერთს ვხსნი: ყველაზე ცხოვრებაში ჩვენ ყველაზე მეტად მუდმივი მარტოობისაგან ვიტანჯებით და ყველა ჩვენი საქციელი, ყველა ჩვენი მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ გავექცეთ მას". ***მოპასანი***

***

,,შემეცნება – ეს არის უდიდესი მორალური ბოროტება, რომელიც შეიძლება შეემთხვას ადამიანს". ***ლ. ტოლსტოი***

თეთრი თუ რითმიანი ლექსის დასახასიათებლად გამოგვადგება ***ილიას*** გამონათქვამი: „ლექსი იმით არ ლექსობს, რომ სტრიქონების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათო". მეტს ვერაფერს ვერ იტყვი. ეს განსაკუთრებით მისი პოეზიის განმაქიქებლებს უნდა ჰქონდეთ ყოველთვის მხედველობაში.

***

ახლა ჩემთვის სასაცილოა იმის გახსენება, თუ როგორ ვფიქრობდი, და ასე მგონია, თქვენც ამგვარად ფიქრობთ, რომ შეიძლება მოიწყოთ ბედნიერი და პატიოსანი მიკრო სამყარო, რომელშიც წყნარად, უშეცდომოდ, სინანულის გარეშე შეგეძლებოდათ ცხოვრება და წესიერად იმის გაკეთება, რაც მხოლოდ და მხოლოდ კარგია. სასაცილოა! ეს შეუძლებელია, ბიძიკო, შეუძლებელი. ეს ზუსტად ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ის, რომ გაუნძრევლად, თუნდაც მცირე ვარჯიშების გარეშე, ჯანმრთელი იყო.

რათა პატიოსნად იცხოვრო, უნდა ისწრაფოდე, იბრძოდე, უშვებდე შეცდომებს, იწყებდე და თავს ანებებდე... და განუწყვეტლივ იბრძოდე და კარგავდე.

რაც შეეხება სიმშვიდეს, იგი სულიერი სიმდაბლეა. ***ტოლსტოი***

***

მე ისე ვაღმერთებდი ***რუსსოს***, რომ ერთ დროს მისი პორტრეტი მედალიონშიც კი ჩავსვი და მკერდზე, ხატებთან ერთად ვატარებდი. ***ლ. ტოლსტოი.***

***

ჩვენ ისე ვერაფერს ვპოებთ ცხოვრებაში, თუ სადღაც ვიღაცამ ამდენივე არ დაკარგა. ***გოლსუორსი.***
დაახლოებით ამასვე ამბობს ***რუსთაველი***: ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმინდა.

***

მე ყოველთვის იმ რწმენის ვიყავი, რომ ვაჟკაცმა არც არაფერი უნდა სთხოვოს ქალს და არც არაფერში ძალა არ უნდა დაატანოს მას. დიაცები სულგრძელები არიან და რაც შეუძლიათ, იმას თავადაც არ დაიშურებენ. ***გოლსუორსი.***

***

„აბა ვის შეუძლია ურთიერთობა ისეთ კაცთან, რომელიც არასოდეს შეცდება, მუდამ აღმავლობის გზით მიდის და ნამდვილი წმინდანია". ***გოლსუორსი.***

***

„ზოგი ისეთი ბუნებისაა, ათ საათზე ჩამოხჩობა რომ ელოდეს, რვა საათზე არხეინად ჭადრაკს ითამაშებს. ამნაირი ხალხი მუდამ წარმატების გზით მიდის. ამათგან გამოდიან ჩინებული ეპისკოპოსები, რედაქტორები, მსაჯულები, სარდლები. ისინი მართლაც მშვენივრად ართმევენ თავს ყოველ თანამდებობას, მათ მოეპოვებათ სულიერი საყინულეები, სადაც ინახება მათი ნერვიული სისტემა. ამისთანა ადამიანებს ან ძალიან მცირე აქვთ, ანდა საერთოდ არ გააჩნიათ ის მოძრავი, მჩქეფარე გრძნობა და მტკიცე განწყობილება, როგორიც გახლავთ აზროვნება, პოეზია, ფილოსოფია... ისინი გრძნობას ყოველთვის გონებას უქვემდებარებენ". ***გოლსუორსი.***

***

„საყვარელი ქალის შებღალული და ტანჯული წარსული ზოგ ვაჟკაცში მხოლოდ რაინდულ გრძნობას აღვიძებს, სხვებს, უფრო წესრიგისა და პატივის მოყვარეებს, მხეცურ ვნებათა ღელვასა და ბოღმიან ვნებიანობას აღუძრავს იმისათვის, რომ წინათ, მასზე ადრე, სხვას რგებია იგი". ***გოლსუორსი.***

***

სილამაზისაკენ ლტოლვა ღრმად მოიკიდებს ხოლმე ფეხს იმ ოჯახში, რომლის წევრებიც მდაბიო წარმოშობის არიან და თავად იკაფავენ გზას საზოგადოებაში. ***გოლსუორსი.***

***

ბუნების ყველაზე დიდი ირონია ისაა, რომ აღზევებას გაამაყება მოსდევს და ეს უკანასკნელი კი დაცემის მაუწყებელია. ***გოლსუორსი.***

***

ტოლსტოის ანა კარენინას პროტოტიპად გამოყენებული ჰყავს პუშკინის უფროსი ქალიშვილი – მარიამი.

***

ივანე გონჩაროვი ხომალდით მგზავრობდა, ამოვარდა ქარიშხალი, კაპიტანმა მწერალი გემბანზე მიიწვია, მწერალი ბრძანდებით და აუცილებლად უნდა ნახოთ ეს

გრანდიოზული სანახაობაო. „ობლომოვის" ავტორმა თვალი მოავლო გამძვინვარებულ ოკეანეს და ჩაილაპარაკა: „რა სიმახინჯეა, რა ქაოსია" და თავის კაიუტას დაუბრუნდა.

***

ლიტერატორ ადამიანებს მეტწილად არ ეხერხებათ ლაპარაკი და პირიქით – მჭევრმეტყველ ადამიანებს სრულებით არ ეხერხებათ წერა. *ტოლსტოი*

***

ლევ ტოლსტოი არ მოსწონდა თავისი „ანა კარენინა". მას ეკუთვნის შემდეგი ფრაზა: „ძლიერ მაოცებს ის ამბავი, რომ ასეთი ჩვეულებრივი და უბადრუკი რამ მოსწონთო.

***

ლევ ტოლსტოის არ უყვარდა კრიტიკოსები და ამბობდა ამ საქმით მხოლოდ ისინი არიან დაკავებული, ვისაც თავად არაფრის შექმნა არ შეუძლიაო. სულელები განიკითხავენ ჭკვიანებსო.

***

ტურგენევი წერს, რომ მისი და ლევ ტოლსტოის „თანავარსკვლავედები ... ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ ეთერში". იგი ლევ ტოლსტოის შესახებ ამასაც წერს: „როცა ეს მაჭარი დადუღდება, მისგან ღმერთების საკადრისი სასმელი დადგება".

***

ზოგს უკვირდა, რად არ ავსახე გარეპოლიტიკური ომები „დიდოსტატში", ან რად დავუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქრობის მომენტებს?
უნდა ვაღიარო: ეგ შეუგნებლად მაქვს ჩადენილი. შინაპოლიტიკური ვითარებანი სწყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს... არცერთი ნაციონალური მოძრაობა, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა. *კ. გამსახურდია*

***

„მწერლისათვის ყველაზე საჭირო იარაღი ზუსტი სიტყვაა, რომელიც დაჭიმული შვილდიდან ისრად მოწყდება და ცახცახით ჩაესობა მიზანში" **თომას მანნი**

***

ამონაწერები წიგნიდან: ,,И. С. ТУРГЕНЕВ В ВОСПОМЫНАНИЯХ СОВРЕМЕННИКОВ", М. 1969.:

ტურგენევი ამბობს: „ინგლისელები ყველა უცხოელის შესახებ ფიქრობენ, რომ ისინი მაიმუნები არიან და მხოლოდ ფრანგებს თვლიან ნახევრად ადამიანებად".
***
ტურგენევი არიგებს ვიღაცას: „დაქორწინდით! აუცილებლად დაქორწინდით! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა ძნელია მარტოობაში სიბერე, როდესაც შენდაუნებურად იძულებული ხდები შეეყუჟო სხვის ბუდეს, შენდამი ადამიანური დამოკიდებულობა მიიღო როგორც მოწყალება და დაკმაყოფილდე იმ ბებერი ძაღლის მდგომარეობით, რომელსაც მხოლოდ იმიტომ არ აგდებენ, რომ მიეჩვივნენ მას და ებრალებათ. დაიჯერეთ ჩემი რჩევა. ნუ გასწირავთ თავს ასეთ უსიხარულო მომავლისათვის!"

***

ტურგენევი: უჩვეულოდ მომრავლდნენ რითმის მთხზველები. არ მომწონს მე ეს: რითმისადმი ვნებამ არა ერთი და ორი ერი დაღუპა.

***
ტურგენევი: მიაქციეთ ყურადღება თანამედროვე ფრანგულ ხელოვნებას, თეატრს, რომანს, თუნდაც პოეზიას: ყველგან ჭარბადაა წარმოდგენილი შიშველი მატერიალიზმი, ყველაფერი უაღრესად საგულდაგულოდ, დეტალურად და ლამაზად არის გაფორმებული, მაგრამ არაფერს არ ეუბნება არც აზრს, არც გრძნობას ... უნდა შევნიშნოთ, რომ ფრანგები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს გამოირჩეოდნენ ფსიქოლოგიური პროცესების ანალიზის სიღრმით ან გაქანებით. ისინი ამ თვალსაზრისით ყოველთვის დაბლა იდგნენ როგორც გერმანელებზე, ასევე ინგლისელებზე. მათთან ფორმა ყოველთვის აღემატებოდა შინაარსს, სიტყვა სულიერ მუშაობას, ხოლო იმის მოთხოვნილება, რომ სწრაფად და ლამაზად ეთქვათ, ფრანგებს არ აძლევდა იმის დროს, რომ ღრმად და ყოველმხრივ მოეფიქრებინათ სათქმელი.
შესაძლოა ამით აიხსნება ფრანგებთან ორატორული ხელოვნების და სტილის განვითარება და ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და დრამის არ არსებობა.

***
ველიკოროსი არაფერში არ უქნია ღმერთს, – თქვა ერთხელ ტურგენევმა – დამისახელეთ რუსეთში წმინდა რუსული წარმოშობის თუნდაც ერთი დიდი ადამიანი?! პუშკინი – აფრიკული სისხლია, ლერმონტოვი – შოტლანდიელი, გოგოლი – მალოროსი, ჟუკოვსკის – დედა ჰყავდა თურქი...
–ტურგენევი? – შეაწყვეტინა მას ქ-ნმა ვიარდომ.
მაგრამ ტურგენევი მას უკვე აღარ უსმენდა. გაცხარებული აგრძელებდა ყველაფერი მშობლიურის ლანძღვას, უარყოფდა თანამემამულეთა შრომისადმი სიყვარულს, რუსული ხელოვნების თვითმყოფადობას. იგი რუსებში მხოლოდ ბაძვის უნარსა და უსუსურობას ხედავდა.
ამის მოსმენისას, – წერს ტურგენევისადმი მიძღვნილი წიგნის ავტორი – პოტუგინის სიტყვები მახსენდებოდაო:
„მე თან მიყვარს და თან მეზიზღება ჩემი რუსეთი, ჩემი უცნაური, კეთილი, ძვირფასი სამშობლო".

***
რუსი გაცილებით ნაკლებ ინდივიდუალურია, ვიდრე დასავლეთ ევროპელი – ამბობს ტურგენევი (გონკურების დღიურებიდან).

***
„მთელი ჩემი ცხოვრება ქალით არის გაჟღენთილი. არც წიგნს, არც სხვა რაიმეს არ შეუძლია ჩემთვის ქალის შეცვლა... რანაირად გამოვხატო ეს გრძნობა? მე ვვარაუდობ, რომ მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მთელი არსების ისეთი გამოცოცხლება, როგორიც სხვა არაფერს არ ხელეწიფება, ხომ მართალს ვამბობს?" – ტურგენევი

***
ხ. ბოიესენი წერს: მე ვუამბე ტურგენევს ჩემი ვიზიტის შესახებ იბსენთან (დრეზდენში) და გაოცება ვერ დავმალე იბსენის სიმპათიის გამო საერთოდ დესპოტური მმართველობის და კერძოდ, რუსი იმპერატორის ნიკოლოზ I მიმართო.
– ეს საოცრად კურიოზული ფაქტია – შენიშნა ტურგენევმა – რომ მრავალი ადამიანი, რომლებიც იმ ქვეყნებში ცხოვრობენ, სადაც დემოკრატიული წყობაა, აღტაცებული არიან დესპოტური მმართველობით. ძალზე ადვილია გიყვარდეს დესპოტიზმი შორიდან. ამ რამდენიმე წლის წინათ კარლეილს (ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე – ა.გ.) ვესტუმრე. იგიც თავს ესხმოდა

დემოკრატიას და სიმპათიას გამოთქვამდა რუსეთისა და მისი მაშინდელი იმპერატორის მიმართ. „ხალხის მასების მოძრაობაში ერთი ძლიერი ხელი დაქნევით მოყვანა – თქვა მან – აზრს აძლევს ისტორიულ პროცესს. ზოგჯერ მეტად საწყენია იმის ნახვა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც დიდი ბრიტანეთია, ათასი ჯურის არარაობას შეუძლია თავი წამოყოს როგორც ბაყაყმა გუბიდან და მთელი ხმით იყვიროს. საგანთა ასეთ მდგომარეობას მხოლოდ უწესრიგობა შეუძლია წარმოშვას”.
ამის პასუხად კარლეილს შევთავაზე, რომ კარგი იქნებოდა, თუ იგი რუსეთში წავიდოდა და ერთ-ორ წელიწადს მის რომელემე გუბერნიაში იცხოვრებდა. მაშინ საკუთარი თვალით იხილავდა მის მიერ ნაქები დემოკრატიის სიკეთეს ... ის, ვინც დაიღალა დემოკრატიით, იმიტომ, რომ იგი წარმოშობს უწესრიგობას, ემსგავსება ადამიანს, რომელიც სუიციდისათვის ემზადება. ეს ადამიანი მოქანცულია ცხოვრების ერთფეროვნებით და ოცნებობს სიკვდილის მონოტონურობაზე. მანამდე, ვიდრე ჩვენ ვრჩებით ინდივიდუალისტებად და არა ერთი და იგივე ტიპის ერთფეროვან განმეორებებად, ცხოვრება ჭრელი, განსხვავებული და უწესრიგოც კი იქნება. ინტერესთა და იდეათა ამ დაუსრელებელ შეჯახებაში კაცობრიობის პროგრესის უმთავრესი იმედი დევს. ჩემთვის ამერიკული დემოკრატიის უდიდეს მომხიბლველობას ყოველთვის ის გარემოება წარმოადგენდა, რომ ის იძლევა ინდივიდუალური განვითარების ფართო შესაძლებლობას, რის დაშვებაც დესპოტიზმს არ ხელეწიფება. ეს გაკვეთილი ხანგრძლივმა ცხოვრებისეულმა გზამ მომცა.
მრავალი წლის მანძილზე ფაქტიურად „განდეგილის” ცხოვრებითა ვცხოვრობ, ხოლო გარკვეული დროის მანძილზე კი, იმპერატორის ნებით, იძულებული ვიყავი ჩემს მამულში ჩაკეტილს მეცხოვრა, საიდან გასვლაც მეკრძალებოდა. როგორც ხედავთ, მე თავად გამოვცადე ჩემს ტყავზე აბსოლუტიზმის მთელი ბრწყინვალება, და ალბათ არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ამ გამოცდილებამ მე არ მაქცია მმართველობის ამგვარი ფორმის თაყვანისმცემლად.
შემჩნეული მაქვს, რომ იბსენის აღფრთოვანება რუსული მმართველობის წესით წარმოიშვა როგორც ცხოვრებაზე პესიმისტური შეხედულების შედეგი, რომ ჭეშმარიტმა დემოკრატმა, როგორც არ უნდა იმედგაცრუებული იყოს იგი ცალკეული პიროვნებებით, უნდა შეინარჩუნოს რწმენა ადამიანის მიმართ და ზუსტად ასეთი რწმენა არ ჰქონდა იბსენს. მას, სხვათა შორის, უყვარდა იმის მტკიცება, რომ უმცირესობა ყოველთვის მართალია და რომ იგი დაკარგავდა ყოველგვარ პატივისცემას საკუთარი თავისადმი, თუკი ნახავდა, რომ რომელიმე მნიშვნელოვან საკითხში მისი აზრი ემთხვევა საზოგადოების უმრავლესობის აზრს.
– მე ეჭვი არ მეპარება იბსენის თანმიმდევრულობაში, – თქვა ტურგენევმა. – უნდა შევნიშნო, რომ შესაძლებელია მოვლენათა ისეთი დამთხვევა, რომლის დროსაც უმცირესობა მართალი აღმოჩნდება, მაგრამ ეს გამონაკლისია და არა წესი. ბუნებაში ჯანმრთელობა ყოველთვის აჭარბებს ავადმყოფობას. სამყაროში უარყოფითი პრინციპი რომ ჭარბობდეს, კაცობრიობას არ ეყოფოდა სასიცოცხლო ძალები არსებობისათვის. თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ მე არა ვფლობ ფილოსოფიურ ჭკუას, მხოლოდ ირგვლივ ვიყურები და დასკვნებს დანახული მოვლენებიდან ვაკეთებ, იშვიათად მივმართავ აბსტრაქციებს. უფრო მეტიც, აბსტრაქციები ჩემს გონებაში კონკრეტული სურათების სახით წარმოიშვება.

***

- რუსულ სოფელში მე ერთ რამესთან არ შემიძლია შეგუება. ეს არის ხრამები. რა მიზეზია, რომ მთელ დასავლეთ ევროპაში ვერ ნახავ ვერც ერთ ხრამს? – **ტურგენევი.**
ამის შემდეგ ბიოგრაფი აგრძელებს: ხრამები წრეტავს მიწას სასიცოცხლო ძალებისაგან. ხრამები – ეს გლეხური მიწათმოქმედების უაღრესი ჩამორჩენილობის სიმბოლოა. ისინი მიწის ნაოჭებია. და ტურგენევი, დიახაც მართალია: ხრამებთან შერიგება შეუძლებელია.

***

ტურგენევს თურმე ძალიან მოსწონდა ბეკონის გამონათქვამი: art est homo additus naturae – ხელოვნება არის ადამიანი, დამატებული ბუნებას, და ასევე პასკალის გამოთქმა: ადამიანებმა ვერ შეძლეს საკუთარი თავისათვის მიეცათ სამართალი და ძალას მისცეს სამართალი.

***

ტურგენევი: კარლეილთან ვიყავი. უნდა გითხრათ, რომ არავის მოვუხიბლივარ ასე ძალუმად თავისი აზრთა წყობით. იგი ადამიანის საუკეთესო თვისებად უპირობო მორჩილებას სთვლის და მითხრა, რომ ყოველ საზოგადოებას, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილება თავის მონარქს, უფრო ბედნიერ და უკეთესად სახელმწიფოდ თვლის, ვიდრე ინგლისური საზოგადოებაა, თავისი თავისუფლებითა და კონსტიტუციით.

***

ტურგენევი ოდოევსკის შესახებ ამბობს, ძალიან დაბნეული კაცი იყოო. მის გამო მას დასცინოდნენ, რადგან არ ესმოდათ, რომ ამგვარი დაბნეულობა რაიმე ახალ აზრზე, ამოცანაზე ან ჰიპოთეზაზე მწერლის ყურადღების კონცენტრაციის შედეგი იყო.

***

ტურგენევი ამბობს: ყველაზე ბედნიერი წუთები ცხოვრებაში ქალისადმი სიყვარულს უკავშირდება. ეს ის წუთებია, როდესაც თვალებში შეხედავ მას, ვინც გიყვარს და იგებ, რომ მასაც უყვარხარ. ტურგენევი ჩერდება და შემდეგ უმატებს: „ეს მე ცხოვრებაში ერთხელ, შესაძლოა, ორჯერაც შემემთხვა".
ვიხსენებ ახლა ტურგენევის ამ სიტყვებს, წერს ბიოგრაფი, და მაგონდება ასევე კრიტიკოსების გესლიანი მსჯელობებიც მის რომანებზე. მაგალითად, ნ. სტახოვი წერს, თითქმის ყველა მათგანში გამოყვანილია ახალგაზრდა, რომელსაც სურს დაქორწინდეს ქალიშვილზე და ამას ვერაფრით ვერ ახერხებს. ეს მართლაც სწორი შენიშვნაა, ტურგენევის გმირები შეყვარებულები არიან ახალგაზრდული ვნებით, თუმცა არ ქორწინდებიან. სტახოვს სურდა გაელანძღა ტურგენევი, მაგრამ ამის ნაცვლად, მისი შექება გამოუვიდა. ტურგენევი უმღერს არა ხორციელ, არამედ წმინდა, თავდადებულ სიყვარულს, რომელიც ხშირად, მოპასანის არ იყოს, სიკვდილზე ძლიერია. სწორედ ასე ესმოდა ტურგენევს სიყვარული, რის გამოც მას არ სჭირდებოდა დაექორწინებინა თავისი გმირები. იგი თავად მოხუცებულობამდე რჩებოდა იმ ყმაწვილად, რომელსაც ძალუძდა ჰყვარებოდა ღრმად და თავდადებით, მაგრამ დაქორწინება არ შეეძლო. მის შესახებ დედამისი შემდეგს ამბობდა: იგი მარად ერთგულია, მას მხოლოდ ერთი ქალის სიყვარული შეუძლიაო.

ამონაწერები კაფკადან:

ხელოვნები ცდილობენ ადამიანებს სხვა თვალი მისცენ, რათა ამ გზით შეცვალონ სინამდვილე. სწორედ ამიტომ გვევლინებიან ანტისახელმწიფო ელემენტებად, რამეთუ სურთ შეცვალონ სახელმწიფო. ამ უკანასკნელს კი, მთელი თავისი ერთგული მსახურებით, მხოლოდ თავის გადარჩენა სურს.

***

კრიტიკოსი წერს: კაფკა თითქმის არაფერს აკეთებდა წინასწარ განძრახ, პედაგოგიური მიზნით თუ სოციალური კრიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე. იგი უბრალოდ ასე ხედავდა სამყაროს. იგი არ აკრიტიკებდა, იტანჯებოდა.

***

ყოველი ჭეშმარიტად რევოლუციური განვითარების ბოლოს გვევლინება ნაპოლეონ ბონაპარტე... რაც უფრო ხანგრძლივად გრძელდება წყალდიდობა, მით უფრო მდორე და მღვრიე ხდება წყალი. რევოლუციური ტალღა უკუიქცევა და რჩება ახალი ბიუროკრატიის ლამი.

***

მე არა მაქვს ლიტერატურული ინტერესები, მე ლიტერატურისაგან შევდგები.

***

,,დონ კიხოტის წყევლა მისი ფანტაზია კი არა, სანჩო პანსაა, ე. ი. მიწიერი, კონკრეტული, პროზაული.

***

თუ ჯოისის სიმბოლიკის ახსნა ყოველთვის არ ხერხდება, ეს არა იმიტომ, რომ იგი არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ იგი ნაპოვნი არაა. თავად ჯოისმა ყოველთვის იცოდა, თუ რისი თქმა უნდოდა. კაფკამ ყოველთვის როდი იცოდა ეს.

***

,,ყველაფერი, რაც ლიტერატურას არ ეხება, მოწყენილობას მგვრის და ზიზღს იწვევს ჩემში" – წერს კაფკა ფელიციას მამას, ბაუერს, როდესაც მას უხსნის თავის უვარგისობას ცოლქმრული ცხოვრებისათვის.

ამონაწერები ლ. ტოლსტოის 41 ტომიდან:

ადამიანს უნდა უყვარდეს არა მხოლოდ თავისი ცოლი, ქმარი, მამა და შვილი, არამედ ღმერთი და მოყვასი თვისი. ეს მოთხოვნა სამართლიანია არა იმიტომ, რომ იგი ნათქვამია სახარებაში, არამედ სახარებაში იმიტომაა ნათქვამი, რომ ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა.

***

ქრისტიანობა მხოლოდ ისტორიულად დაუკავშირდა ებრაელობას. ძირითადი რელიგიური ჭეშმარიტება ყველა რელიგიაში მსგავსია – ვედაშიც, ზოროასტრიზმშიც, ბუდიზმშიც, კონფუციანიზმშიც, ლაო-ძესთანაც და ბიბლიაშიც.

***

ლექსთა მთხზველობა შემოქმედების ყალბ სახედ მიმაჩნია, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავს აზრს.

***

ერთი ცნობილი ფიზიკოსი წერილში ტოლსტოის ეკითხება: ევოლუციის თეორიას თუ უარყოფთ, რატომ თავად არ შექმნითო საკუთარს? ამ წერილს ტოლსტოიმ შემდეგი წააწერა: ერთ სულელს იმდენი კითხვის დასმა შეუძლია, რამდენსაც ათასი ჭკვიანი ვერ უპასუხებს და ასე პასუხობს:
,,თქვენ წერთ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი და ძალიან მნიშვნელოვნად გეჩვენებათ ამ მოვლენის ის ახსნა, რომელსაც იძლევიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და დარვინი. მაგრამ მე ყოველთვის მაოცებდა, თუ რატომ ჩერდებიან მეცნიერები ადამიანის წარმოშობაზე, სახეების წარმოშობაზე, დედამიწის, მზის წარმოშობაზე, თუნდაც პირველი ორბანიზმის წარმოშობაზე... როგორც კი ჩვენ დროსა და სივრცეში ამ კითხვებზე პასუხის ძებნას დავიწყებთ, ვერსად შევძლებთ შეჩერებას, ხოლო ის, რომ ვერ შევძლებთ სადმე შეჩერებას, ის, რომ ჩვენ ვეძებთ ჩვენთვის მიუწვდომელ სფეროში, იმას ნიშნავს, რომ მას, რასაც ჩვენ ვეძებთ, ვეძებთ არა იქ, სადაც საჭიროა.

***

თქვენ ამბობთ, რომ თუ ადამიანები თუნდაც ერთ წელიწადს დაიცავდნენ კანონს წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ, მაშინ კაცობრიობა გადაშენდებოდა. მაგრამ თუ ყველა ადამიანი დაიცავდა ამ კანონს, მაშინ ვინ დაემუქრებოდა მათ სიცოცხლეს? თუნდაც რომ ძალზე მცირე რიცხვი ადამიანებისა მისდევდეს ამ კანონს, მაშინ მისი შესრულება სხვასაც გადაედებოდა, იგი შეეცდებოდა მისთვის მიებაძა და მასაც იგივე გაეკეთებინა. ამრიგად ძალადობა თანდათან შემცირდებოდა.

***

სიცოცხლე ადამიანებს სიკეთისათვის ეძლევათ და თუ ისინი ვერ განიცდიან ამ სიკეთეს, ამაში მხოლოდ თავად არიან დამნაშავენი.

***

თქვენი სურვილი მწერლად გახდომისა, ძალზე სულელურია. ეს სურვილი იმას ნიშნავს, რომ ადამიანური დიდება გსურთ. ეს კი მხოლოდ მედიდურობის გამოვლენაა. თქვენ ერთი რამ უნდა გსურდეთ: იყოთ კეთილი ადამიანი, არავინ გაანაწყენოთ, არ განსაჯოთ, არ შეიზიზღოთ, არამედ გიყვარდეთ ყველა.

***

ყველა დაჩაგრული და დამონებული ადამიანი, ისევე როგორც ერები და კლასები (ჩვენი დროის მუშები), ასევე ქალები, შეიძლება განთავისუფლდნენ არა იმ მისწრაფებით, მიაღწიონ იმავე მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც იმყოფებიან მჩაგვრელები, არამედ იმით, რომ თავიანთ შეგნებაში და თავიანთ ცხოვრებაში მათზე მაღლა დადგნენ. დაჩაგრული ხალხები, როგორც პოლონელები, ინდუსები და მრავალი სხვა, ესწრაფიან რა განთავისუფლებას, სურთ მიიღონ თავიანთი მჩაგვრელების უფლება. ზუსტად ასევე მუშებს, განთავისუფლების თავის მისწრაფებაში, სურთ მიიღონ კაპიტალისტთა – მდიდართა უფლებები. ზუსტად ასევე ქალები თავიანთი განთავისუფლების იდეალად სახავენ მამაკაცთა უფლებებს. ეს ყველაფერი მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ ჩაგრულნი თავიანთი მსოფლმხედველობის მიხედვით სულაც არა დგანან იმ იდეალებზე მაღლა, რომელი იდეალებითაც მჩაგვრელები ცხოვრობენ. ისინი თავიანთ მჩაგვრელებზე დაბლაც კი დგანან. მათ არა აქვთ რა ძალა მიაღწიონ ამ იდეალებს და მხოლოდ შურთ თავიანთი მჩაგვრელებისა.

***

ყველა რელიგიაში მოთხრობილია სხვადასხვა სასწაულების შესახებ, რომლებიც თითქოსდა მოახდინეს მათმა დამფუძნებლებმა. მაჰმადიც, კრიშნაც ინდურ რელიგიაში და სხვებიც თითქოსდა აკეთებდნენ იგივე სასწაულებს, რომელთა მსგავსიც სახარებაშია აღწერილი. ამიტომ უმთავრესია არა რაიმე სასწაულის დაჯერება, არამედ მოძღვრების არსში ჩაწვდომა. რელიგიათა დამფუძნებელთა სასწაულები ყველა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ხოლო ყველა მოძღვრების არსი – სიყვარული ღმერთისადმი და მოყვასისადმი - ყველგან ერთი და იგივეა.

***

თუ შიგნით ყველაფერი წესრიგშია, მაშინ ყველგან კარგია.

***

ადამიანები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. ერთნი უკმაყოფილონი არიან გარე პირობებით და ცდილობენ შეცვალონ იგი (ამის გაუმჯობესებას არასოდეს არა აქვს დასასრული).
მეორე სახის ადამიანები, პირიქით, ცდილობენ კმაყოფილნი იყვნენ იმ გარე პირობებით, რომელშიც მათ უხდებათ ყოფნა.
პირველები ყოველთვის უბედურები არიან;

მეორენი არ შეიძლება იყვნენ უბედურნი.

***

ქალი უპირატესად სხეულით კეკლუცობს, მამაკაცი – ჭკუით.
ქალი, რომელიც ჭკუით კეკლუცობს, ისევე სასაცილოა, როგორც მამაკაცი, რომელიც კეკლუცობს სხეულით.

***

თავის ერთ-ერთ წერილში ტოლსტოი წერს: მხოლოდ იმიტომ დაქორწინება, რომ ეს საჭიროა – არ შემიძლია. მე მოვითხოვ საშინელს, იმას, რაც შეუძლებელია ცოლ-ქმრობამ მომცეს. მე მოვითხოვ, რომ ვუყვარდე ისე, როგორც მე შემიძლია სიყვარული. მაგრამ ეს შეუძლებელია.

***

ვკითხულობდი შექსპირს – კორიოლანს, მშვენიერი გერმანული თარგმანია, იკითხება ძალზე მსუბუქად, თუმცა ისეთი უაზრობაა, რომელიც მხოლოდ მსახიობს შეიძლება მოეწონოს.

***

ყოველი რწმენის სიღრმეში მდინარებს ერთიანი მარადიული ჭეშმარიტების წყარო... ძირითადი არსი ყველა რელიგიისა – სიყვარული მოყვასისადმი, თანაბრად ესაჭიროება ზოროასტრს, ბუდას, მოსეს, სოკრატეს, მაჰმადს...

***

ძველი რუსული ლიტერატურის ყველაზე საინტერესო ძეგლზე ,,моление Даниила заточника" ბ. ბელინსკი ამბობდა: ,,ვინც უნდა ყოფილიყო დანიელ პყრობილი, შეიძლება საფუძვლიანად დავასკვნათ, რომ იგი იმ პიროვნებათაგანია, რომელნიც, თავისდა საუბედუროდ, მეტად ჭკვიანი, მეტად ნიჭიერი, მეტად ბევრის მცოდნენი არიან და, ვერ მალავენ რა თავიანთ უპირატესობას,

პატრიოტობასა და გმირობაზე

ჩეხების განმათავისუფლებელი იან ჟიჟკა ომის დროს დაბრმავდა და ბრმა იძლეოდა ბრძანებებს.

***

მარკ კურაციომ, რომაელმა ახალგაზრდამ გმირულად შესწირა თავი მამულის კეთილდღეობას. კერძოდ, როდესაც რომის ფორუმზე 362 წელს უფსკრული გაჩნდა, მისანთა წინასწარმეტყველებით რომის სახელმწიფო მანამდე იქნებოდა საფრთხეში, ვიდრე იგი პირს არ შეიკრავდა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი რომი რომელიმე თავის მოქალაქეს შესწირავდა. გაიგო რა ეს კურაციომ, აისხა იარაღი, მოახტა ცხენს და უფსკრულში შთაინთქა.

***

სინდისი და სიმხდალე ერთი და იგივეა. სინდისი სიმხდალის ოფიციალური სახელია. ***უაილდი***

***

მე დავიღალე მონების მართვით. ***ფრიდრიხ პრუსიელი***

***

რომელიღაც გერმანელ მეფეს უთქვამს: იქ, სადაც სურთ ჰყავდეთ მონები, საჭიროა რაც შეიძლება მეტი მუსიკა შექმნან.

***

„გავიგე, რაც ყოველთვის მაოცებდა: რატომ აყენებდა პლატონი სათნოებათა შორის უკანასკნელ ადგილზე ვაჟკაცობას. დიახ, ვაჟკაცობა მაინც და მაინც ლამაზი გრძნობებისაგან როდი შედგება: მცირეოდენი გაშმაგება, მცირეოდენი პატივმოყვარეობა, სიჯიუტის მნიშვნელოვანი ნაწილი და უხამსი სპორტული დაკმაყოფილება. არასოდეს აღარ აღმაფრთოვანებს ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ვაჟკაცობას ავლენს". ***ეგზიუპერი***

***

ჯერ უნდა ჩაება სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ ვნახავთო. ***ნაპოლეონი***

***

ნუ ფიქრობ, თითქოს ადამიანის სიმამაცე მხოლოდ გამბედაობასა და ძალაში გამოიხატებოდეს. ნამდვილი ვაჟკაცობა ისაა, რომ დადგე მრისხანებაზე ზევით და შეიყვარო შენი შეურაცმყოფელი. **სპარსული**

***

ლაჩრობა ისაა, იცოდე თუ რა უნდა აკეთო და არ გააკეთო ის. **კონფუციუსი**

***

როგორც კი ვიგრძნობთ მრისხანებას კამათისას, ჩვენ უკვე ვკამათობთ არა ჭეშმარიტების, არამედ ჩვენს გამო. **კარლეილი**

***

ეცადე კამათში შენი სიტყვები რბილი იყოს, ხოლო დასკვნები – მტკიცე. საჭიროა მოწინააღმდეგის არა ვნება, არამედ დარწმუნება. **ვილკანსი**

***

მტრედის კეთილისმყოფელობა - კეთილისმყოფელობა არ არის. მტრედი მგელზე კეთილისმყოფელი არ არის. კეთილისმყოფელობა და მისი დონეები მაშინ იწყება, როდესაც იწყება ძალისხმევა. **(ვისია?)**

***

ყოველგვარი მრისხანება უძლურებიდან წარმოსდგება**. რუსსო**

***

ბედნიერება გვანიჭებს სიმამაცეს. ***გოეთე***

***

მამაცობის არც შესწავლა შეიძლება და არც დავიწყება. ***გოეთე***

***

ჩვენ პრუსიელები ყველანი სამხედრო მუნდირებით ვიბადებით. ***ბისმარკი***

რელიგიის შესახებ

ლეგენდის მიხედვით, მესამე საუკუნეში წმინდანი ყოფილა, სახელად ქრისტეფორე. მეტად ლამაზი ვინმე და ქალები მოსვენებას არ აძლევდნენ. ქრისტეფორეს

ღმერთისათვის უთხოვია, – ისე დამამახინჯე, ქალებს ჩემი შეხედვა ეზიზღებოდეთო. ღმერთს შეუსმენია ვედრება და ქრისტეფორესათვის მწევარი ძაღლის გარეგნობა მიუცია. ამის შემდეგ ნადირთა საქმეს ეს წმინდანი განაგებს. ეკლესიებში ქრისტეფორე მწევრის სახით იხატებოდა („ძაღლთაპირი“).

***

წარიწყმინდოს თავი მექრთამემან, ხოლო მოძულე ქრთამისა ცხონდეს.

***

„მე ხშირად დავფიქრებულვარ: როგორ ხდება, რომ მრავალი მეცნიერი – ფიზიკოსები, ბუნებათმცოდნენი, – რელიგიური ადამიანები არიან? მახსოვს, სადღაც წამიკითხავს (იქნებ ა. ფრანსთან?) ორი მეცნიერის, ექიმის საუბრის შესახებ. ერთი მათგანი მორწმუნე იყო, ხოლო მეორე – ათეისტი. ათეისტი ეკითხება მორწმუნეს: „ეს როგორ ხდება, რომ შენ, ექიმს, შეგიძლია უბიწო ჩასახვის შესახებ სასწაული ირწმუნო?” რაზედაც მორწმუნე პასუხობს: „განა ჩვეულებრივი ჩასახვა უდიდესი სასწაული არ არის?”
ეს სოფისტური მსჯელობაა, რომელიც არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ სწამთ ინტელიგენტურ ადამიანებს, მეცნიერების წარმომადგენლებს ღმერთი?
მე არა მგონია არსებობდეს სწორი პასუხი ამ კითხვაზე. რელიგიის საკითხები, როგორც წესი, როგორც მაგიდის ყუთში, ისეა ჩაკეტილი ადამიანის ტვინში და ძნელია მისადმი მიდგომა. ახალგაზრდობაში მე არაერთხელ მიცდია ამგვარ კამათში ჩავბმულიყავი, მაგრამ იგი საგნობრივი დასაბუთებულობის სფეროდან ემოციის სფეროში გადადიოდა, სადაც ლოგიკური არგუმენტები შედეგს არ იძლევიან. ამიტომ შევწყვიტე ამგვარ დისკუსიებში მონაწილეობა. ***ლ. ინფელდი* „რელიგია და მე”.**

***

ერთი წმინდა კაცი ასე შესთხოვდა ღმერთს: ,,ღმერთო ჩემო! კეთილგანეწყე ბოროტთა მიმართ, რადგან კეთილთადმი შენ უკვე იყავი კეთილი: მათთვის კარგია ის, რომ ისინი უკვე არიან კეთილნი” **საადი**

***

მოსე ეკითხება ღმერთს:
,,ღმერთო ჩემო, სად შემიძლია გიპოვო?!
ღმერთის პასუხი ასეთი იყო:,,რადგან მეძებ, უკვე მიპოვე”.

***

ებრაელებთან ცოდვად ითვლება ღმერთის სახელით მოხსენიება. მართლებიც არიან. ღმერთი - სულია. ხოლო ყოველგვარი სახელი სხეულებრივია და არა სულიერი. **(ტოლსტოი?)**

***

ვისაც ეშინია ადამიანების, მას არ ეშინია ღმერთის. ხოლო ვისაც ეშინია ღმერთის, მას არ ეშინია ადამიანების. **(ვისია?)**

***

მე ბევრი რამ ვისწავლე ჩემი მასწავლებლებისაგან, უფრო მეტი, ჩემი ამხანაგებისაგან, მაგრამ გაცილებით მეტი ვისწავლე ჩემი მოსწავლეებისაგან. **თალმუდი**

***

ცოდვასთან ნუ შეწყვეტ ჩხუბს, ხოლო ცოდვიანს შეურიგდი. შეიზიზღე უგვანი რამ ადამიანში, ხოლო თავად ადამიანი გიყვარდეს. **(ვისია?)**

***

ვნებები ადამიანში თავიდან ობობას ქსელივითაა, შემდეგ როგორც სქელი თოკი.
ვნებები თავიდან უცხოსავითაა, შემდეგ – სტუმარივით იქცევა, და ბოლოს სახლის პატრონივით განაგებს ყველაფერს. **თალმუდი**

***

ნამდვილად ძლიერი იგია, ვინც საკუთარ თავს ძლევს. აღმოსავლური სიბრძნე

***

კეთილი ადამიანი იგია, ვისაც ახსოვს საკუთარი ცოდვები და ივიწყებს თავის სიკეთეს, ბოროტი კი იგი, ვისაც ახსოვს თავისი სიკეთე და ივიწყებს საკუთარ ცოდვებს.
ნუ აპატიებ საკუთარ თავს და მაშინ ადვილი იქნება სხვისთვის პატიებაც. **თალმუდი**

***

ყოველთვის ყურადღებით იყავი ყოველივე იმის მიმართ, რასაც აკეთებ და არაფერი არ ჩათვალო ყურადღების მიქცევის უღირსად. **კონფიციუსი**

***

მე შემოვიარე მთელი დედამიწა, რათა კაცთა ცხოვრების წამმართველი შუქი მეპოვა. შეუსვენებლივ ვეძებდი მას დღითა თუ ღამით, და ბოლოს, შემომესმა წინასწარმეტყველის ხმა, რომელმაც მე ჭეშმარიტებას მაზიარა. ეს წინასწარმეტყველის ჩემს სულში იყო და ის შუქიც, რომელსაც მე ვეძებდი მთელ დედამიწაზე, იყო ჩემში. **სუფისტური სიბრძნე**

***

ბედისწერაში არაა შემთხვევითობა. ადამიანი თავად ქმნის და არა ხვდება თავის ბედისწერას. **ვილმენი**

***

შენი სხეული – ქალაქია, სავსე სიკეთითა და ბოროტებით. შენ სულტანი ხარ, ხოლო შენი გონება – შენი დიდი ვეზირი. **სეიფ მულუკი**

***

შეეცადე თავი აარიდო საკუთარ თავზე განსჯას და რაც მთავარია, საკუთარი თავის სხვებთან შედარებას. საკუთარი თავი მხოლოდ სრულყოფილებას შეადარე. **სეიფ მულუკი**

***

ის, რომ მდინარეები და ზღვები ბატონობენ ველებზე, რომლებზედაც ისინი მიედინებიან, იმიტომ ხდება, რომ ისინი მათზე დაბლა არიან.
სწორედ ამიტომ წმინდა ადამიანი, თუკი მას სურს იდგეს საზოგადოებაზე მაღლა, უნდა დადგეს მასზე დაბლა. თუ მას სურს უხელმძღვანელოს ხალხს, იგი უნდა იდგეს მის უკან.
ამიტომ წმინდა ადამიანი, თუნდაც რომ იდგეს ხალხს ზევით, ხალხი ვერ გრძნობს ამას. თუკი დგას ხალხის წინ, ხალხი ვერ ხედავ ამას და არ იტანჯება ამით. იგი არ ეკამათება არავის, და არც არავინ ეკამათება მას. სწორედ ამის გამო მოსწონს იგი საზოგადოებას და არ იშურებს მის ქებას. **ლაო-ძე**

***

თუ ადამიანები ფიქრობენ, რომ არსებობს მხოლოდ ისეთი რამ, რისი ხელით შეგრძნებაც შეიძლება, მაშინ ასეთი ადამიანები ძალზე განუვითარებლები არიან. **პლატონი**

***

შეუძლებელია ერთდროულად იზრუნო შენს სულზეც და ამქვეყნიურ სიკეთეზეც. თუ ამქვეყნიური სიკეთე გსურს, მაშინ უარი უნდა თქვა სულზე, ხოლო თუ სულის დაცვა განგიზრახავს, მაშინ მოგიწევს ამქვეყნიურ სიკეთეზე უარის თქმა.სხვაგვარად მუდმივად გაორებული იქნები და ვერც ერთს მიიღებ და ვერც მეორეს. **ეპიკტეტი**

***

ადამიანი ამქვეყნად შეკუმშული მუშტებით მოდის, თითქოს ამბობს: მთელი ეს სამყარო ჩემია. ამქვეყნიდან კი მიდის გაშლილი ხელებით, თითქოს ამბობდეს: შეხედეთ, თან არაფერი მიმაქვს. თალმუდი

***

სული არაფერს არ სწავლობს. იგი მხოლოდ იგონებს იმას, რაც მან ყოველთვის იცოდა. **(ვისია?)**

***

ბრძენი ადამიანი ყველაფერს მხოლოდ საკუთარ თავს თხოვს, პატარა ადამიანი კი სხვისგან თხოულობს ყველაფერს. **ჩინური**

***

იყოს უცნობი ადამიანებისათვის ანდა ამ უკანასკნელთ არ ესმოდეთ მისი - ეს არის ნამდვილად კეთილშობილი ადამიანის თვისება. **ჩინური**

***

მოიქეცი ისე, რომ ნებისმიერი ადამიანისათვის შეგეძლოს თქმა: მოიქეცი ჩემსავით. **კანტი**

***

როგორც ბოლი ერეკება ფუტკრებს სკიდან, ისე სიმაძღრე გამოდენის ადამიანის სულიერ უნარსა და გონების სრულყოფილებას. **ვასილი დიდი**

***

ჩვენი სურვილები – პატარა ბავშვებს ჰგვანან, რომლებიც სულ მოუსვენრები არიან და ყოველთვის თხოვენ დედას ხან ამას და ხან იმას, ამასთან, არასოდეს არ არიან კმაყოფილები და რაც უფრო მეტს უთმობენ მათ, მით უფრო თავისმომაბეზრებელები ხდებიან ისინი.

***

სულის მხიარულება მისი ძალის ნიშანია. **ემერსონი**

***

სასამართლოს მიზანია საზოგადოების არსებულ დონეზე შენარჩუნება. იგი ამისათვის სდევნის როგორც მათ, რომლებიც დგანან საერთო დონის მაღლა და ცდილობენ საზოგადოების ამაღლებასაც, ასევე მათაც, რომლებიც დგანან მასზე დაბლა.

***

ადამიანი აუცილებლად მონა უნდა იყოს. მისთვის არჩევანი მხოლოდ იმაშია, ვისი: თუ იგი ემონება თავის ვნებებს, ეს ნიშნავს, რომ ემონება ადამიანებს; თუ იგი ემონება თავის სულიერ საწყისს, ეს ნიშნავს, რომ ემონება მხოლოდ ღმერთს.
ყველასათვის სასიამოვნოა უმაღლესი პატრონი ჰყავდეს.

***

მე არ მწამს არც ერთი დღევანდელი რელიგიის და ამიტომ შეუძლებელია ჩემს მიმართ ეჭვის გაჩენა იმაში, თითქოს ბრმად ვსდევ რაიმე ცრურწმენას ანდა ვექცევი აღზრდის გავლენის ქვეშ. მაგრამ მე, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ისე ღრმად ვფიქრობდი ჩვენი ცხოვრების აზრზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. მე მას ვეძებდი როგორც კაცობრიობის ისტორიაში, ისე ჩემს გონებაში და მივედი იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილი არ არსებობს; რომ სიცოცხლე არ შეიძლება იყოს სხვაგვარი, თუ არა სამუდამო; რომ უსასრულო სრულყოფა არის სიცოცხლის კანონი, და რომ ყოველგვარ მისწრაფებას, რომელიც კი ჩემშია ჩადებული, უნდა ჰქონდეს თავისი პრაქტიკული განვითარება; რომ ჩვენშია აზრი, მისწრაფება, რომელიც ძალზე აღემატება ჩვენი მიწიერი ცხოვრების შესაძლებლობებს; რომ ზუსტად ის, რომ ისინი შემოდიან ჩვენში სფეროდან, რომელიც მდებარეობს დედამიწის გარეთ და შეიძლება იყოს განხორციელებული მხოლოდ მის გარეთ; რომ არავინ არ იღუპება აქ, დედამიწაზე, გარდა სხვადასხვა სახის ნივთიერებებისა, და რომ ფიქრიც კი იმის შესახებ, რომ რომ ჩვენ ვკვდებით, იმიტომ, რომ კვდება ჩვენი სხეული – იგივეა, რაც ფიქრი იმის შესახებ, რომ მუშა კვდება, იმიტომ, რომ გაცვდა მისი შრომის იარაღი. **იოსებ მაძინი**

***

თავიდან რომ ავირიდოთ და დავამარცხოთ ცოდვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველი ცოდვის ფესვი – ცუდ ფიქრებშია. ჩვენ ყველანი – მხოლოდ შედეგი ვართ იმისა, რასაც ჩვენ ვფიქრობთ. **ბუდა**

***

ზნეობრივი და გონიერი ყოველთვის ემთხვევიან ერთმანეთს.

***

ტანჯვა არის აუცილებელი პირობა როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ზრდისა.

***

ვინც ძაღლებთან ერთად წვება დასაძინებლად, ის ტილებით დახუნძლული იღვიძებს.

***

რაც უფრო სასტიკად და უწყალოდ განიკითხავ საკუთარ თავს, მით უფრო სამართლიანად და მოწყალედ განიკითხავ სხვას. **კონფუციუსი**

***

საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება შეუძლიათ მხოლოდ ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანებს.

***

შენ ახალგაზრდა ხარ, მოჭარბებული გაქვს ვნებები, გიყვარს გართობა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობიდანვე მოუსმინე სინდისის ხმას, ყველაფერზე მაღლა იგი დააყენე. არ უკუიქცე მისგან არც სიამოვნების, არც ვნების, არც საზოგადოებრივი აზრის, ზნე-ჩვეულების გამო, თუნდაც რომ მას კანონს უწოდებდნენ. ყოველთვის შეეკითხე შენს თავს: ეთანხმება კი ეს ჩემს სინდისს? იყავ მამაცი და თვითდარწმუნებული სინდისის მოთხოვნების გამო. ნუ შეგეშინდება იმისი, რომ ხალხის შეხედულებებს დაშორდე. **პარკერი**

***

მონა, რომელიც კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, ორმაგად მონაა, რადგანაც არა მხოლოდ მისი სხეულია მონობაში, არამედ მისი სულიც. **ბურკე**

***

იქ, სადაც თავისუფლება არაა, იქ ცხოვრება ცხოველურ არსებობას ემსგავსება. **იოსებ მაძინი**

***

ჩვენთვის თავისუფლება და ღირსებაა დამახასიათებელი. დავიცვათ ისინი ან დავიხოცოთ. **ციცერონი**

***

მშვიდობა უდიდესი სიკეთეა, მაგრამ თუ იგი მიიღწევა მონობით, მაშინ იგი ხდება არა სიკეთე, არამედ უბედურება. მშვიდობა – ეს თავისუფლებაა, რომელიც ემყარება ყოველი ადამიანის უფლებების ცოდნას. მონობა - უარყოფაა ადამიანის უფლებათა, მისი ადამიანური ღირსებების და ამიტომ საჭიროა ყველაფრის მსხვერპლად შეწირვა მშვიდობის მისაღწევად და უფრო მეტის გაკეთება მონობისაგან თავის დასაღწევად. **ციცერონი**

***

მორცხვობა ხასიათის სანაქებო თვისებაა: მორცხვი – ადვილად არ შესცოდავს. **თალმუდი**

***

ბედნიერს უწოდებთ ადამიანს, რომელიც თავის ბედნიერებას შვილებს, მეგობრებს, ანუ არამყარ და სწრაფწარმავალ საგნებს უკავშირებს? ასეთ შემთხვევაში ხომ წამიერად შეიძლება დაინგრეს მთელი მისი კეთილდღეობა?! სწორედ ამიტომ, ნუ აღიარებთ ნურავითარ სხვა საყრდენებს, გარდა საკუთარი თავისა და ღვთაებისა. **დემოფილე**

***

ღმერთმა ყველაფერი, რაც მოგვცა, ორ ნაწილად გაყო: ერთი ნაწილი მოგვცა სრულ განკარგულებაში; ეს ნაწილი ჩვენი ნამდვილი საკუთრებაა; მეორე ნაწილი ჩვენი უფლების გარეთაა დარჩენილი, ასე ვთქვათ, იგი ჩვენ არ გვეკუთნის: ყველაფერი ის, რაც სხვას შეუძლია წაგვართვას, ჩვენ არ გვეკუთნის, ხოლო ყველაფერი ის, რაც სხვას არ შეუძლია წაგვართვას და ამით ვნება მოგვაყენოს, ჩვენს საკუთრებას წარმოადგენს. და ღმერთმა, მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილობის გამო მოგვცა ჩვენს ზუსტად ის, რაც ნამდვილ სიკეთეს წარმოადგენს. **ეპიკტეტი**

***

ადამიანთა ერთი ნაწილი კეთილდღეობას ეძებს ხელისუფლებაში, მეორე ნაწილი - მეცნიერებაში, მესამე - სიამოვნებაში. ამის შესაბამისად ადამიანებმა შექმნეს სამი სხვადასხვა მიმდინარეობის სკოლა და ყველა ფილოსოფოსი ერთ-ერთი ამ სკოლის მიმდევარი გახდა. **პასკალი**

***

სულის ცუდი განწყობილება არა მხოლოდ მტანჯველია ახლომყოფთათვის, არამედ გადამდებიც. ამიტომ წესიერი ადამიანი, ისევე როგორც ყველა სხვა იმ საქმეს, რომელიც არ იქნებოდა სასიამოვნო ირგვლივმყოფთათვის, აკეთებს განზე გამდგარი და განმარტოებული, ასევე განმარტოებული მიეცემა თავის მწუხარე აზრებსა და ასე მოიქარვებს მათ. **(ლევ ტოლსტოი?)**

***

იმის გაფიქრებაც კი, რომ გარეგანი მიზეზები გავლენას ახდენენ ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე, არის საზიანო და ძალზე ჩვეულებრიივი დაბნეულობა. **(ლევ ტოლსტოი?)**

***

ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს, თუ ის უბედურია, ამაში იგი თავადაა დამნაშავე.

***

ადამიანი, რომელსაც სურს ემსახუროს სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას, მზად უნდა იყოს მარტოდ დარჩენის. **ბერსიე**

***

ძნელია ჭეშმარიტების განსხვავება აღტკინებული პარტიების ყვირილში. **შილერი**

***

არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ალქიმია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა ოქროს საქციელის მიღება ტყვიის ინსტიქტებისაგან. **ჰერბერტ სპენსერი**

***

მაშინ, როდესაც ადამიანები ისურვებენ, ნაცვლად მსოფლიოს ხსნისა, იხსნან საკუთარი თავი; ნაცვლად კაცობრიობის განთავისუფლებისა, გაანთავისუფლონ საკუთარი თავი, - რა დიდ რამეს გააკეთებდნენ ისინი როგორც მსოფლიოს ხსნის, ისე კაცობრიობის გასათავისუფლებლად. **გერცენი**

***

სოლომონმა და იობმა ყველაზე უკეთ უწყოდნენ და ყველაზე კარგადაც გამოთქვამდნენ მიწიერი ცხოვრების მთელი ამაოების შესახებ: ერთი მათგანი იყო ყველაზე ბედნიერი, მეორე – ყველაზე უბედური; ერთმა თავად გამოსცადა ამქვეყნიური სიამით დაკმაყოფილების მთელი ამაოება, მეორემ – უბედურების მთელი არსი. **პასკალი**

***

ადამიანის ჭეშმარიტი ბუნებისათვის დამახასიათებელია ამოუწურავი სასიცოცხლო სულიერი ენერგიის შეძენა. დამოკიდებულებას კი გარეგან მატერიალურ სიკეთის მიღებაზე ჩვენ დავყავართ მონურ მორჩილებამდე ადამიანებისა და შემთხვევითობებისადმი. **ემერსონი**

***

ეკლესიას, სახელმწიფოს, საზოგადოებას გააჩნიათ ცნობილი ტიპიური ფორმები, რომლებშიც ხდება ახალგაზრდობის აზრების ჩამოსხმა. და როდესაც დგება დრო, როდესაც უნდა გამოვლინდეს ახალი თაობის დამახასიათებელი თავისებურებები აღმოჩნდება ხოლმე, რომ მისი აზრი უკვე გაუხეშებულია ამ ფორმების ზემოქმედებით და აღარ ძალუძს მიიღოს რაიმე სიახლე. **ლუსი მალორი**

***

ის, რაც შენ გაეცი, - შენია, ხოლო ის, რაც შეინარჩუნე, - დაკარგული. აღმოსავლური. ეს რუსთაველის აფორიზმს ჰგავს: ,,რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია".

***

არ შეიძლება ითქვას, რომ სულის ხსნისათვის ნამდვილად აუცილებელი იყოს ქრისტეს ადამიანური სახის აღიარება; მაგრამ სულის ხსნისათვის აუცილებელია ღვთის შვილის აღიარება, ანუ იმ მარადიული სიბრძნის აღიარება, რომელიც ვლინდება ყოველ ნივთში და რაც ყველაზე მეტად ვლინდება იესო ქრისტეში. ამ სიბრძნის გარეშე არავის არ შეუძლია მიაღწიოს ნეტარებას, იმიტომ რომ მხოლოდ იგი მიუთითებს, რა არის ჭეშმარიტება და რა არის სიყალბე, რა არის სიკეთე და რა ბოროტება. **სპინოზა**

***

ისე უნდა იცხოვრო, რომ შეიძლებოდეს შენს ყველაზე გააფთრებულ მტერს ანდო ის ყველაფერი, რაც შენს სულშია. **სენეკა**

***

ბოროტებისადმი წინააღდგომობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ებრძოლო მას: პირიქით, ეს ნიშნავს ებრძოლო ბოროტებას, მაგრამ არ ებრძოლო ადამიანს, იბრძოლო მხოლოდ იმას, რაც არის ბოროტი, მცდარი ადამიანში. **ბუკა**

***

-ო, როგორი უბედური ვარ! რა ძალიან მსურდა მშვენიერი წიგნის წაკითხვა და ამის ნაცვლად ამ თავმომაბეზრებელი ადამიანის თხოვნის შესასრულებლად უნდა ვიზრუნო.
-და განა, - გიპასუხებ მე – შენი მოვალეობა იმას შეადგენს, რომ წიგნები იკითხო მაშინ, როდესაც დახმარებას გთხოვენ? შენ უნდა იცოდე და გახსოვდეს მხოლოდ ერთი: რა უნდა ღმერთს, რომ შენ გააკეთო ახლა და რა არ უნდა მას. ამ მცირე ხნის წინ მან ისე მოაწყო, რომ შენ მარტოდ დარჩენილიყავი, რათა შენ საკუთარ თავს ჩაღრმავებოდი, გეკითხა, დაგეწერა, მომზადებულიყავი კეთილი საქმეებისათვის. დღეს კი მან ადამიანები გამოგიგზავნა, რომლებიც შენ დახმარებას გთხოვენ. ამით ღმერთი თითქოს გეუბნება:
-გამოდი შენი მარტოობიდან, საქმით დაამტკიცე ის, რაც ისწავლე, რადგან დადგა დრო, როდესაც შენცა და ხალხმაც უნდა დაინახოს ის სიკეთე, რასაც კითხვა და სწავლა იძლევა.
ნუ შეირცხვენ თავს; ნუ წყრები ადამიანებზე იმის გამო, რომ მათ მეცადინეობა შეგაწყვეტინეს: ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვისთვის უნდა გემსახურა და რა აზრი ექნებოდა წიგნების კითხვას იმის შესახებ, თუ როგორაა უკეთესი ადამიანებისადმი მსახურება? **ეპიკტეტი**

***

,,ის, ვინც არ იცის ჭეშმარიტება, მხოლოდ სულელია, ხოლო იგი, ვინც იცნობს მას და სიცრუეს უწოდებს, დამნაშავე”. **ბრეხტი**

***

,,თუ მშიერ დათვს თაფლს გაუწვდი, იცოდე, ხელსაც დაკარგავ”. **ბრეხტი**

***

ნდობა იწურება, თუ მას მეტისმეტად ხშირად იყენებენ ბოროტად. **ბრეხტი**

***

ვისაც აღვირი ამოუდვია თავისი გონებისათვის, უკეთესია მასზე, ვისაც ქალაქი დაუპყრია. **სოლომონი**

***

მეთევზის სახლში თევზს არა სჭამენ.

***

ვინც სულით არის დაცემული, მალე სხეულითაც დაეცემა. **სოლომონი**

***

,,თუ იცით, როგორ წარმოიშვება მარგალიტი Margiritifera-ს ნიჟარაში? ეს მოლუსკი? სასიკვდილოდ ავადდება, როდესაც მასში რაიმე უცხო სხეული იჭრება, თუნდაც, ქვიშა. მოლუსკი ქვიშას ირგვლის ნერწყვის აფსკს შემოახვევს. ამასთან, იგი თავად კინაღამ იღუპება. ეშმაკსაც წაუღია მარგალიტი, მე ჯანმრთელ მოლუსკს ვამჯობინებ. **ბრეხტი**

***

მე გაძლევ, რათა შენც მომცე. **ძველი რომაელები ამბობდნენ**

***

ის ქალი კი არაა უბედური, რომელმაც მდაბალი ადამიანი შეიყვარა; ეს უკანასკნელია უბედური, რომელმაც ამით არ ისარგებლა და ღირსეული არ გახდა... **აღმოსავლური**